გრეგორ ზამზა

სულთათანა

მიცვალებულის სულის მოსახსენებელი საგალობელი

თბილისი
„მერანი"
2000

ББК 84Гр - 4
УДК 894.631 - 32
ზ 26

რედაქტორი ზვიად რატიანი

ISBN 99928 - 16 - 69 - 4

© სოფო სვანიძე, 2000

ეპიზოდი პირველი

მომავალი

წელში ოდნავ მოხრილია. სათანადოდ ჩამუხლულს ოფლიანი ხელისგულები უზარმაზარ ბარძაყებზე დაუბჯენია. განმჭვრეტელ თვალებთან ერთად, შეუმოსავი სხეულიც ერთიანად ულაპლაპებს. მძიმედ, ოღონდ თანაბრად სუნთქავს, ნესტოები გახელებული კამეჩის დრუნჩივით აქვს დაბერილი. მსხვერპლს თვალით ზომავს, თავისებურად სწავლობს მას, და თვალის ერთი შევლებითაც ნათელია, ზედმეტი მოძრაობის გამკეთებელი ის არაა, ყოველი მიხვრა-მოხვრა წინდანინ აქვს გათვლილი, და ისიც იქამდე, ვიდრე ერთს შემაჭირვებლად არ ამოიგმენს და ერთბაშად არ მოწყდება ადგილს. ხოლო ფეხისგულებს მინაზე რომ აბაგუნებს, რის გამოც არემიდამო ზანზარებს, თანაც, სულ ახლახან ნამშობიარები ქალივით, დასაჩუტად განწირულ, ოღონდ ჯერ კიდევ ულამაზოდ შესიებულ მუცელს გაუთავებლად რომ ათრთოლებს, ესეც კი მხოლოდ და მხოლოდ ნაწილია იმ სანახაობისა, რითაც ის მსხვერპლს უკანასკნელად ანებივრებს. და როცა ამოიგმენს, და უსაშველო ნაბიჯით მსხვერპლისკენ გაქანდება, მისი შეჩერება უკვე გვიანია. ოფლიანი ხელისგულებით მკერდზე შესკდომისთანავე მსხვერპლს ადგილზევე შეაქანავებს და მხოლოდ ამის შემდეგ გადააგდებს შექანავებულს წარმოსახული ნრიდან, და ვინძლო მს-

ხვერპლი გაუძალიანდა, მას მაშინათვე გულში იხუტებს, გეგონება, ღირსეულ მეტოქეს აფასებდეს, მაგრამ ესეც ფანდია მისი მხრიდან, მკერდზე ახუტებულს იქამდე არ ანებებს თავს, ვიდრე ჰაერის უკანასკნელ ლუკმას არ ამოართმევს.

წუხელ ღამით ქალაქში ვიღაც ყმუოდა. მე ხომ არა? არ ვიცი, არ მაგონდება. მხოლოდ შემაჭირვებელი ყმუილი მახსოვს და ყმუილს ამოყოლილი თეთრი ორთქლი, რომელიც ცაზე ითხაპნებოდა, და კიდევ ექო, რომელსაც ჩაბნელებული და უკაცრიელი ქუჩა ბრმა ტყვიასავით ისხლეტდა. შეიძლება არა მე, არამედ ეზოს ძაღლი ყმუოდა. საცოდავი ძაღლი. ბევრი კი ვერ უძლებს ამ ცხოვრებას, რის ვაი-ვაგლახით ცდილობენ პირზე მომდგარი ყმუილი არ აღმოხდეთ, თუმცა ძაღლი მაშინ გამოდგება შესაცოდებლად, როცა თავისი კერძო ბედის ზოგადად გადაქცევას არ დააპირებს, როცა არ ეცდება სხვასაც გაუძაღლოს ცხოვრება. მე არ შემეძლო არ მეფიქრა ამ ყველაფერზე, სხვა საქმეა როგორ ვიფიქრებდი. ძაღლი კია უპატრონო, სამაგიეროდ, მიაგნო ისეთ ეზოს, საიდანაც თავისუფლად მიაწვდენს ხმას მთვარეზე თავის ნინაპრებს, და რაღა შორს წავა, რა ღმერთი გაუწყრება სწორედ ჩემი ეზოდან არ იყმუვლოს-მეთქი, გავივლე და გული ძალუმად ამიძგერდა.

კარგად ვგრძნობდი თავს? არა, ოდნავადაც კი არ ვგრძნობდი თავს კარგად. იმ დილით თავს განსაკუთრებით ზედმეტად ვგრძნობდი, როგორც სიცოცხლის ფურცელზე ვიღაცის მიერ აკრული აპლიკაცია. თანაც მთელი ღამის მანძილზე ის განმჭოლ მჭვრეტდა, თავისებურად მსწავლობდა და თბილ ამონასუნთქს სახეში მაფრქვევდა. თვალის დახუჭვა აღარ იქნებოდა, ის ისედაც ამას უცდიდა. დამიგულებდა თუ არა თვალდახუჭულს, მაშინათვე ჩაიმუხლებოდა, ფეხისგულებს მიწაზე ააბაგუნებდა, არემიდამოს სმენის წართმევამდე ააზანზარებდა და ხვნეშა-ხვნეშით ჩემს ქუთუთოში

შემოდიოდა. თვალს თუ არ დავხუჭავდი, მისგან საფრთხე არც მემუქრებოდა, ის კი სიბნელეში თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში. ხოლო ფეხის წვერებზე შემდგარი მთელი დღე უჩუმრად კუდში რომ დამყვებოდა და კეფაზე მაორთქლებდა, ამას შეჩვეული გახლდით.

ერთი ნახვით ჯიმი ისეთ შთაბეჭდილებას შეგიქმნიდათ, თითქოს მხიარული კაცი ყოფილიყო, მაგრამ მოჩვენებითი იყო მსგავსი შთაბეჭდილება, ვინაიდან ჯიმი გაიყიდებოდა ხოლმე, და განსაკუთრებით მაშინ, როცა მოჯმულის გარშემო დამთხვეულივით ცეკვავდა. ასეთ დროს სათანადოდ თუ დააკვირდებოდი — გამოარჩევდი, რომ მას არცთუ სამხიარულოდ ჰქონდა საქმე. მოჯმა კი ჯიმის ნაღდად ეხერხებოდა. რომ არ მოელოდი, სწორედ მაშინ მოუნდებოდა შარვლის ჩახდა, რომელიც გაურეცხაობისგან ლამის სხეულზე აკვროდა, მერე ერთბაშად ჩაიმუხლებოდა და, წაბილნავდა თუ არა ქუჩის ნებისმიერ მონაკვეთს, ლოყებაფორეჯებული და თვალებამღვრეული გოგონები ამ სანახაობაზე მაშინათვე ქვეშ იფსამდნენ ხოლმე. ჯიმის ამგვარ უხამსობას მაყურებელი არასოდეს აკლდა, რომელიც თვალს არათუ ხუჭავდა, პირიქით, იმას ცდილობდა, რაც შეიძლებოდა მეტად დაეჭყიტა ისედაც უარამდე გაფართოებული თვალის ჭრილი, რათა ჯიმის მიმოგრეხისას არცერთი, თუნდაც ყოვლად უმნიშვნელო ოხვრაც კი არ გამოპარვოდა. ასე სახალხოდ ჩამუხლული ჯიმი მაყურებელს ვერ ამჩნევდა, სამაგიეროდ, კამეჩის უზარმაზარი დრუნჩი ულივლივებდა თვალწინ და შორიდანვე გრძნობდა მის გახშირებულ სუნთქვას, რომელიც სახეში ეფრქვეოდა და განსაკუთრებით იმ დროს, თავად ორთქლმობმულ ქაქს გარს რომ უვლიდა.

არადა ცხოვრება მე სულ სხვანაირი წარმომედგინა. მეგონა, თიხის ქოთანს გამოვაცხობ, ლამაზ ყვავილს

ჩავრგავ და მოწყურებულ მცენარეს საღამო ხანს ჩაიდნიდან წყალს დავუსხამ-მეთქი, თან მთვარის შუქზე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნებოდა, თითქოს ნყლის ნაკადს სიცარიელეში ვღვრიდე, და ამ შთაბეჭდილებას ისიც გამიძლიერებდა, მთვარის მქრქალი ნათელი სუსტად რომ გაანათებდა ჩაიდნის ყელიდან გადმონადენ ნეკისსიმსხო წყლის ნაკადს. მერე მუხლისთავებს ჩაქუჩით დავიმტვრევდი, უკვე ხეიბრადქცეული საგორაო ეტლში მოვთავსდებოდი და მძინარე დედას, რომელიც სულაც არ ელოდებოდა შუაღამით ჩემ გამოცხადებას, სნორედ მაშინ მივადგებოდი საწოლთან, და სახეიბრო, თანაც სავალდებულო დაყვავების გამოსაძალველად, თვალებში ჩავაკვირდებოდი, რათა დაყვავებამდე, იქ შეფარული რამ — ცხადია, თუკი მსგავს რამეს მოვძებნიდი — ამომეკითხა.

ჯიმი საგორაო ეტლში მოთავსებულიყო და, გამოხატავდა რა უდარდელობას, — რაც, რაღა თქმა უნდა, არ ეხერხებოდა — დუმდა. ღრმად სწამდა, დუმილი კეთილ გამოხმაურებას ჰპოვებდა მასში, მაგრამ, გარდა შფოთისა, ვერაფერი ჰპოვა. მოსაცდელ ოთახში შუქი უეცრად გამოირთო და ჯიმი გუმანით მიხვდა, ფაშფაშა ბებიაქალი მას გაკვირვებული უყურებდა. ჯიმის გული აუჩქროლდა, კერძოდ მას შემდეგ, რაც ჩაბნელებულ ოთახს მოავლო თვალი და ბებიაქალი ვეღარ დაინახა. ჯიმის ეგონა, ბებიაქალმა სიბნელით ისარგებლა, ზურგზე აებღოტა, ვარდისფერი ხელისგულებით მხრებზე ჩამოეყრდნო და უკბილო ბებრული პირით მის კისერს დანაფებოდა. მართლა დაეჭვდა, ცხადში ხომ არ ამეზურგაო და კეფაზე დაძაბულმა რომ ჩამოისვა ხელი, თითებზე ოფლი, როგორც თბილი დუჟი, აეკრო. ჩამოცილებია, აღარ ულოღნიდა დასიცხულ კანს ბებიაქალი, მაგრამ ამ სიახლემ უფრო მეტად ააფორიაქა, ბებიაქალის უკბილო პირი, ერჩივნა, საკუთარ კისერზე შეეგრძნო, ვიდრე წარმოედგინა, რომ მარტოს მოუწევ-

და სიბნელეში ლოდინი. დედის ოხვრას ელოდა. ოხვრას, რომელიც მას დედის სიფხიზლეს ამცნობდა. თუკი დედას არ ეძინა და ფხიზელი ბრძანდებოდა, მას ყველა საფუძველი ექნებოდა გადატრიალებისას ძალუმად ამოეოხრა.

დედა სანოლში გატრუნული ინვა და არსებობის ნიშანწყალსაც არ ამჟღავნებდა, მაგრამ მაინც მიუსაფარი იყო, ჭრელი და მოკლე საბანი მას ჩემგან ვერ დაიცავდა. ჭრელი საბანი მის დახვეწილ გემოვნებაზე კი მიუთითებდა, ოღონდ ამ დახვეწილობით დედა ჩემი გულის მოგებას როდი ცდილობდა, რაც არ უნდა ყოფილიყო, საბანი იყო ბოლოს და ბოლოს. მისი სანოლისკენ მივაგორებდი ეტლს და ტანი მიგრძნობდა, ნოლელა დედა საბნის ქვემოდან მითვალთვალებდა. ბორბლის გადატრიალება გამიჭირდა, მკლავმა მიმტყუნა. მკლავის კი არა, ნაბიჯის გამართვაც კი ძნელია, როცა იცი, რომ გაკვირდებიან. საბნის ქვეშ დასადგურებულ ჩრდილს თვალით გავურბოდი, თორემ ტანით მისკენ მივიწევდი. არ მინდოდა შორიდან შემეხედა საბნის ქვეშ, რადგან ვიცოდი, იქ დედა მელოდა, იქიდან მითვალთვალებდა. ჩემი ადგილიც იქ იყო ოდესღაც, ჩვენი ადგილი. საბნისკენ დუნედ მივგორავდი. ოღონდაც კი საწოლამდე მიმეღწია და მერე, რაც გინდა, ის გადამხდენოდა თავს. ბორბლებს უღონოდ ვაწვებოდი, არ მინდოდა ხელები ცარიელი მქონოდა. საწოლთან საკმაოდ რომ მივიწიე, დედას მერეღა მივუტრიალდი. იქიდან გაცილებით გამიადვილდა მისთვის შეხედვა, თითქოს საწოლთან სიახლოვე თუ დამიცავდა მოსალოდნელი გაკიცხვისგან. პირზე მიმდგარ ოხვრას დედა სასულეში გადაცდენილი და ამოსახველებლად დაძრული ნამცეცივით უძალიანდებოდა და გაფართოებული თვალებით მე მაკვირდებოდა. მეც ამან გამათამამა და გავუღიმე. იმან კი, თავი მხოლოდ იმისთვის წამოსნია, რათა გაერკვია, რომ დანამდვილებით

საკუთარ საწოლში მოსვენებულიყო და რომ მე არ ვეჩ-ვენებოდი. დედას მარტო ამის გარკვევა რომ ნდომოდა, ვინ დაუშლიდა, მაგრამ მას სხვა რამ ეწადა, სხვა, რამაც აანურინა მხრები და რამაც, თავისწილ მეც დამაკისრა ვალდებულება, მისი მხრისაწურვის მიზეზი გამომეცნო. დედა სრულ ჭკუაზე აღარაა-მეთქი, ვიეჭვე, და როცა მის უმეტყველო თვალებს უკეთ ჩავაკვირდი, ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი. მკერდზე შეერთებული ხელები დედამ გულაჩვილებულმა გაშალა, თითქოს უნდოდა გულში ჩავეკარი და, ვინაიდან მე გაუნძრევ-ლად ვიჯექი ეტლში, თვითონ უმნეოდ გადაესვენა ბალი-შზე და ჭერს ააშტერდა.

ჯიმის პირადი მიზნები უფრო ამოძრავებდა, ვიდრე სხვა რამ. მას შვილი უნდოდა, და მისთვის სულერთი იყო, ვინ გაუჩენდა. თუნდაც დედას გაეჩინა, ამას აღარ დაეძებდა. თანაც იცოდა, დედა აპატიებდა მსგავს ახი-რებას. დედაშვილობა ხომ ისედაც მარადიული პატიე-ბაა. მაგრამ დედა თვალს არიდებდა ჯიმის და ჩუმად ამბობდა, — შვილი თითქოს ერთგვარი დაზღვევა კია იმისგან, მარტო რომ არ დარჩეს კაცი სახტად, უფრო ზუსტად, საბუთი გააჩნდეს თავის გასამართლებლად, მარტო მე კი არა, აგერ, ბატონო, მთელი ქვეყანა სახ-ტად არის დარჩენილიო. თითქოს საყოველთაო, კაცობ-რიობის გამაერთიანებელ საქმიანობაში შემავალი საშვია, მაგრამ ამდაგვარ პასუხს სულელი და ოჩანი თუ იკმარებს მხოლოდ. იმაზე მეტად სახტად დამტ-ოვებელი განა რა შეიძლება იყოს ერთ მშვენიერ დღეს საკუთარი შვილი გაპამპულებული და გაბითურებული თვალით რომ ამოგხედავს, რითი დააშოშმინებ, პამპუ-ლა არ ხარ თუნდაც იმიტომ, მე რომ მიყვარხარო? სულ ეგ იყო? — როგორც იქნა მოამთავრა დედამ და აცრემლ-ებულმა ჯიმის შესცინა.

ჯიმის სჯეროდა დედის, თუნდაც მარტო იმის გამო, დედა მასზე გაცილებით უფროსი რომ ბრძანდებოდა.

ხოლო გაცილებით უფროსი რომ იყო, ამას წყალი არ გაუვიდოდა. დროულად მოაგონდა კიდეც, — მაშინ, როცა დედა ტკივილის მარნუხებს, თავად დედის მუცელს აღწევდა თავს, ასე რომ, დედას ყველა უფლება ჰქონდა ჯიმისთვის რჩევა მიეცა. რჩევას კი უთუოდ მისცემდა, ამაზე ორჭოფობა დაუშვებელი იყო.

რა მერე, ხატში გარინდებულ დედას, თუკი ისე ღონივრად ჩაებღუჯა ჯიმის მოჩარჩოებული და შემინული ფოტოსურათი, რომ ხელის ფრჩხილებსქვეშ სისხლი ჩაქცეოდა და ჩაქცეულ სისხლსაც რახანია შვინდისფერისკენ ეცვალა პირი. სამაგიეროდ, იმავე საფოტოსურათე ჩარჩოში ერთადერთი — როგორც წესია საერთოდ — სურათი კი არ გაქვავებულიყო, არამედ უამრავი, ერთმანეთში გადაბმული ცხოვრებისეული ეპიზოდი, ისეთი თავქარიანი სიჩქარით მირბოდა, მიქროდა, მიჯლიგინებდა, რომ ცალკეული კადრების უშინაარსო სიჩქარემ დედას თავბრუ დაახვია, თავი გაუსია, გამოაშტერა კიდეც და, ბოლომდე სიმართლე ითქვას, მისი თავი ბოლო წუთამდე განაგრძობდა გასიებას ისე, რომ აღარც მოწამეობრივ შარავანდედსა და აღარც უბრალო ბარტყულას ქვეშ აღარ დაეტეოდა. და აი ამით, როგორც დედა თანადროულად მიხვდა, თუკი მიხვდა საერთოდ, მაშინვე ჯიმიმ იხელთა დრო, ვინძლო საბოლოოდ არ გამოშტერდესო დედა და, ალბათ, ამიტომაც იყო, ამ უკანასკნელს ჯიმი ტაძარში რომ ესტუმრა, თანაც შუაღამით. ცხადია, ჯიმის შეეძლო არ სტუმრებოდა მას და, რომც სტუმრებოდა, მისი შეგონებებისთვის ნაეყრუებინა, მაგრამ, როგორც შემდგომში გაირკვა, ჯიმი წასაყრუებლად არ მიბრძანებულიყო დედასთან. და თუმცა ჯიმის მოჩარჩოებული და შემინული ფოტოსურათი დედას ტკივილამდე ჩაებღუჯა ხელებში, მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად ირკვეოდა, ხატში გარინდებული დედა მკვდარ შვილზე გაცილებით მაღალი წარმოდგენისა ბრძანდებოდა, ვიდრე მეტისმე-

მოკვნეტას გადარჩენილ ჩიჩიას დაუწყონ ძებნა, — ცხადია, თუკი ნამუსი ეყოფათ. ხოლო ასეთ დროს ცოცხლის დანამუსება, მითუმეტეს მკვდრის ხარჯზე, უხერხულია. თუმცა ერთია კიდევ, ცოცხლები ხომ მკვდრების აღიარებით ინყებენ და საკუთარი შემოქმედების დაფასებით ამთავრებენ. ამას მე იმიტომ კი არ ვაპირებდი, თითქოს ნამუსი მყოფნიდა, არა რაღა თქმა უნდა, უბრალოდ დრო არ იყო დასაფიქრებლად. დროის სიმცირის გამო ჩემი ცხოვრების ხანგრძლიობა ისედაც შემცირებული იყო ვიღაცის მიერ.

ამიტომაც გადავწყვიტე გამომცემლობაში წასვლა, წერის მეტი მაინც არაფერი მეხერხებოდა, რედაქციაში დავინახავ, ვინ ვინაა სინამდვილეში-მეთქი. გამომცემლობის შენობა საინტერესოა და ქალაქის იერსახეში უხეშ ჩარევას არ ახდენს. ეს შენობა სამმართველოსთან შეთანხმებულია და დამტკიცებული პროექტის მიხედვითაა აშენებული. საგულისხმოა ისიც, სამმართველომ ძალიანაც რომ მოინდომოს, ნაგებობაში სხვაობის შეტანას ვეღარ მოახდენს, ვინაიდან განხილული პროექტის ასლი სამმართველოში არ რჩება. შენობა მდელოზეა აშენებული და იქამდე ძალიან ფეხის მოსატეხი კიბე აემართება. როდესაც პირველად ვნახე ის კიბე, მახსოვს, მაშინათვე გავივლე — ამ კიბის ტერასული განაშენიანება წარმოუდგენელია, ვინაიდან გრუნტის წყლების აგრესიულობა ალბათ საფრთხეს უქმნის მის საძირკველს-მეთქი.

გონებას ვძაბავდი და ყველანაირად ვცდილობდი, არ გადამვიწყებოდა გამომცემლობაში წასვლა. საკუთარი თავი ადრეც მყავდა გარკვეულ გულმავიწყობაში შემჩნეული, რაშიც იმ ბოლო დროს უკვე წყალგაუვლად ვამხილე. ჩემ ჩაიდანს ძირი ისედაც სულმუდამ დამწვარი ჰქონდა. გაზქურაზე კი შემოვდგამდი, მაგრამ მავიწყდებოდა, და ჩაიდანიც ისე დაუხანებლივ ამოშრე-

ბოდა ხოლმე, თითქოს სულს ღაფავდა და ასეთ დროს თავზე ისეთი აბეზარი გულმოდგინებით ითუხთუხებდა ემალწაცხობილ თავსახურს, რომ ოდესღაც პასკალის ტვინში მოთუხთუხე სისხლის კოლტები მოგაგონდებოდა ძალაუნებურად.

სიტყვამ მოიტანა და თუ სწორად მახსოვს, ერთხელ, განცხადებების გაზეთის თვალიერებისას, მოულოდნელად უცნაურ განცხადებას წავაწყდი. ვიღაც გამოჩენილი ადამიანების აზრებს ჰყიდდა. ამ განცხადებამ ერთბაშად ამაფორიაქა, მაშინ მე გამოჩენილი ადამინებით გახლდით ორსულად. ისე ღრმად და მყარად მეჯდნენ გულში ეს ტანმორჩილი კაცები, როგორც კენჭები თირკმელში. ტელეფონის მეშვეობით მოლაპარაკება დასკვნით ფაზაში მალევე შევიდა. რომელიღაც მეტროს სალაროსთან შუადღისით დავთქვით შეხვედრის ადგილი. დანიშნულების ადგილზე მისვლისას იქ იმდენი მომლოდინე აღმოჩნდა, კინაღამ უკან გავბრუნდი, ვიაზრე რა, უხერხული იქნება ყველა მათგანს სათითაოდ ჩამოვუარო და ვკითხო, თქვენ ხომ არ ჰყიდით აზრებს-მეთქი. ის იყო, მართლაც უკან გაბრუნება დავაპირე, რომ უეცრად გონება გამინათდა. უბის რვეული ცარიელ გვერდზე გადავფურცლე, დიდი ასოებით „აზრები" დავწერე და, რვეული მკერდზე ავიხუტე თუ არა, მაშინათვე მივხვდი, თუ რა უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი; ვინმე ნესიერს რომ ჩამოევლო, ვინძლო ეფიქრა, სულელია ვიღაცო, მე ხომ პირადად გამოჩენილ ადამიანებს ველოდი და არა ვინმე ვიგინდარებს. თუმცა ბედმა გამიღიმა. ვიდრე აზრების გამყიდველი მოაღწევდა, იქამდე უამრავმა ქვეითად მოსიარულემ კი ჩამიარა და, ყველამ თუ არა, უმცირესობამ მაინც ხომ წაიკითხა ფურცელზე დაწერილი, ეგაა, არცერთს არ გაღიმებია, რამაც საბოლოოდ დამარწმუნა იმაში, რომ მათ ეს სიტყვა არათუ გაგებულიც არ ექნებოდათ, მეტიც, ეგებ ისიც კი ეეჭვათ, დანამდვილებით წესიერი თუ უხამსი რამ სიტყვა იყო.

ქვეითად მოსიარულეთ მე კი დავუპირისპირდი, მაგრამ გულის სიღრმიდან დროულად ამომაგონდა, რომ დაპირისპირებითა და ურთიერთგამორიცხვით ერი წინ ვერ ნავიდოდა. ეროვნული თანხმობის გარეშე ქვეყანას მომავალი არა აქვს. მომავალი დროზე ადრე იწყებს სუნთქვას, ცივილიზაცია ცოფიანი სიჩქარით მიიწევს წინ, იხვეწება ძველი, რაც, თავისთავად ცხადია, არ ნიშნავს იმას, თითქოს რამე ახალ გამოგონებასთან გვქონდეს საქმე-მეთქი, გავივლე და მთელ მეცნიერებას ერთად დავემდურე. ოღონდ არა დიდი ხნით, რადგან, მეცნიერება ხომ უაღრესად საჭირბოროტო დარგია, თანაც ერთადერთი, რომელიც ნათელს ჰფენს იმ საკითხს, თუ რა ქაქში იმყოფებიან თმაგაბურძგვნილი პოეტები.

ჯიმი სულ ამაოდ ცდილობდა თავი იდუმალებით მოცულ ადამიანად წარმოეჩინა. ჩვეულებრივი ღვთისშვილი გახლდათ, ოდნავ შარახვეტიული გადახრით. იმჟამად ის სრულ გაურკვევლობაში იმყოფებოდა. ნებისმიერს, დედა იქნებოდა ის თუ კედლის ნაპრალში შეყუჟული კრაზანა, ჯიმისთვის რომ მიენიშნებინა რამე, ამით მას დიდ სამსახურს გაუწევდა. ჯიმი დარწმუნებული გახლდათ, ნიშნის სავარაუდო მიმცემი არა კედლის ნაპრალში, არამედ ჭრელი საბნის ქვეშ უნდა ყოფილიყო ჩამალული და იქიდან რომ უნდა მიეცა მისთვის ნიშნის მსგავსი რამ, თუნდაც საბანი უბრალოდ შეეთრთოლებინა და ჯიმი მაშინვე მიხვდებოდა ყველაფერს.

დედა ობოლი ბალღივით მოკუნტულიყო საწოლის კუთხეში, ცერა თითს, როგორც კატა, მშრალი ენით უხეშად ილოკავდა და გულმოდგინედ ჩაძინებულს ტუჩპირზე დორბლი შეხმობოდა, როგორც ათუხთუხებული ქვაბიდან ზოლად ჩამონეული ქაფი, კარბას ქვეშ დაეკიდება და იქვე შეახიწიწდება ხოლმე. საშვილიშვილოდ ეძინა. სინამდვილის შეგრძნება სიზმრისეული თვისებ-

ების წყალობით წართმეოდა, თან ჩხარუნა გველივით შემაღონებლად ხვრინავდა და ამ ხვრინვას აყოლილი და ათრთოლებული ჭრელი საბანი მართლაც გველის კანივით ნაირფრად ბზინვარებდა მთვარის შუქზე. დედის ხვრინვა ჯიმის გამბედაობას მატებდა, რაც, ცხადია, სიფრთხილის გრძნობას ვერ დაუჩლუნგებდა. ეგ კი არა, წელი თითქოს რაღაც განსაკუთრებულ მექანიზმს შეეყენებინა სხეულის შიგნიდან, და ჯიმიც მფრინავი ხალიჩის გამოუცდელი გამტაცებელივით უკან გადაქანებული იჯდა ეტლში, ბეჭებით კი საგორაო ეტლის საზურგეს მიყრდნობოდა.

მთელი არსებობის მანძილზე დედა საკმაოდ მოხერხებულად იქცეოდა თავის ცხოვრებაში. უფრო სწორედ, თავად მორგებოდა ზოგადად ცხოვრებას და მის ცაზე უღრუბლო ამინდები იდგა. კატასტროფა ეს არ იყო, ეს გარემოება გამოსწორებას ექვემდებარებოდა. საგამოძიებო შემოწმებას კი დაუყოვნებლივ ის საკითხი მოითხოვდა, მართლა ეძინა მას თუ უბრალოდ თავს იმძინარებდა. ჯიმიმ ტყუილში გამომჭერის სახით შეხედა დედას და მის ძილს ამით ჩრდილი მიაყენა. ამასობაში დედის წარბები მოძრაობაში მოვიდა და ჯიმის მიერ მიყენებული ჩრდილი აიცილა. უაღრესად გამოცდილი ქალი ჩანდა დედა, მრავალი შესაძლებლობით, ოღონდ ეს შესაძლებლობები ჯიმის დედისთვის გაძლიერებული სიფრთხილის წინაპირობად არ უნდა ჩაეთვალა, და არც ჩაუთვლია. ჯიმის ღრმად სწამდა, რომ, გარდა წინასწარ შესათანხმებელი პირობებისა, არსებობს ისეთი პირობებიც, წინასწარ შეთანხმებას რომ არ საჭიროებს.

მან კიდევ ერთხელ ახსენა შვილი. წესით და რიგით ამის საწინააღმდეგო დედას არაფერი უნდა ჰქონოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სწორედ ამ აზრისა იყო. ჯიმიმ თქვა ის, რისი თქმაც ამ შემთხვევაში არ იქნებოდა, და თქვა თუ არა, ოთახის კედლებს მიმწყდარმა სიტყვამ ერთხანს სივრცეში იტორტმანა, საბოლოოდ კი

უხერხულად დაეკიდა ჰაერში. ჯიმიმ მხოლოდ და მხოლოდ შვილი ითხოვა, დედამ კი ამის შესაძლებლობა თავის მტკიცე გაქნევით უარყო. ჯიმის სახეზე უეცარმა სევდამ იჩინა თავი და ის იყო ისევ დააპირა რაღაცის თქმა, რომ დედის თითის აწევამ მას სიტყვის თქმა აუკრძალა.

ასე რომ, განსასჯელიც არაფერი მქონდა. დედამ ის მითხრა, რისი თქმაც უნდოდა, რისი ართქმაც არ იქნებოდა. არც შეფარული და გადაკრული უთქვამს რამე, მაგრამ მაინც ვერ ვისვენებდი, ადგილს ვერ ვპოულობდი, თითქოს ტანი მიგრძნობდა, სწორედ ართქმული, ჯერ ართქმული იქნებოდა მთავარი, და არა ის, რაღაცის მისახვედრელი დუმილი. დედა თითქოს ბოლომდე არ ამბობდა სათქმელს, კუდს განგებ უკვეცავდა. აქამდე რაც ილაპარაკა, არ ყოფილა მთავარი, ჯერ ართქმული იყო ის, რამაც ასე ააჭიკჭიკა და გააალმასა-მეთქი.

მე გულწრფელად შემეცოდა დედა. ნათელი იყო, მას რაღაცის თქმა ეთაკილებოდა. წინდაწინ ფრთხილობდა, ნიადაგს ამზადებდა რაღაცისთვის, და ალბათ ამიტომაც როშავდა სისულელეებს. თავისებურად ცდილობდა სათქმელის შერბილებას. პირდაპირ არ ამბობდა, მწირი შელამაზებით ეპირებოდა ფონს გასვლას. არადა შელამაზება სწორედ ბრალიანს ესაჭიროება, შელამაზებით უბრალოება ხომ თავისთავის წინააღმდეგობად გადაიქცევა. პირდაპირ რომ ეთქვა დედას სათქმელი, ვითომ დააშავებდა რამეს? დააშავებდა ალბათ, და ამიტომაც ერეკებოდა აბდაუბდას. მთელი ამ ხნის მანძილზე ვერა და ვერ მოვიცილე ავი წინათგრძნობა, დედა კი მეტყველებდა ჩემებურად, ოღონდ თითქოს მოჩვენებითი იყო ეს მსგავსება, თითქოს დედა სხვა გადმოსახედიდან იხედებოდა, და რამდენად ღირებული ან ვერაფერი ღირებული იყო ასეთი მეტყველება, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ყველა განუმეორებლად ხომ

არ იმეტყველებს. განმეორებადი მეტყველებაა სწორედ ზომიერება. ზომიერება კი კაცობრიობის უპირველესი ამოცანაა.

ასე ვფიქრობდი მე და დედაც თითქოს ამასვე მიმიხვდა. ცხოვრებას მორგებული ქალის პრაქტიკულობით მომიგო, — მაგრამ ვინ იტყვის სად მთავრდება ზომიერება და იწყება ღორობა? ერთი შეხედვით, თითქოს ზომიერებაა ის, რაც კაცობრიობას აერთიანებს, ერთნაირობა, მსგავსების ხაზი, ანუ იგივე სიმშვიდისკენ ლტოლვა, რასაც შედეგად უშფოთველად კვდომა მოაქვს, მაგრამ ეს ხომ ყურის მოყრუება და თვალის ძალად დაბრმავებაა ღორობის მიმართ. ღორობაც ისეთივე ძველია, — პირველი თუ არა, — როგორც ზომიერება, და ამ შემთხვევაში მტყუან-მართალს ვერ გაარჩევს კაცი-შვილი. ორივე თავის მართლებაა ერთგვარი, ხოლო კაცს, ავი ზნისაა ის თუ კეთილის, ვიდრე მოკვდავია, თავის მართლება უწევს სულმუდამ, დაუსრულებლად, პირი რომ არ შეირცხვინოს, პანღური რომ არ მიიღოს, ყველანაირი გზით უნდა ეცადოს საკუთარი არსებობის მიზანშეწონილობა დაასაბუთოს, და რაკი ითქვა — ყველანაირიო, მაშ დასაძრახიც არაფერი ყოფილა. ხომ თქმულა, ღორობაშიც შეფარული უბედურება უნდა ეძიოს კაცმაო. მაშასადამე, ღორში გვრიტი და ფუნაში პატიოსნება და, ბოლომდე სიმართლე ითქვას, ვინც ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობს, ის ყოველთვის აგნებს ღორში გვრიტს და ფუნაში პატიოსნებას.

მე ნაწილობრივ ჩამესმოდა მისი ნალაპარაკები, ალაგ, კანტიკუნტად, თითქოს ვერ მივხვდი, რასაც მეუბნებოდა. უფრო სწორედ, ვინაიდან მივხვდი, რადგან გამოცანა გამოვიცანი, ამიტომაც განგებ მოვიშტერე თავი. დედა ზედმიწევნით, სიტყვასიტყვით იმას ამბობდა, რაც მე უკვე ნაფიქრი მქონდა, და როგორც არ უნდა მეთვალთმაქცა, ვერაფერი გავიგე-მეთქი, უსინდისოდ მოვიტყუებოდი. ერთის მხრივ, თითქოს

სათვალთმაქცოც არაფერი მქონდა, დედამ ის თქვა, რაც მე ისედაც ნაფიქრი მქონდა, ოღონდ სიზუსტემ დამაშინა, აბეზარმა სიზუსტემ. ნაკლები ან მეტი რომ ეუბნა, თუნდაც ერთი სიტყვის სხვაობით, ან თუნდაც განსხვავებულად, სხვანაირი თარგმანებით, ასე აღარ გავფაციცდებოდი, მაგრამ რაკი ზუსტად ის ითქვა, რაც ისედაც ვიცოდი, სწორედ ამან დამაბნია.

არადა, სიზუსტემ კი არ დამაბნია, არამედ სიზუსტის მოულოდნელობამ. ისიც იყო, საბოლოოდ რომ მოვლბებოდი, ამასაც კარგად ვხვდებოდი. რა ბზიკი მიკბენდა, არ მოვმბალიყავი. და რადგან მოულოდნელობა მედროვეობასავით უდღეურია, თავიდან რომ გეგონება, არიქა, ეგაა რაცააო, მეორე წუთში არამცთუ ძველია, არამედ დავიწყებასაა უკვე მიცემული.

ნელა, თანდათანობით ვწვდებოდი თქმულს, და მაინც იმას ჩავციებოდი, თუ რა მითხრა, და არა იმას, თუ რატომ. მთვარის მქრქალი ნათელიც თითქოს გადასხვაფერდა, სხვანაირად გაანათა ოთახი, არა ისე, როგორც თავიდან იყო. უცნაური, გეგონებოდა შესქელებული და გაუქნელი ყვითელი ჩადგა ჩვენ შორის, და თუ შეიძლებოდა, რომ ფერს სუნიც ჰქონოდა და ხელშესახებიც ყოფილიყო, თუნდაც მოგონილი და წარმოსახვითი, მაშინ ის დუთმა ნესვის სუნი იყო, ტკბილიცა და რბილობიანიც. ვხვდებოდი, მეც რომ უნდა მეთქვა რამე, რაღაცას ითხოვდა ჩემგან დედა. მე დავალებული ვიყავი მისგან, ნებაყოფლობით თუ უნებლიეთ გავხდი მისი მესაიდუმლე. და გინდაც დიდი ვერაფერი ბედენა ყოფილიყო იმის საიდუმლო, ცხადია, თქმულის ბევრ-ცოტაობით ვერ განვსჯიდი. არც უნდა განმესაჯა. დედამ ის მითხრა, რასაც ფიქრობდა, საიდან უნდა გამოეცნო მას ასეთი სიზუსტით ჩემი ფიქრი? მართალია, ის კოხტა და მეტისმეტად თავმომწონე ბრძანდებოდა, მაგრამ მკითხავ-მჩხიბავისა არაფერი ეცხო.

არცთუ იშვიათ ხასიათს ატარებდა დედის უხასიათობა, რაც ერთიორად უადვილებდა, მარტოობას მისცემოდა. მაგრამ, ამასნინანდელი ლაპარაკიდან როგორც გაირკვა, დედა თავისთან დარჩენას მთავაზობდა. ყოველ შემთხვევაში, მის საუბარს ასეთი ბოლო უჩანდა. მის სასთუმალთან მდგარ ტუმბაზე მოქცეულ ჩემს მოჩარჩოებულ ფოტოსურათს ამის მეტი რა უნდა დაემოწმებინა? არც ფარული დატვირთვა უნდა ეძლეოდეს და არც არაფერი უნდა იყოს წესით და რიგით ნაგულისხმევი-მეთქი. ეგ იყო, რომ ჯერჯერობით, ვინაიდან თქმული ბუნდოვანი და ზოგადია, კუდი აქვს მოკვეცილი, დანარჩენი მხოლოდ და მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული-მეთქი, ესეც ვიეჭვე. არცერთი მხარე არ ვიყავით დაზღვეული იმისგანაც, მოსაზრებების ერთნაირობას სხვადასხვა სამიზნეები ჰქონოდა.

მოკლედ, ჩემი ღრმა რწმენით, დედას მე ვუნდოდი და არა ჩემი პოეტობა. ამ ამბავმა განსაკუთრებით ამაფორიაქა, რამეთუ იშვიათობაა ისეთი ქალი, რომელიც შიგნაკრავი პოეტის დარად იმსჯელებს. დედას აქამდე არავინ ჰყოლია ისეთი, ვისთანაც გულს გახსნიდა და ვისაც გულის მესაიდუმლედ გაიხდიდა; სამაგიეროდ, რაკი მიეცა ამის საშუალება, უფრო სწორედ, გამოვჩნდი მე, მუხლებდამტვრეული და თმაგაბურძგვნილი, ვისთანაც შეძლებდა თუნდაც უპასუხო ლაპარაკს, რა ღმერთი გაუწყრებოდა, ჩემთან არ ელაპარაკა?

დედა უსიტყვოდ მთხოვდა, დუმილით მავედრებდა მასთან დარჩენას. ის აღარსად იყო სადმე ჩემი გამმვები. ვინაიდან თვითონ ბოლომდე ჯერ კიდევ არ გამოშტერებულიყო, მაშასადამე, მისთვის მე აუცილებლობას წარმოვადგენდი და არა ფუფუნებას. არც მე ვიყავი ისეთი მიამიტი, ჩემთვის სულერთი არ ყოფილიყო, დავრჩებოდი იქ თუ არა.

მან ეს-ესაა მე მისურვა-მეთქი, გამიელვა თავში, თორემ აქამდე არათუ მე, სათუოა, საერთოდ ვინმე ესუ-

რვა. მარტო პოეტი რომ ნდომოდა, წინ რა დაუდგებოდა, რამდენიც გინდა იმდენი პოეტია, დედის ხათრით თმასაც რომ დაივარცხნის და გინდაც იმაზე უარესს გააკეთებს კიდევ რამეს. მართალია, დედა სრულებით არ ელოდა შუაღამით ჩემს გამოცხადებას, სამაგიეროდ, ცხადში რაკი მიხილა, რადგან მე თავად გამოვეცხადე, შტერი იქნებოდა, განგებისგან გამოგზავნილზე უარი ეთქვა. ვეღარ იყო დედა სრულ ჭკუაზე, ოღონდ მასაც ხომ უნდა ჰყოლოდა ვინმე, რათა უარესად არ გამოშტერებულიყო მარტოობისგან. ასაწონ-დასაწონიც არაფერი ჰქონდა დედას, ჩემი პოეტობა მხოლოდ და მხოლოდ საფარი რომ იყო, არ უნდოდა ამას დიდი ფიქრი და განსჯა, ვინაიდან ამ საფარში, მართალია, შენიღბულად, მაგრამ ერთი შიგნაკრავი ვიმალებოდი.

როდესაც თვალის კუთხით დედას გავხედე, ის უკვე საწოლში წამომჯდარიყო და საბნის ნაკეცებიდან პურის ნაფხვენებს აგროვებდა. მე თითქმის გაუაზრებლად შევაერთე ხელისგულები და დედას გავუწვდინე, იმან კი ისე სასხვათაშორისოდ ჩამიყარა ნაფხვენები, თითქოს ასეც გვქონდა ჩაფიქრებული. და რომ ჩამიყარა, თვითონ წელში გასწორდა და სივრცეს გაუშტერა თვალი. მისმა დუმილმა დამაბნია. წელში გასწორებული დედის დუმილი მაბნევდა. რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მომხდარიყო, კერძოდ რა, ჩემგან განსხვავებით დედამ ეს მშვენივრად იცოდა. დედის თვალები ძლივსღა ბჟუტავდნენ. ცოტაც და მთლად ჩაქრებოდნენ, გეგონებოდა, დედა საკუთარი სიცოცხლის ფასად მატყობინებდა რაღაც მნიშვნელოვანის მოახლოებას.

იქამდე მზრუნველად შეერთებული ხელისგულები ჩემდაუნებურად გამეშალა. პურის ნაფხვენები ფეხსაცმლის თასმებსა და თვალწასული წინდის ყელში ჩამეპნა. მერე იდაყვი ეტლის სამკლავურს დავაბჯინე, თავისუფალ მუშტში ჭრელი საბნის კუთხე მოვიგდე და ეტლიდან სანოლზე გადაბობღება რომ ვცადე, ვერ გა-

ვთვალე და ეტლიდან იატაკზე მომიხდა ჩაცურება. მაგრამ არ გავჩერებულვარ, ანგარიშმიუცემლად მივიწევდი მაღლა, სანოლისკენ. მიჭირდა, მუხლებდამტვრეული ხელების იმედად ვიყავი დარჩენილი. მაინც ავბობღდი, დაბუშებული იდაყვით დავეყრდენი საწოლის კიდეს. ფეხებიც მერეღა ავათრიე, სათითაოდ, და წელსქვევით მოწყვეტილი სხეული ავიტანე თუ არა, არც ამომისუნთქავს, ერთბაშად გადავხადე დედას ოფლით მონამული საბანი.

ის დედიშობილა იწვა. მუმიასავით გაყვითლებული და დაკუჭული კანი მთვარის შუქზე მოჭმუჭნილი ხელთათმანივით მოუჩანდა. დედას კრინტი არ დასცდენია. არც მაშინ, როცა გვერდზე მივუხოხდი და გაბრტყელებული და მუცელზე ჩამოწეული მისი კერტი პირში ჯეროვნად მოვიგდე. ერთიანად ამომშრალი პირით ვლოღნიდი ძუძუსთავს, და შთაბეჭდილებაც შესაბამისი მქონდა, მეგონა, გადამწიფებულ ლეღვს ვუწუწნიდი, ისიც ყუნწის მხრიდან. დაღარული კერტი მართლაც გამხმარი ყუნწივით უსიამოდ მეხახუნებოდა ენაზე. არა მარტო ამაზრზენი იყო ყველაფერი ეს, არამედ გაუსაძლისიც, გავარვარებული ტყვიასავით გადამდიოდა ყელში მხურვალე სითხე. სიმწრის ცრემლსაც ეგ მადენდა, ცრემლს, რომელიც მზერას მისარკავდა. მაზიდებდა კიდეც, მაგრამ თავს მაინც არ ვანებებდი, ისე ვწუწნიდი დაუგემოვნებელ რბილობს, თითქოს დედის მომჩვარულ ძუძუში ვეძებდი პასუხს ყველა იმ კითხვაზე, რომლებზეც პასუხი არ არსებობს. თუკი რამ მოიძებნებოდა ფომფლო ქსოვილში, ყველაფერი გამოვწუწნე. ბევრიც არა იყო რა, რამდენიმე წვეთი შედედებული და მწკლარტე სითხე. თითქმის ისეთივე, რძე რომ აიჭრება ხოლმე.

საოცარმა სიმხურვალემ ჩაიბუდა ჩემი უგრძნობი მუხლის ფოსოებში. ერთხანს იქვე მძიმედ ბუყბუყებდა, როგორც ადუღებულ სპილენძში არეული კალა. მერე

ერთმანეთში აბარბაცებული და ერთმანეთის მშობი ნრეებივით მუხლისთავებსაც მოედო და რომ — ალილუია (3-ჯერ)—აღმომხდა, ის შევიგრძენი, ნაწილებად გაფანტული ძვლის ნამსხვრევები როგორ გამთლიანდნენ. მუხლისთავებზე ხელისგული გადავისვი და გულდასმით რომ შევამოწმე, საბოლოოდ მხოლოდ მერეღა დავრწმუნდი, მუხლი ბრინჯაოდ მქცეოდა. სპილენძისა და კალის შენადნობი ისე ჩვეულებრივად შემესისხლხორცა, თითქოს ასეც იყო სულმუდამ, თითქოს რაც თავი მახსოვდა, მუხლისთავები ყოველთვის კუს ჯავშანივით მტკიცე, უცნაურად დალაქავებული და დაღარული მქონდა.

სასწაულმოქმედია დედის რძე, თუნდაც აჭრილი და თუნდაც ნაგვიანევი-მეთქი, გავივლე თუ არა გულში, სანოლიდან წამოვდექი, წელში წახრილმა საჩვენებელი თითი მუხლზე რამდენჯერმე მივაკაკუნე და რომ მივაყურადე, მუხლის ფოსოდან ყრუ და დამამშვიდებელი გუგუნი ამომესმა პასუხად. საგანგებოდ ამ ამბისთვის შემონახულმა დედის რამდენიმე წვეთმა რძემ სამუდამო ხეიბრობისგან მიხსნა.

მეტროს სალაროსთან ჯიმი დაძაბული იდგა. ყოველმხრივი განსწავლულობაც კი არ რთავდა მას მოშვებულობის ნებას. მართალია, არც მთლად ყოველმხრივ განსწავლული ბრძანდებოდა, ყოველ შემთხვევაში, იმდენი ცოდნა ნაღდად მოეგროვებინა, რომ დასაბამისეული პლაზმის შორეული ყივილი ხანდახან მაინც შეეგრძნო ხოლმე. ქვეითად მოსიარულეებს ჯიმი ოდესღაც კი დაუპირისპირდა, ოღონდ როცა მათ სახეებს უკეთ დააკვირდა, მსგავსი დაპირისპირებისთვის არამცთუ საბაბიც კი ველარ გამოძებნა, არამედ ისიც კი იაზრა, რომ თავად ქცეულიყო მთავარ დამნაშავედ, რაკი მსგავსი რამ გაივლო გულში, მოსიარულეებს მან უკვე ბრალის ამღიარებლის თვალით შეხედა. დასაპირისპირებელი მათ განა რა შეიძლებოდა ჰქონოდათ, მათ ხომ ბატის ჭუჭულებივით უპასუხი-

სმგებლო გამოხედვა ჰქონდათ, ერთი მეორისგან არაფ-
რით გამორჩევადი, და რომ მათ სახეებზე ჯიმიმ ქვეყნიე-
რების დღევანდელი მდგომარეობით გამოწვეული გა-
ნცდებიც ამოიკითხა, იქამდე ჯერ კიდევ მკერდზე
ახუტებული რვეული თავზემოთ აღმართა, როგორც
საზეიმო მსვლელობისას ტაძრიდან საგანგებოდ გამოს-
ვენებული ხატი, რათა მოსიარულეთათვის მიენიშნებინა
ის, რაც მათ ვერაფერს მიანიშნებდა. რვეულის აღმართვას
ჯიმიმ თავის მხრივ ღიმილიც თან დაურთო, რითაც მოსა-
წყენი ყოველდღიურობის შეფერადებას შეეცადა, მაგრამ
მისმა ღიმილმა ქვეითად მოსიარულეებს მის სიფხიზლ-
ეში დაეჭვების საბაბი მისცა.

ბატის ჭუჭულის გამოხედვით შენიღბული აზრების
გამყიდველიც ეგებ ქვეითად მოსიარულეებს შეერია და
რვეულაღმართულსა და გაღიმებულ ჯიმის ისე აუარა
გვერდი, რომ არც კი შეიმჩნია მისი არსებობა, იმ მოს-
აზრებით, რომ მკვდრების აზრები ვერ ანდო ვიღაც
თმაგაბურძგვნილ შიგნაკრავს. ამასთან, ჯიმიმ ისიც კი
გაივლო გულში, ეგებ თავად, ანდა სულაც გამყიდველს
შეეშალა დათქმული მეტროს მისამართი. მაგრამ ეს
ეჭვი მაშინათვე განდევნილ იქნა ჯიმის მიერ. ვინაიდან
მეტროს მისამართი არავის ეშლება, რადგანაც ყველას
გზა, საბოლოო ჯამში, ისევ და ისევ მეტროა.

უკვე საღამოვდებოდა, მეტროს შემინულ კარშიც
ბინდმა იძალა, გამყიდველი კი სარბიელზე ჯერაც არ
გამოჩენილიყო. შებინდებასთან ერთად ხალხის ნაკად-
მაც თვალშისაცემად იკლო. ჯიმისკენ აღარავინ
იხედებოდა, ისეთი მიზანსწრაფულნი მიექანებოდნენ
მინაში, გეგონებოდა, მხოლოდ იქ თუ აარიდებდნენ
თავს რაღაც განსაკუთრებულ განსაცდელს. დიდი-დიდი
ერთი-ორმა თუ გააპარა მისკენ თვალი. ისიც ისე
ნაჩქარევად და თანაც შეფარვით, ქასქანჯიელიც ვერ
გაარკვევდა, უბრალო ცნობისმოყვარეობის დასაკმაყ-

ოფილებლად თუ სავალდებულო და ნაუცბათევი თანაგრძნობის გამოსახატად.

როცა სრულიად მარტოდმარტო დავრჩი მეტროს შესასვლელში, და როცა მოთმინებამაც მიმტყუნა, და რომ მუხლზე დავდექი, და რომ ფილაქნებზე დანარცხებული ბრინჯაოს მუხლის ფოსოებიდან დამამშვიდებელი გუგუნი ამომესმა, გულზე მხოლოდ ამის მერეღა მომეშვა. გამყიდველს მე უკვე აღარ ველოდი, ჭირსაც წაუღია გამყიდველი-მეთქი, მე ხომ მკვდარ პოეტებთან პირისპირ დავრჩი და ეს, პირადად ჩემთვის, გაცილებით ძვირფასი აღმოჩნდა, ვიდრე მათი ნააზრევის შეძენა.

საკმაო ხანს მომიწია მუხლმოდრეკილს დგომა, როგორც გაუგებარ ენაზე მობუტბუტე მიყრუებული სოფლის შეზარხოშებულ მღვდელს. რვეული ისევე აღმართული მქონდა, თითქოს ფურცელზე დაწერილი ცისთვის მინდოდა მეჩვენებინა, ნიავმა რომ დაუბერა. თავიდან გაუბედავად აბრიცა ჩემ საკუთარ ხელებში ჩაბღუჯული რვეულის შელახული ფურცლის კუთხე. მერე, უკვე საგრძნობლად მოღონიერებულმა ლამის ხელიდან გამომტაცა ის, რასაც არ დავუთმობდი არავის და არაფერს, არც ცას. ცისკენ პირმიშვერილი რვეული ჩემკენ გადმოვაბრუნე თუ არა, ქარი მაშინათვე ჩადგა. გეგონებოდა, მოძილე ღმერთმა, ბედად, მაინცადამაინც მაშინ ამოიხვნეშა, როცა რვეული მე მისკენ მიშვერილი მეჭირა.

Nolli me tangere* ეწერა დანესტიანებულსა და შელახულ ფურცელზე. რას წარმოვიდგენდი, თუკი ამ წარნერით შეიარაღებული ვუპირისპირდებოდი ქვეითად მოსიარულეებს. ცხადლივ მახსოვდა ჩემს მიერ თავდაპირველად დაწერილი ასოები. ხოლო ასოების ასეთ სახეცვლილებას ნაღდად ვერ წარმოვიდგენდი.

---

* ნუ შემეხები! (ლათ.)

ორში ერთი იყო, ან ღმერთის ოინებია ეს, ან ჩემი საკუთარი, და გამოდის, მეხსიერებამ მიღალატა-მეთქი, ვიეჭვე. თურმე სულ ამაოდ ველოდი ტანმორჩილი კაცების აზრებს მთელი დღის მანძილზე. თუმცა ერთია კიდევ, დილით ეგებ ერთს ვფიქრობდი, მეორეს კი ვნერდი-მეთქი, შიგნაკრავი პოეტის ხელი ხომ ხანდახან, და არცთუ იშვიათად, გონისგან განსხვავებით, იმას იმეორებს, რასაც გული უკარნახებს. ვინ გაარჩევს, ამ შემთხვევაში რომელი ერთია მართალი. ათი ყური და ათი თვალი უნდა გამოიბა კაცმა ამ ცხოვრებაში, და ისიც არ გეყოფა.

ოდნავ უწყინრადაც კი არ გამოიყურებოდა ყველაფერი ეს. მუხლმოდრეკილი ჯიმი გაოგნებული დაჰყურებდა მისთვის უცხო ასოებს, და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ასოებს ის ვერ ხედავდა, სადღაც მათში, განმჭოლ იხედებოდა. უამრავ რამეს ერთდროულად ეჭვობდა და ჰქონდა კიდეც დასაეჭვებელი. შიგნაკრავი, თანაც ეჭვიანი ასოკირკიტას გაძლება კი საკმაო ძალისხმევას მოითხოვს. ვერც მახსოვრობის ნაკუწს უძებნიდა თავს, თორემ თავად ნაკუწი, რვეულის სახით, ხელში მოეგდო. იმ სლიპინა ბურთივით, რომელსაც არც თავი აქვს, არც ბოლო. რვეული ხელიდან უსხლტებოდა, მაგრამ ჯიმი ვერ ისვენებდა, უფრო სწორედ, რაღაც არ ანებებდა, თითებს ძალისძალათი აბურდინებდა კუთხეაბრეცილ ფურცლებში. ბოლოს მოთმინებამ უმტყუნა, ანაზდად ამოჩრილი რომელიღაც ფურცლის კიდე ჭიაყელასავით თითებში მოიგდო, თითქოს ჯვალოს ნაფლეთს თვალი ამოუგდო, მერე დაქაჩა და მიჰყვა კიდეც. ძაფმა თავდაპირველად გახელებული კამეჩის დრუნჩი ამოიყოლა, მერე უზარმაზარი ბარძაყები, საცოდავი ძაღლიც, რომელიც მხოლოდ ღამით ყმუოდა, რათა თავისი ნინაპრებისთვის ხმა მიეწვდინა მთვარეზე, ორთქლმობმული ქაქის გარშემო დამთხვეულივით

როკვა, მთვარის შუქზე გველის კანივით ნაირფრად ბზინვარე ჭრელი და მოკლე საბანი, და რომ უკანასკნელად დედის მომჩვარული ძუძუც ამოაგონდა, ჯიმი მხოლოდ მერეღა მიხვდა ყველაფერს. დედის ძუძუში ჩაეტოვებინა ის ერთადერთი წვეთი რძე, რომელსაც პასუხი უნდა გაეცა იმ კითხვაზე, რომელზეც პასუხი არ არსებობს.

ამიერიდან მე აღარაფერი მესაქმებოდა დედასთან. მუხლი მგლისაზე უცვეთი მქონდა, სურვილისამებრ, მინდა დავლურს დავუვლიდი, მინდა ცხრა მთას იქით გადავიხვეწებოდი, სულ ცუნცულ-ცუნცულით. თქმა არ უნდა, რაც არ უნდა შიგნაკრავი ვყოფილიყავი, დედასთან არამცთუ აღარ დავრჩებოდი, არამედ გაქცევაზე ვფიქრობდი უკვე. რომელ მოკავშირეობაზე იყო ლაპარაკი, რაც არ უნდა მოეჩმახა ანი იმას. რამენაირად დროულად უნდა გამეღწია მისი საძინებლიდან, ნებისმიერი გზით და გადაუდებლად. ვინაიდან ვიცოდი, დედა არ დამანებებდა, ობოლი ბალღივით კალთებზე ჩამომეკონწიალებოდა და შემაღონებლად აზლუქუნებული ვედრებას დამიწყებდა, არ მიმატოვოო.

მთვარეულივით გზაარეული ჯიმი უმისამართოდ დარბოდა ოთახში. სარკმლიდან შემოტანებული მთვარის მქრქალი ნათელი თვალს ჭრიდა, უფიქრელობისგან აწეწილ თავში კი ყველაფერი ერთბაშად არეოდა. უთავბოლო ფიქრის უაზრო ნაკუწები შეშლილის ხილვასავით თვალწინ უხტოდნენ და თავქარიანი სიჩქარით ერთი-მეორეს ენაცვლებოდნენ. ხან ხელთათმანივით მოჭმუჭნილი გაყვითლებული კანი გაუკრთებოდა თვალწინ, ხან კი დედის უაზროდ ატრიალებულ ბაიებზე გარინდებული წყვილი ნაპერწკალი, მაგრამ ყველაზე მეტად აკვანივით პატარა საწოლი აკრთობდა, რომელზეც ჩვილის დოლბანდივით მოკლე საბანი ეფარა. მუხლი ბრინჯაოსი კი ჰქონდა, მაგრამ, ჯერ კიდევ

მიუჩვეველი, ნაბიჯს სათანადოდ ვერ დგამდა. ეგონა, მუხლი ეკეცებოდა, თითქოს რაღაც უხილავი ძალა განგებ აყოვნებდა და ჯიმის ძალით უპირებდა პატარა სანოლში ჩაკვეტებას. ყველაფერი უცებ გადაყვითლდა. ოთახის კუთხეში, მოახლის დაუდევრობის წყალობით მიტოვებული და მთვარის შუქზე აბზინვარებული მტვერი აჭრილი და შედედებული — განგებ მისთვის დაღვრილი — რძის გუბურა ეგონა. იატაკის ლაქიც ისე ბრჭყვიალებდა, როგორც თავწამახული ყინულის ლოლუას წვეტი კაკაჩი ღამით, რაც ჯიმის ერთიათად ურევდა მხედველობას. არც ჰაერი ჰყოფნიდა, პირი კი მაინც მოკუმული ჰქონდა, ეგ იყო, მხოლოდ ნესტოები დაბერვოდა ბოსლის კარზე ყურებით აჭედებული ლეკვივით.

ვერც უმიზნოდ წინ გაშვერილმა ხელებმა იხსნეს ჯიმი. გზაარეული ანაზდად საწოლის სასთუმალთან მდგარ ტუმბას დაეჯახა, მუხლიც შეეჭეჭყა, მაგრამ შეგრძნებაგანელებულს ტკივილი არ უგრძვნია. იქვე ჩაიმუხლა კიდეც. შექანავებულ ტუმბას ხელი შემოხვია, თითქოს გულში ჩაიკრა, მეორე ხელისგულით იატაკს დაებჯინა, ეგონა, წამოაზიდებდა, თუმცა მხოლოდ ამოახველა. ისიც მშრალი და უსაშველოდ გრძელი ხიხინი ამოუშვა ერთიანად ამომშრალი ყელიდან. ტუმბაზე მდგარი მისივე მოჩარჩოებული ფოტოსურათი და წამლის უამრავი შუშა ერთმანეთის მონაცვლეობით გადაყირავდნენ. სურათის მინა მაშინათვე გაიბზარა, წამლის შუშები კი ერთმანეთს ისე მოკრძალებით მიეხალნენ, რომ რამდენჯერმე ზერელედ გაიწკარუნეს. შუშის ვიწრო ყელიდან გადმოღვრილი და ერთმანეთში არეული ათასი ჯურის წამალი თავიდან უფორმოდ გაიდღაბნა, მერე ვერცხლისწყალივით ერთიან მრთელად შექუჩდა, ტუმბაზე ერთი ბეწო ღარი გამოძებნა, კალაპოტში ჩამდგარი ნაკადულივით ბარბაცით დაიძრა ტუმბას კიდემდე და წვრილ ზოლად იატაკისკენ გა-

დაიტოტა, ოღონდ იატაკამდე, ფიცარზე ლოყა-ახუტებულ ჯიმის, ვიდრე მეორე თვალზეც გადაუვლიდა, იქამდე ცხვირის ძგიდე მოუსველა.

ხველებას აყოლილ და აძაგძაგებულ სხეულს ვერ ვიმაგრებდი და რომ იატაკზე არ გავშხლართულიყავი, ტუმბას უფრო ღონივრად ვეხუტებოდი. ლოყასაც უფრო გულდასმით ვაკრობდი დასველებულსა და წამლის სუნნაკრავ ფიცარს. თვალები აუტანლად მეწვოდა, სადაც იყო, დავბრმავდებოდი, წინ კი, ნესითა და რიგით, სამუდამო უსინათლობა მელოდა, მაგრამ, თავი რომ შევიკავო სხვათა და სხვათა მიზეზთა ძიებისაგან, ეს ასე არ მოხდა. მართალია, ორივე თვალი ერთიანად გამიხმა, მაგრამ იმდენს მაინც ვხედავდი, მტრისას.

დაინახა კიდეც, როგორი მძიმე ნაბიჯით შემოვიდა ოთახში ფაშფაშა ბებიაქალი, რომელსაც უკვე მოესწრო კოპების შეკრა, და რომელსაც იატაკის ლაქი ბუნდოვნად, მაგრამ მაინც ირეკლავდა. წელშიც კი მოხრილიყო და სათანადოდ ჩამუხლულს, ოფლიანი ხელისგულები უზარმაზარ ბარძაყებზეც დაებჯინა. შეუმოსავი სხეული ისე ერთიანად ულაპლაპებდა, გეგონებოდა, ბაჯაღლო ოქროსგანაა ჩამოსხმულიო. მძიმედ, ოღონდ თანაბრად სუნთქავდა. აკრეფილი და აბეზარი სნორხაზოვნებით დავარცხნილი და გალაქული თმაც სხეულზე არანაკლებ ულაპლაპებდა. ფეხისგულების აბაგუნებამდე ჯერ შორი იყო, ჯერ მხოლოდ მარილს, თითქოს რამლს, როგორც სამკითხაო ქვიშას, გულუხვად, თუმცა სულერთიადაც კი აპნევდა იატაკზე აქეთ-იქით, ბოროტი სულების განსადევნად. მათში ტუმბაზე ლოყააკრული ჯიმიც იგულისხმებოდა ალბათ. მარილის მიმოპნევისას ხელს ისე ზერელედ იქნევდა, თითქოს მირონს აცხებდა იქაურობას.

იქ მე აღარაფერი მესაქმებოდა. რამდენადაც შევძელი, კი გავუსწორე ბებიაქალს ჩემი გამხმარი თვალი,

მაგრამ როგორც გაირკვა, ის მე სათვალავშიც არ მაგდებდა, ის დედასთან მობრძანებულიყო. ის ჯიუტად ჭვრეტდა დედას და არა მე. როცა დედას გავხედე, გული, რომელიც იქამდე არსებობის ნიშანსაც არ მაძლევდა, ისე გამისივდა და ისე ძალუმად ამიძგერდა, რომ არა მარტო საგულეში აღარ დამეტია, უსაშველოდ გაბერილი ყელშიც მომებჯინა და, ჩემდაუნებურად, თვალზე ცრემლი მომადგა. ასეთი ლამაზი დედა ჩემ ცხოვრებაში არ მენახა. სახეგაცისკროვნებული, სივრცეში ერთადერთ, მხოლოდ მისთვის ხილულ წერტილს ისე მორიდებით უღიმოდა, თითქოს ის წერტილი იყო ერთადერთი უდიადესი და უმშვენიერესი რამ, რომლის ხილვის საშუალებაც — ცხადია, კატის გამოკლებით — მხოლოდ ერთადერთხელ ეძლევა ჩვეულებრივ ღვთიშვილს ამ ცხოვრებაში.

გონების დაძაბვამ სასურველი შედეგი მომიტანა, არ გადამავიწყდა გამომცემლობაში წასვლა. თუმცა წასვლა ერთია, წასვლაზე გადაწყვეტილების მიღება კი მეორე. რედაქციამდე მიღწევა კაი დიდძალ დროს წაიღებს-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის, და საკმაოდ საფუძვლიანადაც. დანიშნულების ადგილზე მიღწევა დღესდღეისობით არცთუ იოლად მოგვარებადი საქმეა. ჩაფიქრებული მიდიხარ შენთვის ქუჩაში და ვინძლო მოულოდნელად გამოტყვრეს რომელიღაც ვიგინდარა, თუნდაც ოდინდელი ნაცნობი, ოღონდ საღერღელაშლილი და ენაგაკრეფილი, შენი დაბნეულობით ისარგებლოს და იმწუთას გაგესაუბროს საკუთარ მიზნებსა და მისწრაფებებზე. მსგავსი და, შესაბამისად, გაუთვალისწინებელი შემთხვევისთვის კაცი სულმუდამ მზად უნდა იყოს, და განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში. ხოლო შინიდან შეუიარაღებლად გასვლა ისეთივე სისულელეა, როგორც, ვთქვათ, სხვის მიერ ჩადენილი დანაშაულის თავისთავზე აღ-

ება. დღევანდელ მუხანათ დროში კი ყველა კბილებამდე შეიარაღებულია. მარტო ღმერთმა უწყის, ვინ რითი ცდილობს თავის დაცვას და ვინ კიდევ რით. მე თითი მაქვს, საჩვენებელი თითი, მრავალჯერ ნაცადი და ჯერაც უტყუარი. მუშტად შეკრული ხელის მტევნიდან საგანგებოდ გამოშვერილი საჩვენებელი თითი სასურველი წარმატების მომტანი რომაა, ამას ჯერ კიდევ ადრე მივხვდი. ატაკებ თვალში უადგილოდ და უდროოდ გამომტყვრალს, და ვიდრე ეს უკანასკნელი ტკივილის გასაბათილებლად შემაჭირვებლად ოხრავს, საშუალება გეძლევა, დროულად გაეცალო, როგორც შეუმდგარი თავაზიანობის, ისევე დანაშაულის ადგილსაც. და ვინძლო ვერ გაასწარი, შეგაყოვნეს, და არც ეს გაკმარეს, გაგჩხრიკეს კიდეც, საგულისხმოს ვერაფერს გიპოვნიან ჯიბეში. თითის ტარების უფლება კი ყველას აქვს, მათ შორის სავარაუდო დაზარალებულსაც. თუმცა თითიცაა და თითიც, ღმერთის წყალობით სულთნის ქათამივით გრძელი თითები მაქვს, საჩვენებელი კი წერისაგან განსაკუთრებით გაქვავებული, რამე იყოს, სურვილისამებრ წესიერად ვერც კი მოვკაკვავ, მუდამ გამართულია ნაგანის ლულასავით.

უამრავი სახეობის თითი არსებობს ქვეყანაზე. არის მუხლჩაუხრელი შრომისგან დაღარული, ნუნასა და ფრჩხილქვეშ მინაჩამჯდარი თითი, რომელიც, როგორც არ უნდა წმინდო, სათანადოდ ვერ გაწმენდ. არის გრძელი და თხელი, გეგონება, სანთლისგან გამოძერწილი ჯიშიანი თითი, რომელსაც კანის ისეთი თხელი ფენა ფარავს, რომ მის ქვეშ ცალობით დაითვლი სისხლძარღვებს. მსგავსი თითი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს თითა ყურძნის მტევნიდან ერთადერთი ლებნის მოსაწყვეტად იყოს მოვლენილი ამ ქვეყანაზე. განსხვავებით წინარე თითისაგან,

რომელიც, ლებანი იქით იყოს, მტევნის ყუნწსაც ნამში ზედ მიაყოლებს, ცხადია, თუკი ამის აუცილებლობა იქნება, არის აგრეთვე დამორილი თითი, რომელიც იმას გარდა, რომ შეუხედავია, ამასთან გამოუსადეგარიცაა, კერძოდ — კლავისინისთვის, ვინაიდან ვერასოდეს მოახერხებს ამ ღვთაებრივი საკრავის აჟღერებას იმ უბრალო მიზეზით, კლავიშებსშორის რომ გაიჭედება უთუოდ. ამას გარდა გვხვდება გრძელი, ოღონდ სქელი თითიც. არის მოკაკული, შუაში, ან სადმე სხვაგან გაწყვეტილი თითიც. არის განუვითარებელი და ჩამოუყალიბებელიც. არის უფრჩხილო, ანდა პირიქით, მცირეოდნავ მოზრდილფრჩხილიანი და გალაქულიც. არის ბეჭდიანი, ხალიანი, მეჭეჭიანი, და ასე განსაჯეთ — ნაიარევიც კი. რომ აღარაფერი ვთქვათ ჭარბბალნიან, ან უბალნო, სულაც ჩვილის უხრტილო თითზე. ამასთანავე გვხვდება მომტვრეულ— ან მოჭმულფრჩხილიანი თითიც. და ეს იმ ზღვა მასალა თითებში, რომლებიც უმისამართოდ დაიარებიან ამ სამყაროში. შავ და წითელ და ყვითელ და თეთრკანიანთა ჯგრო, რომელსაც მოფერებით კაცობრიობის თითები ეწოდება. მაგრამ ყველა ამ ზემოთ ჩამოთვლილ თითებს გარდა არსებობს თითის ისეთი სახეობაც, როგორიცაა ჩვეულებრივი თითი. და ეს უკანასკნელი თითის ყველაზე სახიფათო სახეობაა, რამეთუ ისაა ერთადერთი, რომელიც უმრავლესობას წარმოადგენს. მსგავსი თითის მეშვეობით ვერ იმსჯელებ მის პატრონზე, ის ისეთივე წარმატებით შეიძლება მდედრისა აღმოჩნდეს, როგორც მამრის, და აქედან გამომდინარე — როგორც პოეტის, ისევე რესპუბლიკის მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერის.

უადგილოდ და უდროოდ გამომტყვრალთან ურთიერთობისას საჭიროა, და აუცილებელიც, არა მარტო სისწრაფე, მამაცობაც. ჯიმის შეხედულებე-

ბში კი არ შედიოდა სიმამაცის გამოვლენა. სიმამაცე ხომ ის თვისებაა, რომელიც პირმშოს დედის მზრუნველობით გადაეცემა, და ეს ეხებათ როგორც ადამიანებს, ისევე მღრღნელებსაც. მაგრამ ვინაიდან ჯიმის დედა არ ჰყოლია, ამიტომაც უცხო იყო მისთვის მამაცობა. ბარე ძალიანაც კი უნდოდა, დედა რომ ჰყოლოდა, და რაც თავი ახსოვდა, დღენიადაგ მის ძებნაში გახლდათ ჩართული, ეგაა, ჯერჯერობით ვერაფერი გაეხერხებინა. რაღა დასამალია და, გული უსივდებოდა, როცა ქუჩაში დედიკოებთან ერთად გამოფენილ ბიჭ-ბუჭებს მოჰკრავდა ხოლმე თვალს. ჯიმისაც უნდოდა დედიკოს ბიჭი ყოფილიყო, მასაც უნდოდა დედის სასთუმალთან მდგარ ტუმბაზე მოქცეულ მოჩარჩოებულ ფოტოსურათში საკუთარი თავი ამოეცნო, იმ სურათის დარად თვითონაც გაღიმებული ყოფილიყო, და ყველაფერ ამის დასასაბუთებლად დედის კალთაში ჩაერგო დროგამოშვებით თავისი პატარა თავი, რათა მის აოფლილ კულულებში დედას მზრუნველად შეეძვრინა ხელის თითები და, თუკი ასეთ დროს ჯიმის სასიამოვნოდ გაბურძგლავდა ტანში, მას ყველა საფუძველი ექნებოდა დაესკვნა, რომ დედა ნამდვილი იყო და არა ნარმოსახული. ეგაა, სურვილი სურვილადვე რჩებოდა. არც ის იცოდა რანაირად ემოქმედა. წუწუნით საქმეს რომ არ ეშველებოდა, ამასაც კარგად ჩამხვდარიყო. ამიტომაც არ ყოფილა ჯიმის მოსვენება. რამდენჯერ ალალბედზე ადევნებია ქუჩაში სანდომიან თვალებას — დედიკო, დედაოს — ჩურჩულით. განა შეუხედავთ წესიერად, ნაჩქარევად გაცლიან თმაგაბურძგვნილს, გეგონებოდა, თავანყვეტილი გიჟი დაენახოთ. ოღონდ ეგ ადრე იყო, ამიერიდან ჯიმის თვალი უკვე გაწაფული ჰქონდა სავარაუდო დედის გამოცნობაში. უფრო სწორედ, დარნმუნებული იყო, ასიათას ქალში გამოარჩევდა

ნამდვილ დედას. ნამდვილს კი, მოგეხსენებათ, ვარაუდი არ სჭირდება. იმათ, ვისაც ადრე თავად ადევნებია, — თანაც არაერთხელ, — ბოლო დროს სათოფეზეც აღარ ეკარებოდა, დიდი-დიდი თვალი ჩაეპაჭუნებინა, ისიც საკუთარი მზერით იმათსას თუ შეხვდებოდა. მათი მოსატყუებელი კბილი რახანია დაცვენოდა, ასიათას ქალში უნდა გამოერჩია ნამდვილი დედა. ეგ იყო, მისდა საუბედუროდ ყველა ჭეშმარიტი დედა უკვე დაკავებული ბრძანდებოდა. ჯიმის ღრმა რწმენით ჭეშმარიტ დედას მხოლოდ და მხოლოდ ერთისათვის, ერთადერთი პირმშოსთვის უნდა გაენია ამაგი. არაერთგზის გამოუტყდა კიდეც თავისთავს, — გინდა საზიარო დედა გყოლია და გინდა კოლექტიური ნატვრისთვალი გქონიაო. ყველაფერთან ერთად ჯიმი პატიოსანი ეგოისტიც ბრძანდებოდა. მთელი მისი პატიოსნება კი იმაში მდგომარეობდა, რომ საკუთარ ეგოისტურ მისწრაფებებს არ მალავდა. ისიც იცოდა, ნამდვილ დედებს ქუჩაში რომ არრა ესაქმებათ, მაგრამ კარდაკარ ხომ არ იწონიალებდა მარტოხელა დედის მისაგნებად? შინ ხომ არ მიადგებოდა? და რომც მიდგომოდა, რა ეთქვა, ვინ ვარ და რისთვის მოვსულვარო? ამიტომაც აღარავის ედევნებოდა და ჩურჩულითაც აღარავის ეუბნებოდა, დედობა გამინიეო. ღრმად სწამდა, თავის დედას ყველაში გამოარჩევდა. ნებისმიერ საქმეში, თუნდაც ყოვლად უმნიშვნელოში, რწმენის მარცვალი აუცილებელია. ჯიმისნაირ საჩოთირო საქმეში კი, აუცილებელზე აუცილებელი. მისნაირ საქმეში ურწმუნობა ამაო გარჯაა, ნყლის ნაყვა გამოდის. მსგავს ხათაბალაში ურწმუნობა დაახლოებით იგივეა, რაც უმრევლო ტაძარი.

ორივე თვალი ერთიანად კი გამიხმა, მაგრამ მხედველობის უნარი არ დამიკარგავს, უდავო და სამწუხარო

ჭეშმარიტების კონტურებს, მოლოდინის მიუხედავად, მაინც აღვიქვამდი. რესპუბლიკის მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერის ერთფერი კონტურული გამოსახულების გარდა, დანარჩენი კაცობრიობის დამახასიათებელ მოხაზულობასაც, გარკვევით თუ არა, ბუნდოვნად მაინც ვარჩევდი, და ისიც საგნების, ნაგებობებისა და მრავალნაირი ფიგურების ფონზე. დაახლოებით ნეხვის ბუზანკალის დარად, რომელიც ქვეყნიერებას გადმოკარკლული და ხაოიანი თვალების გამო მოზაიკური მხედველობით აკვირდება. თვალის გახმობის შემდეგ მწერებთან გაცილებით მეტი მსგავსება აღმომაჩნდა, ვიდრე ძუძუმწოვარ მღრღნელებთან. ყველაზე მეტი განმასხვავებელი ნიშანი კი, ხორკლიან გომბეშოსთან აღმოვაჩინე ჩემში. ეს უკანასკნელი მის თვალწინ მოძრაობაში მოსულს რომ აღიქვამს — ისიც არა მოვლენებს, არამედ მხოლოდ ამოძრავებულ მწერს, — და, დანარჩენი სამყარო მისთვის ერთი მთლიანი და შეუცნობელი ბურუსი რომაა, ეს არახალია. მე კი, გარდა თვალწინ ამოძრავებული პენსიონერისა, ქვეყნიერების კონტურებსაც, თუნდაც ბურუსში და თუნდაც სიბნელეში, მართალია ბუნდოვნად, როგორც ობიექტივის დაორთქლილი მინიდან დანახულს, მაგრამ მაინც აღვიქვამდი.

ამიტომაც ვასკვნიდი, რედაქციამდე რომც მივაღწიო, იქიდან გამოღწევა იქნება ცოდვის კითხვა-მეთქი, რადგან ისტორიაში შესვლა გაცილებით იოლია, ვიდრე ისტორიიდან გამოსვლა. რედაქციაში დღენიადაგ უამრავი ხალხი რომ ირევა, არც ესაა ახალი ჭეშმარიტება. იქ ყველას ერთიანად კოპი აქვს შეკრული, მომხვდური იქნება ის თუ დამხვდური, თანაც ისეთი სასონარკვეთილი იერი ადევთ სახეზე, გეგონება, შეჯიბრი ჰქონდეთ ცუდად ყოფნაში გამოცხადებული. ზოგიერთი გადამდებად შეწუხებულია, დაახლოებით ისე, როგორც სულიერი შეჭირვების ჟამს, ან მთლად

უარესი, როგორც ბოლო ამოსუნთქვისას. ეგაა, მსგავსი შთაბეჭდილება მოჩვენებითია, რამეთუ სათანადოდ უნდა დააკვირდე მათ, რათა გამოარჩიო, რომ ისინი მტკიცედ ჩამოყალიბებული და დადგენილი რეჟიმის მიხედვით ხდებიან ცუდად, და, იმავე რეჟიმის მიხედვით ეძლევიან სასონარკვეთასაც. არადა, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მათი ნაცუღლუტარი შემოქმედება არასოდეს მოკვდება, მარადი სიცოცხლისთვისაა განწირული და იმიტომ. კარგი პოეტი კი, მოგეხსენებათ, მხოლოდ და მხოლოდ მკვდარი პოეტია. იმ უბრალო მიზეზით, რომ პოეტი, ვიდრე ის ცოცხალია, იქამდე სულმუდამ იმედს იძლევა, თუნდაც გაუაზრებლად, თუნდაც თავისდაუნებურად, თუნდაც უმნიშვნელოს, და მთლად უარესი, თუნდაც სასიკვდილო სარეცლიდან. მისი ნესტოები რაკი ჯერ კიდევ ირხევიან, მისი მაჯა რაკი ჯერ კიდევ ფეთქავს, ცოცხლის საიქიოს გასტუმრება არა მარტო უხერხული, ნაადრევიცაა. ვინ იცის, ეგებ თვალში გამოიხედოს, და ეგებ ის ერთი, ერთადერთი ტაეპი ამოიოხროს — თუნდაც სიკვდილიდან — რომელიც ერთბაშად გადაწონის მთელ მის ნაცუღლუტარ შემოქმედებას. ასე რომ, პოეტისგან, ვიდრე ის ცოცხალია, სულმუდამ უკეთესს მოელიან გარშემო მყოფნი. და აქედან გამომდინარე, პოეტი უნდა მოკვდეს, რათა დანარჩენები დაარწმუნოს, რომ ის იმედს აღარ იძლევა, უიმედოდ და მიუდგომლად მკვდარი რომაა. თუმცა ერთია კიდევ, პოეტი იქამდეა უკვდავი, ვიდრე არ მოკვდება. ეს ცოცხალმა პოეტებმაც იციან და ამიტომაც ცდილობენ, თავი მოიმკვდარუნონ. ცოცხალი პოეტები უაღრესად თვალთმაქცი ხალხია, დღენიადაგ იმის მცდელობაში არიან, ვინძლო მავანმა არ იაზროს ცოცხალი ვარო, და შესაბამისად, სულმუდამ ისეთი შეუვალი სახით დაიარებიან, თანაც არც ნესტოებს არხევენ და მაჯებსაც საპატიმროდან გამოქცეული ტუსაღივით ისე საგულ-

დაგულოდ გიმალავენ, შეიძლება, მართლაც მკვდრად მოგაჩვენონ თავი, და მკვდრად თუ არა, ცოცხალმკვდრად მაინც. არადა ცოცხალმკვდარობა, მითუმეტეს ასეთ საჩოთირო საქმეში, არა მარტო არასახარბიელო, უხერხულიცაა. იმდენად, რამდენადაც, ან ცოცხალი ხარ კაცი, ან მკვდარი, ასეთ საქმეში ზღვარი შერყვნილი და შებღალულია, ტყუილი და მოგონილია, რადგან შუალედური მსგავს საჩოთირო შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ ტიხარია, პლუსისა და მინუსის გამმიჯვნელი ნული. არადა, რა უნდა იყოს ცოცხალი პოეტისთვის ერთფეროვანი ცხოვრების გახალისება, თუ არა თავის მომკვდარუნება?

რედაქციაში ნასვლა კი გადაწყვიტა ჯიმიმ, მაგრამ პენსიონერის გახსენებაზე მუხლი — თუნდაც ბრინჯაოსი — აღარ ემორჩილებოდა. პენსიონერთა ძლევამოსილებაზე ბევრი რამ სმენოდა, მაგრამ ამდენს ნაღდად ვერ წარმოიდგენდა. მათ მოსაგერიებლად ხელი კი მოემუშტა, რომლიდანაც საგანგებოდ გამოეშვირა საჩვენებელი თითი და ჯიბეშიც კი გადაემალა საგულდაგულოდ, მაგრამ თანამედროვე პენსიონერთან თითი რაში გარგია, ან რა სახსენებელია საერთოდ თითი. პენსიონრები ხომ სპილოებივით არიან, ერთხელ ჩადენილ მარცხს შთამომავლობა აღარ იმეორებს. ეგ კი არა და, სპილო, მთელი თავისი ცხოვრება ცოდნას მხოლოდ იმ მიზნით აგროვებს, რათა მერე, მთელი ის სახელდახელოდ მოგროვებული ცოდნა ნაშიერს გადაულოცოს. მასეა პენსიონერიც, ერთხელ ამოთხრილ თვალს აღარავის ამოათხრევინებს. ყოველ შემთხვევაში იმას მაინც ეცდება, თავი დაიზღვიოს მსგავსი გაუგებრობისგან. უაღრესად წინდახედული ხალხია. ამიტომაცაა თითის ტაკებამდე რომ არ გეკარებიან. კი გიახლოვდებიან, მაგრამ შორიახლო გიჩერდებიან. მართალია იქვე დგას — გადაფურთხებამდე, ეგაა, ფურთხს კი, ოღონდ თითს ვერ მიაწვდენ. წინდახედულების გამომხატველია ისიც, მათ ყოველთვის ჩაგოდრილი და აუცილებლად გაა-

ვებული ლხასკური აფსო* რომ იცავთ. თანაც იმ მანძილზე გიახლოვდებიან, საჭიროების შემთხვევაში ძაღლმა კბილი რომ მოგაწვდინოს, სახელდობრ სად, ამას არ აქვს მნიშვნელობა, კოჭი იქნება ის, თუ მუხლი, პენსიონერი ამას აღარ დაეძებს. სამაგიეროდ, ერთპიროვნულ უპირატესობას მსგავს შემთხვევაში პენსიონერი ფლობს, რამეთუ, ძაღლის მხრიდან კბილის მოწვდენის შემთხვევაში, ჯიბეში საგულდაგულოდ გადამალული თითი ყოველგვარ ძალას წამში კარგავს. ერთია კიდევ, პენსიას რომ დაი-

---

*(Lhasa Apso) მრავალი საუკუნის მანძილზე ჩინეთის იმპერატორი თავისი ქვეშევრდომებისგან მოშორებით ცხოვრობდა, რომელთათვის იმპერატორის სასახლეები უცნობ სამყაროს წარმოადგენდნენ. ამ განკვეთილ, მყუდრო ადგილში აგრეთვე ცხოველებიც ცხოვრობდნენ. ასე და ამრიგად, იმპერატორის საყვარლის, ჯუჯა გოშიას მოშენება მეფური პრივილეგია გახლდათ, უცნობ პირთათვის მკაცრად აკრძალული და მიუნვდომელი.

როდის და რანაირად იქნა ეს ჯიში გამოყვანილი, უცნობია. უძველესი საიმპერატორო დინასტიის ცხოვრება და ტრადიციები მის შესახებ არანაირ ცნობას არ იძლევიან. ამიტომაც, ამ ჯიშის წარმომავლობაზე მხოლოდ ზღაპრებსა და ლეგენდებს ჰყვებიან. ჩინეთის იმპერიის ფარგლებს გადაღმა, სასახლის ძაღლის თაობაზე მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა არსებობს. (ლხასკური აფსოსგან განსხვავდება სოგ-ში-ცუ, ჩინური ლომძაღლი. პატარა გოშია, როგორც ივარაუდება ტიბეტური წარმოშობისა, რომელიც ასევე ხანგრძლივი დროის მანძილზე მეფურ დარბაზებში ცხოვრობდა. მის გრძელ ბეწვს ისე კრეჭდნენ, რომ ძაღლი რაც შეიძლება მეტად დამსგავსებოდა ფაფრიან ლომს).

მხოლოდ ევროპულ ინტერვენტთა კორპუსებმა, რომლებმაც 1860 წელს იმპერატორის საზაფხულო სასახლეში, პეკინში შეაღწიეს, ევროპაში გამოიტაცეს ეს ორიგინალური ნადავლი. კერძოდ ინგლისში; ფართო მასშტაბით დაიწყეს ამ პატარა აზიატის მოშენება. ამგვარად, ყოფილი „იმპერატორის საყვარელი" პოპულარულ და ამოჩემებულ ოთახის დეკორატიულ გოშიად იქცა.

ცნობები მოცემულია და დამტკიცებულია საერთაშორისო კინოლოგიური ფედერაციის მიერ (FCI–სკფ).

დ. ნაიმანოვა. სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის I სახელმწიფო გამომცემლობა, პრაღა, 1985 წ.

დაგულოდ გიმალავენ, შეიძლება, მართლაც მკვდრად მოგაჩვენონ თავი, და მკვდრად თუ არა, ცოცხალმკვდრად მაინც. არადა ცოცხალმკვდარობა, მითუმეტეს ასეთ საჩოთირო საქმეში, არა მარტო არასახარბიელო, უხერხულიცაა. იმდენად, რამდენადაც, ან ცოცხალი ხარ კაცი, ან მკვდარი, ასეთ საქმეში ზღვარი შერყვნილი და შებღალულია, ტყუილი და მოგონილია, რადგან შუალედური მსგავს საჩოთირო შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ ტიხარია, პლუსისა და მინუსის გამმიჯვნელი ნული. არადა, რა უნდა იყოს ცოცხალი პოეტისთვის ერთფეროვანი ცხოვრების გახალისება, თუ არა თავის მომკვდარუნება?

რედაქციაში ნასვლა კი გადაწყვიტა ჯიმიმ, მაგრამ პენსიონერის გახსენებაზე მუხლი — თუნდაც ბრინჯაოსი — აღარ ემორჩილებოდა. პენსიონერთა ძლევამოსილებაზე ბევრი რამ სმენოდა, მაგრამ ამდენს ნაღდად ვერ წარმოიდგენდა. მათ მოსაგერიებლად ხელი კი მოემუშტა, რომლიდანაც საგანგებოდ გამოეშვირა საჩვენებელი თითი და ჯიბეშიც კი გადაემალა საგულდაგულოდ, მაგრამ თანამედროვე პენსიონერთან თითი რაში გარგია, ან რა სახსენებელია საერთოდ თითი. პენსიონრები ხომ სპილოებივით არიან, ერთხელ ჩადენილ მარცხს შთამომავლობა აღარ იმეორებს. ეგ კი არა და, სპილო, მთელი თავისი ცხოვრება ცოდნას მხოლოდ იმ მიზნით აგროვებს, რათა მერე, მთელი ის სახელდახელოდ მოგროვებული ცოდნა ნაშიერს გადაულოცოს. მასეა პენსიონერიც, ერთხელ ამოთხრილ თვალს აღარავის ამოათხრევინებს. ყოველ შემთხვევაში იმას მაინც ეცდება, თავი დაიზღვიოს მსგავსი გაუგებრობისგან. უაღრესად წინდახედული ხალხია. ამიტომაცაა თითის ტაკებამდე რომ არ გეკარებიან. კი გიახლოვდებიან, მაგრამ შორიახლო გიჩერდებიან. მართალია იქვე დგას — გადაფურთხებამდე, ეგაა, ფურთხს კი, ოღონდ თითს ვერ მიანვდენ. წინდახედულების გამომხატველია ისიც, მათ ყოველთვის ჩაგოდრილი და აუცილებლად გაა-

ვებული ლხასკური აფსო* რომ იცავთ. თანაც იმ მანძილზე გიახლოვდებიან, საჭიროების შემთხვევაში ძაღლმა კბილი რომ მოგაწვდინოს, სახელდობრ სად, ამას არ აქვს მნიშვნელობა, კოჭი იქნება ის, თუ მუხლი, პენსიონერი ამას აღარ დაეძებს. სამაგიეროდ, ერთპიროვნულ უპირატესობას მსგავს შემთხვევაში პენსიონერი ფლობს, რამეთუ, ძაღლის მხრიდან კბილის მოწვდენის შემთხვევაში, ჯიბეში საგულდაგულოდ გადამალული თითი ყოველგვარ ძალას წამში კარგავს. ერთია კიდევ, პენსიას რომ დაი-

---

*(Lhasa Apso) მრავალი საუკუნის მანძილზე ჩინეთის იმპერატორი თავისი ქვეშევრდომებისგან მოშორებით ცხოვრობდა, რომელთათვის იმპერატორის სასახლეები უცნობ სამყაროს წარმოადგენდნენ. ამ განკვეთილ, მყუდრო ადგილში აგრეთვე ცხოველებიც ცხოვრობდნენ. ასე და ამრიგად, იმპერატორის საყვარლის, ჯუჯა გოშიას მოშენება მეფური პრივილეგია გახლდათ, უცნობ პირთათვის მკაცრად აკრძალული და მიუნვდომელი.

როდის და რანაირად იქნა ეს ჯიში გამოყვანილი, უცნობია. უძველესი საიმპერატორო დინასტიის ცხოვრება და ტრადიციები მის შესახებ არანაირ ცნობას არ იძლევიან. ამიტომაც, ამ ჯიშის წარმომავლობაზე მხოლოდ ზღაპრებსა და ლეგენდებს ჰყვებიან. ჩინეთის იმპერიის ფარგლებს გადაღმა, სასახლის ძაღლის თაობაზე მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა არსებობს. (ლხასკური აფსოსგან განსხვავდება სოგ-ში-ცუ, ჩინური ლომძაღლი. პატარა გოშია, როგორც ივარაუდება ტიბეტური წარმოშობისა, რომელიც ასევე ხანგრძლივი დროის მანძილზე მეფურ დარბაზებში ცხოვრობდა. მის გრძელ ბენვს ისე კრეჭდნენ, რომ ძაღლი რაც შეიძლება მეტად დამსგავსებოდა ფაფრიან ლომს).

მხოლოდ ევროპულ ინტერვენტთა კორპუსებმა, რომლებმაც 1860 წელს იმპერატორის საზაფხულო სასახლეში, პეკინში შეაღწიეს, ევროპაში გამოიტაცეს ეს ორიგინალური ნადავლი. კერძოდ ინგლისში; ფართო მასშტაბით დაიწყეს ამ პატარა აზიატის მოშენება. ამგვარად, ყოფილი „იმპერატორის საყვარელი" პოპულარულ და ამოჩემებულ ოთახის დეკორატიულ გოშიად იქცა.

ცნობები მოცემულია და დამტკიცებულია საერთაშორისო კინოლოგიური ფედერაციის მიერ (FCI–სკფ).

დ. ნაიმანოვა. სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის I სახელმწიფო გამომცემლობა, პრაღა, 1985 წ.

მსახურებ კაცი, მაშასადამე, რამხელა წვლილი უნდა მიგიძღოდეს არა მარტო უმცირეს სიდიდეთა, არამედ ვარსკვლავთა სამყაროსადმიც. ასე რომ, როდის და რა ვითარებაში გამოტყვრება რომელიღაც პენსიონერი წინდაწინ ვერ გამოიანგარიშებ. და რომც გამოიანგარიშო, მას ლხასკური აფსოს გარდა, უმცირესი სიდიდეები, ატომები და ელექტრონები, და ვარსკვლავებიც იცავენ. ბუნების ყველა ამ სასწაულთან თითის დაპირისპირება კი, მიზანშეუწონლობასთან ერთად, მკრეხელობაცაა.

არც ჯიმის ეწადა მათთან დაპირისპირება, სამაგიეროდ ისინი უპირისპირდებოდნენ მას. ჯიმი იქამდე არ დაკვირვებოდა პენსიონერს, ყველა იმ ზემოთ ჩამოთვლილ ფიზიკურ სხეულებთან ერთად, ხელშეუხები და უფორმო, თითქმის აქროლადი იდუმალების ბურუსიც რომ თან ახლავს ხოლმე. განა რომელი ჭკუათმყოფელი ცდილა აქამდე პენსიონერის იდუმალი წარმომავლობისთვის ფარდა აეხადა. დანამდვილებით არავინ უწყის, სად და რა მანქანებით, რა ძალისხმევის ფასად, მომავლის რამხელა იმედით იმსახურებენ პენსიას. სადღაც თვალშეუდგამ საფარში გარინდებულნი, როგორც რწყილები, ხელსაყრელ მომენტს უცდიან, რათა ერთ მშვენიერ დღეს იმ საფარიდან გამოძვრნენ, დამსახურებული პენსია მოითხოვონ და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მოთხოვნა საფუძვლიანად დაასაბუთონ. ეს ეხება როგორც რესპუბლიკის მნიშვნელობის, ისე ადგილობრივი ლექსის მწარმოებელ პოეტ-პენსიონრებსაც. სწორედ ეს უკანასკნელნი დაუპირისპირდნენ ჯიმის და არა პირიქით. და სიმართლე ითქვას, მათი დაპირისპირება, იმას გარდა, რომ სამართლიანობის გრძნობით იყო ნაკარნახევი, ამასთან კანონიერიც იყო. ვინაიდან პენსია მათ კანონით ეკუთვნოდათ, დაიმსახურეს და იმიტომ. ჯიმიმ კი რა დაიმსახურა? — ხვიშტი. შიგნაკრაობაში პენსიას არ იძლევიან.

მე არ მქონდა მშვიდი ძილი და დედას რა დააძინებდა. თვალქვეშ იმასაც ტომრები ეკიდა ალბათ. ის ისევე

მელოდა მე, როგორც მე მას. ჭეშმარიტი დედა კი, მხოლოდ მომლოდინე დედაა. დანამდვილებით ვიცოდი, ის ჩემს გაყვითლებულსა და მყიფე ფოტოსურათს დაღარული თითებით ეფერებოდა, მოსაგონრად და ნუგეშად ის ერთადერთი და ოდინდელი ფოტოსურათი შემორჩენოდა, და უსაშველოდ გაჭიმული მარტოობისა და უნუგეშო მოლოდინის გასაქარვებლად ფერმკრთალ თვალში ობოლი ცრემლი უელავდა. მისდა სამწუხაროდ დედამ იცოდა, რომ მე, მისი თუ სხვისი ძალისხმევის შედეგად, დედისეულ მზრუნველობას ვიყავი მოკლებული. მაგრამ მკაცრსა და შეუვალ სინამდვილესთან ცარიელი ხელებით მარტო დედა რას გახდებოდა. მზრუნველობას მოკლებული ბავშვისთვის კი, მთავარზე უმთავრესი — დედაა, რომელიც მასთან მოსანახულებლად იშვიათად, ან საერთოდ არ მიდის. ეგ იყო, დედას წარმოდგენა არ ჰქონდა თუ სად უნდა მოვეძებნე, და ჩემდა სავალალოდ, არც მე ვიცოდი მისი ადგილსამყოფელი, და ალბათ ამიტომაც იყო, ორივე ალალბედზე რომ დავეხეტებოდით აღმა-დაღმა. ისიც დარწმუნებული გახლდათ, ასიათას შვილში გამომარჩევდა მე, საკუთარ, ღვიძლ შვილს. ისიც მზად იყო დედისერთა აღეზარდა, დედისერთასადმი გაეწია ამაგი. დედას უნდოდა, თუ უნდოდა, სიცოცხლის ბოლო წუთს მოესწრო ჩემთვის, უკვე სამუდამოდ დასნეულებული საგანგებოდ ამ ამბისთვის გამთბარ საწოლში მოვეთავსებინე, ფეხებთან მზრუნველად შეეკეცა საბანი, გამხმარ თვალებზე თვალსაფარი აეკრა ჩემთვის, როგორც ეტლში შებმული ცხენისთვის, რათა თვალწინ მხოლოდ და მხოლოდ დედა დამენახა, მხოლოდ და მხოლოდ გულმოკლული დედა აღმექვა. და თუკი დამსხვრეული დედაშვილური სიყვარულის შესაკოწინებლად ჩემს ტუჩებთან დახრილს ჩურჩულით ვეტყოდი, — ცუდად ვარ დედა-მეთქი, ის მზრუნველად შემიძვრენდა გაბურძგვნილ თმებში დაღარულ თითე-

ბს და საოცრად დამამშვიდებელ სიტყვებს ჩამჩურჩულებდა, — უფალს შეევედრე მალე მიგიღოსო. და თუკი მართლა ასე მეტყოდა დედა, მაშინ მე გული დამწყდებოდა და ჩუმად და მწარედ ავქვითინდებოდი.

ცოცხალი პოეტისთვის თავის მომკვდარუნება, სახალისოს გარდა, სასიცოცხლოდ აუცილებელიცაა, და არა მარტო პოეტისთვის, გამომცემლისთვისაც. რამეთუ, გამომცემელზე უკეთ ვის მოეხსენება, მკვდარი პოეტის რჩეული ერთტომეულის გამოცემა საკმაოდ სარფიანი საქმე რომაა. ისტორიას ახსოვს კიდეც არაერთი თავზეხელაღებული გამომცემელი, რომელიც საერთო ტომარაში ყრიდა ყველას, და რომელიც ერთნაირი მონდომებით გამოსცემდა მკვდარსაც და ცოცხალსაც, — ამ უკანასკნელს, ცხადია, იმ იმედით, რომ ოდესმე ისიც მოკვდებოდა, მაგრამ გამომცემლისგან მსგავსი თავგანწირვა დღესდღეისობით აღარ ივარაუდება. რომელი გამომცემელი, თუკი სრულ ჭკუაზეა ის, აიტკიებს აუტკივარ თავს, და რომელი ერთი დაუწყებს ლოლიავს ცოცხალს? ცოცხალს ისიც ეყოფა, იმედის მომცემი რომაა. მკვდრები კი, იცოცხლე, იმდენია, მათი მარტო ჩამოთვლა დაგახვევს თავბრუს. ცოცხალსაც ისღა დარჩენია, თავი მოიმკვდარუნოს, და თუკი პენსიის მოლოდინში სალარომდე გაჭიმულ რიგში აცქმუტებულს მიუსწარი, ისე ძალუმად ამოიოხრებს, რომ გულს დაგიკოდავს, გეგონება, უკანასკნელად იღებდეს პენსიას. სამაგიეროდ, იქით თუ დაინახა მკვდარი, მაშინათვე გამოცოცხლდება, როგორც გალხობილი ყინულიდან წელამოყრილი ბალახის ღერი, მაშინათვე მაჯას შეუმოწმებს სავარაუდო მკვდარს, ვინძლო ჯერ კიდევ ფეთქავდესო, და თუკი აქაც გაუწბილდა მოლოდინი, ცხვირთან ჯიბის სარკეს მიუტანს, და ვაი მკვდრის ტყავის ბრალი, თუკი სარკე დაიორთქლა.

იქამდე არაფერი ტკენოდა ნებისმიერ ცოცხალ პოეტს, ვიდრე ჯიმი სარკეს დაორთქლავდა. მსგავსი

საშიშროება ჯიმის არც ემუქრებოდა, და ამასთან, ცოცხალი პოეტების არც თვალის გახმობამდე შინებია და არც გახმობის შემდეგ. საჭიროების შემთხვევაში მას ისიც შეეძლო, არაფრის შინებოდა, ეგ იყო, უშიშარობა მისთვის საჭიროებას არ წარმოადგენდა. რომელი მკვდარი შეუშინდება თვალწინ გამკრთალ თუნდაც მაჯლაჯუნების მთელ ჯგროს. მაგრამ პენსიონერი სულ სხვა ამბავია. პენსიონერი რას დაგიდევს — ცოცხალი ხარ თუ მკვდარი. გამოტყვრება საიდანღაც მოულოდნელად და იმწუთას გაგესაუბრება საკუთარ მიზნებსა და მისწრაფებებზე. მისთვის სულერთია, ვის გაუზიარებს ცხოვრებისეულ შთაბეჭდილებებს, მკვდარიცა და ცოცხალიც მისთვის ერთი ნაგავია.

სხვებზე არანაკლებ ცოცხალია რედაქტორიც. მოჰკრავს თუ არა თვალს რომელიღაც მკვდარს, მის ირგვლივ თავმოყრილ ცოცხლებს განზე გასწი-გამოსწევს და მკვდრისკენ ისეთი მიზანსწრაფული და სახეგაცისკროვნებული მიემართება, გეგონება, უშედეგო ბორიალის შემდეგ ძლივს დალანდა თავისუფალი ქვა, რომელზეც შესძლებს მადლის დადებასო. რედაქციაში ბოლთის დამცემი პოეტების დარად, ისიც ცოცხალი კია, ოღონდ სული თავადაც ძლივს უდგას. თვალის ერთი შევლებითაც ნათელია, რომ ცალი ფეხით სამარეში დგას უკვე. თანაც ისეთი გამხდარია, ჯიბეში ხურდა რომ არ ჩაიდოს — ქარი გაიტაცებს. ოღონდ ყველა ამ უპირატესობის მიუხედავად, არის მასში რაღაც არაკანონზომიერი, და თითქოს ამორალურიც კი, ვინაიდან ცასა და მიწას შორისაა უხერხულად გამოკიდული, რადგან სათანადოდ მკვდარი ჯერ არაა, და ამასთან, არც სათანადოდ ცოცხალია. და ჯერჯერობით რაკი ცოცხალია, ჯერჯერობით რაკი თანამდებობა — თუნდაც ყოვლად არასახარბიელო — უკავია, იძულებულია საკუთარი არსებობის მიზანშეწონილობა დაასაბუთოს. დაასაბუთოს, ისიც რომ იმსახურებს ხელფასს. ამიტო-

მაცაა მუდამ გაფაციცებული რომ აკვირდება ცოცხალ-
მკვდრებს თვალებში, ვინ იცის, ეგებ რედაქციაშივე
დალია რომელიმემ სული. ეგაა, რედაქციაში სულის
დალევა ცოცხლებს არ ეხერხებათ. ნამდვილ მკვდარს,
ან ნაღდ მომაკვდავს, რედაქციაში არაფერი ესაქმება.
ნამდვილი მკვდრები ფუძიამას ძირში იკრიბებიან, რათა
დილის პირს ამომავალ მზეს პირველები ისინი
შეეგებნონ და პირველებმა მათ სცენ მნათობს თაყვანი.

მკვდრისგან ცოცხალმკვდრის გამორჩევა კაფანდა-
რა რედაქტორს არ ესწავლებოდა. მაჯის შეუმონმებ-
ლად და ცხვირთან სარკის მიუტანლად გამოარჩევდა
ერთ ნაღდს, ასიათას მოგონილ მკვდარში. ამიტომაც
იყო, რედაქციაში შეხეტებულ ჯიმის მოჰკრა თუ არა
თვალი, მის გარშემო თავმოყრილი ცოცხალმკვდრები
მისწი-მოსწია და ჯიმისკენ ისეთი მიზანსწრაფული გაე-
მართა, ჯიმი სანიმუშოდ მკვდარი რომ არ დახვედრო-
და, ეგებ თავად რედაქტორს წაეფორხილა და ჯიმის
ფერხთით გაშოტილს იატაკის მტვერი ენით აელოკა.
მაგრამ მსგავსი საშიშროება ჯიმის შემთხვევაში რედაქ-
ტორს არ ემუქრებოდა. უდედოდ და უშვილძიროდ მკვ-
დარ ჯიმის, ფუძიამაზე გასამგზავრებელი საგზური
გულის ჯიბეში მოეთავსებინა უკვე. ეს რედაქტორმაც
იაზრა და ამიტომაც იყო, ალბათ, შემზადების გარეშე
რომ უთხრა ჯიმის, — დღეს ხომ შენი დაბადებიდან
ორმოცდაჩვიდმეტი, შემოქმედების შვიდი და გარდა-
ცვალებიდან ოცდაშვიდი წელია გასული და იქნებ
ორიოდ სიტყვა გეთქვა საკუთარ თავზეო. და თქვა თუ
არა, ისე ნაძალადევად გაიღიმა, გეგონებოდა, ბუასი-
ლის გასაბათილებლად უკანალზე დასმული წურბელები
ეს-ესაა მოიცილაო. რედაქტორის ღიმილი იმას ცხადყ-
ოფდა, გამონვევის მიღებასთან ერთად, ჯიმის პირობაც
რომ უნდა დაედო. ხოლო მიზანმიმართული ღიმილი
იმის მანიშნებელი იყო, რომ პირობის შეუსრულებლო-
ბის შემთხვევაში ჯიმის ბინის კარს მემორიალური

დაფით, ჯიმის საფეთქელს კი ტყვიით აჭედვა ემუქრებოდა. ჯიმის არც კარი ენაღვლებოდა, საფეთქელი ხომ არა და არ, მაგრამ უარის შემთხვევაში იმ საქმეს ვერ მოაგვარებდა, იმ საჩოთირო სათქმელს ვერ ეტყოდა რედაქტორს, რომელმაც საერთოდ მიიყვანა იქ. სადღაც გულის კუნჭულში ჯიმის იმანაც კი გაჰკრა, — მიმიფურთხებია რედაქტორისთვისაც და წამოწყებული საქმისთვისაცო. ოღონდ ერთი იყო კიდევ, საქმის მოუგვარებლობის შემთხვევაში, თავისი ღირსების ნაშთს ჯიმი ვერ მოუხმობდა — ფუძიამასკენ დაძრულ ქარავანს დამგზავრებოდა. ამიტომაც იყო, ბედის დავთარში ჩაჭვრეტილი კაცის სულერთია თვალით რომ შეხედა რედაქტორს, სწორედ იმას, რომელიც მხოლოდ პირობის დაცინცვლას უპირებდა მას, რომელიც მხოლოდ ერთი შემართებით იყო, ჯიმი რამენაირად დაეთანხმებინა, რომ ამ უკანასკნელს თავისი ცხოვრებიდან, თუნდაც ყოვლად უმნიშვნელო ფრაგმენტები გაეხსენებინა. კი ამბობენ — ქალი წარსულითაა საინტერესო, მამაკაცი კი მომავლითო, ეგ იყო, თავისი წარსული ჯიმის არ ახსოვდა, ხოლო მომავალი არ აინტერესებდა. ძალიანაც რომ მოეწადინა, თავისი მშფოთვარე ცხოვრებიდან ნებისმიერი რამ გაეხსენებინა, მაინც ვერრას გახდებოდა, ფუჭი გასროლა გამოუვიდოდა, არაფერი ხეირიანი. ვინაიდან გასახსენებელი არაფერი ჰქონია. მაგრამ ვაიდა, რაღაც ძალისხმევის შედეგად რამე რომც გახსენებოდა, მოსაყოლი ამბები არც თანმიმდევრული იქნებოდა, ხოლო კომპოზიციისა და მონტაჟის გრძნობას ხომ ისედაც ვერ დაუმორჩილებდა. იმ უბრალო მიზეზით, რომ რაც კი რამ ახსოვდა, თანმიმდევრული იქ არაფერი ყოფილა, და დასამონტაჟებელი ხომ თავისთავად. მთელი მისი ცხოვრება ერთმანეთის მზარდი, ერთმანეთის მშობი და ერთმანეთში გაბნეული განცდების ასხმულა იყო და მეტი არაფერი.

მეტროს შესასვლელში მუხლმოდრეკილი ჯიმი ხელებში ჩაბღუჯული რვეულიდან შელახულსა და კუთხეაბრეცილ ფურცლებზე მიმობნეულ სიტყვებს ლოკავდა. თავიდან წინადადებებს წინა კბილებით მოკრძალებით ციცქნიდა, მერე, პირში უკვე ჯეროვნად მოგდებულთ, — როგორც ბამბუკის შექანავებულ ღერზე აცოცებული სიუნმაოს მოშიებული ბელი, — დაგემოვნების მოუსნრებლად ნაჩქარევად ღრღნიდა და ღეჭდა, და დაღეჭილი მწვანე მასა, როგორც ბოდვაში გადავარდნილი შეშლილის ტუჩ-პირზე მომდგარი დუჟი, თანდათან უფრო და უფრო მძლავრად ებუშტებოდა, რათა ის ერთი, ერთადერთი სიტყვა მოეხელთებინა, რომელიც პასუხიცა და პაროლიც ერთდროულადაა ფუძიამასკენ დაძრულ მექარავნესთვის წარსადგენად. ერთადერთი სიტყვა, რომელიც კიდევ ერთხელ დაუდასტურებს მექარავნეს იმას, რომ ის დანამდვილებით არ სცდება მგზავრის შიგნაკრაობაში. მაგრამ როგორ გინდა ის ერთადერთი მართებული და შეუმცდარი სიტყვა მოიხელთო იმ აუარება სიტყვებში, რომლებიც გარს ისე გარტყიან, როგორც გამჭვირვალე, ოლონდ ტყვიაგაუმტარი, ხმაგადაუღწევი და თვალშეუდგამი მინის გალავანი. ხოლო იმ გასაიდუმლოებულსა და გამჭვირვალე ასოებისგან შემდგარ გალავანს ლოკვა და ლოლიავი რომ დაუწყო, ასოები ნიავდაკრული მტვრის ბულულებივით უმისამართოდ გაიფანტებიან თვალუწვდენსა და დაუბოლოებელ სივრცეში. და რომ რომელიღაც წერააატანილმა ასოკირკიტამ არ მოისვენოს, და რომ თავისუფლების წყურვილით ატანილ ასოებს კირკიტი დაუწყოს, გალავნის დაფერდებული კედლებიდან სივრცეში კი აღარ აბარბაცდებიან უმისამართოდ, არამედ, თოვლმობმული ბექობიდან დაგორებული მზარდი გუნდასავით თავიდან ზოზინით დაექანება, მერე, გზადაგზა დანარჩენი ასოების წამოხვეტის ხარჯზე თანდათან სისწრაფეაკრეფილი ერთ გუნდად შექუჩდება

და, ვიდრე გუნდა ასოების წერაატანილ მღრღნელამდე ჩააღწევდეს, იქამდე ის გუნდა, რაც კი გზად შემოხვდება, უკვე ყველაფრის წამლეკი ზვავივით უმართავი და ჯებირმორღვეული მდინარესავით უმისამართოა.

ჯიმის გაბურძგვნილი თავის გარშემო მოწამეობრივი შარავანდედივით აელვარებულმა დაუბანელი თმის თავისებურმა სუნმა, ისედაც ყოველმხრივ ფრთხილ რედაქტორში განსაკუთრებული სიფრთხილის წინათგრძნობა გამოიწვია. გამხმარ თვალებზე ჯიმი განუწყვეტლივ კი ისვამდა ოფლით შეფეთქილ ხელისგულებს, როგორც აუტანელ ხვატში ჩრდილს შეფარებული ნეხვის ბუზანკალი, რითაც მოშორებით მდგარი ცოცხლები მიზანმიმართულად შეჰყავდა შეცდომაში, რამეთუ იმას მოაჩვენებდა, ვითომც გაუთავებლად ვიბანებიო, — სუფთად და სალუქად ყოფნა ხომ ცოცხლების ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა, — მაგრამ ცალი ფეხით ისედაც სამარეში მდგომმა რედაქტორმა მაინც გამოიცნო მისი სუნის წარმომავლობა. ჯიმი თვალებს იბანდა, ოღონდ არამც და არამც სხეულის დანარჩენ ნაწილებს, და განსაკუთრებით გაბურძგვნილსა და გაურეცხავი ფუნჯის ბუნუნებივით გაუხეშებულ თმას.

მნიშვნელოვანწილად ამანაც განაპირობა, ჯიმის ყურთან დახრილ რედაქტორს ჩურჩულით გაემეორებინა მისთვის, — ეგებ ორიოდ სიტყვა მართლაც გეთქვაო. უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში ჯიმის შეეძლო, რომ არაფერი გაეგონა, როგორც პლუშის თოჯინას, ყურის ნიჟარებში საკმაოზე მეტად მოზრდოდა ხმაურდამცავი ბალანი. ყოვლისმომცველ ხმაურში მოხვედრისთანავე საჭიროებისამებრ აამოქმედებდა ხოლმე უამრავ ბალანს ერთდროულად. ხმაურს ხომ არა და არ, და ჩურჩულს ხომ თავისთავად ვერ, და არც გაიგონებდა, მაგრამ მაშინ, როცა იქით ჰქონდა საჩოთირო სათხოვარი რედაქტორთან, მის ნათქვამს ძაანაც რომ მოენდომებინა, ვერ მოუყრუებდა.

ვიქირავებ დედას-მეთქი, ჩურჩულით ვუთხარი რედაქტორს, იმან კი, ისე შინაურულად ჩამიკრა თვალი, თითქოს კარგა ხანია, რაც ასე შეხუმრიანებულნი ვყოფილიყავით ერთმანეთთან. მერე მარცხენა ხელით ნიკაპი ზერელედ მოიქექა, მარჯვენათი დერეფნის ბოლოსკენ მიმანიშნა, იქ, სადაც მისივე განმარტებით სააქტო დარბაზი მდებარეობდა, და მეც ისლა დამრჩენოდა, დარბაზისკენ დინჯი ნაბიჯით უკვე დაძრულ რედაქტორს კუდში ავდევნებოდი. მაშასადამე, არ შევმცდარვარ, რომ ვფიქრობდი, ცალი ფეხი სამარეში უდგას-მეთქი. ისეთი გაჭირვებითა და ისეთი ნელი ნაბიჯით — თუკი ნაბიჯი ეთქმოდა მის ცოცვას — მილასლასებდა, გეგონებოდა, ცალი ფეხით ერთ სამარეს კი არა, მთელ სასაფლაოს მიათრევსო. მეტისმეტად თეთრ კედლებზე გამოკიდული უაღრესად გამოჩენილ ადამიანთა ლითოგრაფიები მთელ დერეფანს ორივე მხრიდან თანაბარ სიმაღლეზე თითქმის ბოლომდე გასდევდნენ. მოჩარჩოებული, თანაც შემინული და, რაც მთავარია, იატაკისკენ ოდნავ გადახრილი სახეები იატაკს კი არ ჭვრეტდნენ, არამედ ცნობისმოყვარედ ჩემკენ იყურებოდნენ. რედაქტორი მათ შინაურად მიაჩნდათ, ჩემნაირი თმაგაბურძგვნილი კი, თავის ცხოვრებაში ალბათ პირველად ნახეს-მეთქი. მაგრამ ამაში მაშინათვე გადავრწმუნდი, როგორც კი ერთი ორგან ნაღდად მკვდრებს ვკიდე თვალი. გულზე კი მომეშვა, რაკი ვიაზრე, მარტო არ ვყოფილვარ-მეთქი, ეგ იყო, დიდი ხნით ვერ შევინარჩუნე მოგონილი სიმშვიდე. ერთი-ორი მკვდარი კი ერია მათ შორის, მაგრამ ერთი-ორი მკვდარი აუარება ცოცხალთან რა მოსაყვანი იყო. კუთხეებში მტვერჩამჯდარ მინებიდან გადმოკარკლული ათობით წყვილი თვალი ყველა ერთბაშად მე მიყურებდა. ისეთი დაჟინებითა და ისეთი სიჯიუტით მომჩერებოდნენ, თავდაპირველად მეგონა, მთელ იმედებს მხოლოდ ჩემზე ამყარებენ-მეთქი, ოღონდ დერეფნის ისედაც

მქრქალ ნათელს შეძლებისდაგვარად რომ მივაჩვიე ჩემი გამხმარი თვალი, და რომ მათი სიჯიუტის წარმომავლობაც გამოვიცანი, მაშინათვე ვიაზრე, რომ მე მათი იმედები ვერ გავამართლე. ისე ჯიუტად მათვალიერებდნენ, თითქოსდა ვალი მემართა მათი. და არა მარტო ლითოგრაფიები სუნთქავდნენ დერეფანში, რომელიღაც ცოცხალთაგანიც, ოღონდ უკვე ხორცშესხმული და ორ ფეხზე მყარად მდგომი საკუთარი სურათის ქვეშ გარინდებულიყო და ყველასგან უჩუმრად ცდილობდა მსოფლიო სევდას მისცემოდა დღისითმზისით, რაც კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდიდა მის ნებაყოფლობით სიდიადეს. ის მე არ მენაცნობა, მაგრამ მე რა ხელი მქონდა მის საქმეში. არადა, სწორედ საქმეში გახლდათ ჩართული, ვინ იცის, ეგებ მის სანიმუშოდ დავარცხნილი თმის ქვეშ რაოდენ ეპოქალური აზრები იბადებოდნენ იმჟამად. აზრების პარალელურად კი, კილო, კილონახევარი სალექსე მასალა.

კედლებიდან გადმოხრილი, გადმოზნექილი, მინებს მობჯენილი სახეები ანგარიშგასაწევი ძალა კი იყო, მაგრამ მე მას ანგარიშს არ ვუწევდი. შეიძლება ითქვას კიდეც, რომ მინებზე მობჯენილ სახეებს მე არ ვამჩნევდი. სამაგიეროდ ისინი მამჩნევდნენ, მსწავლობდნენ, მათვალიერებდნენ, და, მათი დაუფარავი ოხვრები მამცნობდა, რომ მე მათთვის უცხო, შემოურიგებელი მოპირდაპირე ვიყავი. ბედნიერ ოჯახში დენთის შემგდები, ჩაძინებულ ქალაქზე ცეცხლის მომკიდებელი. სიმართლე ითქვას, არც მე ვრჩებოდი მათთან ვალში. ხმას, მართალია, არ ვიღებდი და სიტყვის უთქმელად, მათთვის თვალის გაუსწორებლად მივიწევდი დერეფანში, ეგ იყო, ისინი საკმარისად ცოცხლები ბრძანდებოდნენ იმისათვის, რომ ერთს მაინც ჩამხვდარიყვნენ დანამდვილებით, ჩემი დუმილით მე მათ ცივ ომს თუ არა, დაუმორჩილებლობას მაინც ვუცხადებდი. სერიოზული მოძრაობის განვითარებას კი იმ მარტივი

მიზეზით ვერ ვახერხებდი დერეფანში, რომ გზად ბევრ მტკივნეულ საკითხს ვეხებოდი, და არა მარტო საკითხს, საკუთარი სხეულის ნაწილებსაც, სახელდობრ — მუხლებს. საჩვენებელ თითს წელში წახრილი მუხლისთავებზე ერთი-მეორის მონაცვლეობით ვიკაკუნებდი, ხოლო პასუხად საოცრად დამამშვიდებელი გუგუნი რაკი ამომესმოდა, ნუგეშად მარტო ესეც მყოფნიდა.

ვერაფერს ვუხერხებდი იმ გამაოგნებელ, დამაბნეველ, ყოვლად გამოუსადეგარ სიტყვებს, რომლებმაც ესოდენ დამიბინძურეს გონება და რომლებიც, წინააღმდეგობის მიუხედავად, ჯიქურ ისწრაფოდნენ წინადადების შესაქმნელად, მაგრამ არა, წინადადება არცერთ შემთხვევაში არ უნდა შემდგარიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ტვინს დამასხმევინებდა მეტროს მოლიპულ ფილაქნებზე, როგორც გოლიათის მიერ ნასროლი ძელქვა. ამიტომაც იყო მოკრძალებითა და რიდით რომ ვტლეკდი და ვციცქნიდი კუთხეაბრეცილი რვეულის ფურცლებიდან აუარება, ერთმანეთზე ახუხულავებულ, ერთმანეთში მიმობნეულ ოკრო-ბოკრო ასოებს განურჩევლად, აზრის მიუნიჭებლად. გამოუსადეგარ, ყოვლად უნაყოფო, ოღონდ იმავდროს დამთრგუნველსა და ერთმანეთში ჩახლართულ ასოებს მუშტში მოგდებულ და ერთმანეთში ალინთულ ჭიაყელებივით სულ კნატაკნუტით ვღეჭდი.

ვერაგულად მოკლული მტრედის გულს ვღეჭდი, სპილოს ზურგის ტვინს ვღეჭდი, ეზოში შემოხეტებული ძაღლის ენას ვღეჭდი, ვეშაპის ღვიძლის ქონს ვღეჭდი, მკვდარი პოეტის უმოქმედო ფილტვს ვღეჭდი, ზარმაცას სახსარს ვღეჭდი, დედის ამომშრალსა და მომჩვარულ ძუძუს ვღეჭდი, გახელებული კამეჩის ასოს ვღეჭდი, სიცარიელესა და მოგონებას ვღეჭდი, საკუთარ მუხლისთავს ვღეჭდი, ყველას და ყველაფერს, ცნებებსა და ნივთებს, უმცირეს და უდიდეს სიდიდეებს ერთნაირი მონდომებით ვღეჭდი, განურჩევლად, და მაინც

ვერ ვისვენებდი, უფრო სწორედ რაღაც არ მანებებდა, უკვე ჯეროვნად გამომშრალი და გალურჯებული ენით ძალისძალათი მალოკინებდა გაცრეცილ ფურცლებს. უკვე ვეღარაფერს აღვიქვამდი, ისედაც გამხმარ თვალწინ ყველაფერი ერთმანეთში აბურდვოდა, თითქოს ყოველი ასო, ყოველი ცნება, ყველა ძარღვი, ყოველი უჯრედი, მთელი სამყარო ერთბაშად თვალწინ მედგა, თითქოს ყველაფერი ერთმანეთში ჩაგრაგნილიყო და ისიც მტვრის ბულულისოდენა ნამცეცში. სწორედ ის, იქამდე მოუხელთებელი, ოღონდ საბოლოოდ მაინც მოხელთებული ნამცეცი იყო ის, რაც ჩემს ნდობას იმჟამად მოხერხებულად იმსახურებდა, მაგრამ მე მას არც და ვერც ვენდობოდი, რადგან უამრავი სიტყვა ერთდროულად ჩატეულიყო მასში. უთვალავი სიტყვა ერთდროულად მაცდუნებდა, და როგორც მაცდურ სიტყვებს სჩვევიათ, ყველანი თავიანთი უბრალოებითა და სისადავით მანონებდნენ თავს, მაგრამ გუმანი მკარნახობდა, ტანი მიგრძნობდა, რომ ის ერთი, ერთადერთი შეუმცდარი და მართებული სიტყვა ჯერაც ვერ მომეხელთებინა, უფრო სწორედ ვერ გამომეცალკევებინა დანარჩენი ნაყარ-ნუყარისგან.

მე მათთვის შემოურიგებელი მტერი, მოუთვინიერებელი არსება, ურჩხული ვიყავი. იმიტომ, რომ მე ტრავმა მქონდა მიღებული ოდესღაც, სიცოცხლესთან შეუთავსებელი ტრავმა, სხეულის უნივერსალური დამწვრობა, მათგან ჩემი მთავარზე უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანი. მათ ისიც იაზრეს, რომ ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობის ჩამომყალიბებელი მე არ ვიყავი, და ისიც, რომ კეთილი საქმისთვის მისული არ ვიქნებოდი. ამიტომაც მათვალიერებდნენ და მსწავლობდნენ გაფაციცებით დერეფნის ისედაც მქრქალ ნათელში. ყველაფერი ეს კი, სხვა არა იყო რა, თუ არა ერთმანეთთან დაუკავშირებელი კულტურებისა და ცივილიზაციების შეჯახება.

რედაქტორი ცოცვითა და ლასლასით, ოღონდ ისეთი დარწმუნებული მიიწევდა წინ, თითქოს სააქტო დარბაზში დამახვედრებდა დედას. და, მართალია, ბევრი ვინმე დამახვედრა იქ, ოღონდ ალღომ მიკარნახა, რომ დედა იქ არამცთუ არ იქნებოდა, არამედ არაფერი ესაქმებოდა მას იქ. დარბაზი დერეფანზე გაცილებით ნაკლებად იყო განათებული, ძლივძლივობით თუ გამოარჩევდი მოგუგუნე სილუეტებს. ჩემ ცხოვრებაში არ მენახა ერთად შეყრილი ამდენი ადამიანი. ცალკეულ წყვილებად შეჯგუფებულნი, ერთმანეთს რაღაცას გაცხარებით უმტკიცებდნენ. ეტყობოდათ კიდეც, ისე ჩართულიყვნენ საუბარში, რომ ჩვენი შესვლა ვერ გაეგოთ. რედაქტორმა პერანგის სახელოში ჩამავლო ხელი და ჩემთვის გაურკვეველი მიმართულებით წამათრია. გუგუნი თანდათან ყაყანში გადაიზარდა, თითქოს იქ მყოფნი მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რომ ერთმანეთის ხმები გადაეფარათ. სააქტო დარბაზში კი არა, შუაგულ ბაზარში გეგონებოდა თავი. უფრო და უფრო მზარდი ყაყანი, ცოტაც და, ყვირილში გადაიზრდებოდა ალბათ. ფარდები ძირამდე იყო დაშვებული, დღის შუქი დარბაზში არ ატანდა. მხოლოდ ფარდის ირგვლივ, როგორც გვიანი მთვარის წითელი რკალი, ლივლივებდა გარედან მომდგარი შუქი. თუმცა ის მქრქალი ნათელიც საკმარისი იყო სილუეტების გამოსარჩევად. ისე აუტანლად ცხელოდა, რომ შუბლი ოფლით მენამებოდა. იძულებული ვიყავი ხელისგული ნამდაუწუმ შუბლზე გადამესვა, ოფლის პანანკინტელა წვეთები თვალში რომ არ ჩამსვლოდა.

რედაქტორი ულონოდ, მაგრამ ისე ოსტატურად მიიწევდა წინ და, თან მეც მიმათრევდა, რომ ერთხელაც არავის დაჯახებია, ეტყობოდა, ზეპირად იცოდა იქაურობა, თვალახვეულიც გაიკვლევდა გზას. მე მორჩილად ვედექი კვალში, ეგაა, მეტისმეტმა მორჩილებამ ლამის სავალალო შედეგამდე მიმიყვანა. სამი თუ ოთხიოდე

საფეხური იყო ასასვლელი, მაგრამ მათი არსებობის შესახებ რაკი არაფერი ვიცოდი, ამიტომაც კინაღამ წავიქეცი. ცოტაც და ტვინს დავასხამდი ძირს. კი წავიფორხილე, მაგრამ თავი შევიმაგრე, არ გავშოტილვარ, მხოლოდ მუხლის დანარცხება მომიწია ფიცარნაგზე. მუხლის ფოსოდან დამამშვიდებელი გუგუნი ამოისმა თუ არა, რედაქციის ბინადრებმა მაშინათვე იყურჩეს. მერე ნაბიჯების ხმა და რაღაც ბრახაბრუხი რომ მომესმა, ვიფიქრე, ყველანი ჩემ წამოსაყენებლად ერთბაშად დაიძრნენ-მეთქი, მაგრამ რედაქტორის გარდა არავინ ნამშველებია. იმან ხელი მხარქვეშ ამომიტარა და ფეხზე წამომაყენა. რედაქციის ბინადრები აღარ ყაყანებდნენ, ნაბიჯების ხმამაც თანდათან იკლო. ჩემ წამოსაყენებლად კი არ დაძრულიყვნენ თურმე, არამედ, თავთავიანთ ადგილებს იკავებდნენ სკამებზე. მალე სამარისებული სიჩუმე ჩამოწვა ისევე, როგორც საჯარო ბიბლიოთეკაში. წესითა და რიგით რედაქციის ბინადრებს წარმოდგენა არ უნდა ჰქონოდათ ჩემი იქ ყოფნის თაობაზე, მაგრამ მაინცდამაინც მე ვიქნებოდი მომხსენებელი თუ ვინმე სხვა ვიგინდარა, მათთვის სულერთი იყო. ისინი მოსასმენად იყვნენ მზად და ამ მზადყოფნას მათ ვერავინ მოუშლიდა.

ერთხანს სწორზე მივცოცავდით უჩუმრად, როგორც ჩაძინებულ ოჯახში შეპარული ქურდები. მერე რედაქტორმა თავისკენ შემატრიალა, მხრებზე ჩამომადო ხელისგულები, რითაც მიმანიშნა – დაჯექიო, და მეც დავჯექი. სავარძელი იყო თუ საგორაო ეტლი – არ ვიცი, თუმცა ერთი იყო თუ მეორე, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ხოლო სულგაკმენდილი დარბაზისკენ ზურგით რომ ვიჯექი და ცხვირწინ მხოლოდ და მხოლოდ ბუტაფორული კედელი რომ მედგა, ეს თავიდანვე ვიაზრე. მალე რედაქტორიც აორთქლდა, ისე უკვალოდ, თითქოს ცას ჩაეყლაპოს, ან მინას. არც ის იკადრა, რამე მაინც დაებარებინა ჩემთვის. ისე ჩამკვ-

დარიყო იქაურობა, გეგონებოდა, ყველა ერთბაშად დახოცილიყო, მხოლოდ გახშირებული სუნთქვა მამცნობდა, მაყურებელი ჯერ კიდევ ცოცხალი რომ იყო.

იქ იყვნენ მარტო პოეტები, მეტი არავინ, ორმოცდაჩვიდმეტი ცოცხალი პოეტი, თანაც ვიგინდარების ჯგრო კი არა, საბუთიანი, ბეჭდითა და ხელმოწერით დადასტურებული ხელოვნების მუშაკები. და აქედან ჩვიდმეტი ქალი. მახსოვს დარბაზში შესვლისთანავე გავივლე გულში — ქალი-პოეტი რაღა ღვთის წყრომაა-მეთქი, თუმცა ისიც დროულად ამომაგონდა გულის სიღრმიდან, რომ მე არ უნდა განმესაჯა მათი საქციელი. არც განმისჯია, მიუკერძოებლად ვიჯექი ჩემთვის სავარძელში, თვალნინ აღმართულ ბუტაფორულ კედელს ვჭვრეტდი და არსებობის ნიშანწყალსაც არ ვამჟღავნებდი. შორიდან პლუშის თოჯინას ჩამოვგავდი, ალბათ.

მაყურებელი სავარძლის მოხაზულობით თუ მიხვდებოდა — სავარძელში სულიერი არსება რომ იჯდა, ან უსულო რამ ნივთი რომ იდო. სუსტი განათების გამო სავარძლის ირგვლივ არსებული სხვა დანარჩენი ნივთები გარკვევით არ ჩანდნენ. ერთმანეთში გადღაბნილი ლაქებივით იკვეთებოდა მათი მოხაზულობა. არა მოძრაობა, არა მომხსენებელი, მხოლოდ და მხოლოდ მომაბეზრებელი ერთფეროვნებით მიჩეჩებული ერთადერთი სურათის აღქმა, და ისიც იმდენად ხაზგასმული უბრალოებით, რომ სავარძელში მჯდომ— თუ დებულისადმი სინანულის გრძნობას იწვევდა მაყურებელში. თითქოს ჩემი მარტოსული ხასიათი მინდოდა მაყურებლისთვის გადამეცა, მეგრძნობინებინა, და თუკი მართლაც ვცდილობდი მსგავსი ხასიათის გადაცემას, უნდა აღინიშნოს, რომ მცდელობა ერთობ უხეირო გამოდგა. ყოველ შემთხვევაში თავიდან ასე ჩანდა. უძრავ სცენაზე არაფერი იცვლებოდა, იმისდამიუხედავად, მაყურებელი უკვე რომ შეიშმუშნა და თავი უხერხულად

იგრძნო, თითქოს სავარძელში მჯდომისგან რაიმე უხამსობას ჰქონდა ადგილი. ჩვიდმეტი ლოყებაფორეჯებული და სულსნრაფი ქალი კაბის კალთის ხელით მოჭმუჭნისას გამოცემული შრიალით გამოხატავდა უკმაყოფილებას და ამითი მიბიძგებდა, მანამუსებდა, მიბრძანებდა — არსებული მდგომარეობა მოძრაობაში მოვიდესო, ოღონდ ნურას უკაცრავად, ჩემეული ჩანაფიქრი შეუვალი და შეუბრალებელი იყო. ათობით დანამქრული თვალით მილურსმულ სცენაზე არაფერი იცვლებოდა. აკვიატებულად, დაჟინებით ვუჩვენებდი მათ იმას, რასაც ისინი ისედაც კარგა ხანია ხედავდნენ. მბჟუტავი შუქი, თითქოს სცენის თავზე ვიღაც პატრუქს აწვალებდა ლამპაში, რომელიც მხოლოდ იმას ახერხებდა, რომ სავარძელი ძლივძლივობით მაინც გამოეყო მასზე მიბჯენილი დანარჩენი სიბნელისგან და, შესაბამისად, ერთადერთი, რაც ყველაზე იოლი გამოსარჩევი იქნებოდა მაყურებლისთვის — სავარძლის ზურგი და კიდევ, სავარძლის ზურგიდან ამოშვერილი ვიღაცის ოფლით მონამული კეფა, როგორც ქოთნიდან ამოღერილი იის ღერი.

მქრქალ ნათელს მაყურებელმა მალე მიაჩვია თვალი და ის, რასაც ადრე გუმანით ხვდებოდა, იმჟამად გარკვევით თუ არა, ბუნდოვნად მაინც აღიქვა: სავარძლის მოშორებით მაგიდა იდგა, ეგ იყო, ჯერჯერობით გაურკვეველი რჩებოდა მაგიდაზე რა ელაგა, თუკი ელაგა საერთოდ რამე. მაგიდის გვერდით უზურგო სკამი, ზედ მიგდებული კუბოკრული, ოღონდ ამოუხსნელი დანიშნულების ქსოვილის ნაჭრით. სკამის ფეხს ოდნავ ჩაფუშული ბურთი მიბჯენოდა. იქვე, შორიახლო დაგორგოლავებული თაბახების გროვაც ეყარა. და კიდევ ათობით, ოღონდ ჯერ კიდევ უჩინარი ნივთი. მქრქალი ნათელი ნივთებს არ აძლევდა იმის საშუალებას, რომ თავთავიანთი იერი გარკვევით გამოეკვეთათ. მთელი ამ ხნის მანძილზე მე ერთხელაც არ გავნძრეულვარ,

არც კი შევტოკებულვარ, და თუკი თავდაპირველად ალბათობასთან წილნაყარი იყო თოჯინასთან ჩემი მსგავსება, იმჟამად დანამდვილებით თოჯინას ჩამოვგავდი. და თოჯინას თუ არა, გომბეშოებით გარშემორტყმულ ბუზანკალს მაინც. ბუზანკალს, რომელიც მოგონილი არხეინობით აკვირდება მის თვალწინ გარინდებულ ხორკლიან გომბეშოებს, ვითომც არ აღელვებდეს ისინი, მაგრამ საკმარისია სივრცეში ანავარდება სცადოს, მაშინათვე გადაკეცილ ენას დაანევენ თავნება მწერს.

თანდათან მოსაბეზრებელი და აუტანელი შეიქნა მაყურებლისთვის უხეიროდ და, რაც მთავარია, უმიზნოდ ჯდომა ჩაბნელებულ დარბაზში. მაყურებელს ცივი წყალი გადაესხა, თუკი იმას იმედოვნებდა, განსაკუთრებულ რამეს მოისმენდა და იქამდე უნახავს ნახავდა. არადა, სწორედ მაყურებლის სულსწრაფობის გამოსაბრძმედად მქონდა ყველაფერი ეს გათვლილი და გაანგარიშებული. რაკი რედაქტორი უკვალოდ გამქრალიყო, წარმოდგენის თვალი და მშვენება მხოლოდ მე ვიყავი. ჰოდა მეც იმას ვცდილობდი, რომ სხვა აზრის გამოტანა მოეხერხებინა მაყურებელს, სხვა რამეს ჩამხვდარიყო, სხვანაირად, სხვა თვალით. დაენახა ის, რასაც ისედაც ხედავდა. ამიტომაც იყო, დაჟინებით რომ ვუჩვენებდი უმოძრაო სცენას გონებაში უაზროდ და უადგილოდ აკვიატებული ტაეპივით. სავარძლის ზურგი მხოლოდ პაროლი იყო. და აი, საერთო მღელვარება და დაძაბულობა თითქმის ხელშესახები შეიქნა, მაყურებელმა თავად იაზრა, ჩემ ჩაურევლად, თუ რატომ ხდებოდა მის თავს ასეთი რამ. იაზრა, რომ არაფრის ჩახვედრა არ იყო საჭირო, და ამასთან ვალდებულიც იყო რამეს მაინც მიმხვდარიყო. ორი განსხვავებული, ერთიმეორის გამომრიცხავი და საწინააღმდეგო ცნება რამენაირად ერთად უნდა შეენივთებინა წარმოსახვაში. და თუკი მოახერხებდა ამას, მაშინღა მიხვდებოდა, ცალკე

ერთეულად აღებული ნებისმიერ იმ ცნებათაგანი თავისთავად დიდი ვერაფერი ბედენა რომ იყო. მთავარი მხოლოდ მათი გადაბმის ადგილი, ოქროს თითქმის უხილავი შუალედი იყო ის, რაც ესოდენ ურევდა თავგზას ისედაც დაბნეულ მაყურებელს. შუალედი, რომელიც ყურადღების მიქცევად ვითომც არ ღირდა, მაგრამ რომელიც თავიდათავი იყო ამ ყველაფერში გასარკვევად. ერთი შეხედვით თითქოს საფუძველსა და ყოველგვარ წინაპირობას მოკლებული იყო ჩემი მხრიდან მსგავსი გათვლა, ოღონდ მაყურებელმა მაინც იაზრა მთავარი, მიხვდა, სწორედ სავარძელი რომ იყო ის შუალედი, რომელსაც უნდა განეპირობებინა ყველაფერი დანარჩენი. პაროლი ხომ დათქმული საიდუმლო სიტყვაა, რომელსაც თავისიანების გამოსაცნობად იყენებენ კონსპირაციულ ორგანიზაციებში. გამომცემლობაზე კონსპირაციული ორგანიზაცია კი რაღა გინდა. მაყურებელს სუნთქვა შეეკრა, თვალს არ უჯერებდა და მაინც, თითქოს სავარძლის ზურგიდან ამოშვერილი ვილაცის კეფა თვალსა და ხელს შუა მომჩვარულიყო, როგორც ინდაურის კისერი, ანდა, როგორც გამხმარი ინის ღერი. დაუჯერებელს დაიჯერებდი, ისე ჩვეულებრივად აღიქმებოდა ცხოვრებისეული უშინაარსობა, თითქოს ასეც იყო სულმუდამ, თითქოს პოეტები თავად კი არ განიცდიდნენ, არამედ ვილაცის ძალისხმევით, ან რაღაც უხილავი ძალა ძალისძალათი ჩასჩიჩინებდა წინდაწინ შეთხზულ ამბებს, და ისიც მხოლოდ იმ მიზნით, რათა პოეტებს განეცადათ ის, რასაც ისინი წარმოდგენითაც კი ვერ წარმოიდგენდნენ.

მერე ისედაც მბჟუტავმა შუქმა სულ მთლად ჩაქრობისკენ ქნა პირი. ნელა, წარმოუდგენელი სინელით, თითქოს სცენის თავზე ვილაც პატრუქის წვალებას შეეშვა ლამპაში და ახლა ერთადერთი სურვილი კლავდა, რამენაირად ჩაებნელებინა დარბაზი. მაყურებლის განმჭოლი თვალიც ვეღარაფერს აღიქვამდა. თვალსა და

ხელს შუა აუორთქლდა სავარძელი და დანარჩენ ბინდს შეერია. და ამასთან, თითქოს არაფერი შეცვლილიყო, რამეთუ აღქმა მიხვედრილობამ და თვალი გულმა შეცვალა. რა იყო ეს? რა საჭიროა ამისი ცოდნა, ნაკადულივით მორაკრაკებდნენ, ძალდაუტანებლად მოედინებოდნენ აზრები, ხასიათები, გრძნობები. ბითურდებოდა, ნადგურდებოდა, უკვალოდ ქრებოდა ყველაფერი დიადი და მასთან ერთად ყველაფერი უმნიშვნელოც, გარდა სილამაზისა; ენით უთქმელი, თვალით უნახავი სილამაზისა. ყველაფერი ცარიელდებოდა, უფრო სწორედ — სიცარიელე იტევდა თავისთავში ყველაფერს, მუნჯი და ვებერთელა სიცარიელე, ყველაფრის შთანთქმელი და დამაქუცმაცებელი.

ირგვლივ სიცარიელე გამეფდა, ყოვლისმომცველი, მუნჯი და ცარიელი სიცარიელე, თითქოს მთელი დარბაზი უწონადი სივრცე იყო. და ამ სივრცეში შორს, ძალიან შორს კრთოდა ერთადერთი წერტილი, რომელიც დროგამოშვებით თვალს ეფარებოდა, როგორც ღრუბლებით გადაფარული შორეული ვარსკვლავი ღამის ცაზე. წარმოსახვა თავად მიისწრაფოდა იმ წერტილისკენ, თუმცა შეიძლება მოჩვენებითი იყო ეს და თვით წერტილი მოისწრაფოდა წარმოსახვისკენ. ორიდან ერთი იყო, მაგრამ დანამდვილებით რომელი იყო, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია. უხერხული და საუცხოო იყო წერტილის მოახლოება. მისი ხილვა თანდათან შესაძლებელი ხდებოდა, თითქოს იმ ეულ ვარსკვლავს ღრუბლების საფარველი გამოერღვია და მიწაზე დასანარცხებლად მოქროდა, მოშხუოდა, როგორც მფრინავ ცოცხზე ამხედრებული კუდიანი დედაბერი. მერე ცოტას კიდევ მოუჩქარა და სულ რაღაც წამისწამში, სულ რაღაც გაელვებაში, ერთბაშად ზედ დამეხეთქა. უფრო სწორედ ის წერტილი გასივდა, გაიბერა, როგორც ორსული, მთელი სიცარიელე მთლიანად მოიცვა, თავისით, ან სხვისი ძალისხმევით

და ვიდრე გასკდებოდა, ვიდრე შობდა უშობელს, იქამდე თავდაპირველად თვალუწვდენი მინდვრები გამოიკვეთა მასში, მერე იმავე მინდვრებში დამაბნეველი სიზუსტით ჩამწკრივებული უზარმაზარფუღუროიანი მუხები, თითქოს მცენარეებს ვებერთელა საშოები დაეფჩინათ და ფუღუროს კიდეებზე მართლაც ლაჯებში ჩახურებული ბალანივით მოსდებოდათ მსუყე, ჭაობისფერი და ხავერდოვანი ხავსი და კიდევ, იმ ხავსზე დაპნეული მტვრის ბულულები. ბულულები, რომლებიც რაღაც ჯადოქრობის ხარჯზე ნაირფრად ბზინვარებდნენ, ხტოდნენ, თითქოს გადავიწყებულ რიტუალურ ცეკვას ასრულებდნენ, როგორც დამთხვეული წარმართი ქურუმები, და მე ვგრძნობდი, ტანით ვგრძნობდი, რომ იმ აუარება ბულულში ერთადერთი იყო ნამდვილი და შეურყვნელი, დანარჩენები კი, მისი მხოლოდ ორეულები, სარკიანი დარბაზის ანარეკლები იყვნენ. გაფაციცებით ვაკვირდებოდი მათ, მინდოდა იმ ერთადერთი ნამდვილი და შეურყვნელისათვის მიმეკვლია, მაგრამ მის გამორჩევას ვერა და ვერ ვახერხებდი, იმ უბრალო მიზეზით, რომ ჩემი საკუთარი წარმოსახვა არ მემორჩილებოდა, არ მისმენდა, ჩემ უკითხავად დაეხეტებოდა, დაძვრებოდა, დაეთრეოდა ბულულებსშორის. მერე ბულულები ერთიან მრთელად სულ თამაშ-თამაშით შექუჩდნენ. თითქოს ერთმა პაწაწკინტელა ბულულმა თავისთავში დაიტია ყველა დანარჩენი, მაგრამ ვიდრე თვალს სათანადოდ ვკიდებდი მას, თავად ის ბულული გამოფრინდა ჩემკენ თავაწყვეტილი სიჩქარით, როგორც ბრძოლის ველიდან გამოქცეული და ოფლში გახვითქული მაცნე ამბის მომტანი. ვიდრე რამის გაფიქრებას მოვასწრებდი, ჯერ თვალწინ ამიელვარდა, თანდათან უფრო და უფრო გაიბერა, გასივდა, და იმის მაგივრად, ყველა და ყველაფერი ჩაეყლაპა, მათ შორის მეც, თავად გასკდა და უთვალავ ნაწილად გაიფანტა თავდაპირველ სიცარიელეში. უფრო

სნორედ, კი არ გასკდა, არამედ, თითქოს ამოტრიალდა, როგორც ხელთათმანი და, თითქოს სიცარიელე სხვა არა იყო რა, თუ არა იმ ბულულის შიდა მხარე.

შუქის ჩაქრობა სულ რამდენიმე წამით თუ გაგრძელდა და მაინც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მაყურებელს ყელი ამოშრობოდა, თითქოს მთელი ამ ხნის მანძილზე გაურეცხავი ატამი ეტლიკა. ნელ-ნელა ისევ განათდა ოთახი, სცენის თავზე ვიღაცამ პატრუქი ამოსწია ლამპაში ალბათ, ოღონდ იმ დონეზე აღარ გაჩერებულა, თავდაპირველად რომ იყო სცენა განათებული. უფრო იმატა, კიდევ, და ბოლოს მთლიანად სცენა ისე გადანათდა, რომ ყველაფერი, რაც კი რამ მოიძებნებოდა ჩემ გარშემო, უკლებლივ წარსდგნენ მაყურებლის წინაშე.

თვალის კუთხით დავინახე, რომ მაგიდაზე წიგნები ეყარა. პოეტური კრებული გადაშლილი იდო, ფურცელი ყვითელი და მყიფე ექნებოდა. გაუთავებელი ფურცვლისაგან კუთხეები გაცრეცილი და მომრგვალებული ჰქონდა. გადაფურცლილ ფურცელს ღონიერი ლაქა აჯდა, და თვალის ერთი შევლებითაც ნათელი გახდა, რომ წიგნი ძველი იქნებოდა, ლაქა — ახალი. წიგნთან ახლოს რაღაც ჟურნალიც ეგდო და შორიდანაც იგრძნობოდა, რომ ჟურნალს წიგნი აჯობებდა, ყველაფრით. ნაძირალშემშრალსა და გვერდზე გადაყირავებულ ჭიქას ორი სახაზავი მიყუდებოდა. ერთი იმდენად ახალი იყო, რომ ხასიათს გავიფუჭებდა, ვარდისფერი და თანაც პლასტმასის, მეორე კი, საკმაოზე მეტად ძველი, ისიც ხისგან გამოჩორკნილი და, ამას გარდა, ნულს ქვემოთ მინუსებს უჩვენებდა რატომღაც, განსხვავებით პირველისაგან.

ყველაფერ ამას მაყურებელი ისე უბრალოდ, ძალდაუტანებლად აღიქვამდა, თითქოს დარბაზში კი არ იჯდა, სცენაზე დაბორიალობდა. გეგონებოდა, დარბაზი იატაკის ქვეშ ჩამონტაჟებული, რაღაც არაბუნებრივი

მექანიზმის წყალობით დროდადრო მაღლა იწეოდა, რათა მაყურებელს უკეთ დაენახა სცენა და იქ მიმოყრილი ნივთები, ხან პირიქით, თითქოს დარბაზი ადგილზე იდგა და სცენა იწეოდა ქვემოთ. და ეს ყველაფერი ისე ტალღოვნად და ისე შეუმჩნევლად, თითქოს ვიღაც ერთი მთლიანი აკვანივით არწევდა სცენას, და მასთან ერთად დარბაზსაც. ტალღოვნად, ერთმანეთის მონაცვლეობით, ხან ერთი იყო მაღლა, ხან მეორე, ცხადია მოჩვენებითი იყო ეს რნევა, სხვა რამეში მდგომარეობდა საქმე, თუმცა დარბაზში მჯდომი მაყურებლის თვალი ისე უახლოვდებოდა სცენას, თითქოს იქ მიმოყრილი ნივთები არა სცენაზე, არამედ მაყურებელს თვალწინ ეყარა, თითქოს მაყურებელსა და ნივთებს შორის მანძილი რაღაც ჯადოქრობის მეშვეობით ორთქლდებოდა და, შესაბამისად, მაყურებელს ნივთებზე ხელით შეხების სურვილი უჩნდებოდა. როდისროდის მომწვდა რაღაც არაადამიანური ხმა. გვიან ვიაზრე, რომ ეს მე ვხითხითებდი თავდავინყებით. ერთი მთლიანი ბგერა ზოზინით ამომდიოდა ყელიდან, როგორც უხსენებელი ხვრელიდან. სინამდვილე იმაზე მკაცრი იყო, ვიდრე თავად ვაფასებდი, და როგორც არ უნდა მეთვალთმაქცა, როგორც არ უნდა შემეგულიანებინა საკუთარი თავი, ვითომც მე კი არ ვხითხითებ, მე კი არ ამომდის ყელიდან არაადამიანური ხმა, არამედ დარბაზის სიბნელეში შეყუჟულ მაჯლაჯუნას-მეთქი, სინამდვილე მაინც სინამდვილედ დარჩებოდა. მაჯლაჯუნას ვერ გადავაბრალებდი. ბოლო-ბოლო თავს ხომ არ მოვიტყუებდი.

ბებერი უხსენებელივით ზოზინა ბგერა დარბაზის კედლებს მიაწყდა. და რომ კედლებმა უკან დააბრუნეს ასხლეტილი და ბრმა ტყვიასავით, და რომ მთელი დარბაზის დახუფული სივრცე ჰაერში აბარბაცებულ ბგერას აჰყვა, მასთან ერთად ატორტმანდა აბუქებული მტვრის ბულულივით, და რომ მთელი დარბაზი ერთხმად ახარ-

ხარდა მწიფე ლექსების მევახშესავით, ამის მერეღა შეიკუმშა სცენაზე დამდგარი შუქი. ბგერის დარად შუქიც ზოზინით იკუმშებოდა. იქამდე შეიკუმშა, ვიდრე მუშტის სიმსხო სვეტივითა და მილივით სწორ არილად არ გადაიქცა. ზუსტად ისე, როგორც თეატრში, წარმოდგენის დროს, მსახიობს ღვთის ნათელივით დასდევს ხოლმე კვალდაკვალ რამპა, მისთვის ხაზგასასმელად. შუქის სარტყელში მოქცევისას იქამდე განათებული ნივთები ისევ ბნელში ინთქმებოდნენ, თითქოს ბნელეთი კი არა, სწორედ სხივი ხვრეპდა მათ, გეგონებოდა, უზარმაზარ ჭიანჭველაჭამიას თავისი ვეება დინგი ჭიანჭველების საბუდარში ჩამოეყო სცენის მაღლიდან და ანგარიშმიუცემლად ისრუტავდა ყველაფერს, რაც კი გზად შემოხვდებოდა.

მუშტის სიმსხო სხივი თავზე დამედგა შარავანდედივით, მაგრამ არა დიდი ხნით. ნელა, შეუმჩნევლად ამოძრავდა. ისე ნელა, ვითომც არც იძროდა. სხივთან ერთად სცენის იმ ნაწილმაც წრეზე იწყო ტრიალი, სადაც სავარძელი მოქცეულიყო ზურგით დარბაზისკენ და, შესაბამისად, სავარძელში მე გახლდით მოთავსებული. ეგ იყო, სხივი და სცენის ნაწილი სხვადასხვა მიმართულებებით ტრიალებდნენ. როგორც იქნა დაედგა საშველი დარბაზისკენ პირით შეტრიალებას. რა მოსაბეზრებლად ნელა ტრიალებდა სხივი, ისევე ნელა ვტრიალდებოდი მეც. მაგრამ სხივის მოძრაობებს წინდაწინ ვერ გამოიანგარიშებდი, ზანტად კი ტრიალებდა და უმისამართოდ დაცოცავდა სცენაზე, რათა მორიგი ნივთის იერი გამოეკვეთა, ეგ იყო, რომ არ მოელოდი სწორედ მაშინ იცვლიდა პირს, იქამდე განათებულ საგანს ისევ ბინდი შთანთქავდა, სხივი კი სულ სხვა ნივთს გაანათებდა, თითქოს ჩემ შეტრიალებამდე უნდოდა ყოველი მათგანისთვის ხაზი გაესვა.

სხივი ჯერ კიდევ ხტოდა, დარბაზისკენ რომ პირით შევტრიალდი. სხივი ერთხანს მორიგ საგანზე შეყოვნ-

და, მერე მკვეთრად ჩემკენ გადმოინაცვლა და გაბურძგვნილი თმის ნაცვლად ცხვირის ნახევარი გამინათა. სხივი უძრავად იდგა, მე კი, სვეტივით მდგარ სხივში თავიდან ცხვირის ნახევარი შევყავი, რომელიც თანდათან გამთლიანდა, ცოტა ხნით მეორე ნახევარიც შევაყოვნე და უკანვე გავტრიალდი. სხივი ადგილზე დარჩა, მაგრამ სცენის მოძრავ მონაკვეთს არ შეუნყვეტია წრეზე ტრიალი. ისევ მომინია სხივში ცხვირის შეყოფა, მერე კიდევ, რამდენჯერმე ზედმიწევნით ასე განმეორდა, იმავე თანმიმდევრობით, და მოულოდნელად არაადამიანური ხითხითი რომ მომწვდა, საბოლოოდ მერელა მოვეგე გონს. ისევ მე აღმომხდა შემაღონებელი ხითხითი, მაგრამ ერთი მთლიანი ზოზინა ბგერის ნაცვლად, ახლა ერთ ლუკმად ამოვაფრქვიე სხვადასხვა ბგერის კონა. ხითხითი სათანადოდ არც იყო ჩაჩუმებული, სხივი კვლავ რომ ამოძრავდა, რომელიც ამასობაში ცოტაოდნად გამსხვილებულიყო კიდეც. სავარძლის სამკლავურზე მოქცეული ჩემი ხელის ზურგისკენ გადმოინაცვლა. საკმაო ხანს მედგა ზედ. იქამდე, ვიდრე ჩემი მაჯის ფეთქვა მაყურებელს გარკვევით არ მოესმა. სახეზე იმდენად უმეტყველო იერი მეფინა, რომ ასაკს მიახლოებითაც ვერ გამომიანგარიშებდა კაციშვილი. რაღაცნაირად მოკაკვული ვიჯექი, თითქოს მაყურებლის დასანახად ვიღებდი პირვანდელ პოზას.

უცებ ისევ მთლიანად გადანათდა სცენა, ისე მოულოდნელად, თითქოს სხივი.გასკდა და ნაწილებად გაიფანტა. ერთმანეთის მიჯრით მიყრილი ბევრი ისეთი საგანიც გამოჩნდა, მათ არსებობას არამცთუ მაყურებელი, ვერც მე წარმოვიდგენდი. იმდენად უშინაარსოდ ეყარა ნივთები, თითქოს სცენა კი არა, გოლიათის გამოქვაბულიაო ნაღდად. შემაშფოთებელი სინამდვილის ხარჯზე თავიდან რომ მეგონა, მაგიდის ფეხს ჩაფუშული ბურთი მიბჯენია-მეთქი, ვცდებოდი, თურმე. უფრო გულდასმითი დაკვირვებით ირკვეოდა, რომ არა ბურთი, არამედ გვე-

რდშეზნექილი გლობუსი იყო. შეცდომით ბურთად მიჩნეული გლობუსი მიეგორებინათ მაგიდის ფეხთან და, ისიც ღერძის გარეშე. თავიდან თუკი სკამზე კუბოკრული ნაჭერი ეფინა, ახლა ის ნაჭერი უკვალოდ გამქრალიყო და მის ადგილს ორი, გვერდიგვერდ მჯდარი კატა იკავებდა. კატები თვალებს ნამძინარებივით ჭუტავდნენ, ერთმანეთის დასანახად კბილებს კრეჭდნენ და სიბერისგან კანკალებდნენ. ერთ-ერთს მალე უმტყუნა მოთმინებამ, იქამდე ნებიერად ჩაგდებული კისერი დაჭიმულმა ზეაღმართა და რომ თათის მინვდენა დაუპირა მოპირდაპირეს სიფათთან, ამ უკანასკნელმა დროულად გაარიდა შუქზე აელვარებულ ბრჭყალებს ცხვირ-პირი და, ოთხზე წამომხტარს, თვითონაც ყალყზე დაუდგა ბენვი. თავიდან შემაღონებლად ქშენდნენ, თითქოს საკუთარ ამონასუნთქს სიფათში აფრქვევდნენ ერთმანეთს. მეორე წუთში კი, ერთმანეთს მამასისხლად დატაკებულნი და ერთმანეთში ალინთულები დაუნდობლად კბენდნენ.

ჯიმი პირველად ხედავდა მოჩხუბარ კატებს. საერთოდაც იშვიათი სანახაობაა სახალხოდ მოჩხუბარი კატები. ჩვეულებისამებრ ისინი სადმე მოფარებულში, ბნელ სხვენებსა თუ დასკინტლულ სახურავებზე არკვევენ ერთმანეთში ურთიერთობას, მოკვდავთა თვალთაგან შორს, თითქოს მკვდრების საუფლოს კარისკაცობას ეცილებოდნენ ერთმანეთს. არადა, კატა რომ მკვდრების საუფლოს მცველია, ამას ჯერ კიდევ დამთხვეული ქურუმები მიხვდნენ, ასე რომ, კაცს რომ გგონია — რა მშვენიერი დილაა, შეიძლება იქვე სადმე კატები ერთმანეთს თვალებს უგდებდნენ და დაუნდობლად კბენდნენ. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მათი ეს მარადიული ომი უხილავია და, აქედან გამომდინარე, დილის სინყნარე იმას გარდა, რომ პირობითი, საეჭვო და დამაფიქრებელია, ამასთან მოჩვენებითაცაა.

ჯიმი გაოგნებული შეჰყურებდა გააფთრებულ კატებს. სახეზე მიტკალივით ფერი ედო. მაყურებლისთვის

კი იმდენად სულერთი იყო ნანახი სურათი, რომ საბოლოო ჯამში ყველაფერი აუორთქლდა თვალწინ მოჩხუბარ კატებიან-სცენიანად. მხოლოდ სავარძელი განაგრძობდა წრეზე ტრიალს. დარბაზის დახუფულ სივრცეში მიმოფანტული სხივის ნაწილებიც სადღაც აორთქლდნენ. ბგერებს თუ მიჰყვნენ უკიდეგანო მინდვრებში. გაპამპულებული მაყურებელიც იმათ აედევნა, ალბათ. მეტი რა გზა ჰქონდა. მაყურებელი შიშით მოსარკული თვალებით მიბანცალებდა იმ ბილიკზე, სხივის რხევამ რომ გაკვალა ღამის უსასრულოდ ლურჯ ცაზე. ბოლოს ისე იმატა საერთო სისწრაფემ, რომ ყველაფერი ერთმანეთში აიზილა და ყველაფერი აირ-დაირია. შუქის ნაკუწები ცალკე ლივლივებდნენ, მაყურებელი ცალკე მიბანცალებდა უწონადობაში, ყოველ მათგანს საკუთარი გეზი ეჭირა, თავთავიანთ მისამართებზე იშლებოდნენ. ერთ და საერთო უსასრულობას ქმნიდნენ ყველა ისინი, ერთად შეჯოგილნი, ერთმანეთში არეულები. მარტო სავარძელი იდგა ადგილზე. ეს მის გარშემო იკრიბებოდნენ და კვლავ იშლებოდნენ ცალკე სხივის ნაკუწები და ცალკე მაყურებელი. ყველა ისინი ისეთი მიზანსწრაფვით უახლოვდებოდნენ სავარძელს, თითქოს რაღაც დიადთან ხდებოდნენ წილნაყარნი და დიადის თანაზიარნი. ჯიმი არც მაშინ განძრეულა, არც შეტოკებულა. დარბაზში უმისამართოდ დახეტიალობდნენ ფიქრები, განცდები, შთაბეჭდილებები, რომლებიც სავარძელთან მიახლოების შემდეგ დარბაზის კედლებს აწყდებოდნენ, თითქოს გარღვევა უნდოდათ მათი, ეგ იყო, უკანვე მობრუნება უწევდათ, რამეთუ დარბაზის დახუფული სივრცე აღმოჩნდა ზოგადი და მოჩვენებითი უსასრულობა, და, კედლებზე ასხლეტილი ბრმა ტყვიებივით ისევ ერთმანეთში აღრევა უწევდათ.

სავარძელმა უცებ შეწყვიტა წრეზე ტრიალი. ისე მოულოდნელად და მკვეთრად, რომ ჯიმი მცირეოდნავ

შეინჯღრა. სამაგიეროდ შენჯღრევა საკმარისი აღმოჩნდა ჯიმის გონს მოსაგებად. ძალუმად აძგერებული გულის არსებობაც მაშინღა შეიგრძნო, ყელში რომ მობჯენოდა ამოსახველებელი ჰაერის უკანასკნელი ლუკმასავით. ერთბაშად ნამოხტა ფეხზე, ერთბაშად ჩაიხადა შარვალი, რომელიც გაურეცხაობისგან ლამის სხეულზე აკროდა. არც აცია, არც აცხელა, ჩაიკუზა და იქვე წაბილწა კიდეც სცენა ყველას თვალნინ. ნაბილწა, ოღონდ მოჯმის მაგიერ, მხოლოდ მოკურკლა, როგორც ბატკანმა. დაკლაკნილი ნეხვის ნაცვლად გიშრის თვლებივით კრიალა კურკლის გორაკი ჩამოაპნია. ბოლმობმულ კურკლს ფარდის ნაპრალიდან შემოტანებული არილი დაედგა და, ბოლი არილში, როგორც კვამლი ბუხრის მილში, ზოზინით გაიდღაბნა. და რომ ბოლმობმული კურკლის გარშემო ჯიმიმ მოუხეშავად და დამთხვეულივით დაიწყო ცეკვა, ამ სანახაობაზე ჩვიდმეტმა ლოყებაფორეჯებულმა ქალმა ერთდროულად ქვეშ ჩაიფსა. კაცებს კი, აღტაცების გამომხატავი ყრუ ოხვრა აღმოხდათ. მოუხეშავად ცეკვავდა ჯიმი, როგორც სპილოს ძვლის კუნძულის აბორიგენები აიძულებენ თავიანთ მიცვალებულებს უკანასკნელად იცეკვონ, თითქოს სულ თამაშ-თამაშით აცილებდნენ დიდ გზაზე. ბოლმობმულსა და სხივმოდგმული კურკლის გარშემო ვიღაც ავაზაკის მიერ ფრთებდაწყვეტილი ბუზანკალივით ხტოდა ჯიმი. მისი არსებობა წკივზე ეკიდა. მარტოდმარტო ხტოდა თავზეხელაღებული გომბეშოების წინაშე, რომელთაც შეეძლოთ ერთ წამში გადაესანსლათ.

ბუნებრივ კანონზომიერებათა აშკარა უგულებელყოფისა და შეუფარავი დაცინვის თვალსაჩინო ნიმუშია ის, რასაც სპილოს ძვლის კუნძულის აბორიგენები სჩადიან თავიანთ მიცვალებულებთან. კუბოში ჩასვენების ნაცვლად დაკრძალვამდე მკვდარს ტახტზე ნამოაგორებენ ხოლმე, ისიც გვერდულად. თავქვეშ მუთა-

ქას ამოუდებენ, ლოყაზე ხელისგულს მიაბჯენინებენ, მეორე ხელს ბარძაყზე ჩამოადებინებენ, თანაც თითებსშორის ახრჩოლებულ პაპიროსს გასჩრიან, — ცხადია, თუკი სიცოცხლეშიც მწეველი ბრძანდებოდა, — მერე რაღაც მანქანებით გაყინულ ტუჩებს ღიმილით უბზარავენ, თვალებსაც კი ახელინებენ ცოტაოდნად, და ასე წოლელას რომ შეავლო თვალი, იმას კი არ იფიქრებ, მკვდარი რომაა, პირიქით, ვინძლო იმან გაგკრას გულში, კაცი დაიღალა, ტახტზე წაგორდა და თვალებსაც ამიტომ ლულავსო.

შარვალი კვლავ რომ ამოვიცვი, კურკლის გორაკს მერეღა გავხედე თვალის კუთხით. გორაკისგან მოშორებით დამარცხებული და დაუზოგავად დაკბენილი კატა ვარაუდზე იდგა. მის ირგვლივ ნერწყვშიგარეული მისივე ბეწვის ნაგლეჯები ბღუჯა-ბღუჯა მიმოფანტულიყო, თანაც, მთელი სხეულით აკანკალებულს, აღარც კუდის წამოწევის თავი ჰქონდა. კუდის ბოლო სცენაზე უსიცოცხლოდ ეგდო, თითქოს კუდი მას აღარ ეკუთვნოდა. თითქოს კუდიდან შესდიოდა სხეულში რაღაც საოცრად დამამშვიდებელი. იქამდე რვაჯერ განცდილი, რვაჯერ გადავიწყებული და, შესაბამისად, უკანასკნელად განსაცდელი. ის, რასაც ამ ჯერზე ვეღარსად გაექცეოდა. სრულყოფილად, ყველა ძარღვით, ყველა კუნთით, ყოველი უჯრედით უნდა განეცადა ამ ჯერზე ის, რასაც ადრე ნაწილ-ნაწილ, ლუკმა-ლუკმა განიცდიდა ხოლმე. კატასაც მეტი აღარაფერი დარჩენოდა, გარდა კანკალისა. მოპირდაპირე მისგან მოშორებით გაუნძრეველად იჯდა, და არ გცოდნოდა კატა რომ იყო, გეგონებოდა, კატის ფორმის ყულაბა დევსო. სულ ახლახან ბრძოლაგამოვლილის მას არაფერი ეტყობოდა. დამარცხებულის მხარეს კი იყურებოდა, ოღონდ ზანტი ცნობისმოყვარეობით, ცხადიც იყო, ის აკანკალებულს ვერ ხედავდა, სადღაც მასში განმჭოლ იხედებოდა. დამარცხებულს ის, როგორც სველ ადგილს, ისე აღიქვამდა.

სამაგიეროდ, რედაქტორი ცხადლივ ხედავდა უმოწყალოდ დაკბენილს. რედაქტორს უკვე მოესწრო სამოსისგან განძარცვა. კურკლის გორაკთან დედიშობილა მდგარი აკანკალებულ ცხოველს თვალებში მისჩერებოდა ჯიუტად. არილში გადღაბნილ ბოლს უკან მდგარს, ულამაზოდ შესიებული მუცელი უშნოდ ულაპლაპებდა. ნელში ოდნავ მოხრილს, არც ოფლიანი ხელისგულების დაბჯენა დავიწყნოდა გალეულ ბარძაყებზე. მძიმედ, ოღონდ თანაბრად სუნთქავდა. არც ფეხისგულების აბაგუნებამდე იყო შორი. სადაც იყო ააბაგუნებდა კიდეც, სცენას ააზანზარებდა და ალაგ ბეწვამოგლეჯილ ცხოველსაც გულში ჩაიკრავდა. ამ სურათმა განსაკუთრებით ამაფორიაქა, ამაღელვა, შემძრა. ამ სურათს მაყურებელი ვერ ხედავდა, მისი თვალისთვის არ იყო ეს გათვალისწინებული. ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემთვის იყო გათვალისწინებული და გაანგარიშებული, და მეც, რაკი გულის ამათრთოლებელი სანახაობის მოწმე უნებლიედ შევიქენი, იმას გარდა მეტი ხეირიანი ვერაფერი მოვიფიქრე, რომ თავის ცხოვრებაში პირველად გაუპატიურებული ქალივით ავქვითინებულიყავი.

იქ ჯიმის აღარაფერი ესაქმებოდა. ზერელედ გადაავლო თვალი სულგაკმენდილ მაყურებელს და ნასასვლელად, გასაქცევად, გადასახვენად რომ შეტრიალდა, კატა-ყულაბას ჰკიდა თვალი. ამიერიდან აღარც კატას დაედგომებოდა იქ. მკვდრების საუფლოს კარისკაცობა მან ხომ სულ კბილებით მოიპოვა. უკვე მეორე წუთში ჯიმი უკანმოუხედავად გარბოდა. უფრო სწორედ თვითონ ფიქრობდა, მივრბივარო, თორემ მის მოუხეშავსა და უღონო მოძრაობებს მაყურებელი ალბათ, როგორც შენელებულ კადრს, ისე აღიქვამდა, — როგორც ღია კოსმოსში გასულისა და უნონადობაში უხერხულად დაკიდულის უმწეო ფრენას. დაახლოებით ისე, ტოტიდან ტოტზე გადაბობღებას მთელი დღე რომ

ანდომებს საღათას ძილით გათანგული ზარმაცა. მართლაც ზარმაცას დარად დუნედ და უმწეოდ მიიკვლევდა ჯიმი გზას. თითქოს დარბაზის უჰაერობა აბრკოლებდა, რომელიც მის წინ გამჭვირვალე სალი კლდესავით, გინდაც უხილავი, ოღონდ გაუვალი ჯაგნარივით რომ აღმართულიყო. მთელი სხეულის ყოველი უჯრედი ყველა ერთიანად დაბუშებოდა ჯიმის, და ამის გამო მოძრაობებიც მოუხერხებელი ჰქონდა, თითქოს კი არ მირბოდა, ობობას უზარმაზარ ქსელში გაბმული ადგილზევე ფართქალებდა. მის ირგვლივ მიმოფანტული და დამუნჯებული საგნებიც, თითქოს სხვა არა იყვნენ რა, თუ არა ჯიმის დარად იმავე ქსელში გახლართული უსიცოცხლო მწერები. მუხლის ყოველ მოხრაზეც ნაბიჯი სულ უფრო და უფრო უმძიმდებოდა. ოფლში გახვითქულს, ისედაც გამხმარ თვალში ყველაფერი ერთმანეთში არეოდა. რაკი გაუჩერებლივ მოძრაობდა, ეგონა, უცილობლად წინ მივრბივარო, თორემ დანამდვილებით წინ მირბოდა თუ ადგილზევე ბუქნაობდა, არ იცოდა. ისიც გვიან შენიშნა, კარისკაცი შარვლის ტოტზე რომ აბობღებოდა, თითქოს მეტისმეტი სიახლოვის გამო თუ დაიცავდა ჯიმის ცოცხლებისგან. კატის შემაღონებელი კნავილიც კი, ჯიმის ქვითინი რომ გადაფარა, ისიც მოგვიანებით მისწვდა ყურამდე. კატა ისეთი თავდავიწყებით კნაოდა, თითქოს, ჯიმის შარვლის ტოტზე კი არ აბობღებულიყო, არამედ ხელში ატატებულს სარკოფაგში ჩასვენებულ მოგვთან უპირებდნენ ჩაყოლებას. თან, როგორც ეტყობოდა, არც შარვლის ტოტზე აპირებდა დიდხანს კონნიალს. რაღაც ამოუხსნელი, ცხოველური ჟინით შეწუხებული უფრო და უფრო მაღლა, ჯიმის მუცლისაკენ მიინევდა. გარდა აბეზარი კატისა, კაფანდარა რედაქტორის თბილი ამონასუნთქიც, რომელიც კეფაზე ეფრქვეოდა, ჯიმის სულმთლად თავგზას ურევდა. უკვე ვარაუდზე იქნევდა ხელ-ფეხს, ცხადლივ ვეღარაფერს აღიქვამდა, ეგ იყო, გაჩერებას

ყველაფერი ერჩივნა, თუნდაც დაოთხებულს გაბობღ-ება. მალე მართლაც ოთხზე დადგომა მოუწია. კარის-კაცსაც ამასობაში უკვე მოესწრო მისი მუცლისკენ გა-დანაცვლება და, ვინაიდან იმჟამად ჯიმი დაოთხებული იდგა, მის მუცელს ბრჭყალებით ჩაფრენილი კატა პირაღმა ეკიდა. შეუბუმბლავი მართვესავით იოლად ატყავებად კანსაც ისე უხეშად ულოკავდა გაა-ფთრებული ცხოველი, რომ ალოკილ ადგილას კანი ტალ-ღოვნად და ფენა-ფენა ემჩვარებოდა ჯიმის.

სცენის წაბილწვამაც და კურკლის გარშემო დამთ-ხვეულივით ცეკვამაც მაყურებლის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. ეს კანონიერი იყო. იმ სცე-ნაზე არა მარტო მხატვრული კითხვის უბადლო შე-მსრულებლები, მსოფლიო მნიშვნელობის არაერთი პოეტიც გამოსულა, და ამის მერე, ვიღაც ვიგინდარამ, საკუთარი უმეცრებითა და უბირობით გატუტუცებუ-ლმა არც აცია, არც აცხელა, აიღო და, ყველას თვალწინ წაბილწა წმინდა სავანე.

ერთხმად ახუვლებული დარბაზიდან ყოვლისმომც-ველი გუგუნი კი აღწევდა სუსტად განათებულ დერეფნამდე, მაგრამ ჯიმის არაფერი ჩაესმოდა. ყურის ნიჟარებში მოზრდილი ხმაურდამცავი ბალანი თავისდაუ-ნებურად აემოქმედებინა დანიშნულებისამებრ. მუცელს ლამის იატაკზე მიითრევდა, როგორც ბებერი კუ და-ღარული ბაკნის ფერგადასულ ძირს ქვიშნარ სანაპიროზე. და მართლაც, კიდურები, ქვენარმავლის ძვლოვანი ბაკ-ნიდან გამოყოფილი დაკოჟრილი თათებივით განზე გაპქ-ონდა. არ გცოდნოდა დანამდვილებით ჯიმი რომ იყო, შო-რიდან გეგონებოდა, საიდანღაც შემოხეტებული უზარ-მაზარი კუ მიაბიჯებს დერეფანში და, ბაკანზეც კატა კი არა, წყლის პარაზიტი არსება აკვრიაო.

დარბაზი კი გუგუნებდა მთელ ხმაზე, მაგრამ ჯიმის არაფერში ენაღვლებოდა აგუგუნებული დარბაზი. სხვა,

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საფიქრალი გასჩენოდა მოულოდნელად. გამომცემლობამდე კი ძიეღნია თავგადასავლების გარეშე, ეგაა, დარწმუნებული არ იყო, ასევე თუ შეძლებდა შინ მიბრუნებასაც. მართლაც სასწაულს უდრიდა ქუჩაში მისი შეუმჩნეველი გადაადგილება. იმ უბრალო და საბრალო მიზეზით, რომ მისი გადაადგილების სავარაუდო ადგილები პენსიონერთათვის ნინდანინვე ცნობილი იყო. შესაბამისად, სტრატეგიული მნიშვნელობის ყველა ობიექტიც მათ მიერ უკვე დაკავებული იქნებოდა. და რაკი ასე იყო, გამოდის, ჯიმის თუნდაც არ გაევლო არც სავარაუდო გადაადგილების და არც სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილებზე და, პირიქით, შემოვლითი გზებით ევლო, უნდა აღინიშნოს, რომ არც მსგავს შემთხვევაში იქნებოდა მისი საქციელი გამართლებული. პენსიონრები ხომ სპილოებივით არიან. სპილოები კი, მოგეხსენებათ, დიდ მანძილზე კავშირის დასამყარებლად ბგერით სიგნალს მიმართავენ. ასე რომ, საკმარისი იქნებოდა ძელსკამზე მოსვენებულსა და მზეს მიფიცხებულ ნებისმიერ პენსიონერს ჯიმისთვის თვალი მოეკრა, მაშინათვე კისერს შემართავდა ველური მამალივით, რათა ყელიდან ამოსაშვები ბგერა გზად არაფერს დაებრკოლებინა და, რომ არ მოელოდი ისე, დაფჩენილი პირიდან, როგორც სპილო, გულის შემაღონებელ ბღავილს ამოუშვებდა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი მზეს მიფიცხებულს საკუთარი თვალი უმტყუნებდა, უკვე ასეთ დროს მის ფერხთით გაწოლილი და თვალებზე ბენვჩამოლესილი ლხასკური აფსო იმარჯვებდა და ის ატეხდა საყოველთაო განგაშს.

პენსიონერთა იდუმალებას ლხასკური აფსო განსაკუთრებულად უსვამს ხაზს. დაზუსტებით არავინ უწყის ამ ონავარი ცხოველის გენეტიკური საწყისი რაოდენ შორეულ წარსულში იკარგება. მის წარმომავლობაზე მხოლოდ მითებსა და ლეგენდებს ჰყვებიან.

ეპიზოდი მეორე

წარსული

გადმოცემის თანახმად, ოქროსფერი ლხასკური აფსო ერთი მკვდარი პოეტის ყველაზე უფრო საყვარელი ცხოველი ყოფილა. იმასაც ამბობენ, ძაღლის გარდა მთელი კარ-მიდამო სხვადასხვა ჯურისა და წარმომავლობის ცხოველებით იყო სავსე, მაგრამ პოეტის განსაკუთრებულ სიყვარულს მაინცდამაინც აფსო იმსახურებდაო. არცაა გასაკვირი, ოქროსფერი ბენვის წყალობით მზეზე თვალისმომჭრელად აბზინვარებულსა და მეტისმეტად ონავარი ხასიათის მქონე ძაღლს მკვდარი პოეტის სიყვარული სამართლიანად დაემსახურებინა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ერთ ჭარმაგსა და გამოყრუებულ მამასახლისს მისნაირად ბებერმა ცოლმა დიდი ხნის ნანატრი შვილი და, შესაბამისად, გვარის გამგრძელებელი აჩუქა. არადა, ისე მიეღწიათ ორთავეს სიბერემდე, ქალს ერთხელაც არ დაეჩივლა მუცლის ტკივილებით. მამასახლისსაც რახანია ყოველგვარი იმედი გადანურული ჰქონდა. მისდა სამწუხაროდ ცოლი ბერწი, დაუმაკებელი გამოადგა. შეიძლება პირიქითაც იყო, და ცოლს კი არა, თავად მამასახლისს მიუძღოდა წვლილი უნაშიერობაში და საკუთარი უნიათობის შედეგი იყო ცოლის ავად დადუმებული მუცელი. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო თუ ისე, მამასახლისს არაფერში

ენაღვლებოდა ორიდან ერთში გარკვევა, მისი სახლის კედლები, ისევე, როგორც ქალის მუცელი, საფლავის ქვებივით დუმდნენ და ეს უკიდეგანო მდუმარება მამასახლისის ნუხილსაც ისევე შემოერკალა, როგორც დამტვერილ ცხაურს მიტოვებული სასაფლაო.

მაგრამ სასწაულები სად არ ხდება. ერთ ღამით მამასახლისს უცნაური სიზმარი ესიზმრა. უცნაური, რადგან სიზმრებით სრულებით არ გახლდათ განებივრებული. ესიზმრა, თითქოს კუპრივით შავ ბედაურზე ამხედრებული, ცეცხლისა და კვამლის მფრქვეველ ვეშაპს შერკინებოდა, ვეშაპს, რომელსაც მზე გადაეყლაპა და მთელი ქვეყანა სულ ერთიანად ჩაებნელებინა. ირგვლივ ისეთი უკუნეთი იდგა, თვალთან თითს ვერ მიიტანდა კაცი. არაფერი ჩანდა ახლო-მახლო, უმზეო არემიდამოზე უკუნ ღამეს გადაეფარებინა თავისი გაუმჭვირვალე კალთა. მამასახლისი დაუზოგავად იქნევდა მოკლე სატევარს. უკუნ ბნელში ვეშაპის საზიზღარ სიფათს იმის დრუნჩიდან გამოფრქვეული ცეცხლის ენების ხარჯზე არჩევდა. მაგრამ, სამწუხაროდ, გრძნობდა, მკლავის ყოველ მოქნევაზე ძალები ლუკმა-ლუკმა სტოვებდნენ მის სხეულს, თითქოს ხელით სატევარს კი არა, ძალ-ღონეს ისროდა აქეთ-იქით, როგორც მიწის გოროხებს, რომლებიც ძირს დაცემისთანავე მტვრად იქცეოდნენ. მამასახლისი მალე მთლიანად ოფლში გაიხვითქა, როგორც ქალი ვნების ორთქლში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვერა და ვერ მიეღნია ვეშაპის ქერცლიან კისრამდე. ოფლი უკვე წურწურით სდიოდა, აღარც მკლავი ემორჩილებოდა და სატევარსაც უკვე ალალბედზე იქნევდა. სადაც იყო, უკანასკნელი ძალებიც დატოვებდნენ მის უმწეო სხეულს, და უცებ, სად იყო და სად არა, მხარზე ბელურა დაასკუპდა. ფრინველი დაუსწრებლად ეჯდა მხარზე, თითქოს მას არ ეხებოდა, რაც იქ ხდებოდა, და მთელ ხმაზე ისეთი თავდავიწყებითა და ჟინით გალობდა, ვითომც, რომ არ ეგალობა,

ამით გამოუსწორებელ საშინელებას ჩაიდენდა. რაღაც არაბუნებრივი ძალა იგრძნო მამასახლისმა მკლავში, უცნაური სიმხურვალე ჩაეღვარა დაძაბუნებულ სხეულში. ტანშიც სასიამოვნოდ გააჟრჟოლა, და რომ სიამოვნებისგან თხემიდან ტერფამდე გამომაფხიზლებლად დაბურძგლა, და რომ ვენებდაბერილ საფეთქლებში იგრძნო საკუთარი გულის ფეთქვა, სწორედ მაშინ იყო, სადავე ღონივრად მოზიდა, ორ ფეხზე შეაყენა ბედაური, რომელსაც ურჩხულის ცეცხლის ნაპერწკლებით შეტრუსული ფაფრის მონარჩენი ყალყზე დაუდგა და ვეშაპს მიაჭრა. ამ უკანასკნელის უშნოდ გამობერილი და ქერცლიანი მუცლის კანი ბუნდოვნად გაუკრთა თვალწინ, და აღარც შეყოვნებულა, ერთი მოქნევით დაუზოგავად დაჰკრა სატევარი და იმისი უზარმაზარი მუცელი ხრაშუნით გადაფატრა კისრიდან ლაჯებამდე. გველეშაპს დამაყრუებელი გმინვა აღმოხდა, აბარბაცებულმა თავი ველარ შეიმაგრა, ზურგზე გადავარდა და ნაფატრიდან მაშინვე აყროლებული ლორწო გადმოეღვარა. უფრო სწორედ, მინის წიაღიდან ამოფრქვეული ლავასავით ამოენთხია და მისი ნებოვანი და აყროლებული შხეფები მამასახლისს სახეზე, ჩიტს კი ფუმფულა გულმკერდზე მიეფრქვა. ფრინველმა მაშინათვე შეწყვიტა გალობა, ნარნარით ჰაერში აინავარდა და მალე თვალს მიეფარა. ურჩხული ჯერ კიდევ გმინავდა და უშნოდ აფართხალებული კუდს მინაზე აბაგუნებდა, როცა ნაფატრიდან სითხის დენა გაუნელდა და, როცა ნაფატრზე ლორწოს მონარჩენი ბუყბუყით დაებუშტა, აყროლებული ბუშტულებიდან კაშკაშა მზეც ამოცურდა. მნათობმა ერთბაშად დააბრმავა მამასახლისიცა და მისი ბედაურიც. ცხენის შეჭირვებული ჭიხვინი სმენადაგუბებულს სადღაც შორიდან ჩაესმა. ეგ იყო და ეგ.

ცხენის ჭიხვინი საბოლოოდ არც კი ჩაჩუმებულიყო, კაცს, თხემით ტერფამდე გაოფლილს რომ გამოეღვიძა

და, ჯერ კიდევ შთაბეჭდილებებით აღსავსემ, თვალის გახელა ვერ გაბედა. ღამისეული თავგადასავალი, ეგონა, ცხადში გადახდენოდა თავს. იმდენად შთამბეჭდავად დამახსოვრებოდა სულ ახლახან ნანახი სურათი, დარწმუნებული გახლდათ, კაშკაშა მზე თვალს მოჭრიდა. არც გაემტყუნებოდა, სარკმლიდან შემოტანებული დილის მზის სხივი, ბედად, მის თვალზე გარინდებულიყო და ამის გამო ქუთუთოში ყოვლისმომცველი მსუყე ვარდისფერი სივრცე ედგა.

როდის-როდის გაახილა თვალი. ახალგამოღვიძებულს სინამდვილის შეგრძნება სიზმრისეული თვისებების წყალობით ჯერ კიდევ არ აღდგენოდა. ერთიანად ამომშრალ პირში რკინის გემოს გრძნობდა მძაფრად. ჩვეულებრივზე აღელვებული ჩანდა იმ დილით. სიზმარი რაღაცად ენიშნა, უფრო სწორედ, დარწმუნებული იყო, ღამისეული თავგადასავალი რაღაცის აუცილებელი ნიშანი იქნებოდა. თითქოს ბუნების ძალებს რაღაც საიდუმლო გაემხილათ მისთვის და, თუკი მართლაც გაუმხილეს ბუნების ძალებმა იმ სიზმრით რამე, იმ ძალებს არც მისი ცოლი ჩამორჩენია, და იმავე დილით, ჯერ კიდევ საწოლში იწვნენ, ფარდა ისე ახადა იმ საიდუმლოს, რომელსაც მთელი ორი თვის მანძილზე მუცლით დაატარებდა უჩუმრად. თითქოს თუკი დროზე ადრე გაამხელდა, ავი თვალი ეცემოდა და წყალში ჩაუყრიდა ნაწვალევს. უთავბოლოდ ნაწვალევისა და განგების წყალობით ნაბოძების შენარჩუნებას ეჭვის ქვეშ დააყენებდა.

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას უდრიდა მსგავსი ცნობა. ქალის ფეხმძიმობის ამბავმა მთელი სოფელი ელვის უსწრაფესად მოიარა. თითქოსდა სამუდამოდ დადუმებული სახლის კედლებიც კი თვალისდახამხამებაში გამოაცოცხლა. გულჩათხრობილი მამასახლისიც კი მოაბრუნა და ააჭიკჭიკა. მთელი ეზო ნათესავებით გადაიჭედა. საზეიმო განწყობის შესანარჩუნებლად და გასახან-

გრძლივებლად სახალხო გმირზე აღმატებული ლამის ცოცხალი ნმინდანის ცხოვრებისეული სურათებით მოხატული ვეება დროშები გადმოკიდა მამასახლისმა სახლის სარკმლებიდან, რომლებიც იქამდე არ ჩამოუხსნია, ვიდრე ბოლომდე, სრულყოფილად არ მოიმწიფებდა ქალი ნაყოფს საკუთარ სხეულში და ვიდრე თანდათან სულ უფრო მზარდი მუცლით დაატარებდა დერეფნებში აქეთ-იქით. ეზოში თუკი რამ ხე მოიძებნებოდა, ნათესაობამ ნაირფერი ჭინჭები შეაბა ტოტებზე. დროშებითა და ჭინჭებით ისე მორთეს და მოკაზმეს იქაურობა, საცხოვრებელი ეზო კი არა, სოფლის გლახების თავშეყრის ადგილი, ხოლო ხის ტოტებზე შებმული ნაირფერი ჭინჭებიც ამ უკანასკნელთა მიერ სახელდახელოდ შეკონინებული და გაკვანძული ოცნებები გეგონებოდა.

შვიდი თვის მანძილზე ქალის მუცელს ზრდა არ შეუწყვეტია. ისე არაბუნებრივად ებერებოდა, თითქოს ქალი ჰაერს კი ისუნთქავდა, ოღონდ ამოსუნთქვისგან თავს იკავებდა და, ჩასუნთქულ ჰაერსაც სხეულში რაც შეიძლება ღრმად და რაც შეიძლება დიდი ხნით იტოვებდა. მთელი ამ ხნის მანძილზე, ყოველ დილით, ხუშტურის ხასიათზე მოსული სოფლის ვიგინდარები საიდანღაც მოთრეულ უზარმაზარ იერიქონებში ბერავდნენ და ღმუილით აუნყებდნენ სოფელს ახალი დღის დადგომას. იერიქონებიდან ამონაბერი სუსტი ნიავი ვეება დროშებსა და ხის ტოტებზე გამობმულ ჭინჭებს მცირეოდნავ შეარხევდა ხოლმე, როგორც შემოდგომის ფოთლებს, ხოლო სმენის ნამრთმევ ღმუილს ტაძრის სამრეკლოს ზარები ისეთი შორეთიდან ეხმიანებოდნენ, გეგონებოდა, ზარები სოფლიდან კი არა, ცხრა მთას იქიდან ეპასუხებოდნენ.

ყოველ ახალ დღესთან დაკავშირებით მამასახლისს თავისი გეგმები ჰქონდა. ცოლის მოლოგინებამდე მიახლოებით გამოანგარიშებულსა და უსაშველოდ გაჭიმულ დღეებს მოუთმენლად ითვლიდა. გაისმებოდა თუ არა

ყოვლისმომცველი ღმუილი დილის სიწყნარეში, თავის სენაკში მოსვენებული მამასახლისი მოგონილი სიმშვიდით წამოდგებოდა საწოლიდან და კედელზე ამოფხაჭნილსა და ერთმანეთის მიჯრით ჩამწკრივებული ჯადოსნური რიცხვების რიგს ისე დაჟინებით მიაჩერდებოდა ხოლმე, თითქოს სინამდვილეს არ ეგუებოდა და თვალის თვალში გაყრით ცდილობდა გამორჩენილიყო რამეს. მარცხნიდან მოყოლებულ რიცხვებს იმის ნიშნად ჰქონდათ ხაზი გადასმული, რომ ისინი სათვალავში აღარ ითვლებოდნენ. მამასახლისის ნება რომ ყოფილიყო, ყველას ერთიანად გადაუსვამდა ხაზს, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, მარტო მის ნებაზე არ იყო დამოკიდებული მოვლენების განვითარება. ვიდრე ღმუილი არ ჩაჩუმდებოდა და ვიდრე გამოღვიძებული, ერთიანად ახმაურებული, აგუგუნებული სოფელი ახალი დღის ხარჯვას არ შეუდგებოდა, იქამდე არ აცილებდა მამასახლისი კედელს თვალს. ამჩატებული გულიც ასეთ დროს ისე უფრიალებდა ხოლმე, როგორც ტუსაღს, რომელიც საკნის კედელზე აწარმოებს მისჯილი დღეების თვლას და რომელიც განვლილი დღის აღმნიშვნელ რიცხვს განსაკუთრებული გულმოდგინებით გადაშლის ხოლმე ყოველ დილით. მამასახლისსაც ნუგეშად ისღა დარჩენოდა, რომ მარცხნიდან მარჯვნივ დაძრული რიცხვების შთანთქმელი მოკლე ხაზებისთვის დაჟინებით ეცქირა; ხაზებისთვის, ნელა და დუნედ, ოღონდ გეგმაზომიერად რომ შთანთქავდნენ ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებულ აბეზარ რიცხვებს.

დაახლოებით ორასი დღე-ღამე გადაეთვალა მამასახლისს ცოლის მოლოგინებამდე. სენაკის კედელზე ჩამონიკნიკებულ უმეტესობა რიცხვებზეც, რახანია, მოკლე ხაზი გადაესვა უკვე, მაგრამ დღეები ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, თითქოს ყოველდღიურად კი არ ილეოდნენ დღე-ღამის გასაყარზე, არამედ, თითქოს ერთი და იგივე დღე იდგა სულმუდამ, დაუსრულებლად,

და თითქოს მხოლოდ მამასახლისი ინუგეშებდა თავს რიცხვებზე ხაზის გადასმით. გარდა დაახლოებით გამოანგარიშებული ორასი დღისა, ათი დღე აქეთ, ათი — იქით, წესითა და რიგით სათვალავში არ უნდა ჩაეგდო; ეგაა, მამასახლისს არაფერში ენაღვლებოდა წესი და რიგი. დღე-ღამის შემაკონიწებელ წამებს ყალბი, მოგონილი სიმშვიდით ითვლიდა, რის გამოც მისი გული, რახანია, კედლის საათს დამსგავსებოდა. გულისფიცრიდან ისეთი მკაცრად განსაზღვრული შუალედებით ამოესმოდა ბრაგა-ბრუგი, წამების გადათვლაში ყველაზე ზუსტი წამზომი თუღა გაეჯიბრებოდა.

კარგად ვგრძნობდი თავს? არა, ოდნავადაც კი არ ვგრძნობდი თავს კარგად. ვინმე სხვისთვის შეიძლება მართლაც დღეებს აღნიშნავდნენ უკვე დილეგადქცეული სენაკის კედელზე ამოფხაჭნილი რიცხვები, მაგრამ ჩემთვის, თითოეულ იმ რიცხვთაგანი წამების გარკვეულ რაოდენობას წარმოადგენდა. დღეებზე, საათებზე, წუთებსა და წამებზე მქონდა მოლოდინი გადანაწილებული. ჩემი გული მართლაც, როგორც საათის წამზომი, ისე ფეთქავდა. გადაიხრებოდა კედლის საათზე ცანცარა ისარი წამის მორიგ მონაკვეთზე და გულისფიცრიდან მაშინათვე ყრუ დარტყმის ხმა ამომესმოდა ხოლმე. თითო წამში მთელი განვლილი ცხოვრების არა მარტო ცხადლივ გახსენებას, მთელი ცხოვრების ხელახლა გადატანასა და განცდას ვასწრებდი. გადაიხრებოდა საათის ისარი მტკაველის მტკაველით და განვლილი ცხოვრებაც ერთბაშად გადამირბენდა ხოლმე თვალწინ. თუკი ვინმესთვის ეს მოლოდინი ორასი დღით იყო შემოფარგლული, ჩემთვის ის დაახლოებით ჩვიდმეტ მილიონ წამზე იყო გადანაწილებული, ჩვიდმეტ მილიონ ხელახალ ცხოვრებაზე. ხოლო თადარიგში შემონახული გაუთვალისწინებელი ათიოდე დღე, უხეშად რომ ითქვას, დაახლოებით მილიონ წამს გულისხმობდა. მაშასადამე, მილიონი იქით,

მილიონი აქეთ, ვითომც არ უნდა მიმეჩნია რამედ, მაგრამ როგორია მილიონი ცხოვრების არად მიჩნევა?

ეგაა, ყველაფერი ოდესმე მთავრდება, ყველაფერი, თავისი არსით, დასასრულისკენ მიაბოტებს, მიექანება, მიჯლიგინებს. აღარც ქალის მოლოგინებას აკლდა ბევრი. კედელზე ჩამოწიკწიკებულ რიცხვებიდან რამდენიმეღა დარჩენილიყო ხაზგადაუსმელი. მაშასადამე, რამდენიმე დღეღა დარჩენილიყო, რამდენიმე ასეულ ათასი წამი. მაგრამ როდესაც ქალმა ასეული ათასი კი არა, თადარიგში შემონახული მილიონი წამიც უკან მოიტოვა, მაშინ მამასახლისი აწყვეტილი გიჟივით დასაბმელი გახდა. თითქოს ქალის მხრიდან რაღაც მზაკვრობას ჰქონდა ადგილი. თითქოს მთელ სოფელსა და ქალს მის წინააღმდეგ შეეკრათ პირი და მთელი ამ ხნის მანძილზე მამასახლისს მასხრად იგდებდნენ, უნამუსოდ აპამპულებდნენ.

გადაცდა თუ არა თადარიგში შემონახულ დროს ქალის მოლოგინება, მამასახლისის გულისცემაც გაფუჭებული საათივით მოიშალა. ისე მოუჩქარა ფეთქვას, ბოლოს თითო წამში, ერთის ნაცვლად, ათი ერთმანეთში გადახლართული, ერთმანეთზე გადაბმული ცხოვრების გადატანა უხდებოდა. გეგონებოდა, მოსალოგინებელი თავად იყო და არა ცოლი. ქალი ვერ ამჩნევდა მის ფორიაქს, საბუდარში აფუყული მტრედივით აღუღუნებული, გაბერილი მუცლით ისე აუღელვებლად დაგოგმანებდა უშველებელ დერეფნებში, ვითომც მუცელში მოკუნტული ადამიანი კი არ ეჯდა, არამედ კვერცხი, რომლიდანაც დიდი-დიდი შეუბუმბლავი ხუნდი გამოჩეკილიყო. ფეხდაფეხ ადევნებული მამასახლისი აჩრდილივით უჩუმრად დაჰყვებოდა ცოლს. შეყოვნდებოდა ქალი სადმე, ისიც იმწუთას კედელს აეკრობოდა. გალურსული და კედელს აკრული, ალბათ, ვერც კი გრძნობდა უნებურად რომ იჭინთებოდა და ჭინთვისას ძლივს გასაგონ წრიპინს რომ გამოსცემდა,

როგორც თვალაუბელელი წრუნუნა, თითქოს ამით, ქალის სხეულისთვის შორი მანძილიდან უნდოდა რაღაც შთაეგონებინა, ეკარნახა, ებრძანებინა. ბოლოს ისე მიეჩვია ჭინთვასაც და წრიპინსაც, ერთსაც და მეორესაც თავად ველარ ამჩნევდა. აღარც ქალის შეყოვნება იყო აუცილებელი, ცოლის კვალში ჩამდგარს ყოველი კუნთი ისეთი დაჭიმული ჰქონდა, რომ სიარულისას მთელი სხეული, როგორც კარის დაუზეთავი ანჯამა, ისე უჭრიალებდა. თან გაუთავებლად წრიპინებდა, თვალი რომ დაგეხუჭა, სოფლის თავკაცის სახლში კი არა, ვირთხებდასეულ სანაგვეში გეგონებოდა თავი. ასე რომ, ცოლი შეყოვნდებოდა თუ არა, მამასახლისს აღარაფერში ენაღვლებოდა, სოროსაცდენილი წრუნუნასავით წრიპინებდა და თავისას მიერეკებოდა.

მაგრამ ერთ დღეს უცნაურად სახეგადანათებული ქალი სხვანაირად რომ შეყოვნდა და, მხრით კედელს მიბჯენილს, არაბუნებრივი გმინვა რომ აღმოხდა, მამასახლისის წრიპინსაც ბოლო მოეღო. გუმანმა და ალღომ უკარნახა, ქალის გადამდებად ჟრჟოლაშემდგარი სხეული რაღაც მნიშვნელოვანისთვის ემზადებოდა. ბოლო დღეებმა მამასახლისს თვალწინ ცხადლივ გადაურბინეს და ნამისწამში მიხვდა მათ უსუსურობას, მთავარი აწი იწყებოდა. ცოლისკენ ფაციფუცით გაქანებულს, ისედაც აფრიალებული გული ისე აუმჩატდა, თითქოს სულ ნარნარით ამოუფარფატდებოდა საგულედან და მალევე მიეფარებოდა თვალს, როგორც ოდესღაც მის მხარზე დასკუპებული მგალობელი მიეფარა. ერთიანად ამღვრეულ თვალში საღი აზრი აღარ ამოეკითხებოდა, მუცელგამობერილი და მხრით კედელს ახუტებული ცოლის გარდა, თვალწინ ველარაფერს აღიქვამდა. ის იყო, ერთიანად მოშვებული და ფეხიდან საყრდენგამოცლილი ქალი იატაკზე უნდა გაშოტილიყო, მამასახლისმა დროულად რომ მიუსწრო. დროულად ამოუტარა მხარქვეშ ხელი, როგორც წასაქცევად დაძრულ

ტანმსხვილ ოლიხნარს გრძელი სარი, და ჩამუხლვა არ დაანება. უკვე მეორე წუთში, ხელში ატატებულს, სენაკისკენ მიაქანებდა და ქალის გახშირებული და თბილი ამონასუნთქი ლოყაზე სასიამოვნოდ ელამუნებოდა.

ლოყებაფორეჯებული და ოფლში გაბვიოთქული ცოლი მზრუნველად გადააწვინა საწოლზე და, საწოლის გარშემო, თითქოსდა რაღაც ჯადოქრობის წყალობით უეცრად გაჩენილმა ბებიაქალებმა და მშობიარობის მიმღებმა ექიმბაშებმა რომ ატეხეს თავბრუდამხვევი ფაციფუცი, მამასახლისი მიხვდა, იქ აღარაფერი ესაქმებოდა, მისი ადგილი დერეფანში იყო და არა სენაკში. ქალისა და ქალის მუცელში მოკუნტულის მომავალი უკვე სხვებს ეკისრათ და იმ სხვების საქმეში მას ხელი არ მიუწვდებოდა.

ვიდრე ოთახს საბოლოოდ დატოვებდა, უკვე კარის ზღურბლზე მდგარი, იქამდე კიდევ ერთხელ შეტრიალდა, გაფაციცებული მზერა მოავლო იქაურობას, თვალში უკეთ დასარნმუნებლად, მაგრამ საწოლი ვეღარ დაინახა, რადგან საწოლს საქმის მცოდნე ფაშფაშა ქალები დასეოდნენ ისევე, როგორც ტრიალ მინდორში ერთადერთი ყვავილის გვირგვინს მუშაფუტკრების მთელი ჯარი. მამასახლისი უცებ მოეშვა, რაკი საკუთარი თვალით ირწმუნა, საწოლზე მოსვენებულს საიმედო ხელში რომ ტოვებდა. მერე თავი გაურკვეველი მისამართით გააქნია, თავის ქნევით დაამოწმა ის ართქმული სიტყვები, რომელთა თქმა არც იყო აუცილებელი, რომლებიც მის გამოხედვაში ისედაც იგულისხმებოდნენ და, აღარ შეყოვნებულა, ოთახიდან გავიდა, კარიც გაიხურა.

აცქმუტებული მამასახლისი უკაცრიელ დერეფანში მარტოდმარტო იდგა, როგორც სანაპირზე გამოლექილი ქაქი, მაგრამ მალე, დილეგში გამომწყვდეული ნადირივით სივრცე აღარ ეყო და იძულებული შეიქნა, თავაწყვეტილი ბოლთა დაეცა. არც დედა, არც მსახურთაგან ვინმე არ

გაიკარა, თითქოს უსაშველოდ და საზიზღრად გაჭიმული მოლოდინით ტკბობას არავის არღვევინებდა. ორივე ყური ტკივილამდე დაჭიმვოდა, როგორც საქოფაკე სუნნაცემსა და ჩირგვში მიფარებულ ყურებდაწურულ ნაცარა კურდღელს, მაგრამ ოთახიდან გამოღწეული ბუტბუტის ნახევარიც კი არ ჩაესმოდა. რაღაც ყრუ ღმუილის მსგავსს დაეგუბებინა მისთვის სმენა, თითქოს ორივე ყურზე ლოკოკინის უხილავი ნიჟარები მიედო ერთდროულად და, ოთახიდან გამოღწეული ბუტბუტიც, თითქოს სხვა არა იყო რა, თუ არა იმავე ნიჟარებში მოგუგუნე ქარბუქი.

თავაწყვეტილი ბოლთის თითოეული ნაბიჯით თანდათან სულ უფრო და უფრო მოახლოებულ სიბერეში მიაბოტებდა. ისედაც შეევერცხლილი თმაც სულ ერთიანად გადაუთეთრდა. ოფლით შეფეთქილი ხელისგულებით კი, რომ მოეწადინა და ხელი ღონივრად დაექნია, ეზოს ღობეზე აცოცებულ ხავსს დილის ცვარივით მონამავდა. ველარც დროს აღიქვამდა. სადღაც, წარსულისა და მომავლის გზასაყარზე გაჩხერილიყო უხერხულად, როგორც დროის ჭრილში შეყუჟული უდროობა. მაგრამ ოთახიდან გამოღწეული ბუტბუტი, რომელიც გამჭვირვალე ნიჟარაში მოგუგუნე ქარბუქად მიეჩნია, რომ აღარ გათავდა და, რომელმაც მთლიანად მოიცვა და გააჯერა არა მარტო მისი სმენა, უკაცრიელი დერეფანიც, მამასახლისს ტანმა უაზრა, რომ მოლოდინი საკმაოზე მეტად გაწელილიყო.

მან რა იცოდა, ოთახში რა ხდებოდა, რა იცოდა, თუკი ქალის მუცელში მომწიფებული ნაყოფი მუცლის დატოვებას არ ჩქარობდა, თითქოს მხოლოდ და მხოლოდ მუცელი დაეგულებინა საიმედო თავშესაფრად, ერთადერთი ადგილი მთელ ქვეყანაზე, სადაც თავის არიდებას შეძლებდა ყოველგვარი განსაცდელისგან. საკუთარ სხეულში მბორგავის ყოველ მოძრაობას ქალი მტკივნეულად გრძნობდა, თითქოს მის სხეულში მომწიფებული ნაყოფი იქვე აპირებდა გადამწიფებას.

ნაყოფი ჯიუტობდა, ოლონდაც არ გამოსულიყო და დაუზოგავად ბორგავდა, ჩამოუყალიბებელი თითებით კი, გასიებულ ღვიძლზე ეკიდებოდა ქალს. ქალის შეშუპებული მუცლის კანიც ზედმინევნითი სიზუსტით იმეორებდა მტკივნეულად და დაუზოგავად აცქმუტებულის ყველანაირ მოძრაობას. ხან მუხლისთავი ამოჭიმავდა კანს, ხან საოცრად პატარა ხელისგული, ხან კი, პაწაწკინტელა დრუნჩი გაკრთებოდა კანის ზედაპირზე. მთელი შიგნეული ქალს ლავასავით უვარვარებდა, თან ყრუდ უღმუოდა, როგორც მიწისქვეშა სამეფოში ავისმომასწავებლად აბუყბუყებული ლეთე. და ამასთან, ისე უღონოდ იჭინთებოდა, თითქოს იმას ცდილობდა, რომ დაძრული კენჭი დაებადა, მაგრამ, სამწუხაროდ, გრძნობდა, თუკი რამ დაძრულიყო, ის კენჭი კი არა, უზარმაზარი ლოდი იყო. მის ალაგ კანდამსკდარსა და შეშუპებულ მუცელზე უხერხული ცვლილებები მიმდინარეობდა. ტკივილისგან გამოშტერებულს ეგონა, სხეული ცვილისა ჰქონდა და მის წიაღში აცქმუტებული სულდგმული შიგნიდან უძერწავდა ცვილის მუცელს ხელის უხრტილო თითებით.

ბოლოს აღარც ჭინთვის თავი ჰქონდა. თვალებატრიალებული და ოფლში გახვითქული მხოლოდ ყრუდ გმინვას ახერხებდა. ფეხებგადაჩაჩხულსა და ლაჯებსშორის ტაშტშედგმულს გადმოსაღვრელი სითხეც, რახანია, გადმოეღვარა და ტაშტიც პირთამდე ამოევსო. მეტი შეყოვნება აღარ შეიძლებოდა. უკვე ყოველი ნუთი ძვირფასი იყო. ქალს არც ექიმბაშების გაზრდილი ფაციფუცი შეუმჩნევია და ვერც სადასტაქრო დანის აელვარებულმა პირმა მოსჭრა თვალი. ერთიანად მოშვებულს საოცრად დამამშვიდებელი განცდა ეუფლებოდა. განცდა, რომელიც მის ყველა კუნთს, ყოველ უჯრედს თანდათან სულ უფრო თანაბრად ეფინებოდა, და კიდევ გრილ დანაორთქლს გრძნობდა, ოფლით მონამულ შუბლზე სასიამოვნოდ რომ ეფრქვეოდა.

გრილ დანაორთქლს საწოლის თავთით მდგარი ფამ-ფაშა ბებიაქალი აფრქვევდა შუბლზე. ვიდრე ქალი ლაჯ-ებსშორის შედგმულ ტაშტს გადმოსაღვრელი სითხით აავსებდა და ვიდრე ოფლით მონამულ ზენარს — მუშ-ტში რომ მოეჭმუჭნა — თითებს გაუშვებდა, და ვიდრე ფრჩხილქვეშ ჩაქცეული სისხლი შვინდისფერს იკრავ-და, ბებიაქალი იქამდე გაშიშვლდა. წელშიც ოდნავ მოიხარა და სათანადოდ ჩამუხლულმა ოფლიანი ხელისგულები ფაშფაშა ბარძაყებზე დაიბჯინა. განმჭ-ვრეტელ თვალებთან ერთად შეუმოსავი სხეულიც ექიმბაშის ხელში აელვარებული სადასტაქრო დანის პირივით ულაპლაპებდა. მძიმედ, ოღონდ თანაბრად სუნთქავდა, თითქოს მხოლოდ გეგმაზომიერი შუალე-დებით თუ შეიძლებოდა, რომ გრილი ამონასუნთქი ქალის შუბლზე დაეფრქვია. ნესტოებიც გახელებული კამეჩის დრუნჩივით ჰქონდა დაბერილი. მუცელ-გაბერილ ქალს ჯერ თვალით ზომავდა, თავისებურად სწავლობდა მას და, თვალის ერთი შევლებითაც ნათელი იყო, ბოლმობმულ ბებიაქალი ზედმეტი მოძრაობის გამ-კეთებელი არ იქნებოდა, ყოველი მიხვრა-მოხვრა წინ-დაწინ ჰქონდა გათვლილი, და ისიც იქამდე, ვიდრე ერთს შემაჭირვებლად არ ამოიგმენდა და ერთბაშად არ მოწყ-დებოდა ადგილს. ხოლო ფეხისგულებს იატაკზე რომ აბაგუნებდა, რის გამოც მთელ სენაკს აზანზარებდა, ესეც კი მხოლოდ და მხოლოდ ნაწილი იყო იმ სანახაო-ბისა, რითაც ის ფეხებგადაჩაჩხულ ქალს უკანასკნელად ანებივრებდა.

მამასახლისი, მართალია, თვალით ვერ ხედავდა სე-ნაკში დატრიალებულ ამბებს, სამაგიეროდ, გუმანი კარ-ნახობდა იქაური ამბების სიავეს, და არცთუ უსაფუძ-ვლოდ. ოთახიდან გამოღწეულმა ცოცხალი ქსოვილის გაჭრის ხმამ, ექიმბაშების ბუტბუტი რომ გადაფარა, თავისუფლად გააჯერა უკაცრიელი და, შესაბამისად, სულგაკმენდილი დერეფანი. მამასახლისს ოდინდელი

სიზმრისეული ვეშაპი აგონდებოდა, უფრო სწორედ ის ხრაშა-ხრუში, ურჩხულის გაბერილი მუცლის ჩაჭრისას რომ ჩაესმა ოდესღაც. ავი ნინათგრძნობა გაუჩინა უსიამო მოგონებამ. ამომშრალ პირშიც მძაფრად შეიგრძნო რკინის გემო. მაინც არ უტყდებოდა თავისთავს რაიმე ცუდში, თავს იმშვიდებდა, ყველაფერი კარგად იქნებაო, ეგ იყო, ბებიაქალი სხვაგვარად სჯიდა, ეს უკანასკნელი იქამდე ჩაეხუტა ოფლში გახვითქულსა და უკვე სამუდამოდ დამშვიდებულ ქალს, ვიდრე ოთახიდან გამოღნეული ხრაშუნი მამასახლისს ოდინდელ ვეშაპს მოაგონებდა.

მუცელზე დანის დასმისთანავე ნაფატრიდან ლავასავით გავარვარებული სითხის მონარჩენი ამოიფრქვა, რომელმაც სენაკის კედლებიან-ექიმბაშებიანად ყველაფერი მოთხვარა. ხოლო თავად ქალი, დედიშობილა ფაშფაშა ბებიაქალს ადევნებოდა უკვე, როდესაც მისი ყვავილის გვირგვინივით ფენა-ფენა გადაფურჩქნილი მუცლიდან გალურჯებული ბავშვი ამოიყვანეს ქალზე არანაკლებ გაოფლილმა ექიმბაშებმა. ქალს ველარაფერი ეამებოდა, ბავშვს კი ნაღდად ბედზე მიუსნრეს. სულ ცოტაც კიდევ რომ დაეგვიანათ, ისიც დედამისის გზას დაადგებოდა.

გულის ამათრთოლებელი სანახაობის მოწმენი შეიქნენ ხელებდაკაპიწებული ექიმბაშები. ბავშვი მეტისმეტად, გადაჭარბებულად ოქროსფერთმიანი გახლდათ. თოთო და გალურჯებული სხეულის ფონზე დილის მზესავით აბზინვარებული თმის სიფრიფანა კულული სისველის გამო ახალშობილს შუბლზე ჩამოლესოდა. გალურჯებით კი, კიდურებსა და კისერზე შემოხვეულ დაგრეხილ ჭიპლარს გაელურჯებინა, თითქოს არა ჭიპლარი, არამედ მახრჩობელა გველი შემოხვეოდა, ამოსუნთქვის საშუალებას რომ არ აძლევდა ყოველად უუნარო არსებას. დედის მუცლიდან რომ ამოყავდათ, ახალშობილს კრინტიც არ დაუძრავს. არც მაშინ,

როცა კისერზე შემოხვეული ჭიპლარი შეაჭრეს. სულ ის იყო, რომ უკვე ექიმბაშის ხელში ატატებული ისე დაჟინებით დააშტერდა დედის ცხედარს, გეგონებოდა, დამახსოვრება უნდოდა მუცელგამოფატრული გვამისა. მაგრამ მშობლის პირაღმა გაშოტილ სხეულს მთლიან, გარემომცველი სივრცის ნაწილად კი არ გულისხმობდა, არამედ ცალკე ერთეულად, და ისიც, მხოლოდ მუცლის ღრმულს. მხოლოდ ნაფატრის ღრმულში იხედებოდა ჯიუტად, თითქოს იმას ნანობდა, შიგ ჩარჩენა რომ არ დაანებეს.

ზუსტად იმ დღეს იყო მამასახლისი საბნის ქვეშ რომ შეიყუჟა და მას მერე აღარც წამომდგარა საწოლიდან. ეგ იყო, რომ ჩაწოლამდე უკლებლივ ყველა ქალი მიაბრძანა თავისი ეზოდან, თითქოს გრძელ გზაზე ცოლს დააწია გამცილებლებად. ერთადერთი გამონაკლისი გააკეთა, საკუთარი დედა, – მამასახლისზე უარესად გამოყრუებული, მარად თავშალწაკრული და სიკვდილგამწყრალი არსება, – მართალია, არ მიუბრძანებია, თუმცა გამოყრუებული დედაბრის, რომელსაც თვალები კარგა ხნის წინათ ჩაქრობოდა, ქალის გვართან გაიგივება მკრეხელობის მეტი არა იქნებოდა რა. ერთ რიგად დაწყობილ, ლეჩაქმოხურულსა და მხარზე თოფრაგადაკიდებულ ქალების ლაშქარს შეუვალი სიმშვიდით გააყოლა უმოძრაო თვალი აივანზე გადმომდგარმა მამასახლისმა, და რომ ქალის სახსენებელი აღარ დარჩა ეზოში, თავად მხოლოდ მაშინ შებრუნდა ოთახში, აუღელვებლად გაიძრო ტანსაცმელი, ოღონდ სკამის ზურგზე გადაკიდების ნაცვლად ერთმანეთს მიტყუპებულ ქოშებს ზედ დაადო და საბნის ქვეშ შეიყუჟა. მერე, გვერდზე გადახრილმა საწოლის ქვემოდან ოდესღაც შენახული ცარიელი ფურცლების დასტა გამოაძვრინა და ლოგინში ნამომჯდარმა დასტას სული დაბერა. ჰაერში აბარბაცებული მტვრის ბულულები ის-

ევე აციმციმდნენ, როგორც ერთ დროს ვეშაპის პირიდან გამოფრქვეული ცეცხლისა და კვამლის ნაკუწები ციმციმებდნენ უკუნ სიბნელეში.

ისედაც გამოყრუებული, იმ დღის მერე სულ დაყრუვდა. ველარც თავქარიანი სიჩქარით განვითარებულ მოვლენებს აფასებდა წესიერად. უფრო სწორედ, შესაფასებელიც არაფერი ჰქონდა, ვინაიდან მის გარშემო აღარაფერი ვითარდებოდა. დრო, თითქოს გაჩერდა. ყოველი მომდევნო დღე იმდენად ჰგავდა თავის წინამორბედს, რომ ლოგინში მოსვენებული მამასახლისი — თუკი მოსვენება ეთქმოდა მის ფორიაქს — ველარ აცალკევებდა დღეებს ერთმანეთისგან. სათვალავი აერია. რაკი ადგილმდებარეობას არ იცვლიდა და, რაკი მახსოვრობასაც ელალატა მისთვის, ეგონა, არც მოვლენები ვითარდებოდა და, ცხოვრებითაც ერთი და იმავე დღეში უწევდა ცხოვრება, გამუდმებით, დაუსრულებლად.

ერთადერთი, რაც კი ამართლებდა მის არსებობას, ის იყო, რომ თავაუღებლად ხატავდა. გათენებიდან დაღამებამდე კატორღელივით შრომობდა. იქამდე არ ანებებდა ხატვას თავს, ვიდრე მზე არ ჩაესვენებოდა და ვიდრე ფურცელზე რამის გასარკვევად თვალის დათხრა არ გახდებოდა საჭირო. ჩაწოლის დღიდან მოყოლებული, ათასნაირი ვეშაპი დაეხატა უკვე, მაგრამ იმ ერთისათვის, ერთადერთისათვის მაინც ვერ მიეგნო, მაინც ვერ გადაეტანა ფურცელზე, რომლის საზიზღარი სიფათიც გარკვევით აღარ ახსოვდა. დარწმუნებული გახლდათ, რომ ჯერჯერობით ვერ მოეხელთებინა იმისი ამაზრზენი იერი. რომ მიეგნო, უცილობლად იცნობდა, ბოლოსდაბოლოს ტანი უგრძნობდა მოხელთებულის შეუმცდარობას.

ბოლოს კისერი დასაჭკნობად განწირული ყვავილის ღერივით მოეღუნა და ველარც თვალი უჭრიდა წესიერად. უპეებიც კი უძილობისგან სულ ერთიანად ამოუნითლდა, ხოლო სმენაში ოდინდელი ნიჟარის გუგუნი გა-

დაჭიმვოდა, როგორც ექო დახუფულ სივრცეში. თეთრეული, ხელის თითები და ტუჩ-პირიც სულმუდამ გამურული ჰქონდა მას შემდეგ, რაც ხატვას მიჰყო ხელი. ნახშირის ნაგლეჯს ხან ხელში ათამაშებდა, ხან თავისდაუნებურად ციცქნიდა, ხან კი მონდომებით ტლეკდა თავწამახულ ნაგლეჯს, რათა ცხიმიანი მონასმი უფრო ღონიერი გამოსვლოდა.

თავის ნებაზე მიშვებული ბავშვი, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, უპატრონოდ იზრდებოდა. შვილის არსებობა სენაკში განმარტოების დღიდან გადაავიწყდა მამასახლისს. ერთხელაც არ გახსენებია იმის შუბლზე ჩამოლესილი კულული. არც ის იცოდა, ოთხზე ხოხვა ბავშვმა მალე რომ ისწავლა და ასე ფორთხვა-ფორთხვით მთელი კარ-მიდამოს ყოველი კუთხე-კუნჭული მოვლილი და შესწავლილი რომ ჰქონდა, არც ის, სახლის მოსაბეზრებელი ერთფეროვნების შესალამაზებლად ერთ მშვენიერ დღეს ბავშვი ეზოში რომ გახოხდა და პირდაპირ ძუძუდან მოწოვილ მწკლარტე რძეს პირველად რომ გაუსინჯა გემო.

ყოველგვარი ძალისხმევისა და მეცადინეობის გარეშე დავეუფლე დაოთხებულმა ხოხვას. თავიდანვე ისე ჩვეულებისამებრ დავფორთხავდი, თითქოს დედის მუცლიდან დამყოლოდა ამის უნარი. სახლის ყოველი კუთხე-კუნჭული მალე ზეპირად ვიცოდი. რამე ყოფილიყო, თვალახვეულიც გავიკვლევდი გზას. მაგრამ რაოდენ ოსტატურადაც არ უნდა მეფორთხა, მაინც მოსაბეზრებელი იყო ერთსა და იმავე გარემოში ბორიალი. ისე მივეჩვიე იქაურობას, ბოლოს სუნთქვაც კი მიჭირდა. ახალი სივრცეები და, შესაბამისად, ახალი შთაბეჭდილებები მესაჭიროებოდა სასწრაფოდ, გადაუდებლად. დერეფნებში მოხეტიალე მსახურებთან არაფერი მქონდა საერთო, მათ დაუღალავ ფუსფუსში მე რა ხელი მიმიწვდებოდა. ამიტომაც იყო, ერთ მშვენიერ დღეს ეზოს კარში რომ გავძვერი და პირველად

ვნახე მონმენდილი ცა, რომელიც ისე კრიალებდა, რომ ქვეყნიერებას სარკის ზედაპირივით ირეკლავდა. სინამდვილემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ოთახიდან ოთახში ბორიალით თავგაბეზრებულმა, პირველად რომ ვნახე უჭერო სივრცე, ნანახმა სურათმა ერთბაშად ამაფორიაქა. ნედლი მინის სურნელმა თავბრუ დამახვია, ოთხზე მდგარმა კიდურებშიც სასიამოვნო სისუსტე შევიგრძენი. დაფოთლილი ხეები თითქოს მიწიდან კი არ ამოზვინულიყვნენ, არამედ, ალაგ ფესვამოჩრილები ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდნენ, ვითომც იქით ჩაფრენოდნენ მიწას უზარმაზარი კლანჭებით. თან ტოტებზე უამრავი გახუნებული ჭინჭი ეკიდა. გეგონებოდა, რომელიღაც დამთხვეულ აშულს სხვა რამისთვის გამოუსადეგარი ჯვალოს ნაგლეჯები გასამზეურებლად გადაეკიდა ტოტებზე, შემდგომ მუთაქაში ჩასატენად. იქვე, შორიახლო, გორაკივით მდგარ თივის ზვინს ღაბაბმომჩვარული კამეჩი მიმდგარიყო და ისე დინჯად იცოხნებოდა გაყვითლებულსა და გამომშრალ ბალახს, ვითომც თავად არ უნდოდა და ვინმე აძალებდა. თან ფერდებზე დამსხდარი ბუზების გასადევნად ნეხვშემხმარ კუდს, როგორც მათრახს, ისე იტყლაშუნებდა, ოღონდ მცდელობის მიუხედავად ერთი ბუზიც კი ვერ მიესრისა. ბეხრეკი იაბო ყველასგან მოშორებით იდგა, თრთოლაჩავლილ კუნთებზე გადაკრული კანი თვალისმომჭრელად ულაპლაპებდა, ადგილზევე აცქმუტებული დროგამოშვებით ხვიხვინებდა და ნესტოებსაც და ტუჩებსაც ასეთ დროს ისე აცმაცუნებდა, თითქოს ბუტბუტებდა. ფლოქვებით კი მიწას ტკეპნიდა, ერთი სული ჰქონდა, დაეკრა ფეხი, ქარივით უმისამართოდ გავარდნილიყო, თუნდაც მგლის ხახაში ესკუპა თავისი ნებით ან თუნდაც ხევში გადაჩეხილიყო, ოღონდაც კი უქმად დგომას ნუ დააძალებდნენ. გეჯას მიმდგარი და დინგმოთხვრილი თელი სალაფავს მოსწრებაზე თქვლეფდა. მართალია, აღარ შეეძლო,

ყელამდე ამოევსო მუცელი, მაგრამ უმეტყველო თვალებში ეკითხებოდა, რომ ქაფმოგდებული და ალაგ დაბუშტული სალაფავის დანახვაზე გაორკეცებული მადა ეხსნებოდა და კეფაზე მოდებული ფერმკრთალი ბალანიც ეჯაგრებოდა. თან, ნებიერად აბუხუნებულს, ჭიაყელასავით დაგრეხილი კუდი სასაცილოდ უხტოდა, როგორც ფოსოდან მოულოდნელად ამოვარდნილი ზამბარა. მიწაში ჩასობილ პალოზე ჩიჩვირით გამობმული სახედარი კი ისე წრიალებდა პალოს გარშემო, თითქოს თავის დახრჩობას ცდილობდა.

საწოლში წამომჯდარ მამასახლისს არც იაბოს ხვიხვინი ჩაესმოდა, არც თელის ბუხუნი და არც ის მოეხსენებოდა, თუკი სახედარს თავის დახრჩობა გადაეწყვიტა. აღარაფერი ახსოვდა ქვეყნის ზურგზე. თითქოს მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საწოლში მჯდომს გაეტარებინა. ათობით ურჩხულის დახატვას ასწრებდა მთელი დღის მანძილზე, მაგრამ ბალიშზე თავდაკრობილი და მთელი დღის შრომით ძალაგამოცლილი როცა ვარსკვლავებით მოჭედილ ღამის ცას გაუსწორებდა თვალს, მაშინღა ხვდებოდა, იმ ერთადერთისათვის ჯერჯერობით ვერ მიეგნო. სულ ამაოდ ცდილობდა მახსოვრობის ნაკუწებისთვის თავი მოეყარა. ვარსკვლავებს მიშტერებული თითქოს ახერხებდა ხოლმე ოდინდელი სიზმრისეული ვეშაპის საზიზღარი სიფათის აღდგენას და, სასიამოვნოდ ფორიაქშემდგარი, სულმოუთქმელად ელოდა განთიადის დადგომას, დარწმუნებული, რომ ამ ჯერზე აუცილებლად მოახერხებდა აბეზარი სიფათის ფურცელზე გადატანას, ეგ იყო, დილით ხეირიანი არაფერი გამოსდიოდა აკანკალებული ხელიდან და ნახშირით მოხატულ ფურცელს ფურცელი ემატებოდა. დახატავდა თუ არა მორიგ სიფათს, ფურცელს მაშინათვე ჰაერში მოისროდა ხოლმე და, ვიდრე ფურცელი ფარფატით დაეშვებოდა იატაკამდე, იქამდე ასწრებდა მის გადავიწყებას. ყოველი მოსროლილი

ფურცელი მისთვის ნამში კარგავდა ყოველგვარ ფასეულობას. ასე რომ, ვერც იმას ამჩნევდა, თუკი მთელი დღის მანძილზე მასთან სენაკში ორჯერ შესული დედა, — რომელიც საკუთარი ხელით აჭმევდა სანოლში ნამომჯდარს მოხარშულ ბრინჯს, — უკან გაბრუნებისას ცარიელ ლანგართან ერთად იატაკზე მიმოყრილ ფურცლებსაც ხელს გააყოლებდა ხოლმე. მაშასადამე, ვერც იმას წარმოიდგენდა, თუკი დედა, გადაყრის ნაცვლად, ფურცლებს დერეფნის კედლებზე ორივე მხრიდან თანაბარ სიმაღლეზე აჭიკარტებდა.

სანახაობათა მრავალფეროვნებით შეძრული ჯიმი უმისამართოდ დაფორთხავდა ეზოში. კიდევ უფრო მეტი და კიდევ უფრო მძაფრი შთაბეჭდილებების მოსაგროვებლად. ეზო კი არა, თვალუწვდენი სივრცე იყო მის ირგვლივ. შენობის ბინადარმა რა იცოდა, თუკი არემიდამო სადღაც ღობით იქნებოდა შემოსაზღვრული. ეგონა, მთელი ქვეყნიერება იმით იწყებოდა და იმით მთავრდებოდა, რასაც უშუალოდ თვალწინ ხედავდა. ოთხზე მდგარი, მხოლოდ აქა-იქ მიმოფანტულ ცხოველებს ათვალიერებდა და არც ღობის შესაძლო არსებობაზე ფიქრობდა, არც მსახურების საქმიან ფუსფუსს აქცევდა ყურადღებას, არც სიშორეში ჩაკარგული და ქიმზე ნისლმობმული მთაგრეხილი იკავებდა მის გონებას. იმდენად შორეთიდან ლივლივებდა მთაგრეხილი, მისთვის თვალი რომ გაგესწორებინა, მეორე წუთში თვალწინიდან გაგიქრებოდა. მთაგრეხილისგან განსხვავებით, მსახურები ჯიმის გარშემო კი დაფუსფუსებდნენ, მაგრამ ჯიმი მათ ვერ ამჩნევდა. იმდენად მიჩვეულიყო მათ ფუსფუსსაც და მათთან სიახლოვესაც, რომ მათ წესიერად ველარც კი აღიქვამდა. ისინი ისევე უქრებოდნენ თვალწინიდან, როგორც შორეული მთაგრეხილის ბექობები.

ასე ფორთხვა-ფორთხვით შებორიალდა ჯიმი გომურშიც და იქაურ დახუთულ ჰაერში წივას თავი-

სებური სუნი ამოიცნო. გომურის მიწა, რომელიც შარდის გუბეებითა და კვერებად გამხმარი ნეხვით მოფენილიყო, ფარღალალა კედლის ნაპრალებიდან შემოტანებული მზის ალმაცერ სხივებს დაეზოლათ. შარდის გუბეების წყალობით დარბილებულ მიწას უამრავი სახეობის კვალი, როგორც ენაგაკრეფილ მემატიანეს, გარკვევით შემოენახა. არა მარტო ნაკვალევით იყო მოსახერხებელი გომურის ბინადართა გამოცნობა, არამედ ერთმანეთისგან თვალშისაცემად განსხვავებული, სხვადასხვა წარმომავლობის განავლითაც. ფუნა, სკორე, სკინტლი და კურკლი თანაბარი დაშორებებით, როგორც ჭადრაკის ფიგურები, განლაგებულიყვნენ აქეთ-იქით. უთვისებო ყურში ჯიმის არაფერი ჩაესმოდა, თორემ აუცილებლად გააფაციცებდა ის უცნაური ხმიანობა, გომურის ბოლო, ყველაზე ბნელი ნაწილიდან რომ მოისმოდა და, შარდის ამღვრეულსა და აყროლებულ გუბეებს დახვეული ბუზანკლების სმენის ნამრთმევ ზუზუნს გარკვევით თუ არა, სუსტად მაინც რომ გასდევდა ფონად. ჯიმის არც ზუზუნი ჩაესმოდა და არც უცნაური ხმიანობა, სამაგიეროდ ტანი მაინც-დამაინც ამ უკანასკნელისკენ მიუწევდა, თითქოს დახუთულ ჰაერში სუნთქვა შეკროდა და ამოსუნთქვას მხოლოდ სიბნელეში თავწარგული თუღა შეძლებდა. თან ნეხვის კვერებს შორის მიცოცავდა, თან იმას ფრთხილობდა, ფეხი არ ჩაედგა. არც ჩაუდგამს, ისე მიაღწია შენობის ბოლომდე. თუმცა მაინც ამაო გარჯა გამოუვიდა, დარბილებული და შარდის სუნნაკრავი მიწა თითებსშორის თბილი ფუნასავით ესრისებოდა.

თავიდან ვერ მივხვდი, რა იყო. მკრთალი ლაქა სიბნელეში ბუნდოვნად მოჩანდა, თან მცირეოდნავ ირხეოდა, როგორც მოქუფრულ ცაზე თეთრი ღრუბლის ერთადერთი ქულა, რომელსაც ერთიანად მოქუფრული ზეცა, გეგონება, სადაცაა შუაზე გაფხრეწს და თვალის დახამხამებაში შთანთქავსო. უფრო ახლოს მივხოხდი

ლაქასთან და დავრწმუნდი, ცხვარი იყო. გომურში განმარტოებული, გოხ მარილს მიმდგარიყო, ყინულის ლოდივით გამჭვირვალე უზარმაზარ ნატეხს თავდავიწყებით ტლეკდა, თან ცალი თვალი ჩემკენ ეჭირა. მაშინათვე ვიაზრე, ჩემკენ მომვერილ გაშეშებულ თვალში აზრი არ ამოიკითხება-მეთქი, მაგრამ აზრის ამოკითხვას არც ვაპირებდი, მოულოდნელობით დაბურანებული ჩემდაუნებურად მივიწევდი ცხოველისკენ. ხელით მინდოდა შევხებოდი, დასარწმუნებლად, რომ ცხვარი ნამდვილი იყო და არა წარმოსახული.

ჯიმი რომ მიუახლოვდა და ცხოველის ფაფუკ მატყლში ცხვირნარგულმა ხარბად რომ შეისუნთქა ბურტყლში დამწყვდეული თბილი სურნელი, ცხვარი არ გარიდებია. არც შერხეულა, მხოლოდ გაშეშებული თვალი ზანტად დააფახულა, მერე საკმაოზე მეტად გაუფართოვდა და გაილურსა. დაეტყო კიდეც, მარილსაც უკვე ყასიდად ტლეკდა. ჯიმი დაიძაბა. იგრძნო, როგორ აეშალა უფერული ბალანი ზურგზე. უკვე მეორე წუთში შაქზე მდგარი ცხვრისთვის ფეხებს შორის ჰქონდა თავი შეყოფილი. ალალბედზე ირქინებოდა, როგორც ახალმოგებული ბატკანი უბურჩნის მშობელს ნეკის სიმსხო ჯიქანს. ჯიმის საყრდენი ეცლებოდა ფეხიდან, თითქოს მინა დაძრულიყო. სველი თიხასავით დამყოლ მიწაზე ფეხს ვერ იმაგრებდა, ტალახში იგანგლებოდა, მაგრამ თავს მაინც არ ანებებდა. ბოლოს, რძით გაპოხილი ჯიქანი პირში ჯეროვნად მოიგდო თუ არა, ღონივრად მოუჭირა ჯერაც უკბილო ღრძილები, მუცელზე თრთოლაჩავლილმა ცხოველმა კი ჩლიქები ყრუდ ააბაკუნა. არც ამ ჯერზე გარიდებია ცხვარი, არ უუცხოვია, თავისიანად მიიღო ტალახში ამოგანგლული ადამიანი.

საწოლში წამომჯდარი და ნახშირით პირმოთხუპნილი მამასახლისი გომურში დატრიალებული ამბების ბაიბურშიც არ იყო ხატვის გარდა არაფერი ენა-

ღვლებოდა ქვეყნის ზურგზე. მთელი ქვეყანა მისთვის ცარიელ ფურცელში ჩატეულიყო, უფრო სწორედ, უნდა ჩაეტია, და მართლაც, აღშფოთებული ღმერთივით თმაწვერგაწენილი თავდაუზოგავად ცდილობდა ჩატევას, ჩაკვეტებას, ჩაკვეხებას. არც გომურში დატრიალებულ ამბებისა მოეხსენებოდა რამე, არც გომურის ადგილმდებარეობა ახსოვდა და, რაღა გასაკვირია, არც ის სცოდნოდა, თუკი დერეფნის კედლებზე მიჭიკარტებული მისი ნახატები დღითი დღე მრავლდებოდნენ. ვიდრე მორიგ ფურცელს მონასმს დაასვამდა, იქამდე თავწამახული ნახშირის ნაგლეჯს მწყურვალივით ტლეკდა, თან საბანზე გაშლილ ცარიელ ფურცელს დაეშტერდებოდა ხოლმე, მაგრამ სახელდობრ ფურცელს ვერ ხედავდა, სადღაც მის მიღმა იხედებოდა, თითქოს იქ ეგულებოდა ნესტოებიდან ცეცხლისა და კვამლის მფრქვეველი ვეშაპის ამაზრზენი სიფათი და მხოლოდ განსაკუთრებული ძალისხმევისა და ყურადღების მოკრების ფასად თუღა შეძლებდა მის მოხელთებას. ეგ იყო, მისდა სამწუხაროდ, ვერაფრით აღედგინა იმისი საზიზღარი იერი. თუმცა ერთი იყო კიდევ, მოუხელთებელი სიფათი ამაზრზენად აღარ ეჩვენებოდა. მამასახლისი თავისთავსაც არ უტყდებოდა, თორემ არა მარტო მოესწრო ვეშაპის გაშინაურება და თავისიანადაც კი მიაჩნდა უკვე, არამედ, ვეშაპის მეტი მართლაც აღარავინ შემორჩენოდა ქვეყნის ზურგზე.

ბავშვის გაქრობა სახლში გვიან შეამჩნიეს, მაგრამ როცა შეამჩნიეს, სწორედ მაშინ დაიწყო ნამდვილი ცოდვის კითხვა. თავთავიანთ საქმეს მომწყდარი მსახურები დერეფნებში გამოეფინენ და ერთმანეთს ეკითხებოდნენ საქმის ვითარებას. ვითომც მათ პატიოსნებას ვინმე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა და ვითომც მსგავსი შეკითხვის დასმით კითხვის ნიშანს თავისთავად იცილებდნენ. თავიდან გაუბედავად, თავშეკავებულად აფუსფუსდნენ, თითქოს ვიღაცის

მიერ მოგონილი ხუმრობა იყო ბავშვის გაუჩინარებაზე დაგდებული ხმა. თითოეული მათგანი თავს იმაგრებდა, ემანდ მაინცდამაინც მე არ მაპამპულებდნენო, მაგრამ ხუმრობა იქით იყოს, როდესაც მზარდი მღელვარება თითოეულ მათგანს თანაბრად გადაედო, მაშინ ატყდა, რაც ატყდა. ერთი ნაწილი გაცხარებითა და გადამდები მღელვარებით ამტკიცებდა, ნაღდად არაფერი ვიციო. მეორე ნაწილს კი ისე ჩაეგდო ენა მუცელში, თითქოს ყველაფერი მშვენივრად იცოდა და თავს განგებ იშტერებდა. მაგრამ როგორც არ უნდა ეცადათ თავიანთი პატიოსნება საქვეყნოდ დაესაბუთებინათ, აბეზარი კითხვის ნიშანი თითოეულ მათგანზე თანაბრად ვრცელდებოდა. მაშინ სახენამოჭარხლებულნი ერთხმად აყაყანდნენ და ერთმანეთისკენ გაიშვირეს ხელი. დაბნეულები, დამფრთხალები უმწეოდ აწყდებოდნენ ერთმანეთს — ხომ არ დაგინახავსო, ერთმანეთს აბრალებდნენ — ბავშვისთვის ვერ მიგიხედიაო, და ერთმანეთს ამშვიდებდნენ — ბრინჯის მარცვალი ხომ არაა უკვალოდ გამქრალიყოო. თუმცა ისე გადააქოთეს ყველაფერი და მთელი სახლი ერთბაშად თავდაყირა დააყენეს, — ცხადია, მამასახლისის სენაკის გამოკლებით, — რომ ბრინჯის მარცვალს კი არა, კოლოს ხორთუმს იპოვიდა კაცი. საწოლი არ დარჩენილა, ქვეშ რომ არ შეეხედათ. თავახდილი და აყირავებული სკივრებიდან ამოყრილი ფარჩა-ატლასი ჰაერში ფრიალებდა. თითქოს ბავშვი მართლაც ბრინჯის მარცვლისხელა იყო და თავისუფლად შეეძლო სკივრის ჭუჭრუტანაში შეძრომა. ათობით კარი ერთხმად ჭრიალებდა, ათობით ფეხი ერთხმად დაბაგუნობდა და ათობით ხელი ერთხმად დაფათურობდა აქეთ-იქით, უმისამართოდ და დაეჭვებული. ყველა ერიდებოდა ბავშვის აღმოჩენას, ვინძლო მპოვნელზე გადამტყდარიყო ჯოხი. ისეთი აყალმაყალი, გნიასი და ყაყანი იდგა სახლში, გეგონებოდა, მკვიდრი მაცხოვრებელი

კი არა, მტერი შესევია ასანიოკებლადო. კაკანათში გამოჭერილი ჩიტებივით ფრთხიალებდნენ, განსაცდელში ჩავარდნილი დედაკაცებივით ნრიალებდნენ სახეგადაფითრებული და სიმწრის ოფლგადამსკდარი მსახურები. თავიდან თუკი ფაქიზად, ყურადღებით აფრიალებდნენ ფარჩა-ატლასს, უკვე ბოლოს, თავგზაარეულები, საერთო გასაჭირით აფორიაქებულნი და აღგზნებულნი, ისე ნაჩქარევად და ალალბედზე აყირავებდნენ სკამსა თუ მაგიდას, თითქოს ყველანი ერთიანად რაღაც უხილავ ძალას შერკინებოდნენ და ახლა მათ შორის უშეღავათო ბრძოლა მიმდინარეობდა. მართლაც რომ ეპოვნათ ამ დროს ბავშვი, ალბათ სიხარულისგან გაგუდავდნენ. მალე აღარაფერი რომ აღარ დარჩა აუყირავებელი და შეუმოწმებელი, ყველა ერთხმად შედგა სარგადაყლაპულივით და დაბრმავებულმა ბრბომ ავად დადუმებული დენთის საწყობივით ყრუდ ამოიგმინა. ოფლით გაჯერებული და თითქოსდა შემჭიდროვებული ჰაერი ისე დამუხტულიყო, მხოლოდ ცეცხლის ნაპერწკალი თუ განმუხტავდა. მართლაც რომ მიეცა ვინმეს ნაპერწკალი, მთელ სახლს ცაში აიტანდა. სწორედ ამ დროს იყო, ვიღაცამ დაურწმუნებლად რომ წამოიწყო — სამზარეულოო, მაგრამ აღარ დაამთავრებინეს. უგუნური და ერთიან მრთელად აზვირთებული ტალღა ბრმად გაქანდა სამზარეულოსკენ, თითქოს იქ თუღა იქნებოდა ძაღლის თავი დამარხული.

ათასგვარი ჩამჩა, თეფში, მუცელგამურული ქვაბი თუ დანა-ჩანგალი, ახირებული ალქიმიკოსივით თმაგაწენილი დედაბრის ვითომც შეუვალობას ცხადყოფდა, მაგრამ ჭურჭლეული ვერანაირად ვერ შეაბრკოლებდა თვალებზე ლიბრგადაკრულსა და სულით ხორცამდე გამოშტერებულ ბრბოს. ასეც მოხდა, მოუთოკავი ზვავივით შევარდნილმა ბრბომ ერთმანეთის მიყოლებით ააპირქვავა რაც რამ ხელში მოხვდა. თეფში ტკაცანით

იფშხვნებოდა, ძირს დავარდნილი ლანგარი ყრუდ ზრიალებდა, ხოლო თუნუქის ქვაბი აწკრიალებული დანა-ჩანგლის ქოროს აძლევდა ბანს. სამზარეულოში შეჭრისას ბრბოზე გამობმულმა ნიავმა მაგიდაზე მოქუჩებული ნივრის ნაქუჩრალი ჰაერში ააბუქა. თავად გალებად ასხმული ნიორი კი თავიდან მკვეთრად შეირხა, ხოლო მერე ყინვაში გაგდებული ძაღლივით კბილების გაუთავებელ კრაჭუნს მოჰყვა. გულგადაქანებულსა და შემაღონებლად აბღავლებულ დედაბერს ვინ უწევდა ანგარიშს. ეგ კი არა და, ერთი-ორმა მის მდგომარეობაში ნაჩქარევად შესულმა ისიც კი ურჩია, თავს ნუ იგდებო. და მარად თავშალწაკრულ დედაბერსაც თვალებზე ხელის ნაფარების მეტი აღარაფერი დარჩენოდა, ვითომც თვალით თუ არ დაინახავდა, ბრბო მოჩვენებასავით თავისთავად გაქრებოდა. მართლაც გაქრა, ოღონდ გაქრობამდე, სამზარეულომ დანარჩენ ოთახებზე არანაკლებ მნიშვნელოვნად იზარალა. იატაკზე გადღაბნილ ზეთში აზელილი ბრინჯი ქვიშასავით ხრაშუნობდა ფეხქვეშ, ჰაერში აბუქებული ნივრის ნაქუჩრალი და ფქვილი კი მთიდან წამოხვეტილი თოვლის ფანტელებივით ფარფატებდნენ.

მთელი სახლი ერთხმად კი გუგუნებდა, ხვნეშოდა, ღელავდა, როგორც თავის სენაკში განმარტოებული მამასახლისი, მაგრამ ამ უკანასკნელის ხვნეშასა და ღელვას არაფერი ჰქონია საერთო სახლის გასაჭირთან. თუკი პირველი მხარე სულდგმულს დაეძებდა, რომელიც სულ ახლახან აქვე დაფორთხავდა, ამ დროს მამასახლისი ოდინდელი, თანაც სიზმრისეული სიფათის აღდგენას ცდილობდა. მაგრამ როგორც არ უნდა ეხვნეშა და როგორც არ უნდა აღელვებულიყო ნებისმიერი მხარეთაგანი, მოსაძებნის მოძებნასა და აღსადგენის აღდგენაში დრო კი გაჰყავდა, ოღონდ უშედეგოდ. ბრბოს გაუცნობიერებელ მოძრაობებს ფორიაქი ემატებოდა, მამასახლისის საბანზე გაშლილ ფურცელს

ფურცელი. ეგ იყო და ეგ. საქმეში ჩაუხედავ კაცს შეიძლება ისეც ჰგონებოდა, თითქოს ბრბო არსებულის მოხელთებას ცდილობდა, ხოლო მამასახლისი არარსებულის. მაგრამ მამასახლისს არაფერში ენაღვლებოდა საქმეში ჩაუხედავი კაცი. ვეშაპი მის თავში, განცდასა და განსჯაში, მის ნააზრევში ბუდობდა, არსებობდა, ფუტფუტებდა, როგორც მატლი, და აქედან გამომდინარე, მისთვის ის ისეთივე ნამდვილი გამოდიოდა, როგორც სენაკის კედელი, კედლის სორო თუ სოროში გაფაჩუნებული თაგვი. და რა მნიშვნელობა აქვს იმას, თუკი თაგვის ფაჩუნი თვისებადაკარგულ ყურში არ ჩაესმოდა, თუკი სმენაში ისეთივე გუგუნი გადაჭიმვოდა, გამჭვირვალე ნიჟარაში რომ იყო ერთ დროს ჩამწყვდეული. სამაგიეროდ, თვალით ხედავდა, როგორ გამოჰყოფდა ხოლმე ცხოველი პაწაწკინტელა დრუნჩს მხოლოდ მისთვის და მამასახლისისთვის ნაცნობი სოროდან, აწყლიანებულ თვალებით — თითქოს რამეს დარდობდა — ოთახს ცნობისმოყვარედ მოათვალიერებდა, მერე გაფაციცებით დაყნოსავდა ჰაერს და, თვალითაც და დრუნჩითაც რომ ირწმუნებდა სამშვიდობო ამინდს, მაშინღა გამოცუხცუხდებოდა სოროდან. დედაბრის დაუდევრობის წყალობით იატაკზე დავარდნილ რამდენიმე მარცვალ მოხარშულ ბრინჯს მიუსკუპდებოდა და ისე ილუკმებოდა, თითქოს მარტოდმარტო იმყოფებოდა ოთახში, და სადღაც ასეც იყო. მამასახლისი მას არც შინაურად, არც გარეულად, უბრალოდ, არაფრად, ცარიელ ადგილად მიაჩნდა. სამაგიეროდ, მამასახლისისთვის იყო თაგვი ყველაფერი. ნაცრისფერი ცხოველიღა იყო ის ერთადერთი ძაფი, რომელიც მას ჯერ კიდევ აკავშირებდა სინამდვილესთან. მკაცრსა და შეუვალ სინამდვილესთან, რომელიც გაუთავებლად, დაუსრულებლად, უთავბოლოდ გუგუნებდა მის სმენაში გადაჭიმული. თაგვილა დაეგულებინა მამასახლისს ქვეყნის ზურგზე, რასთანაც შეძლ-

ებდა თავის მოწონებას, ცხადია, თუკი ვეშაპის სიფათს მოიხელთებდა, და პირიქითაც, თაგვიღა იყო ის ერთ-ადერთი არსება, რაც მოუწონებდა მოხელთებულ სიფათს და უტყვად დაუდასტურებდა ნახატის უტყუარ, მოუგონარსა და შეუმცდარ წარმომავლობას. ამიტომაც სჯეროდა და სწამდა მამასახლისს თაგვისა. იცოდა, ის არ მოატყუებდა. თაგვს ბუნება აქვს ასეთი და იმიტომ, ირწმუნებდა თავისთავს. უფრო სწორედ, თაგვისა კი არა, ცხოველის აწყლიანებულ თვალებში წამომჯდარსა და თმაწვერგაწეწილ საკუთარ ანარეკლთან, საკუთარ ტყუპისცალთან, ყველაზე მკაცრ მსაჯულთან აპირებდა თავის მოწონებას. ცხოველი მხოლოდ და მხოლოდ მიზეზი იყო.

სამზარეულოში აბუქებული ფქვილი და ნივრის ნაქუჩრალი კარგა ხანია იატაკზე გადღაბნილ ზეთში ეყარა, როდესაც ყოველგვარ იმედგადანურულმა ბრბომ უპასუხისმგებლოდ ჩაძინებულ ჯიმის აყროლებულ გომურში მიაგნო შემთხვევით. შემთხვევით, რამდენადაც გომურის გარდა აღარაფერი დარჩენილიყო მათ მიერ მოუნახულებელი და შეუმონმებელი, და გომურშიც ისე, ალალბედზე, ყოველი შემთხვევისთვის შეიხედეს. ხელის ზომიერ მტევანში უკლებლივ ყველა ბულულიანად რომ ჩაიტევდა ზრდასრული კაცი, ჯიმის იმდენი თივისთვის მიეგნო სადღაც, რაღაც მანქანებით ერთად მოექუჩებინა, როგორც კრუხი აკონინებს თავის საბუდარს, და ზედ მოკუნტულს ცერა თითი პირში მოეგდო. თან თვალებიც ისევე სასაცილოდ დახუჭული ჰქონდა, როგორც დედისგან მიტოვებულ ჯერაც თვალაუხელელ ცინდალს, ქუთუთოების შემაწებებელი წირპლის ამლოკი აღარავინ რომ არ დარჩენია ქვეყანაზე. თავთით დედა ცხვარი ედგა ჯიმის. გაშეშებული თვალებით გაოგნებულ ბრბოს ჯიუტად მისჩერებოდა ცხოველი, მატყლდაკორკოშებული შუბლიც წინ გადმოეხარა, ვითომც ვიღაცას უჩვენებდა, ნახე, როგორი

თავმომრგვალებული რქები მაქვსო; შავ ტუჩებსაც ამ დროს ისე აცმაცუნებდა, თითქოს სიზმრად გასულის ძილს ბუტბუტითა და შელოცვით იცავდა, და ნებისმიერს, ვინც მის გაღვიძებას შეეცდებოდა, წინდაწინ აფრთხილებდა, ხელი აეღო მსგავსი განზრახვისგან. თან გაშავებული ტუჩების გაუთავებელი ცმაცუნისას პირში ჩაწიკწიკებული მოკლე და გაყვითლებული კბილები გაუკრთებოდა ხოლმე. და კიდევ ლურჯი, საოცრად გლუვი და მკვრივი ენის წვერი, გეგონებოდა, საკუთარი ენა კი არ უდევს, შემთხვევით უგემური რამ მოუგდია პირში, ერთი სული აქვს, როდის გადმოაფურთხებს, მაგრამ ხალხის თვალწინ გადმოფურთხებისა ერიდებაო.

ნანახი სურათი სათანადოდ, მთელი სიმწვავით არც კი ჰქონია შეფასებული, სრული დატვირთვით გასიგრძეგანებული, ჩახშულმა ოხვრამ უნებურად რომ გადაურბინა აქამდე სულგაკმენდილ ბრბოს, როგორც ნიავმა მტკნარი ტბის ზედაპირს. ტალახში ამოგანგლულ ჯიმის კედლის ნაპრალიდან შემოტანებული ჩამავალი მზის უკანასკნელი სუსტი ათინათი ედგა თავზე და, მართალია, ათინათი თავისთავსაც კი ძლივსღა ინათებდა, მაგრამ იმაზე მაინც კმაროდა, რომ ჯიმის ოფლით მონამულ შუბლზე ჩამოლესილი კულული ისე თვალისმომჭრელად აებრჭყვიალებინა, თითქოს იმას შუბლზე არა კულული, არამედ ოქროსფერი გველის წინილი ასცოცებია და ოქროცურვილი კანიც იმას უბრჭყვიალებსო. ჯიმის ქვეშ დაგებული თივაც სხვა რად უნდა მიეჩნია გაოგნებულ ბრბოს, თუ არა კრუხის საბუდრად? ყბადაღებული და განსაცდელგადავლილი მსახურები იმას უფრო დაიჯერებდნენ, რომ ბედად სწორედ მაშინ ჩამოეგდო ქარს ჭინჭშებმული ხის ტოტიდან ჩიტის ბუდე და იმავე ქარს ბედად სწორედ მაშინ შეეგორებინა ის ბუდე გომურში — როგორც მოძრავი ურმიდან უეცრად მომძვრალი ბორბალი, — როცა ჯიმის რული

მორეოდა და თვალებაბლიტულსაც ისღა დარჩენოდა, ანაზდად მის ფერხთით მიგორებულ საბუდარზე თავისდაუნებურად გაწოლილიყო, ვიდრე იმას, თითქოს პირზე რძეშეუმშრალს თავად მოეფიქრებინა თივის ბულულების ერთად მოქუჩება და ზედ მოკალათება. პირველის დაჯერება გაცილებით ადვილი იყო, მეტნაკლებად ბუნებრივ კანონზომიერებას ემორჩილებოდა და იმიტომ. ყველაფერს თავ-თავის ადგილზე აყენებდა შემთხვევითობა და ბავშვური იღბლიანობა, ვიდრე მეორე, პირველთან შედარებით გაცილებით უფრო ვერაგული, თავზარდამცემიც, ვინაიდან შემთხვევითობას იქ არრა ესაქმებოდა, რადგან ცივი გონებით გაანგარიშებულის ელფერი დაჰკრავდა. რაც თავისთავად ცხადია, პირზე რძეშეუმშრალი ბავშვისგან ნაკლებად იყო მოსალოდნელი, იმ უბრალო მიზეზით, რომ სურვილისა და შესაძლებლობის შენივთება მისთვის ძალზე ნაადრევი უნდა ყოფილიყო. თუმცა ყველაფერ ამასთან ერთად, იმდენადვე მარტივი და ჩვეულებრივი ჩანდა სინამდვილე, რამდენადაც დაუჯერებელი და ბრბოსაც უნებლიე, ოლონდ მოუგონარი და გულახდილი ღიმილი გამოუკრთა დაძაბულ სახეზე, და რაკი განგების წყალობით საფრთხეც უკან მოეტოვებინა, მოულოდნელი სიხარულით გამოწვეულ ღიმილსაც დამსახურებულად იშნოვებდა. მაგრამ ასე იყო თუ ისე, სინამდვილეს ცუდი სუნი მაინც ასდიოდა, და აქედან გამომდინარე, ნაადრევი ღიმილიც სხვა არა იყო რა, თუ არა გაუგებრობა. ავად დადუმებულ ჯიმის, რაკი ეძინა, ამით ის თითქოს გაუგონარ საშინელებას სჩადიოდა, თანაც არა უნებლიედ, არამედ ნებით, საკუთარი სიჯიუტის მეშვეობით; ბავშვობის შემბღალავი და შემრყვნელი ბავშვი.

ყოველ მომდევნო დღეს ამიერიდან ერთნაირი დასასრული ჰქონდა. მზის ჩასვენებისას ჯიმის ისევ საბუ-

დარზე მოკუნტულს პოულობდნენ, თავთით ისევ ისე, როგორც პირველ დღეს შუბლგადმოხრილი დედა ცხვარი ედგა, რომელიც ისევ ისე უჩვენებდა თავმომრგვალებულ რქებს გომურის კარში შეყოვნებულ მსახურებს. პირში ცერა თითგაჩრილი ჯიმი ისევ ფრთხილად აჰყავდათ ხელში, მკვეთრი მოძრაობით რომ არ გაღვიძებოდა, ასე ხელში ატატებულს თავის ოთახში მიაბრძანებდნენ და მთელი დღის ტალახში ნათრევსა და მწკლარტე რძით ტუჩგაწებილს, დაუბანლადვე ათავსებდნენ საწოლში.

თავიდან თითქოს ეცადნენ კიდეც, გომურ-გომურ ბორიალი მოეშალათ ჯიმისთვის და ყოველ ღამით, საწოლში მოთავსებისთანავე, ჯერ კიდევ თბილ საბუდარს იმ იმედით უმალავდნენ, თითქოსდა, თუკი თივის შექუჩებული ბულულები დილით თავის ადგილზე აღარ დაუხვდებოდა ჯიმის, ისიც ძალაუნებურად გადაეჩვეოდა, თავისთავად გადაავიწყდებოდა ოდინდელი ახირება, თუკი შესაძლებელი იყო, რომ ბავშვის უპასუხისმგებლო საქციელს, უფრო სწორედ უსაქციელობას, ახირება რქმეოდა. მაგრამ ჯიუტი ბავშვი არაფერს ეპუებოდა, არაფერს თმობდა. თივის ზვინიდან მთელი დღე დაუღალავად, მუხლჩაუხრელად ეზიდებოდა პირში მოგდებულ ბულულებს გომურში. გომურიდან ისევ ზვინისკენ მიფორთხავდა და ისევ იმავე თანმიმდევრობით მთელი დღე ჯიუტად, არაბავშვური მონდომებით დაათრევდა პირში გაჩრილ გამხმარი ბალახის ღერებს, როგორც მერცხალი, ჯიუტად რომ ეზიდება ამოჩემებული სარკმლის დირესთან ნისკარტში მოგდებულ გამხმარ სკინტლსა თუ მინის სველ ბოლქვებს, და რაც არ უნდა აუქშიო, თუნდაც სულ ჯოხის ტარით მოუნგრიო წვალებით შეთითხნილი, სახელდახელოდ შეგოზილი ბუდე, ის შეჩვენებული მეორე წუთში ისევ იმ დირეს მიეტანება, ისევ სკინტლით ნისკარტდამშვენებული გამოგეცხადება. ბუდის დამა-

ლვით მსახურები ისევ ჯიმისთვის ირჯებოდნენ, იმას კი არ ცდილობდნენ, რომ ბავშვობასთან მწყრალად მყოფი ბავშვისთვის ბავშვობა შეენარჩუნებინათ, არამედ, ბავშვობისკენ შემოეტრიალებინათ. რაც არასოდეს ჰქონია, იმას, ცხადია, ვერც შეუნარჩუნებდნენ. არ უნდოდათ და ვერც ხვდებოდნენ, უკვე დაგვიანებული და ამაო რომ იყო მსგავსი გარჯა. უკვე იქამდე იყო დაგვიანებული, ვიდრე მის მუცელგაბერილ მმობელს აელვარებულ დანას დაუსვამდა ხელებდაკაპიწნებული ექიმბაში.

გამოყრუებული და მარად თავშალწაკრული დედაბერი გულწრფელად სწუხდა. მისი რწმენით, ბავშვი მეტისმეტად ბინიერ, ადამიანისთვის მკაცრად აკრძალულ საკითხებს ელოლიავებოდა, ბავშვის პირობაზე ეგზომ ნაადრევად ეუფლებოდა ბუნებისმეტყველებას, ღვთისშვილისთვის ყრუდ გადარაზულ კარიბჭეში გაძრომას ცდილობდა, უჩვეულო ადათწესებს სწავლობდა, და სადღაც ასეც იყო. ღვთისშვილთა მოდგმისგან გაგარეულებულ ჯიმის დედაბრის წუხილისა არაფერი ესმოდა, მას ცხოველური ალღო და გუმანი უფრო ადგებოდა მოკარნახედ, ვიდრე მთელი სოფლის ნააზრევი. და როგორც ნებისმიერი ძუძუმწოვარი არსება, ჯიმიც ტანით გრძნობდა, რომ თავისი ყუდე, თავისი სამყოფელი, თავისი სენაკი თავად უნდა აეშენებინა, საკუთარი ფურთხითა და ოფლით შეეკონწებინა. გრძნობდა, მსგავს საპასუხისმგებლო საქმეში სხვისი ნდობა არაფრის დიდებით არ იქნებოდა, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ საზრიანობაზე, მოხერხებულობასა და გამტანობაზე იყო დამოკიდებული ბალავრის გამძლეობაცა და ამოსაყვანი კედლების სიმტკიცეც. მასეა, სხვამ შეიძლება დუღაბის ნაცვლად საკუთარი სკორე შემოგაპაროს და, ჭერი თავზე რომ ჩამოგექცევა, მერე უკვე გვიანღაა იდაყვზე კბენანი. ჯერ კიდევ უხრტილო, სუსტსა და უმნეო

საკუთარ ხელებზე ამყარებდა ჯიმი იმედებს, და სწორედ ეს იყო, რაც დედაბერს გულნრფელი წუხილის საბაბს აძლევდა, და არცთუ უსაფუძვლოდ. ბავშვობადაკარგული ბავშვის მიერ გამოვლენილი უჩვეულო სიჯიუტე გაცილებით უფრო დამაფიქრებელი და სამნუხარო იყო, ვიდრე შვიდი წლის თავზე უკვე წყალგაუვლად გაცხადებული მისი სენის ამბავი.

არავის გაკვირვებია, ჯიმის მეშვიდე შემოდგომაზე მისი უთვისებო ყურისა და უენობის ამბავი რომ გაცხადდა. თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო, თითქოს ეს იყო ერთადერთი პასუხი ყველა იმ კითხვაზე, რასაც ჯიმი თავისი სიჯიუტით უსვამდა სოფელს. სენმა ყველაფერს თავ-თავისი ადგილი მიუჩინა. აწრიალებულ დედაბერსაც კი თვალნათლივ დაემჩნა დამშვიდება. გეგონებოდა, ჯიმის უკურნებელი სენის გაცხადებას განეკურნა თავად. აფორიაქებულ, აწრიალებულ სულზე ისე მოეცხო ჯიმის ყრუ-მუნჯობა დედაბერს, როგორც იმედგადაწურულ ხეიბარს უებარი წამალი.

მთელი შვიდი შემოდგომა ერთი და იგივე მეორდებოდა ყოველდღიურად, ყოველწუთიერად, ერთი და იმავე თანმიმდევრობით, და არც არავინ ცდილა ამ თანმიმდევრობის დარღვევას, თუნდაც უგულებელყოფას. ისე მტკიცედ იცავდნენ სახლის ბინადარნი ამ მკაცრად ჩამოყალიბებულსა და უკვე ჩვეულებად ქცეულ აბეზარ თანმიმდევრობას, თითქოს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა მისი დარღვევა, მისთვის გვერდის ავლა, თითქოს ვინც ამას შეეცდებოდა, ამით გაუგონარსა და გამოუსწორებელ საშინელებას ჩაიდენდა. წუთები წუთებს ცვლიდნენ, დღეები დღეებს, შემოდგომა შემოდგომას ცვლიდა, მაგრამ მთელი ამ ხნის მანძილზე მაინც არაფერი შეცვლილა, არც სასიკეთოსკენ, არც უარესობისკენ. მართალია, ნუთისოფლის ჩარხი ხან წალმა ტრიალებს, ხან უკუღმა, ეგაა, ის ჩარხი იმჟამად საერთოდ

გაჩერებულიყო. მხოლოდ ის იყო, რომ დერეფნის კედლებზე ორივე მხრიდან თანაბარ სიმაღლეზე მიჭიკარტებული მამასახლისის ნახატები მრავლდებოდნენ, ხოლო გომურში დაგებული საბუდარი უცხო თვალისთვის შეუმჩნევლად მიდიოდა განში, — ჯიმიმ უშეცდომოდ იცოდა, ყოველ ჯერზე, თითო ბულულით მეტი უნდა გადაეზიდა თივის ზვინიდან გომურში, — საბუდარზე მოკუნტულს კი, ტუჩ-პირზე ოქროსფერი ღინღლი აცოცდებოდა.

როცა ჩემი უენობის ამბავი საბოლოოდ გაცხადდა, ამ ამბის მამასახლისისთვის შეტყობინება დედაბერმა ითავა. სენაკში განმარტოებულთან შესულმა, საკუთარი ხელიდან რომ აჭმევდა მოხარშულ ბრინჯს, ისე, სასხვათაშორისოდ შეაპარა მამასახლისს სიახლე. ხოლო ამ უკანასკნელმა პირი მცირეოდნავ რომ დააღო, თითქოს ვერ მიმხვდარიყო ვიზე ელაპარაკებოდნენ, ნახშირის ამდენი ტლეკის გამო გაშავებული და გამხმარი ენის მონარჩენი ჭიაღუასავით ამაზრზენად აუფუტფუტდა პირში. ენის მონარჩენის გარშემო დაყრილი და სასაზე აკრული ბრინჯიც თითქოს სხვა არა იყო რა, თუ არა იმავე ჭიაღუას კვერცხები. მამასახლისი უაზრო თვალებით მისჩერებოდა დედაბერს, ნათელი იყო, რომ ვერ გაეგო, რა უთხრეს. ენის გახმობასთან ერთად საბოლოოდ დაყრუებულიყო კიდეც. სიახლის სამცნობად სენაკში შესულ დედაბერს, უკან გამობრუნება ცარიელი ლანგრითა და საპასუხო სიახლით ხელდამშვენებულს მოუწია. მამასახლისის მოულოდნელი უენობის ამბავმაც ელვის უსწრაფესად მოიარა მთელი სახლის ყოველი კუთხე-კუნჭული. მაშინ, ერთ რიგად დაწყობილმა მსახურებმა მამასახლისთან ოთახში მოიყარეს თავი და მისდამი ერთგულების გამოსახატად უკლებლივ ყველამ ენა ამოიძრო და ერთმანეთზე ახუხულავებული ენები მამასახლისს თვალწინ დაულაგეს, როგორც შტაბელებად დაწყობილი ღვინის ბოთლები.

პატარა კაცი — თან თუ მლიქვნელიცაა, მტრისას, — დიდი კაცის საამებლად რას არ იკადრებს, მისი ენა, სადაც საჭირო არაა, ყოველთვის იქ მიძვრება.

სხვა დანარჩენი ძველებურად იყო. ყოველ დილით სოფლის ვიგინდარები საიდანღაც მოთრეულ იერიქონებს ისევ აღმუვლებდნენ მთელ ხმაზე, — როგორც განკითხვის დღის ვებერთელა საყვირებს, — რის გამოც არემიდამოს აყრუებდნენ და იერიქონებიდან ამონაბერი სუსტი ნიავიც სახლის სარკმლებიდან გადმოკიდებულ უზარმაზარ დროშებსა და ხის ტოტებზე შებმულ, აწ უკვე გახუნებულ ჭინჭებს ისევ მცირეოდნავ შეარხევდა ხოლმე. სოფლის ტაძრის ზარები კი ისეთი შორეთიდან ეხმიანებოდნენ იერიქონთა ღმუილს, თითქოს არა სოფლიდან, არამედ ცხრა მთას იქიდან ეპასუხებოდნენო. მამასახლისს ისევ არ ჩაესმოდა ღმუილი, მას ხომ ნიჟარაში ჩამწყვდეული გუგუნი გადაჭიმვოდა სმენაში, მაგრამ ამომავალი მზის წყალობით გაიცრიცებოდა თუ არა ღამის სილურჯე, გვერდზე გადახრილი მაშინათვე ცარიელი ფურცლების დასტას გამოაძვრენდა ხოლმე საწოლის ქვემოდან, დასტას სულს დაბერავდა და დანაბერ ჰაერში აბარბაცებული მტვრის ბულულები ისევ ოდინდელი ვეშაპის პირიდან გამოფრქვეულ ცეცხლის ენებს აგონებდნენ, და ვიდრე სოფელი ახალი დღის ხარჯვას შეუდგებოდა, მამასახლისი იქამდე ასწრებდა ნახშირის თავწამახული ნაგლეჯის მონდომებით გატლეკას, რათა პირველი მონასმი უფრო ცხიმიანი და, შესაბამისად, უფრო ღონიერი გამოსვლოდა, დარწმუნებული, რომ ამ ჯერზე აუცილებლად მოახერხებდა იმ ერთი, ერთადერთი სიფათის მოხელთებას, მაგრამ გადარწმუნებაც ისევე მალე უხდებოდა. სახლის დერეფნებში კი, კედლის ორივე მხარეს თანაბარ სიმაღლეზე ისევ მრავლდებოდნენ დედაბრის მიერ მიჭიკარტებული მისი ნახატები. პალოზე ჩიჩვირით გამობმული სახედარიც

ძველებურად წრიალებდა პალოს გარშემო, თოკი კისერზე ეგრაგნებოდა, მაგრამ თავის დახრჩობა ვერა და ვერ მოეხერხებინა. თივის ზვინს მიმდგარი კამეჩიც ისევ ძალისძალათი იცოხნებოდა გაყვითლებულსა და დილის ცვრით მონამულ ბალახს, ფერდებზე დამსხდარი ბუზების გასადევნად ისევ იტყაპუნებდა ნეხვშემხმარ კუდს, როგორც მათრახს, მაგრამ, მცდელობის მიუხედავად, ვერც მას მოეხერხებინა ერთი ბუზის მისრესვა მაინც. კუნთებზე თრთოლაჩავლილი ბეხრეკი იაბო ისევ ხვიხვინებდა და ტუჩებსაც ისე აცმაცუნებდა, თითქოს ბუტბუტებდა, ისევ უნდოდა დაეკრა ფეხი, ქარივით უმისამართოდ გავარდნილიყო, თუნდაც მგლის ხახაში ესკუპა თავისი ნებით ან თუნდაც ხევში გადაჩეხილიყო, ოღონდაც უქმად დგომას ნუ დაანებებდნენ, ეგ იყო, არავინ აკავებდა და, როგორც ჩანს, გავარდნა ან ბოლომდე ვერ გადაეწყვიტა, ან უბრალოდ თავს იმასხარავებდა. გეჯას მიმდგარი თელი ისევ მოსწრებაზე თქვლეფდა სალაფავს და, მართალია, აღარ შეეძლო, ყელამდე ამოევსო მუცელი, მაგრამ ქაფმოგდებული და დაბუშტული სალაფავის დანახვაზე ისევ გაორკეცებული მადა ეხსნებოდა, დაგრეხილი კუდიც ფოსოდან ამოვარდნილი ზამბარასავით სასაცილოდ უხტოდა ხოლმე. ჯიმის საწოლში მოთავსებისთანავე, დედაბერი ისევ საგულდაგულოდ უმალავდა საბუდარს, ყოველ ჯერზე დარწმუნებული, რომ, თუკი ჯიმის საბუდარი თავის ადგილზე აღარ დაუხვდებოდა, ისიც ძალაუნებურად გადაეჩვეოდა გომურგომურ ბორიალს, მაგრამ ჯიმი ისევ იმავე სიჯიუტით ეზიდებოდა პირში გაჩრილ ბულულებს თივის ზვინიდან გომურში, თანაც ყოველდღე თითო ბულულით მეტს. და ასე უთავბოლოდ, დაუსრულებლად ერთი და იგივე მეორდებოდა, თითქოს ცხოვრება კი არ მიდიოდა, არამედ ერთ ადგილზე ტრიალებდა, ბორგავდა, ერთსა და იმავე ადგილს ტკეპნიდა, მოჩვენებითი მრავალფე-

როვნება მოსაბეზრებელი ერთფეროვნების კალაპოტში ჩამდგარიყო. უფრო სწორედ, კალაპოტში კი არა, ერთ დიდ აუზში ჩატეულიყო ცხოვრება, როგორც გარე სამყაროსთან კავშირგაწყვეტილი მომაკვდავი ტბა, უცხო თვალისთვის შეუმჩნევლად თანდათან რომ იკლებს, თანდათან უფრო და უფრო რომ მიცოცავს ფსკერში ჩასაწრეტად, ჩასამალად, უკვალოდ გასაქრობად. და ნაკლულ ადგილას, სადაც ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ, თუნდაც მომაკვდავი, მაგრამ მაინც წყალი ფარავდა მიწის ზედაპირს, ის ადგილი ბნედიანი გოლიათის დუჟივით საზიზღრად რომ იბუშტება. დაახლოებით ასე მკაცრად იცავენ ძველთაძველ ადათ-წესებს სპილოს ძვლის კუნძულის აბორიგენები: მიცვალებულს, გაციებული საწოლის თავთით მდგარ ტუმბაზე, მისივე რეტუშირებული ფოტოსურათისა და ორმოცი დღის განმავლობაში ჩაუმქრალი ბაზმას გვერდით თეფშით კორკოტსა და წყლით სავსე ჭიქას უდგამენ, და მთელი ორმოცი დღის მანძილზე თვალისთვის ცხადლივ შესამჩნევ აბეზარ ნალექს იჩენს გამჭვირვალე ჭიქა, იმის ნიშნად, რომ იმ ჭიქაში მოქცეული წყალიც უკვე ისეთივე მკვდარია, როგორც რეტუშირებული ფოტოსურათიდან მომღიმარი სახე.

ერთფეროვნებით გაზარმაცებული ცხოვრებაც იმ ჭიქაში მოქცეული წყალივით ორთქლდებოდა, შეუმჩნევლად მიცოცავდა ფსკერში ჩასაწრეტად. ერთ ადგილზე მბორგავს, უკვე ტრიალიც უჭირდა, ყოველი მომდევნო ბრუნიც წინანდელთან შედარებით სულ უფრო და უფრო უძნელდებოდა. რაღაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო და, მართალია, ახლო მომავალში თითქოს არანაირ ცვლილებას არ უჩანდა პირი, მაგრამ ჯიმის ტანი უგრძნობდა, გუმანი კარნახობდა, რომ აუცილებლად მოხდებოდა რაღაც, და ამას ისევე უშეცდომოდ გრძნობდა, როგორც ცხოველი მიწისძვრის მოახლოებას.

ერთ დილით ყვრიმალებაწრიატებულს გამოეღვიძა ჯიმის და, ჯერ კიდევ ძილბურანში მყოფს, გუმანმა უკარნახა, რომ სნორედ იმ დღეს უნდა მომხდარიყო რაღაც. უფრო ზუსტად, ის რაღაც უკვე დაწყებულიყო და ჯიმი თუ არ იჩქარებდა, მის გარეშე მოხდებოდა მოსახდენი. თვალების სათანადოდ გახელა საწოლიდან ნაჩქარევად ჩაცოცებულმა და იატაკზე დაოთხებულმა მოახერხა, მაგრამ ნაბიჯი არ გადაუდგამს, ადგილზევე ბუქნაობდა, თითქოს მთელი მისი დანიშნულებაც სნორედ ამაში მდგომარეობდა, საწოლიდან ჩაცოცებული იატაკზევე რომ უნდა აბუქნავებულიყო. ფეხათრევით გახოხდა დერეფანში, ნაბიჯი სანახევროდ უკან რჩებოდა. აქეთ-იქით ისე ქანაობდა, თითქოს ესესაა ნაბიჯს დამოუკიდებლად იდგამსო. სადღაც ძილსა და ღვიძილს შორის მიფორთხავდა დაბურანებული; გუმანსაც, ბედად, მაინცადამაინც მაშინ ეუარა მოკარნახეობაზე. ირგვლივ ვეღარაფერს აღიქვამდა. ვერც იმას გრძნობდა, თუკი ჩვეულებისამებრ აფუსფუსებულ მსახურებს ფეხებში ებლანდებოდა და ამის გამო გადაადგილებაც ისევე უჭირდა, როგორც წყალწაღებულს ხავსზე მოკიდება. ისედაც ვარაუდზე მდგომი, როგორც მთვრალი, ისე ეხლებოდა დერეფნის კედლებს, გეგონებოდა, გაგიჟებული მდინარე სულდგმულს კი არა, ხის ნაფოტს მიაქანებს და მდინარიდან ალაგ ამოშვერილი სლიპინა ლოდის ხავსმოგდებულ ქიმებსაც ის ეჯახებაო. დერეფნებში მოხეტიალე უენო მსახურები ლანდებივით ირეოდნენ ერთმანეთში. ცხადი იყო, განსაკუთრებულს მათ ტანი არაფერს უგრძნობდათ. და ვერც ხვდებოდნენ, თუკი მათ სიახლოვეს ფრიად მნიშვნელოვანი რამ ხდებოდა. საუკუნეების მანძილზე მტკაველ-მტკაველ გაადამიანურებულთ, დასაბამისეული ცხოველური ალღო საკმარისზე მეტად დაჩლუნგებოდათ. ეგ კი არა და, ჯიმის ტანიც კი ბუნდოვნად უგრძნობდა, მოსაბეზრებელი ერთფეროვნებიდან რა-

ღაც განსაკუთრებულად რომ იხრებოდა სადღაც იქვე, უფრო სწორედ, უკვე გადახრილიყო, მაგრამ იმ გადახრის ზედმიწევნითი ადგილმდებარეობა ჯიმის ვერა და ვერ გამოეანგარიშებინა. მაგრამ ასე იყო თუ ისე, კარგა ხნის წინ ჩაძინებული ცხოვრება რაღაც განსაკუთრებული გადაწყვეტილებით მოფარებულში რომ შეყუჟულიყო, ღვთისშვილთა თვალთაგან შორს, და საღათას ძილით გათანგული, თავგაბეზრებული და თვალებდაელმებული საკუთარი ხელით საკუთარ ლოყებზე რომ ილაწუნებდა სილაქებს, თავისებურად რომ იფხიზლებდა თავს, ამას ჯიმის ბავშვური ალღო კარნახობდა, — და ისიც ბრმად, ალალბედზე დაფორთხავდა უშველებელ დერეფნებში. ეზოში გამავალ კარს ჯიუტად უვლიდა გვერდს. იმდენს მაინც ხვდებოდა, რომ ის რაღაც სწორედ იქ ხდებოდა, მაგრამ ფეხს ითრევდა. ერჩივნა, დერეფნებში ებორიალა უმისამართოდ და გზაარეულს, ვიდრე ეზოს კარში გამძვრალი სწორ გზას დადგომოდა და ზუსტ მისამართზე მისულიყო. გაფართოებულ თვალებს უაზროდ აცეცებდა აქეთ-იქით. მზად იყო ნებისმიერი, ყოვლად უმნიშვნელო საგნისთვის დაეთმო ყურადღება, ოღონდაც კი ეზოს კარში გაძრომას ნუ დააძალებდნენ. სახალხო გმირზე აღმატებული ლამის ცოცხალი წმინდანის პატარა კვარცხლბეკზე მდგარ ქანდაკს მიაშტერდა. ისეთი მძაფრი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ოდითგანვე დერეფანში მდგარ ქანდაკს, თითქოს პირველად ხედავდა მას, თითქოს იმას ნანობდა, რატომ აქამდე არ დაეთმო ამ სასნაული ქმნილებისთვის ყურადღება. უფრო ახლოს მიჩოჩდა ქანდაკთან და ყალბი, მოგონილი გაოცებისგან პირი დააღო. გეგონებოდა, პირველად ხედავდა, კვარცხლბეკსა და კედელს შორის ობობას ქსელი რომ გაება. დაფეთებული ობობა ანყვეტილი გიჟივით არტყამდა წრეებს საკუთარ ქსელზე. აქანავებული ქსელიც ქანდაკის უკან გამეფებული წყვდიადიდან

დროდადრო ამოიწეოდა ხოლმე, თან ასეთ დროს ალაგ ისე გაიბრწყინებდა, როგორც მინიდან ამოშვერილ ნივრის კბილისხელა კენჭს ბეხრეკი იაბო გააყრევინებდა ხოლმე ფლოქვით ბრწყინავ ნაპერწკლებს. ჯიმი მონუსხულივით მისჩერებოდა მწერის ოინბაზობას, ვითომც სასწაულს უდრიდა მსგავსი რამ, ვითომც ობობის ქანაობა იყო ის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რამაც ჯერ კიდევ სიზმრად მყოფი ააფორიაქა და ყვრიმალებაწრიატებული გამოაღვიძა. რაკი დროებითი თავშესაქცევისთვის თავისდაუნებურად მიეგნო, ამიტომაც იყო, ახლა ჯიუტად რომ არ აცილებდა დაფეთებულ ობობას თვალს. თავისებურად ცდილობდა დროებითობის გახანგრძლივებას. როგორც უკურნებელი სენით დაავადებული და ხანგრძლივი ტკივილებით თავგაბეზრებული ავადმყოფი ცდილობს დროებითი გაუტკივარებისას შვების მომგვრელი წუთების გახანგრძლივებას. ორიოდ წუთით თვალში რომ გამოიხედავს და, ვიდრე ტკივილის მარწუხები ისევ ულმობლად ჩააფრინდებიან მხრებში, იქამდე მოითქვამს სულს, მოგონილი სიმშვიდე დაეუფლება წამით, თან არ უნდა მიხვდეს და, ბოლომდე სიმართლე ითქვას, ვერც ხვდება, ძალიან ცოტა ხანს რომ გაგრძელდება მისი იმჟამინდელი მდგომარეობა, მეორე წუთში ისევ თავიდან რომ მოუწევს იმის განცდა ყოველი კუნთით, ყოველი უჯრედით, რასაც სასწაულებრივ თუ არა, შემთხვევითობის წყალობით მაინც დააღწია თავი სულ რამდენიმე წუთით. ჯიმიც ჯიქურ მიიწევდა კვარცხლბეკის უკან გამეფებული წყვდიადისკენ, თითქოს მხოლოდ წყვდიადში თავწარგული თუღა შეძლებდა განსაცდელისგან თავის არიდებას. ეგ იყო, დამამშვიდებელი წყვდიადისკენ უკვე დაძრული, სამწუხაროდ ხვდებოდა, რომ მსგავსი საქციელი სიბრიყვის მეტი არა იყო რა. უმოქმედობის ქვიშაში თავწარგული, ნაკრძალში ხელოვნურ ტბორზე მოტივტივე გამოშტერებულ გედს

დაემსგავსებოდა, უზრუნველობით გატუტუცებული თბილი სანთელივით იოლად დამყოლ კისერს ფრთის ქვეშ რომ იჩურთავს, რათა საოცრად უმეტყველო თვალები კაცობრიობას დაუმალოს, ვითომც ფრთის ქვეშ თავის შეჩურთვით განსაცდელიც თავისთავად გადაივლიდეს.

მაინც მომიწია ეზოს კარში გაძრომა. იქ ყველაფერი ჩვეულებრივად იყო. სახლის სარკმლებიდან გადმოკიდულ უზარმაზარ დროშებსა და ხის ტოტებზე გამობმულ გახუნებულ ჭინჭებს, სუსტი ნიავი მცირეოდნავ არხევდა. ბეხრეკი იაბო მიწიდან ამოშვერილ კენჭზე ყრუდ აბაკუნებდა ფლოქვს და დროგამოშვებით კენჭს ნაპერწკლებს აყრევინებდა. წუმპეში ნებიერად გაწოლილ თელს, როგორც იქნა, ამოევსო აღუვსებელი მუცელი და კუდსაც ახლა სასხვათაშორისოდ ატყაპუნებდა წუმპეზე, ხოლო წუმპის შესქელებული ზედაპირი კუდის დატყაპუნებისას ზანტად ბარბაცებდა. მუცელამოვსებული თელი თან ძილს ებრძოდა, თან სანახევროდ დახუჭული თვალი გეჯაზე ეჭირა. ჩაძინება არაფრით არ იქნებოდა, ვინძლო მისი უმწეო მდგომარეობით ვინმეს ესარგებლა და უჩუმრად ამოეთქვლიფა სალაფავი. სახედარსაც ემჩნეოდა დამშვიდება. სადღა იყო მისი შემართება. პალოს გარშემო წრიალისთვის, ჩემდა გასაოცრად, თავი მიენებებინა. არადა, ერთადერთ არსებად სახედარი მყავდა დაგულებული, რომელიც, მეგონა, თავისი სიჯიუტის გამო სიტყვას არ გადავიდოდა, საქმეს ბოლომდე მიიყვანდა. თუმცა უეცრად დამშვიდებული, ისე დინჯად ნინკნიდა ბალახს, ვითომც სულ ცოტა ხნის წინ თვითონ არ იყო, თავის დახრჩობას რომ ეპირებოდა. ისე მშვიდად, აუღელვებლად იხარჯებოდა დილა, თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ ხდებოდა ახლომახლო. მაგრამ რაოდენ რულის მომგვრელი სიმშვიდეც არ უნდა ყოფილიყო ჩემს ირგვლივ გამეფებული, ტანი მიგრძნ-

ობდა, ყოველი გადადგმული ნაბიჯით თანდათან ვუახლოვდებოდი იმ რაღაც განსაკუთრებულს.

გომურიდან გამოფრქვეული ნივას თავისებური სუნი ჰაერში კი არ იფანტებოდა, ძირს გართხმული ნისლივით ჰაეროვნად თრთოდა, გეგონებოდა, არა სუნი, არამედ მიწაზე გასაჩეჩად დაპენტილი ბამბის ვებერთელა ფთილაა და ნიავიც იმას ათრთოლებსო. გომურისკენ დაძრულ ჯიმისაც ისღა დარჩენოდა, ჰაეროვანსა და მთრთოლარე ფთილაში გაეკვლია გზა. ყოველ მომდევნო ნაბიჯზე ირკვეოდა, რომ ნისლიც სულ უფრო შესქელებული ხდებოდა. ჯიმი მკერდით კი ანვებოდა ქოთქოთა ღრუბელს, ეგ იყო, მის ნინ გაუვალი ჯაგნარივით აღმართული ღრუბელიც ჯეროვან წინააღმდეგობას უწევდა ჯიმის, როგორც ყინულოვან ოკეანეში ჩაკირული ყინულის ოდინდელი ფენა მასში ცხვირნარგულ ყინულმჭრელს, — ამ უკანასკნელს ვერც წინ გარღვევა რომ ვერ მოუხერხებია, აღარც უკან დაბრუნება რომ იქნება, და დგას ასე, უმწეოდ გაჩხერილი, აღარც მიწისა რომაა და აღარც ცისა. ჯიმი, მართალია, ნელა, დუნედ მიფორთხავდა მიწაზე გართხმულ ნისლში, მაგრამ რაოდენ მდორედაც არ უნდა ეფორთხა და რაოდენ ჯეროვანი წინააღმდეგობაც არ უნდა გაეწია მისთვის ნისლს, ასე იყო თუ ისე, ნისლი მაინც ნისლად რჩებოდა. გომურის ღია კარებამდეც რამოდენიმე ნაბიჯიღა აშორებდა ჯიმის და, ბოლომდე სიმართლე ითქვას, აღარც ამდენ თვალთმაქცობას ჰქონდა აზრი.

რაკი ეზოსთან შედარებით გომურში მეტ-ნაკლებად გრილოდა, ამის გამო ნისლიც ზედ გომურის კართან წყდებოდა. სიგრილეში ჯიმიმ მხოლოდ თავი წარგო, ფეხები ისევ ნისლში ჰქონდა ჩაფლული, სამაგიეროდ დაასკვნა, ნივას თავისებური სუნი შიგ შენობაში უფრო მძაფრად ამოიცნობოდა, სიგრილის მიუხედავადაც კი, ვიდრე გარეთ. სიგრილეში ცხვირის ნარგვის მერეღა მიხვდა ჯიმი, რაოდენ აუტანელი ხვატი მდგარა ეზოში, რაოდენ აუ-

ტანლად აცხუნებდა მზე. ერთი პირობა კარებშივე შეყოვნდა, ისიც სულ რაღაც წამით, თითქოს ნისლის წარმომავლობას ამოწმებდა, ვითომც ამ შემოწმების გარეშე არაფრით არ იქნებოდა შენობაში შესვლა. თავიდან მოკრძალებული ნაბიჯით შეხოხდა გომურში, ხოლო მის კიდურებზე შემოსალტული ნისლი წყლის ჭავლივით რომ გაითქვიფა, გათქვეფილი ნაკუნები კი ჰაერში გაიცრიცნენ, გულზე მხოლოდ ამის მერელა მოეშვა ჯიმის. მაგრამ მოსაშვები არაფერი ჰქონია. შენობის ბოლო, ყველაზე ბნელი ნაწილი რაღაც არაბუნებრივად ხრიალებდა, ეგ იყო, უთვისებო ყურში ჯიმის არაფერი ჩაესმოდა. კვერებად გამხმარ ნეხვსა და შარდის აყროლებულ გუბეებს შორის მოგონილი არხეინობით მიფორთხავდა, ფარღალალა კედლებიდან შემოტანებული მზის ალმაცერი ათინათები კი იდაყვებზე მოუთამაშებდა. არ გაკვირვებია, როდესაც ურჟოლაშემდგარ დედა ცხვარს ჰკიდა თვალი. თითქოს წინდაწინვე უშეცდომოდ იცოდა, უცილობლად ასე იქნებოდა, თითქოს მთელი სხეულით აკანკალებული ცხვარი რომ არ ენახა, სწორედ ის იქნებოდა საკვირველი. გოხი მარილის ბრტყელ ზედაპირზე ბუნდოვნად გამოსახულ საკუთარ ანარეკლს მისჩერებოდა ცხოველი, მაგრამ ნათელი იყო, ანარეკლს ვერ ხედავდა. უეცრად შემცივნებული და მთელი სხეულით აკანკალებული ცხოველი ვეღარც მუხლებს იმორჩილებდა. სადაც იყო, თბილი ფუნასავით დამყოლ მიწაზე წაიჩოქებდა. შუბლი წინ გადაეხარა, როგორც ყოველთვის, საკუთარ ტყუპისცალსაც თვალებში მისჩერებოდა, მაგრამ ეტყობოდა, თავმომრგვალებული რქებით ანარეკლზე დატაკებას ჯერ არ ჩქარობდა. ჯერ მხოლოდ ადგილზევე კანკალებდა და დროგამოშვებით, თუკი რომელიმე კიდური უმტყუნებდა, თვითონ ბორბალმომძვრალი ურემივით ჭრიალით გადაიხრებოდა ხოლმე საყრდენგამოცლილ ადგილას. თუმცა რაღაც მანქანებით ახერხებდა, ძირს არ წაეჩოქა და თავს იმაგ-

რებდა. მხოლოდ შუბლზე დაკორკოშებული მატყლი უთრთოდა ასეთ დროს. მისი გაშეშებული თვალებიც უკვე ძლივსღა ბუუტავდნენ.

თვალსა და ხელს შუა თავდებოდა ცხვარი. მცირეოდნავ გახსნილი პირიდან, სადღაც ქვემოდან, უსაშველოდ გრძელი ხრიალი ამოსდიოდა, ძირისძირიდან, როგორც მიწის წიაღიდან, ლავის ამოხეთქვამდე, ავისმომასწავებელი ხრიალით ამოიფრქვევა გაზის ნაკადი. დედა ცხვრის გაშეშებული თვალების ჩაქრობისას, გოხი მარილის გლუვ ზედაპირზე ბუნდოვნად გამოსახულ ანარეკლს, ჩაქრობის ნაცვლად, თვალები უფრო მეტად აუმეტყველდა. თვით ანარეკლმაც კი, თანდათან სულ უფრო და უფრო მკაფიო მოხაზულობა შეიძინა. თითქოს დედა ცხვარი მზად იყო, მარილის ბინადრისთვის საკუთარი სიცოცხლის ფასად შთაებერა სული. ასეც მოხდა. აკანკალებულ ცხოველს უკვე ბოლომდე ჩაქრობოდა თვალები, როდესაც მისმა ტყუპისცალმა პირში შესციცინა მარილის ზედაპირიდან, ვითომც გაულიმაო, თან ღიმილიდან ნამით გამოუკრთა საოცრად ლურჯი და მკვრივი ენის წვერი. დედა ცხვარმა უკანა ფეხებზე ნაიჩოქა, დუმა დარბილებულ მიწაზე დაამხო, წინა ზედა კბილები მარილს ჩამოაჭდო, გეგონებოდა, ისედაც უკვე ამოხველებული სულის ნაძირალიც კი ანარეკლისთვის უნდოდა შთაებერა, ხოლო ამას მასთან მეტისმეტი სიახლოვის ხარჯზე თუღა მოახერხებდა. უკანასკნელი სუსტი ამონასუნთქის მონარჩენი საკუთარ ტყუპისცალს მიაფრქვია თუ არა, წინა კბილებით თავად მერელა ჩამოფხაჭნა მარილის გლუვი ზედაპირი და ერთბაშად ძალაგამოლეული გვერდზე უმწეოდ გადაგორდა, ფეხებიც აყარა. უფრო ზუსტად, გადაგორებისას მისი სხეული სრულყოფილ წყვდიადში აღმოჩნდა, ხოლო წყვდიადიდან გამოშვერილი მისი გაშავებული დრუნჩი და მიწის კოშტებაკრული ჩლიქები უხერხულად გამოეჩხირნენ სიბნელის შემომრკალავ ნათელში.

ჯიმის თავისდაუნებურად მოანვა ცრემლი, უსაშველო გორგალიც ყელში მიებჯინა. უფრო ახლოს მიხოხდა კოშტებაკრულ ჩლიქებთან და წყვდიადში თავი შეჰყო, მაგრამ შემჭიდროვებულსა და გაუცრეცელ სიბნელეში ვერაფერი გამოარჩია. უფრო იგრძნო, ფაფუკ მატყლში დამწყვდეული თბილი სურნელი თანდათან როგორ უნელდებოდა ცხვარს. უკვე სამუდამო სულერთიაობით გათამამებული ცხვრის სხეული თვალსა და ხელს შუა მკვრივდებოდა, ქვავდებოდა, როგორც გამოსაწვავი თიხის ქანდაკი, თან სხეულის ყოველ უჯრედზეც სულ უფრო მეტი სიგრილე ეფინებოდა. დაჭიმული ნესტოებით ჯიმი ხარბად იყნოსავდა ჯერ კიდევ თბილ, თუმცა უკვე აქროლად სურნელს, სამომავლოდ იმახსოვრებდა, სხვა არაფერში რომ არ არეოდა. მეხსიერებას უეცრად რომ არ ეღალატნა, რამე ყოფილიყო, უშეცდომოდ ეცნო.

ჯიმი გაფაციცებით ყნოსავდა უმოძრაო სხეულს, როგორც მუნჯსა და უსულო რამ საგანს, რძით გაპოხილ ჯიქანზე უნებურად რომ მოუხვდა ცხვირის წვერი. თითქმის გაუაზრებლად, ანგარიშმიუცემლად წაეტანა თბილ ცურისთავს. ერთადერთ ადგილად ისევ და ისევ ჯიქანი რჩებოდა, სადაც სხეულის სითბოს მონარჩენი სხვაზე უკეთ შემონახულიყო. თავიდან ზერელედ მოლოღნა, ვითომც ყელამდე დაპურებულმა, ისე, ყოველი შემთხვევისთვის გატლიკა ჯიქანი, როგორც მხარ-თეძოზე წამოწოლილი დედის გვერდით ახლადგამოღვიძებულმა ჩვილმა მშობლის საკინძედან გამოჭყეტილი შეშუპებული კერტი. მერე თანდათან უფრო ღონივრად მოუჭირა სარძევე კბილები და ჯიქნიდანაც ერთიან წვრილ ზოლად თბილი და მწკლარტე რძის ნაკადი ნამოვიდა. ბავშვური მონდომებით ყრუდ აზლუქუნებული ჯიმის ერთიანად გადათეთრებულ ლოყას უმართავი ცრემლი მოუყვებოდა, რომელიც ნესტოს კიდეზე თავქვე მალევე დაეკიდა და ჯიმის

აზლუქუნებულსა და აკანკალებულ სხეულთან ხმამ-ენყობით შეთრთოლდა. შუბლზე ცივ ოფლგადამსკდარი ვერც კი გრძნობდა, თუკი ნესტოდან ჩამონეული ცინგ-ლისა და ცრემლის ნაერთი პირში მოგდებული ჯიქნიდან გამოწოვილ რძეს უერთდებოდა და ისედაც მწკლარტე და თბილი რძის ნაკადი კიდევ უფრო საზიზღრად გადა-სდიოდა ყელში.

კბილების ყოველ მოჭერაზე ჯიქნიდან გამონადენი წვრილი ნაკადი თანდათან სუსტდებოდა. მალე საე-რთოდ შეწყდა კიდეც. ჯიმიმ ახლა უფრო მეტი მონდომებით მოწუწნა, მაგრამ რამდენიმე წვეთი საოც-რად მჟავე და შედედებული სითხის გარდა აღარაფერი ჩარჩენილიყო უკვე ხვლიკის ღაბაბივით მომჩვარულ ჯიქანში. ჯიმი ხვდებოდა, მეტი ველარაფერს გამორჩ-ებოდა მკვდარ სხეულს, და მაინც ყასიდად ღეჭდა გა-მაგრებულსა და დაუგემოვნებელ რბილობს, როგორც გემოგასულსა და, შესაბამისად, საღეჭად გამოუსადე-გარ ფიჭვის კევს.

იქამდე არ გაანება თავი, ვიდრე ბოლომდე არ გამ-ოწუწნა, რაც კი რამ მოიძებნა მკვდარი დედა ცხვრის ძუძუში. მერელა მიხვდა, ცხედარს დაუმსახურებლად აწვალებდა. უკვე თავხედობასა და, მეტიც, მკრეხელობაში გადაზრდილიყო მკვდრისგან რამის გამორჩენაზე ფიქრი. ერთბაშად მიანება ჯიქანს თავი და გველნაკბენივით უკან გახტა. თვალებიც მერე აებ-ლიტა. მკვდარი რძით ყელამდე დაპურებულს რული მორეოდა, მკვდარივით ეძინებოდა. იმ დღეს ბულულები აღარ გადაუზიდავს თივის ზვინიდან გომურში, საბუ-დარის გარეშეც იოლას გავიდოდა. დარბილებულ მიწ-აზევე მოკუნტული, წყვდიადიდან გამოჩრილი ცხვრის გაშავებულ დრუნჩს მიაშტერდა. მცირეოდნავ გა-ხსნილი პირიდან ცხოველს ლურჯი ენა გადმოეგდო, თითქოს ქვეყნიერებას უჩვენებდა, ნახე, როგორი ხაოი-ანი ენა მაქვსო. ცხვარი უკვე გამოუსწორებლად,

მიუდგომლად მკვდარი კი იყო, მაგრამ ქაფადქცეული დორბლი პირის კუთხეში ჯერ კიდევ ებუშტებოდა. ლურჯი ენა იისფერ ლაქებს იჩენდა, როგორც წყალში დამხრჩვალის თუ გულმანკიანის ტუჩ-პირი და, ამასთან, თვალშისაცემადაც სივდებოდა. ხოლო უკვე გასიებულს, ადგილი არ ჰყოფნიდა, ზოზინით ბორგავდა ერთიანად ამომშრალ პირში, თითქოს გამოძრომას ცდილობდა, როგორც მწერი ჭუპრიდან, რის გამოც გაქვავებული ყბა ცხოველს ჭრიალით ეხსნებოდა, პირის კუთხეში დაბუშტული დორბლი კი საპნის პანაწკინტელა ბუშტულებივით უხმაუროდ სკდებოდა. ერთი გადარეული ბუზანკალი ენას რომ დაასკუპდა, წინა თათებით პირი რომ შეიმშრალა და ზანტი ცნობისმოყვარეობით ცხვრის სასაში რომ შეხოხდა, როგორც სინათლის წყვდიადთან დამაკავშირებელ გვირაბში, უკვე სანახევროდ თვალდახუჭულმა ჯიმიმ მერეღა გამოხედა გომურს. თავი არც წამოუწევია, ისე მოათვალიერა იქაურობა.

ფარღალალა კედლის ნაპრალებიდან შემოტანებული მზის ალმაცერი ათინათები ნეხვის კვერებსა და შარდის გუბეებზე დამსხდარ ბუზანკლებს ზედ ედგათ და ბუზანკლებიც მინაზე მიმოფანტული აბრეშუმის ფერადი ძაფის კოჭებივით ნაირფრად ბრჭყვიალებდნენ. წყვდიადიდან გამოჩრილი კოშტებაკრული ჩლიქები უხერხულად მოჩანდა ბნელი სიცარიელიდან. თითქოს სიცარიელე სხვა არა იყო რა, თუ არა უზარმაზარი გველის ბნელი ხახა. გეგონებოდა, ამ უკანასკნელს იმხელაზე დაუფჩენია პირი, რომ სადაცაა შუაზე გაეფხრიწებაო, მაგრამ გაფხრეწვამდე, მსხვერპლისთვის დინჯად შემოეჭდო ნერწყვმომდგარი ყბები და, კი არ ყლაპავდა, არამედ თავად ერგებოდა, თავად ეკრობოდა და ეტმასნებოდა მსხვერპლს, როგორც ხელთათმანი ხელს. წყვდიადი ნელა, ზოზინით ყლაპავდა ცხვარს, თითქოს აგემოვნებდა, როგორც გველი აგემოვნებს

ჩაყლაპულ ვირთხას, თან მთელი სხეულით განვართული იმის ძვლების ყრუ მტვრევის ხმას უგდებს ყურს. და მართლაც, გეგონებოდა, გომურის ბნელი კუთხე ჩვეულებრივი წყვდიადი კი არაა, არამედ ნახვრეტი, რომელიც სინამდვილეს გასჩენია უეცრად – როგორც საჰაერო ბურთს გაუთვალისწინებელი ნაფხრენი ფრენისას – და იმ უეცრად გაჩენილ ნახვრეტზე, გარედან, დამთხვეულ გოლიათს მოუბჯენია, მოუწებებია უზარმაზარი ტუჩები, ახლა ღონივრად ექაჩება, როგორც ჩამქრალი ყალიონის მუნდშტუკს და, ალბათ, ვერც კი ხვდება, მოქაჩვისას, ბოლის ნაცვლად, ცხვრის ლეშს თუკი ეზიდება.

ჯიმის უკვე ეძინა, როდესაც მარილის ლოდში ჩამწყვდეულმა დედა ცხვრის ანარეკლმა შავი ტუჩები ააცმაცუნა, თითქოს სიზმრად გასული ყრმის ძილს ბუტბუტითა და შელოცვით დაიცავდა, თან გაშავებული ტუჩების გაუთავებელი ცმაცუნისას პირში ჩაწიკნიკებული მოკლე და გაყვითლებული კბილები გაუკრთებოდა ხოლმე, და კიდევ ლურჯი, საოცრად მკვრივი და გლუვი ენის წვერი. ოღონდ მისი ენა ჩვეულებრივი იყო, მას არც იისფერნაკრავისა ემჩნეოდა რამე და არც პირიდან გამოძრომას ეპირებოდა, როგორც მწერი ჭუპრიდან. ცხადია, დედა ცხვრის ოინები იყო ყველაფერი ეს, მას მხოლოდ და მხოლოდ ადგილმდებარეობა შეეცვალა. უფრო სწორედ, ადგილმდებარეობა კი არა, თითქოს ყრმასა და ცხოველს შორის, რაღაც ჯადოქრობის მეშვეობით, ყინულის კედელი აღმართულიყო და სწორედ იმ კედლის გამო იყო, ჩვეულებრივზე ოდნავ უფრო ბუნდოვნად რომ მოჩანდა ცხვარი. ალბათ, მარილში ჩაყუჟვა, ჩაყუჩება, ჩამწყვდევა ერჩივნა ცხოველს, ვიდრე აყროლებულ გომურში დგომა. თითქოს მარილის მყარი სხეული, ლოდის სიმეტრიული მრავალკუთხედი გაცილებით უფრო საიმედო თავშესაფარი იყო, ვიდრე ჰაერი, ხელშეუხები, შეუმჭიდროვებელი და უფერო აირების ნარევი.

თვალში რომ გამოვიხედე, უკვე საღამოვდებოდა. ფარღალალა კედლის ნაპრალებიდან შემოტანებული ათინათების უმეტესობა ჩამავალ მზეს უკვე აეკრიფა. რამდენიმე სუსტი ათინათიღა თრთოდა შარდის აყროლებულ გუბეებზე. ბუზანკლებიც უკვალოდ გამქრალიყვნენ, ალბათ გამოსაძინებლად შეყუჟულიყვნენ გომურის ჭერში. თუმცა საკმაოდ ნაადრევად დაეჭირათ თადარიგი. წყვდიადიდან აღარ მოჩანდა არც მიწის კოშტებაკრული ჩლიქები და აღარც დორბლშემხმარი დრუნჩი. ვიდრე მეძინა, იქამდე შთანთქა წყვდიადმა ანდა რომელიმე მსახურმა გაათრია გომურიდან-მეთქი, გავივლე გულში და მაშინათვე გოხ მარილს გავხედე თვალის კუთხით. არილმოდგმული გამჭვირვალე ლოდი ისე ნაირფრად ბრჭყვიალებდა, როგორც დილის ცვრით მონამული ვეება ბაბუაწვერა. მარილი თვალისმომჭრელად კი ბრჭყვიალებდა, მაგრამ მაინც გარკვევით მოჩანდა მასში დამწყვდეული ტუჩებაცმაცუნებული და შუბლგადმოხრილი დედა ცხვრის ლანდიცა და ამ უკანასკნელის მიერ ლოდის ბრტყელ ზედაპირზე დანატოვარი ჩამონაფხაჭნიც. იმდენად ბუნებრივად მეჩვენა გამჭვირვალე ლოდში დედა ცხვრის გადასახლება, რომ ტუჩებაცმაცუნებულ ანარეკლს, რომელიც მოფერების გამოსაძალველად თვალებში ჯიუტად მომჩერებოდა, ჩემდაუნებურად გავუღიმე. და გავუღიმე თუ არა, ანარეკლმა კიდევ უფრო მეტი მონდომებით ააცმაცუნა გაშავებული ტუჩები, ხოლო ლოდის ნაირფერი ბრჭყვიალიდან წამით გამოკრთა მისი მოკლე და გაყვითლებული კბილები. ამასთან, ადგილზევე თითქოსდა შეხტა კიდეც, ყოველ შემთხვევაში წინ გადმოხრილი თავი ღონივრად რომ დააქნია, ვითომც ღიმილი შეიფერა ანდა რამეზე კვერი დამიკრა, შუბლზე დაკორკოშებული მატყლი კი მცირეოდნავ შეუთრთოლდა, ეს გარკვევით გამოვარჩიე. ანარეკლი თვალსა და ხელს შუა გაეშმაკებულიყო. წინანდელთან შედარებით

უფრო მხნედაც გამოიყურებოდა და ჩვეულებრივზე მეტადაც მოსულიყო ხუშტურის ხასიათზე. დინჯი დედა ცხვრის ამონასუნთქს კი არა, ტბორის ზედაპირზე არეკლილ ონავარ ბეკეკას მოგაგონებდა.

რაკი გადაუფარებლად ზედ მიწაზევე მძინებია, ტანში ოდნავ მაჟრჟოლებდა, მაგრამ ეს არ კმაროდა საიმისოდ, რომ არ წამოვმდგარიყავი და გომურის წყდიადში ხელი არ მომეფათურებინა იმის გამოსარკვევად, ლეში მართლაც წყვდიადს ჩაეყლაპა თუ რომელიმე მსახურს გაეთრია გომურიდან. იდაყვებს დავებჯინე და ისე წამოვწიე წელი. ჯერ ფეხები გავშალე, — მუხლები საკმარისზე მეტად დამბუშებოდა, თან სადღაც სიღრმეში გაუსაძლისად მექავებოდა, — მერე ხელისგულებზეც დავეყრდენი, სხეულის სიმძიმე კიდურებზე თანაბრად გადავანაწილე და შემცივნებულმა ბარბაცით გავიწიე წყვდიადისკენ. ეგ იყო, მხოლოდ გავიწიე. უფრო სწორედ, მინდოდა გავნეულიყავი, თუმცა სურვილი სურვილადვე დარჩა. გოხი მარილის ბრტყელ ზედაპირს მივაჭყლიტე ცხვირი. მეტი ვერც ნაბიჯი გადავდგი და ვერც მარილს ავუარე გვერდი. თითქოს რაღაც უხილავი ძალა მაბრკოლებდა, წინ არ მიშვებდა, ჩემ ცხვირწინ აღმართულიყო ტყვიაგაუმტარი მინასავით. უკან რომ მივიხედე, მერეღა მივხვდი ნამამაძაღლარს, მუხლებზე თითბრის სალტეებგადანასკვული გომურის ორი ძირითადი, შორიშორ მდგარი ბოძიდან, ერთ-ერთზე ვიყავი მიჯაჭვული.

აღარ ჰქონდა ფაფხურს აზრი. რაც არ უნდა თავი გამომედო, ვიცოდი, თითბერთან მაინც ვერრას გავხდებოდი. რარიგ ჩუმადაც და მოსაჩვენებლადაც არ უნდა აღვშფოთებულიყავი, მაინც არამართლზომიერი და ნაყალბევი იქნებოდა ჩემი აღშფოთება. ბოლომდე სიმართლე ითქვას, სადღაც გულის სიღრმეში გამიხარდა კიდეც, ვინაიდან ამიერიდან აღარ მომიწევდა ჩემ სენაკში გამოღვიძებულს ყოველ დილით საწოლიდან

იატაკზე ჩაცოცება და უშველებელ დერეფნებში ფორთხვა-ფორთხვით ბორიალი, რათა ისევ გომურში ამომეყო თავი. ბოძზე მიჯაჭვებით მთელი ეს ფაციფუცი წარსულს ბარდებოდა. ამაზე უკეთესი რა უნდა მენატრა. ცხადია, დედაბრის ნამამაძაღლარი იქნებოდა თითბრის სალტეების მუხლებზე გადანასკვა და ბოძზე მიჯაჭვა. თავისი მოკლე ჭკუით, დედაბერს სწორად აღესრულებინა მოვალეობა. თუმცა გამოყრუებულ დედაბერს რა ჭკუა მოეკითხებოდა, რა იცოდა, თუკი ამ ვითომცდა ნამამაძაღლარით ისევ ჩემს წისქვილზე ასხამდა წყალს. დედაბერი ალბათ იმას იმედოვნებდა, რომ, თუკი ხანგრძლივი დროის მანძილზე გომურიდან არ გავიდოდი, მეც თავისთავად მომბეზრდებოდა, მომყირჭდებოდა, შემზიზღდებოდა აყროლებულ შენობაში ყოფნა და იქით დავიწყებდი მოსჯილი დღეების სულმოუთქმელად თვლას, დღენიადაგ იმის ფიქრში ვიქნებოდი, როდის გათავდება ტანჯვა, როდის ჩავყლაპავ სუფთა ჰაერს და როდის მეღირსება წესიერი ცხოვრება, როგორც ყველა წესიერი კაცი ცხოვრობს-მეთქი. გარკვეული განსჯის შედეგად მივიდოდა დედაბერი ამ დასკვნამდე. სულით ხორცამდე დარწმუნებული იქნებოდა, სწორ საქმეს რომ იქმოდა ამით, ბოძზე მიჯაჭვებით ჭკუის სასწავლებელ გაკვეთილს რომ მომცემდა. რადგან, დაყვავებამ და თავის ნებაზე მიშვებამ თუ არ გაჭრა და შედეგი თუ არ გამოიღო, ჯიუტს ვითომც სიჯიუტითვე უნდა უპასუხო, ვითომც საპასუხო სიჯიუტე თუღა გატეხს და კისერს მოუგრეხს ჯიუტ ადამიანს. ეგ იგივეა, ფრინველს ცაში ფრენა რომ დააძალო, თევზს წყალში ცურვა და თხუნელას მიწა-მიწა ძრომიალი. ყველაფერი თავ-თავის ადგილზე დალაგდა, ყველაფერს თავ-თავისი ადგილი უნებურად მიუჩინა დედაბერმა. არადა, გამოყრუებული დედაბრის გულწრფელობაში ეჭვიც არ მეპარებოდა. როგორც კი პირში თივის ბულულებგაჩრილს მკიდებდა

ხოლმე თვალს, მაშინათვე უთავბოლო და გაუთავებელ ბუტბუტს მოჰყვებოდა. მისი ბუტბუტისა, მართალია, სიტყვაც არ ჩამესმოდა, მაგრამ გუმანით ვხვდებოდი იმის წუხილს. თუმცა როგორადაც არ უნდა ჩავმხვდარიყავი მის საფიქრალს და რაოდენ გულწრფელიც არ უნდა ყოფილიყო მისი წუხილი, ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ დედაბრის წუხილით ვერ ვიხელმძღვანელებდი, მარტო დედაბრის დარდი არ გამომადგებოდა ამ ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ. იმას თავისი ანგარიშები ჰქონდა ამ ცხოვრებასთან, მე – ჩემი. და ჩემს ანგარიშში არც გამოყრუებული დედაბრის წუხილი შედიოდა, არც დედაბერზე არანაკლებ გამოყრუებული სოფლის ბაირახტარის კუთვა და არც ერთად აღებული მთელი სოფლის ნააზრევი.

სოფლის მართვის სადავეები მამასახლისმა თანდათან სულ მიუშვა. ანდა რაში ენაღვლებოდა მას სადავეები. ერთადერთ სადარდელს ქვეყნის ზურგზე მისთვის მოუხელთებელი ვეშაპის საზიზღარი სიფათის მოხელთება წარმოადგენდა და მამასახლისიც გარიჟრაჟის დადგომისთანავე ხელში მოგდებული ნახშირის თავწამახულ ნაგლეჯს სულ უფრო მეტი მონდომებით ტლეკდა ხოლმე, იმ იმედით, რომ თუკი პირველი მონასმი ცხიმიანი გამოუვიდოდა, სიფათსაც თავისთავად მოიხელთებდა. დღითიდღე ემატებოდა მამასახლისს გულში წუხილი, დღითიდღე ცილდებოდა სინამდვილესაც. მის ირგვლივ ყველა და ყველაფერი თანდათან სულ უფრო და უფრო ბურუსში ეხვეოდა და, ვერც კი გრძნობდა, თვითონაც იმავე ბურუსის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად თუ იქცეოდა. მის განკარგულებაში იმყოფებოდა მთელი სოფელი და, შესაბამისად, თითოეული თანასოფლელის სიზმარიც, მაგრამ მამასახლისს არაფერში ენაღვლებოდა თანასოფლელთა სიზმრები. მას ოდინდელი, ოღონდ საკუთარი, ღვიძლი სიზმრის მოხელთება უნდოდა და არა ვიღაც ვიგინდარას აბდაუბდა. საკუთარ ღვიძლ სიზმარში ისევე სუ-

ლმოუთქმელად სურდა ჩაჭვრეტა, როგორც უბედურ კაცს ბედის დავთარში. მამასახლისის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა მთელი სოფელი, დილის დათრთვილული ბალახით დაწყებული მეთულუხჩის ცოლ-შვილით დამთავრებული, მაგრამ მისდა სამწუხაროდ, მამასახლისი ხვდებოდა, რომ ყველაფერი-ყველაფერი, ოღონდ საკუთარი სიზმარი მას არ ეკუთვნოდა. იმ არარსებული სიზმრის გარდა, ირგვლივ ველარაფერს ამჩნევდა. შესამჩნევიც ბევრი არა იყო რა. თავის სენაკში განმარტოებული, კარჩაკეტილ ცხოვრებას ენეოდა. ერთადერთ ადამიანს ჰქონდა იქ შესვლის უფლება. მამასახლისის ღვიძლ დედას, მარად თავშალწაკრულსა და სიკვდილგამწყრალ არსებას. თუმცა გამოყრუებული დედაბერი დანამდვილებით ღვიძლი დედა იყო თუ უბრალოდ სოფლის კუდიანი, მამასახლისმა არ იცოდა. დედაბერს მხოლოდ და მხოლოდ მისი გამოკვება ევალებოდა, და ისიც მკაცრად დადგენილ დროებში, შუადღისითა და შუაღამით. დანარჩენ დროს სენაკის კარი ყველასათვის და ყველანაირი გარემოებისთვის ყრუდ იყო დაკეტილი. თუნდაც მტერი დასცემოდა სოფელს ასაწიოკებლად, თუნდაც სოფლის უკლებლივ ყველა მამაკაცს ორლესულით გამოეფატრა მუცელი და გამოყრილი მბოლავი შიგნეული ღობეებზე გადაეკიდა, თუნდაც სახალხო გმირზე აღმატებული ლამის ცოცხალი წმინდანი მიდგომოდა მამასახლისის ოთახს მოწყალების მისაღებად, ყოველი მათგანისთვის სენაკის კარი ყრუდ იყო დაკეტილი.

ჩამავალმა მზემ საკმაო ხანს მოანდომა გომურის ნესტიანი მინიდან მთრთოლვარე ათინათების აკრეფას. ხოლო ამასობაში გომურის კარში მდგარ ნათელს წითლად რომ დაფოთლა, თითქოს ზეცას ჭინჭრის ციება შეჰყროდა, იმთავითვე გულში გავივლე, ნახირის შემორეკვის დროა-მეთქი, და, გავივლე თუ არა, თითქოს თანხმობის ნიშნად გომურში მაშინათვე მზედაკრულმა კამეჩმა შემოჰყო უშველებელი სველი დრუნჩი, უმეტყველო

თვალები მე შემომაფეთა, მერე სახეში შემომბღავლა და, მთელი სხეულით დარწეულმა, მძიმე ნაბიჯით შემოაბოტა შენობაში. ამხელა სიმძიმის პატრონს, ჩლიქები ლამის ბოლომდე ეფლობოდა დარბილებულ მიწაში და ალბათ გადამეტებული სიმძიმის ბრალი იყო ისიც, ნაბიჯს რაღაცნაირად მოუხერხებლად რომ დგამდა. გეგონებოდა, ცოცხალი არსება კი არა, მექანიკური სათამამოაო. მუცელი იმხელაზე გასიებოდა, რომ ფერმკრთალი ბალნიდან ქვიშაში ჩამალული ძლოკვებივით გარკვევით მოუჩანდა ახალგაზრდა ვაზის ტანის სიმსხო სისხლძარღვები. სახეში კი შემომბღავლა და ამონასუნთქ ცხელ ჰაერს ამოყოლილი ნერწყვის პანანინა შხეფები შუბლსა და ლოყაზე კი შემომაფრქვია, მაგრამ უკვე მეორე წუთში საერთოდ გადავავიწყდი. ჩემკენ აღარც გამოუხედავს, ისე ამიარა გვერდი. კედლისკენ გასწია, ბოძს — ცალი მუხლი ზედ რომ მქონდა მიჯაჭვული — შემოუარა და გოხ მარილს მიუახლოვდა თუ არა, იქვე შედგა. მშრალი ენით ისე დინჯად ატლიკა ლოდის ბრტყელ ზედაპირზე დედა ცხვრის მიერ დანატოვარი ჩამონაფხაჭნი, თითქოს ლოდში არაფერი შეუნიშნავს საგულისხმო. თვალი არ მომიცილებია უზარმაზარი ცხოველისთვის, მაინტერესებდა, დაინახავდა თუ არა ლოდში ჩამწყვდეული დედა ცხვრის ანარეკლს. კიდევ წაილო იისფერი ენა მარილის ბრტყელი ზედაპირისკენ, მაგრამ აღარ აუტლიკავს, თითქოს ენაზე იკბინა მოულოდნელობისგანო. მერე უარამდე გაფართოებული და სისხლიანი თვალები მცირეოდნავ მოჭუტა და მარილის ჩამონაფხაჭნ ზედაპირს ჯერ კიდევ ზედ დაჰბღაოდა, გეგონებოდა, შიგ ჩამწყვდეული ცხვრის ანარეკლს თავის ენაზე ატყობინებს რაღაც მნიშვნელოვანსო, როდესაც ვიაზრე, კამეჩიც დანამდვილებით ხედავს ლოდში ჩამწყვდეულს-მეთქი.

ოდნავ მოგვიანებით ბეხრეკი იაბო შემოჩაკჩაკდა. ცოცხალ ცხენზე უფრო მეტად ნიავის მიერ შეთრთოლებული ცხენის ფიტულს ჩამოჰგავდა. ისე

თვალშისაცემად ჩამომხმარიყო, რომ გამხმარ გავაზე მმიერი ქოფაკებიც კი არ გაჰკრავდნენ კბილს. მართლაც ისე ერთიანად გაქუცულიყო, გეგონებოდა, ფიტულში გამოტენილი თივა ჩრჩილს გამოეჭამა. თავდახრილი მიჩაკჩაკდა კედელთან, ფარღალალა კედელს გამხმარი გავა ააკრო და ზედ ისე გააყოლა, ვითომც თავს იმართლებდა, თუკი ქარივით უმისამართოდ გავარდნა და ხევში გადაჩეხვა არა, კედელზე გავის მოფხანა ხომ მაინც შემიძლიაო. შუაგულ გომურში ჯიუტად არ იხედებოდა. მოგონილი არხეინობით დასჩერებოდა ნეხვის გამხმარ კვერს. არც გოხი მარილისკენ გაუხედავს, არც ჩემთვის შემოუხედავს და, ოღონდ შარდის გუბეზე უნებურად არ დაეხედა, ნეხვის კვერს გაფაციცებით დასჩერებოდა. ყველაფერ ბრტყელზედაპირიანს გაურბოდა, საკუთარ გასაცოდავებულ ანარეკლს რომ არ გადაჰყროდა მოულოდნელად.

ბეხრეკი იაბო ჯერ კიდევ თავს იმართლებდა ფარღალალა კედელზე გავის ფხანით, როცა გომურის კარში მდგარი წითლად დაფოთლილი მქრქალი ნათელიდან დაფეთებული თელი გამოსხლტა, რომელიღაც ცარიელი კუთხე მიზანში ამოიღო, იმისკენ გაცუხცუხდა, თან გუნებაგაფუჭებულსა და ბრაზიანად აბუხუნებულს თვალები სანახევროდ დახუჭული ჰქონდა. ისე ნაჩქარევად გადაკვეთა გომურის შუა ნაწილი, გეგონებოდა, არა თელი, არამედ მოძილე კაცი ფეხსადგილისკენ მიბანცალებს მოსასაქმებლად და თან იმას ფრთხილობს, ძილი არ გამიტყდესო. კუთხემდე მიირბინა თუ არა, მეტი შეყოვნების გარეშე იქვე მიეგდო. და, როგორც კი მისმა დაგრეხილმა კუდმა ფოსოდან ამოვარდნილი ზამბარასავით დაიწყო ხტუნვა, დინგმოთხვრილმა და ტალახში ამოგანგლულმა თელმა მაშინათვე ამოიხვრინა. ხოლო კბილებიც რომ გააღრჭიალა, მერელა გაირკვა, ფუნაზე გაწოლილიყო. თავმომხმარი ფუნის რბილი შიგთავსი ამოხვრენისთა-

ნავე მისი მუცლის ქვემოდან ჭაობის დღლუ ლაფივით საზიზღრად გამოისრისა.

ყველაზე თავშეკავებული ისევ სახედარი აღმოჩნდა. შემოაბოტა თუ რა გომურში, იქვე შედგა. ზანტი ცნობისმოყვარეობით შეგვათვალიერა ყოველი ჩვენთაგანი, ყველას მისამართით დინჯად დააქნია თავი, თითოეულ ჩვენთაგანს პირადი სალამი მისცა, მერე ქოჩორაშლილი თავი ერთბაშად ჩაქინდრა და, მიწას დაშტერებულმა, ისე ჯიუტად გააქნია, თითქოს მიწას ანიშნებდა, უარზე ვარო, თან ჩიჩვირში გაყრილი მრგვალი რკინა ისევე მკვეთრად შეუთრთოლდა, როგორც სოფლის კუდიანს ნესტოში გაყრილი ვერცხლის რგოლი. კიდევ ერთხელ შეგვათვალიერა ყველანი, მაგრამ თავი აღარ ჩაუქინდრავს, მხოლოდ თვალები დააფახულა ზანტად, ბოლოს ქუთუთოები ნელა, მძიმედ დაუშვა, როგორც წარმოდგენის შემდეგ თეატრის მძიმე ფარდა, მერე სასხვათაშორისოდ ამოიფშვინა და ზეზეულადვე დაეძინა.

ერთ საზიარო, გადაუტიხრავ შენობაში კი იმყოფებოდნენ, ეგ იყო, ჯიმის არსებობას ცხოველები არ იმჩნევდნენ. თითოეული მათგანი თავისთავთან განმარტოებულიყო. თავის ცხოვრებაში ჯიმი პირველად ათევდა ღამეს გომურში, მაგრამ არცერთ ცხოველს არ უუცხოვია მისი იქ ყოფნა. არც მეტი, არც ნაკლები, ჯიმის თავისი კუთვნილი ადგილი დაეკავებინა შენობაში და იქაურებიც ისე ჯიუტად არ იმჩნევდნენ არაფერს, თითქოს გაცილებით დიდი უნამუსობა ჯიმის მხრიდან სწორედ ის იქნებოდა, თავისი კუთვნილი ადგილი დამსახურებისამებრ რომ არ დაეკავებინა. სულდგმულის ბოძზე მიჯაჭვებით გომურის ვერცერთ ბინადარს ვერ გააკვირვებდი. მიჯაჭვება, დაბმა, გადანასკვა თუ კისერზე ეჟვნის შებმა მათთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო, არაფერი განსაკუთრებული. არც ჯიმი უცხოობდა მათთან სიახლოვეს. უცხოობა არა მარტო

არ შედიოდა მის შეხედულებებში, არამედ თამამად შეიძლება ითქვას, მთელი თავისი შეგნებული თუ შეუგნებელი ცხოვრება ჯიმი სწორედ ამისკენ მიისწრაფოდა. და აი, ბუნებრივ კანონზომიერებათა მკაცრი ჩარევით თუ დედაბრის გაუთვალისწინებელი თავქარიანობის წყალობით, ჯიმის დამსახურებისამებრ დაეკავებინა თავისი კუთვნილი ადგილი. ყველაფერი თავისთავად, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე კი არ დამდგარიყო თავის ადგილზე, არამედ დამსახურებისამებრ, რამდენადაც ისე, თავისთავად არაფერი ხდება, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ გამტანობასა და საკუთარ სიჯიუტეზეა დამოკიდებული, დაიკავებ თუ არა შენს კუთვნილ ადგილს ამ ცხოვრებაში და, რა მნიშვნელობა აქვს იმას, ის ადგილი გამხმარი ნეხვის კვერებითა და შარდის აყროლებული გუბეებით იქნება მოფენილი თუ წითელი ხის იატაკით მოპირკეთებული?

წუთი წუთზე მოახლოებული ღამის გამო, გომურის კარში მდგარ ისედაც მქრქალ ნათელში, თანდათან სიბნელე მძლავრობდა. ცხოველებზე გამობმული მსუყე ჩრდილები, ეზოდან რომ შემოიყოლეს, სადაც იყო, სრულყოფილ ბნელში გაითქვიფებოდნენ. გომურის კარში მდგარი მქრქალი ნათელი თვალსა და ხელს შუა იცრიცებოდა და ბნელს უთმობდა სარბიელს, ეგ იყო, თვით გომურში მსგავს რამეს ადგილი არ ჰქონია. გეგონებოდა, ეზოსა და სოფლის ჩამობნელება გომურს არ ეხებოდა, თითქოს ერთადერთი ადგილი მთელ ქვეყანაზე მხოლოდ გომური იყო, სადაც მარადი დღე იდგა, სადაც თავის გაუმჭვირვალე კალთას ღამე ვერ აფენდა, თითქოს კალთის ბოლო ზედ გომურის კართან უთავდებოდა და, ბარე ძაანაც კი უნდოდა, მაგრამ მეტზე სიგრძე აღარ ჰყოფნიდა. ბუნების ერთ-ერთი საოცრებათაგანია მსგავსი რამ-მეთქი, გავივლე გულში, თუმცა ყველაფერ ამის მიზეზსაც იმწუთასვე ვკიდე თვალი. კარის დირეზე მიმსჭვალული ჟანგიანი ნალის ქვემოთ

პატარა ბაზმა ეკიდა და, მართალია, დღენიადაგ ჩაუმ-ქვრალი სანათი თავისთავსაც კი ძლივძლივობით ინა-თებდა, სამაგიეროდ, გაჭვარტლულ მუშაში ჩამწყ-ვდეული ციცინათელასხელა ალის ციაგი იმისათვის მაი-ნც კმაროდა, რომ გომურში რაიმეს გასარკვევად თვალის დათხრა არ გამხდარიყო საჭირო. თანაც იმ გა-თვლით მიემსჭვალათ დირეზე სანათი, რომ მისი ციაგი მთელ გომურზე თანაბრად განაწილებულიყო. ჩაუმქ-რალი სანათის ალს შარდის გუბეები მოკრძალებით ირეკლავდნენ, თითქოს გველებს ხვითოები გომურში შემოეყარათ და ახლა უპატრონოდ დაყრილი ხვითოები სულს ღაფავდნენ, ჯადოსნურ ძალას ჰკარგავდნენ. ზეზეულად მძინარე სახედარი მომაკვდავ ხვითოებს ვერ ხედავდა, ის შეუმჩნევლად აქნევდა თავს, ვითომც სიზმრად გასული უმძიმეს გადაწყვეტილებას ღებულობდა და შეუმჩნეველი თავისქნევით თავისთავს იგულიანებდა. ფარღალალა კედელს გავა-აკრული იაბო ხან წინ გადაიხრებოდა, ხან უკან, თითქ-ოს თავს ირწმუნებდა, ცხენი კი არა, აიწონა-დაიწონას ხარიხა ვარო. მუცლის ქვემოდან ნეხვგამოსრესილი თელი უმისამართოდ უღიმოდა სივრცეს, თან კბილებსაც გაუთავებლად აღრჭიალებდა, დილისთვის ილესავდა. თვალმოჭუტული კამეჩი ისევ გოხ მარილში ჩამწყვდეული დედა ცხვრის ანარეკლს დაჰბღაოდა, თან, თუმცა სისხლძარღვებდაბერილ მუცელზე ბუზანკლები აღარ ასხდნენ, კუდს მაინც ყასიდად იტყაპუნებდა. მართლაც, ნეხვშემხმარი კუდი ვითომც მას არ ეკუთვნოდა, თავისთავად — და არა კამეჩის ძალი-სხმევით — იკლაკნებოდა, როგორც სამრეკლოს ზარის ენაზე გამობმულ თავგაჩეჩილ თოკს კლაკნის სუსტი ნიავი.

ჩემდა სამწუხაროდ მივხვდი, ყველა ისინი თავთავი-ანთ ფიქრებთან ხელოვნურად განმარტოებულიყვნენ. ხელოვნურად, რამდენადაც არაფერ განსაკუთრებუ-

ლის შემჩნევა არ სურდათ. ვერ კი არა, არ იმჩნევდნენ, თუკი გოხი მარილის უკან გამეფებული წყვდიადი სულდგმულის მაჯასავით ფეთქავდა. მარილთან მომიჯნავე კამეჩიც კი ჯიუტად არაფერს იმჩნევდა. გულწრფელად გამიკვირდა მათი გამომწვევი სიბრმავე. დარწმუნებული გახლდით, ვის-ვის და მათზე უკეთ არავის მოეხსენებოდა რამ გომურში მიმდინარე ცვლილებებისა თუ მოვლენების თაობაზე, მაგრამ ცხოველები თვალს რატომღაც განგებ იბრმავებდნენ, ყურსაც ძალად იყრუებდნენ, ჩემგან განსხვავებით, რამეთუ ისედაც უთვისებო ყურს კიდევ უფრო მეტად ველარ დავიხშობდი, ხოლო რაც შეეხება დაბრმავებას, ეს მხოლოდ და მხოლოდ დროის ამბავი იყო. და, ვინაიდან ჩემს თვალებს ჯერ კიდევ არ დაკარგვოდათ მხედველობის უნარი, რადგან ჩემი თვალი იმდენადვე საჭიროებდა საგნებისა თუ მოვლენების განმჭოლ ჭვრეტას, რამდენადაც მლაშენაჭამი კაცი საჭიროებს ჭიქა წყალს, მეც გაფაციცებით, თვალისმოუცილებლად ვაკვირდებოდი მფეთქავ წყვდიადს. და მართლაც, აქოთქოთებული, აფუებული წყვდიადი ჩემ თვალწინ იბერებოდა, როგორც ორსული, თითქოს მისი გაუმჭვირვალე გარსი სხვა არა იყო რა, თუ არა რაღაც არაამქვეყნიური სულდგმულის კუპრივით შავი აპკი.

მდუღარეგადასხმულივით უშნოდ ბორგავდა, ამაზრზენად იგრიხებოდა წყვდიადი, როგორც გველი, საკუთარი კანიდან რომ ცდილობს ამოძრომას. თან სუნთქავდა კიდეც, მისი შესქელებული ამონასუნთქი კვამლისებრ კი არ იცრიცებოდა ჰაერში, არამედ ჭვარტლის უამრავი ნაკუწივით ციალით ფარფატებდა და მინის წიაღიდან ამოფრქვეული გაზის ნაკადს ამოყოლილი თბილი ფერფლივით ყველას და ყველაფერს ზედ ეპნეოდა. რაც კი რამეზე ფეხმოსაკიდი გამონახა ფერფლმა, ყველაფრის ქიმი სქელი ფენით გადაფარა. გეგონებოდა, ზეცაში მოძილე ღმერთს, ბედად, მაინც-

დამაინც მაშინ ეცვალა გვერდი, როცა გომურის კუთხეში გამეფებულ წყვდიადს ბორგვა დაეწყო, და გადაბრუნებისას თმის ძირებიდან ანაზდად გადმოცვენილი ქერტლი დაპნეოდა ქვეყნიერებას, — და არა უბრალო ფერფლი. თანდათან სულ უფრო გაიბერა წყვდიადი, ცხადი იყო, ის თავისთავში რაღაც ნაყოფს იმნიფებდა. თითქოსდა გამოვარჩიე კიდეც, კუპრივით შავსა და შეშუპებულ აპკზე როგორ ამოებურცა წყვდიადს უზარმაზარი იისფერი ვენა. მერე ის ვენა კიდევ უფრო რომ გაგანიერდა და შთამნერგავი ზომის სისხლძარღვებიც რომ გაიჩინა, ის სისხლძარღვები მთელ წყვდიადზე ისე გაიტოტნენ, როგორ უხვწყლიანი მდინარის შენაკადები.

ყველაფერი უცებ ჩამთავრდა. მფეთქავი სიბნელე უეცრად ჩაპატარავდა, მუშტის სიმსხო გახდა, თითქოს მინას პირი დაეღო და მოუსვენარ, აცქმუტებულ წყვდიადს თავის ნიაღში უპირებდა ჩაწრეტას, შთანთქვას, ჩაყლაპვას. შეშუპებული აპკიც თვალშისაცემად მოემჩვარა, და რომ დაბერილი სისხლძარღვებიც თანდათან უკვალოდ გაუქრნენ მომჩვარული ზედაპირიდან, ჯერ აყროლებული ლორნო გამოღვარა, თითქოს წყვდიადს მოულოდნელად წამოაზიდა, რომლის შესქელებული შხეფები მინასა და ჯიმის მუხლზე გამობმული თითბრის ჯაჭვის რგოლებს მიმოეფრქვა, და მერეღა გამოაგდო, გამოაფურთხა წყვდიადმა რაღაცის საზიზღრად ლორწოვანი კოლტი, როგორც ჭლექიანმა ბალღამის ბოლქვი. გომურის დირეზე მიმსჭვალული ბაზმას მოკრძალებული ციაგის ხარჯზე თავით ფეხებამდე ლორწოში გახვეულ არსებას მთელი სხეული ისე ულაპლაპებდა, თითქოს ლორწოში კი არაა გახვეული, არამედ მტაცებელი მედუზა — ლაბისებრი, მრავალცაციანი ზღვის ცხოველი — შემოტმასნია სხეულზეო. თავის ცხოვრებაში ჯიმი პირველად ხედავდა ლორნოში გახვეულ ლხასკურ აფსოს, მაგრამ საოც-

რად დამშვიდებული გული არაფერს ეუბნებოდა, არც სამშვიდობოს, არც საგანგაშოს. ვითომც წინდანინვე უშეცდომოდ იცოდა, დანამდვილებით ასე რომ იქნებოდა, დედა ცხვრის ლეშის შთანთქმელ წყვდიადს დანამდვილებით ლხასკური აფსო უნდა გამოეგდო, გამოეფურთხებინა თავისი წიაღიდან. ვითომც ბუნებრივი კანონზომიერება იყო წყვდიადის მხრიდან ჯერ ლეშის შთანთქვა, შემდგომ კი სანაცვლოს გაღება. თუმცა ერთია კიდევ, შეიძლება ყველაფერ ამის ნაცვლად ის იყო, რომ დედა ძაღლს შემოეგდო გომურის ხვრელიდან თავისი ნაშიერი? თუნდაც, როგორც კუდიანი ბოშა ქალი ბინძურ არტახებში გახვეულ, თვალაუხელელსა და უშნოდ გალურჯებულ ნაბუშარს ალალბედზე დააგდებს ხოლმე კარის ზღურბლზე, ან თუნდაც კატა რომ მიატოვებს ხოლმე ბედის ანაბარა რაღაც უკურნებელი სენით დაავადებულ ცინდლებს. თუმცა ერთი იყო თუ მეორე, ჯიმის ეს არ ანაღვლებდა, და არა მარტო ჯიმის, არც აფსო ნაღვლობდა დიდად რამეს.

თვალმოჭუტულ კამეჩს არაფერი შეუმჩნევია, არც ზეზეულად მოძილე სახედარს, არც ფარღალალა კედელს გავააკრულ იაბოს და არც კბილებაღრჭიალებულ თელს. არადა, სათითაოდ ყველა მათგანმა შეავლო თვალი ლორწოში ამოთხვრილ ცხოველს, შეფარვითა და ნაუცბათევად, მაგრამ დაუპატიჟებელი სტუმრისთვის ჯეროვანი ყურადღება არ დაუთმიათ. მათთან არ სტუმრობდა, მათთან არ იყო აფსო მოგზავნილი და იმიტომ. ვის-ვის და მათზე უკეთ ეს არავის მოეხსენებოდა. არც ძაღლს შეუმჩნევია ჯიმის გარდა დანარჩენების არსებობა. შეიგრძნო თუ არა ფეხებში საყრდენი, მაშინათვე ჯიმის ამოხედა ცერად, ჯიქურ გაუსწორა თვალი, მერე უეცრად გამოცოცხლდა, თითქოს ძლივს დააღწია თავი საშვილიშვილო ძილს და საკუთარ სხეულზე აწებებული გამჭვირვალე აპკის ტლეკას შეუდგა. აპკს ისე ნაჩქარევად ტლეკდა, გეგონებოდა,

გომურში რაღაც განსაკუთრებული დავალებითაა მოვლენილი, არაფრით არ შეიძლება იმ დავალების გადადება, დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს მის სისრულეში მოყვანას, ხოლო ასეთ საპასუხისმგებლო საქმეში ლორნო მხოლოდ მეაბრკოლებდა, ხელის შეშლის მეტს არაფერს მოუტანდა.

და, მართლაც, საქმიანად აფუსფუსებულმა, როცა სხეულზე შემოტმასნილი აპკი მოიშორა, როგორც მუხლჩაუხრელი ბრძოლის შემდეგ ოფლში გახვითქულმა მეომარმა ტყვიასავით დამძიმებული ბექთარი, და თავისუფლად ამოისუნთქა, აფსო მერეღა გაინვართა მთელი სხეულით, გომურის ნესტიანი მიწა ბრჭყალებით ზერელედ მოფხოჭნა, ღილისხელა დრუნჩი მიწას დააკრო და გაფაციცებით დაყნოსა, ირგვლივ მიმოფანტულ ლორნოს ნაკუნებს დაუწყო ძებნა. თითქოს ნაკუნების დატოვება არაფრით არ იქნებოდა, თითქოს უმისამართოდ მიმოფანტული ნაკუნები ნივთიერი სამხილები იყო, და ახლა მათ განადგურებაზე ზრუნავდა, როგორც გამოცდილი ავაზაკი საეჭვო კვალის დაფარვაზე. მოსაძებნიც ბევრი არა იყო რა, ზღვის მოქცევისას მთვარით გადანათებულ ქვიშნარ ნაპირზე გამორიყული მედუზების ჯოგივით ნაირფრად ბრჭყვიალებდნენ ირგვლივ მიმოფანტული ლორნოს ნაკუნები. და სიმართლე ითქვას, აფსოს რომც არ აეტლიკა, ის ნაკუწები გამორიყული მედუზებივით ჩაიღვრებოდნენ, ჩადნებოდნენ, ჩაიწრიტებოდნენ გომურის ნესტიან მიწაში, მაგრამ როგორც ეტყობოდა, აფსო არავის და არაფერს არ ენდობოდა, არც მიწას.

შუბლზე ოქროსფერ ბეწვჩამოლესილმა აფსომ მიწა რომ მოასუფთავა და ლაშებზე დაკიდული ლორნოს კოლტები ენის ზურგით პირში რომ მოიგდო, მკვდარი გველივით მიწაზევე დაგრეხილ ჯაჭვს მერეღა მიუწვა გვერდით და თითბრის რგოლებში ჩარჩენილ ლორნოს ნაკუნებს უკვე დამშვიდებულმა დაუწყო ტლეკვა.

საჩქარო აღარაფერი ჰქონდა. ჯაჭვის რგოლებში ჩარჩენილი რამოდენიმე ნაკუწის ამოტლეკვას, ძაანაც რომ მოენდომებინა, წუთზე მეტს მაინც ვერ დაახარჯავდა. მაგრამ, როგორც მეორე წუთში გაირკვა, ჯაჭვისთვის თავის მინებებას აფსო არც აპირებდა. ნაკუწებისგან უკვე ამოწმენდილსა და, შესაბამისად, სანიმუშოდ გაკრიალებულ თითბერს რაღაც არაბუნებრივი ჟინითა და თავდავიწყებით ლოკავდა.

მარტო ამით არ დამთავრებულა იმ ღამეს გომურში დატრიალებული ამბები. მკვდარი გველივით მიწაზევე დაგრეხილი ჯაჭვის გვერდით აფსოს მიწოლა და მის მიერვე თითბრის რგოლის თავდავიწყებით ლოკვა უკვე ჩვეულებრივ ამბად ქცეულიყო, როდესაც გომურში ერთი გადარეული მგალობელი შემოფრინდა, გომურის ისედაც პატარა სივრცეში რამდენჯერმე შეკრა მოკლე ირაო, თან სულთათანას გალობდა, მერე უეცრად დაბლა დაწეული ჯიმის მუცელს წაეტანა, პატარა კლანჭებით მუცელში ჩააფრინდა, მუცლის მომჩვარულ კანზე მოკაკვული ნისკარტი რამდენჯერმე ღონივრად დაჰკრა, როგორც კოდალამ ხის ქარაგოზიან ქერქზე, და თითის სიმსხო ნახვრეტი რომ გააჩინა, და იმ ნახვრეტიდან ჯიმის სისხლი რომ წასკდა, მგალობელმა არც აცია, არც აცხელა, ნახვრეტში ჩიჩახვამდე შეჰყო თავი, ჯიმის გასიებულ ღვიძლს ნამცეცი ჩამოაციცქნა, უკვე სისხლში ამოთხვრილი თავი უკანვე გამოჰყო, ისევ სულთათანას გალობას მოჰყვა და თვალისდახამხამებაში ისევე გაუჩინარდა. სისხლში ამოთხვრილი მგალობელი თვალს რომ მიეფარა, კუთხეში უძრავად დაგდებული და დაშოშმინებული წყვდიადი მერეღა შეირხა. ოღონდ ისევე მკვეთრად არა, როგორც თავდაპირველად. უბრალოდ, კუთხეშივე შეთრთოლდა, თითქოს ბაზმას გაჭვარტლულ შუშაში ჩამწყვდეული ისედაც ციცინათელასხელა ალისთვის ენის წვერზე ნიავს დაექაჩა და ამის გამო გომურში მშვიდად დაყუდებულ ჩრდილებს

ადგილმდებარეობა შეცვლოდათ. არადა, მთელი ამ ხნის მანძილზე წყვდიადი უსულო რამ საგანივით უძრავად ეგდო. არ გცოდნოდა, დანამდვილებით წყვდიადი რომ იყო, გეგონებოდა, კაჭარი გდია გომურის კუთხეშიო; და მართლაც, ამასობაში ცოტაოდნავ მომრგვალებული და თითქოსდა გახეხილი წყვდიადი ქანის მონატეხი ქვასავით უსულოდ კი ეგდო, მაგრამ უეცრად შერხეული თანდათან გამოცოცხლდა, მერე მცირეოდნავ ამაღლდა, თითქოს კედელზე აცოცებას ეპირებოდა და, რაღაც ზღვრამდე აწოწილი, როგორც დაჩრდილული სვეტი, მყარად დადგა.

და რომ მეგონა, ესაა და ეს, განსაკუთრებული მეტი აღარაფერი მოხდება-მეთქი, ვცდებოდი თურმე. აწოწილი წყვდიადი მართლაც სვეტზე გამობმული და მარად გაუქნელი ჩრდილივით თვალშისაცემად რომ შესქელდა, დაღარული და ფრჩხილქვეშ სისხლჩაქცეული ხელები მერეღა გამოიშვირა ვიღაცამ წყვდიადიდან. ვითომც სვეტი კი არ იყო გაუქნელი და გაუმჭვირვალე წყვდიადი, არამედ რომელიღაც საკარნავალო წარმოდგენის საგანგებო აღკაზმულობა, და მასში საგულდაგულოდ ჩამალულ სულდგმულსაც ისღა ევალებოდა, რომ კუპრივით შავი კოსტიუმიდან გამოჩრილი დაღარული ხელები ჩემკენ გამოეშვირა.

ჯიმიმ იმწუთასვე იცნო ფრჩხილქვეშ სისხლჩაქცეული თითები. მახსოვრობის სკივრიდან ერთბაშად ამოაგონდა დედის მომუშტული ხელის მტევანში მოყმუჭნილი ოფლით მონამული ზენარი როგორ მოიმჩვარა, როგორც კი მომუშტვას დედამ თავი ანება, თითები მოადუნა და მის ფრჩხილქვეშ ჩაქცეულმა სისხლმაც შვინდისფერისკენ იცვალა პირი. მახსოვრობის თავახდილი სკივრიდან ისეთი თავქარიანი სიჩქარით ამორბოდნენ მოგონებები, როგორც ცეცხლწაკიდებული საბუდრიდან დაფეთებული ჭიანჭველები. ყველაფერი ერთბაშად გაახსენდა ჯიმის, ხელებდა-

კაპინებული ექიმბაშებიც, მუცელმოღიავებული და ლაჯებსშორის ტაშტშედგმული დედაც, სიმნრის ოფლგადამსკდარი ბებიაქალებიცა და ისიც, თავად ექიმბაშის ხელში ატატებული, ოდესღაც როგორი დაჟინებით ჩააშტერდა მოღიავებული მუცლის ღრმულში დედას, ყველაფერი ცხადლივ გაახსენეს წყვდიადიდან გამოჩრილმა დედის დაღარულმა ხელებმა.

დილამდე არ ჩაუხრია ჯიმის მუხლი. დაოთხებულმა მთელი ღამე თვალისდაუხამხამებლად გადაატარა. გათენებამდე არ გაჩერებულან დედის დაღარული ხელისგულები. გომურში კი არა, მუნჯების კარნავალზე გეგონებოდა თავი. დაოთხებული ჯიმი თვალისმოუცილებლად აკვირდებოდა ხელების გამომხატველობით მოძრაობებს, მაგრამ, მუნჯურ ანბანს ჯერჯერობით დაუსწავლელი, გულწრფელად შეწუხების მეტს ვერაფერს ახერხებდა. თუმცა არ იყო ეს გამოუსწორებელი საშინელება. ეს საქმე გამოსწორებას ექვემდებარებოდა. მუნჯური ანბანის დასწავლას რამდენი ხანიც დასჭირდებოდა, დედაც იმდენ ხანს გააგრძელებდა მეცადინეობებს. რაკი საიქიოდან საგანგებოდ ამ საქმისთვის დათხოვილიყო, დედაც იქამდე არ დატოვებდა გომურს, ვიდრე ჯიმის არ დაასწავლიდა უშეცდომო ანბანს.

იმ ღამიდან მოყოლებული არცერთი მომდევნო ღამე არ ყოფილა უნაყოფო. ჯიმი ზედმიწევნითი სიზუსტით იზეპირებდა, მეტისმეტი მონდომებით ეუფლებოდა მკვდარი ანბანის შემადგენელ ყოველ ასობგერას. როგორც კი გომურის მკვიდრი ბინადრები თავთავიანთ ადგილს დაიკავებდნენ და უსიზმრო ძილს მიეცემოდნენ, წყვდიადიდან მაშინვე აფსო გამოსხლტებოდა ხოლმე, მინაზევე დაგრეხილ ჯაჭვს გვერდით მიუწვებოდა და, ნიშანში ამოღებულ თითბრის ერთადერთ რგოლს მონდომებული დაუწყებდა თუ არა

ლოკვას, სვეტივით მდგარი ნყვდიადიც მცირეოდნავ შეირხეოდა, კუპრივით შავი აპკი შეუთრთოლდებოდა და გაუქნელ სიბნელესაც ვიდრე დედის ხელები გამოეზრდებოდა, მგალობელი იქამდე ასწრებდა გომურში შემოფრენას, მოკლე ირაოს რამდენჯერმე შეკვრას, სულთათანას ბოლომდე დამღერებას, ჯიმის მუცელზე გაჩენილ პირშეუკრავ ნახვრეტში ლამის ჩიჩახვამდე თავის შეყოფას, ღვიძლიდან ნამცეცის ჩამოციცქნას და თვალისდახამხამებაში გაუჩინარებასაც. მკვდარ ლექსებს დედა მიზანდასახულად ასწავლიდა ჯიმის, დროზე ადრე აკურთხებდა მკვდარი პოეზიის საკურთხეველზე. ხოლო ლექსის კითხვისას, როდესაც სათქმელი გამძაფრებას მოითხოვდა, წყვდიადს გამოზრდილი ხელები გამიზნულად აჩქარდებოდნენ ხოლმე, და ჯიმიც ასეთ დროს გუმანით უფრო ხვდებოდა, ვიდრე თვალით ხედავდა, გაუმჭვირვალე სიბნელეს საგულდაგულოდ ამოფარებულ დედას როგორ უნდა წამონთებოდა ხოლმე სახე. დედა მკვდარ ლექსებს ისეთი გადამდები მღელვარებით კითხულობდა, პირგამეხებული და აფორიაქებული ჯიმი უსიტყვოდაც ხვდებოდა ხოლმე იმის სათქმელს. ხან კი პირიქით, გაუქნელი სიბნელიდან გამოშვერილი ხელები უეცრად მოეშვებოდნენ, მოდუნდებოდნენ და დაღარული თითებიც ისე ჰაეროვნად და თითქოსდა ფაქიზად ირხეოდნენ, გეგონებოდა, ლბილ თიხას ძერწავენ ან წარმოსახულ თოვლს აგუნდავებენო.

მაგრამ საკმარისი იყო, გომურის კარში მდგარი ღამის ლურჯი ზეცა ცოტაოდნად გაცრეცილიყო, დედის დაღარული ხელები იმწუთასვე ბნელში ინთქმებოდნენ, როგორც დედა კუ შეჰყოფს ხოლმე დაკოჟრილ თათებს მცირეოდენი საფრთხისას ბაკანში. ხოლო დაღარული ხელები მიეფარებოდნენ თუ არა ბნელს, ჯაჭვთან განოლილი აფსოც ნამოიმართებოდა, მთელი სხეულით ზანტად გაიწვართებოდა და, მთელი ღამის განმავლო-

ბაში გაუჩერებლივ თითბრის რგოლნალოკი, არაქათ-გამოლეული და ენაგამომშრალი, ძალების აღსადგენად, წყვდიადიდან მოსული, ისევ წყვდიადში შეცუხცუხდებოდა, რათა მომდევნო ღამით კიდევ უფრო მეტი ჟინითა და მონდომებით აელოკა თითბრის ოდნავ უკვე შეთხელებული რგოლი.

მკვდარი პოეზიის საკურთხეველზე ნაადრევი კურთხევით დედა ძირეულად უცვლიდა ჯიმის მომავალს. სხვამ ვინ იცოდა, თუ არა მკვდარმა დედამ, რომ, როგორც პოეტი, ჯიმი მომავალში დანამდვილებით მოკვდებოდა. მაგრამ მთელ მომავალს იმ ერთი, ერთადერთი სიტყვის მოხელთებას დაახარჯავდა, სიტყვის, რომელიც ერთდროულადაა პასუხიცა და პაროლიც ფუძიამასკენ დაძრული მექარავნესთვის წარსადგენად. ხოლო იმ შეუმცდარი სიტყვის მოხელთებამდე, თავგაბეზრებული, გაკადნიერებული და, მეტიც, მკრეხელი ჯიმი, ყოველ ჯერზე წარმოსახულ დედაზე იყრიდა მომავალში ჯავრს, ყველაფერს, პირველ რიგში კი საკუთარ მოუხერხებლობას გადააბრალებდა მკვდარ დედას, ათას სიბინძურეში გახვევდა მის სახელს. თუმცა მკვდარი პოეზიის საკურთხეველზე ჯიმის ნაადრევი კურთხევით დედა საკუთარი სახელის შენარჩუნებაზე კი არ ზრუნავდა, არამედ ისევ და ისევ ჯიმისთვის იღვწოდა. მასეა, დედა მკვდარი იქნება თუ ცოცხალი, საიქიოს იქნება თუ სააქაოს, სულმუდამ შვილის კეთილდღეობაზე ფიქრობს, უნდა იფიქროს მაინც. თუკი იმ ერთი სიტყვის მოსახელთებლად უნდა დაეხარჯა ჯიმის მთელი თავისი მომავალი, ბარემ ახლავე, დასაწყისშივე, წარსულშივე მოახელთებინებდა იმ სიტყვას დედა და ჯიმისაც უკვე აღარაფერი მოესაქმებოდა მომავალში. სიტყვას, რომელიც კიდევ ერთხელ დაუდასტურებს მექარავნეს იმას, რომ ის დანამდვილებით არ სცდება სიტყვის წარმდგენის შიგნაკრაობაში. რამდენადაც, პოეტი გარკვეულწილად შიგნაკრაობასთან თუკი არაა

წილნაყარი, გამოდის, მისი მკვდარობა შეუმდგარია და, შესაბამისად, მისი ადგილი პანთეონშია, ცოცხლების გვერდით, და არა ფუძიამას ძირში შეკრებილ მკვდრებთან. ასე რომ, დედა საბოლოო შედეგს კი არ ცვლიდა, არამედ პროცესს. ვის-ვის და დედაზე უკეთ განა ვის მოეხსენებოდა, რომ მექარავნესთვის მთავარი შედეგია და არა შედეგამდე განვლილი გზა, მოვლენათა თანმიმდევრული მონაცვლეობის ჩამონათვალი. ვინაიდან მკვდრად შენიღბულმა ნებისმიერმა ენამზე ცოცხალმა როგორც არ უნდა შენიღბოს შედეგამდე განვლილი გზის თავგადასავალი და როგორც არ უნდა შეეცადოს მექარავნის გაცურებას, მაინც ვერრას გახდება, ფუჭი გასროლა გამოუვა, რადგან მექარავნე სწორედ იმისთვისაა, მკვდარი ცოცხლისგან გამოარჩიოს, თორემ ხომ გადაიჭედა და წაიბილწა ფუძიამას ძირი ათასი ვიგინდარით. მექარავნესთვის სულერთია მოვლენათა თანმიმდევრული ჩამონათვალი, მთელ იმ ჩამონათვალს ერთადერთი შეუმცდარი სიტყვა განსაზღვრავს, ისევე, როგორც შედეგით განისაზღვრება სიმსივნის კეთილ— და ავთვისებიანობა. დედამ ისიც უშეცდომოდ იცოდა, ფუძიამას ძირში შეკრებილ თავაწყვეტილ გიჟებს უკვე რომ მოენთავისუფლებინათ ჯიმისთვის ადგილი, როგორც წყალგაუვლად მკვდარი პოეტისთვის, ისიც ჯერ კიდევ მაშინ, როცა დაოთხებული ჯიმი პირში გაჩრილ ბულულებს ჯიუტად ეზიდებოდა თივის ზვინიდან გომურში. მაგრამ მონთავისუფლებული ადგილის დამსახურებისამებრ დასაკავებლად, შეუმცდარი სიტყვის მოუხელთებლად, ჯიმი თავისი ღირსების ნაშთს ვერ მოუხმობდა, რათა მკვდარი პოეტების საუფლოსკენ დაძრულ მექარავნეს დამგზავრებოდა.

მეცადინეობები მთელი ღამეები შეუსვენებლივ მიმდინარეობდა. ჯაჭვთან გაწოლილი აფსოც გაუჩერებლივ ლოკავდა თითბრის რგოლს, რომელიც თვალისთვის შეუმჩნევლად თანდათან ილეოდა. გომურის კა-

რში მდგარი ღამის სილურჯე როგორც კი ცოტაოდნად გაიცრიცებოდა, გაუქნელ სიბნელეში დედის დაღარული ხელების მიფარებასთან ერთად, აფსოც წყვდიადს მიაშურებდა ძალების აღსადგენად, ბოძზე მიჯაჭვული ჯიმიც მოცელილივით გაიშოტებოდა მიწაზე, თავქვეშ ხელისგულს ამოიდებდა და მართლაც მკვდარივით ჩაეძინებოდა ხოლმე. ეს იყო უსიზმრო ძილის ვრცელი დღეები. ჯიმის ღრმად, როგორც მკვდარს, ისე კი ეძინა, მაგრამ ხანდახან, დღის მანძილზე რამდენჯერმე, უეცრად გამოეღვიძებოდა აფორიაქებულს და გომურსაც ისე ცნობისმოყვარედ მოათვალიერებდა, თითქოს იმას შიშობდა, ღამის დადგომა არ გამომეპაროსო, თუმცა დაცარიელებული გომური იმისი ნათელი დადასტურება იყო, რომ ღამის დადგომამდე ჯერ საკმაოდ შორი იყო. გაშლილ ხელისგულზე თავჩამოდებული, ვიდრე უსიზმრო ძილს შეიბრუნებდა, აბლიტული თვალებით იქამდე გოხ მარილს მიაშტერდებოდა ხოლმე.

ფარღალალა კედლის ნაპრალებიდან შემოტანებული მზის ალმაცერ ათინათების ქვეშ დაყუდებული მარილის ლოდში ჩამწყვდეული ცხვრის ანარეკლი მშვიდად თვლემდა და ლოდის ფსკერზე გვერდულად გაშოტილი მზის ხარჯზე თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებდა. თან გაშავებულ ტუჩებს დროდადრო აცმაცუნებდა, მერე მზეზე მომთბარ გვერდს იცვლიდა, ხოლო სიზმრის მდევარს რომ გაქცეოდა, მინის კოშტებაკრულ ჩლიქებს გვერდულად გაშოტილი ლოდის დახუფულ სივრცეში უმწეოდ იქნევდა ხოლმე. ჯიმი ასეთ დროს მარილის ლოდთან მიხოხდებოდა, — ჯაჭვის სიგრძე მხოლოდ იქამდე ჰყოფნიდა, — ლოდის გვერდით გაწოლილი, თვითონაც მთვლემარე ცხვარივით მოჭუტავდა თვალებს, თვითონაც ცხვარივით ააცმაცუნებდა ტუჩებს და, გვერდულად გაშოტილი, თვითონაც უმნეოდ იქნევდა კიდურებს ჰაერში.

ზედმინევნითი სიზუსტით იმეორებდა ანარეკლის მოძრაობებს, რამეთუ უკვე სანახევროდ მკვდარი გული უგრძნობდა, რომ ადრე თუ გვიან თვითონაც მარილის ლოდში ჩამწყვდევა მოუწევდა. მერე ანარეკლს უეცრად რაღაც წამოუვლიდა, ერთბაშად დაოთხებული, ლოდის ფსკერზევე ჩიკორივით დაბზრიალდებოდა, საკუთარ დუმას გაედევნებოდა, სამიზნესაც მალევე მოიგდებდა პირში და წინა კბილებით ისე გაგულისებით იკბინებოდა, თითქოს საკუთარ დუმას კი არა, დამზრალ ბალახს კვნეტდა. თუმცა აბეზარ ჯღიბას წინა კბილებით გაკვნეტდა თუ არა, მაშინვე დაშოშმინდებოდა და უკვე დამშვიდებული ანარეკლი ისევ თავის ადგილზე წვებოდა. ჯღიბა ნამდვილი იყო თუ წარმოსახული, ჯიმიმ არ იცოდა. მან არც ანარეკლის სიზმრების შინაარსი იცოდა. ცხადია, თუკი შინაარსი საერთოდ გააჩნდა ანარეკლის სიზმრებს, მაგრამ გაშავებული ტუჩების დროგამოშვებითი ცმაცუნი, — ანარეკლი სიზმრიდან რომ აცმაცუნებდა ხოლმე, — და კიდევ, ლოდის დახუფულ სივრცეში უმისამართო რბოლა, ჯიმის იმის მანიშნებლად ეჩვენებოდა, რომ ანარეკლი დანამდვილებით სიზმრებს ხედავდა. ეს კი ჯიმის სამართლიანად აწუხებდა, ისევე, როგორც თავის სენაკში განმარტოებულ სოფლის თავკაცს აწუხებდა ოდინდელი ვეშაპის მოუხელთებელი სიფათი. ანარეკლის პატარა თავი, რომელშიც სავარაუდოდ სიზმრები ბუდობდნენ, იქვე კი იყო, ხელის გაწვდენაზე, მზის ალმაცერი ათინათის ქვეშ მშვიდად დაყუდებული, ეგაა, არც ანარეკლის თავი ყოფილა სკივრი, რომ გადაგეხსნა, და არც სიზმრები იყვნენ რიყის ქვები, ამოგელაგებინა და ხელში აგეჩხრიალებინა.

მოხარშული ბრინჯის მაგივრობას ჯიმის რახანია მარილის ლოდი უწევდა. ჯაჭვზე გამობმულს, რაკი არჩევანის საშუალება არ ჰქონია, ჯიმისაც სულმუდამ ერთსა და იმავე ადგილის ტლეკვა უხდებოდა და იმ

ადგილზე მარილის ზედაპირს რახანია ფოსო გასჩენოდა. იქამდე მიხოხდებოდა ხოლმე, ვიდრე ჯაჭვის სიგრძე გაუშვებდა, ჩვეულებისამებრ დაოთხებული კისერს წაიგრძელებდა და ლოდის ბრტყელ ზედაპირზე გაჩენილი ფოსოს ტლეკას შეუდგებოდა თუ რა, ლოდის ფსკერზე გაშოტილი ანარეკლიც მაშინვე წამოხტებოდა და საოცრად გლუვი და ლურჯი ენით ლოდის შიდაპირის ტლეკვას იწყებდა თვითონაც. თანაც ზუსტად იმ ადგილს დაამთხვევდა ხოლმე, სადაც ზედაპირს ფოსო გასჩენოდა. ისეთი მონდომებით ტლეკდა გამჭვირვალე ლოდის ზედაპირს ჯიმი, გეგონებოდა, სარკმლის გაჭრას ცდილობდა ლოდში, ხოლო ანარეკლი შიგნიდან ეხმარებოდა, თითქოს გაორკეცებული ძალისხმევით სარკმელი გაცილებით მალე გაიჭრებოდა. თუმცა მისახმარებელიც ბევრი არაფერი იყო. ფოსოს ძირში, ლოდის გამჭვირვალე პირს რახანია ნასვრეტი გასჩენოდა და მონდომებული ტლეკით ჯიმიც იმასღა ცდილობდა, რომ ის ნასვრეტი გაეფართოებინა. რამე ყოფილიყო, დაუბრკოლებლად, გაუჭირვებლად გამძვრალიყო მასში. ეს იყო დიდებული ფანტომი, საიქიოსა და სააქაოს დამაკავშირებელი ერთგვარი ხვრელი.

რაკი ჯიმი ხელს არ ხმარობდა, კოკობი ნვერ-ულვაში ამიტომაც შეეფეთქებოდა ხოლმე თეთრად და ამის გამო მარილშეფეთქილ წვერსაც, წესითა და რიგით, სულ უფრო მეტად უნდა გამოება მლაშე სურნელი, როგორც ზღვის სანაპიროს, მაგრამ ასეთ დროს ანარეკლი მარჯვობდა გოხი მარილის ფოსოში გაჩენილი ნაპრალიდან გალურჯებული ენის ნვერს გამოჰყოფდა ხოლმე და ჯიმის მარილით გაპოხილ ენასაც შესაშური მონდომებით ტლეკდა. ეგ კი არა და, ნასვრეტის მომრგვალებულ კიდეებზე ბოლოჯერ მოუსვამდნენ თუ არა ენებს, მაშინ ორივე ერთმანეთის არა მარტო ცხვირ-პირს, თვალის კუთხეებში მოსველებულ ნირპლსაც და ღაწვისთავებზე დაკორკოშებულ ბალანსაც

ერთნაირი გულმოდგინებით ტლეკდნენ. გეგონებოდა, კუდიან დედაბერს ჭინკა და ჭინკას ხარჭა სხვადასხვა სივრცეებში დაემწყვდია და იმათაც სივრცეების გამ-მიჯვნელ ტიხარში გაჩენილი ხვრელიდან ერთმანეთის ტლეკვის მეტი აღარაფერი დარჩენოდათო. მერე არა-ქათგალეულები თავთავიანთ ადგილებზე მიეყრებოდ-ნენ და საღამომდე სულიერი არ იყო მათი შემნუხებელი.

ყოველი საღამო ერთი და იმავე თანმიმდევრობით ვითარდებოდა. უზარმაზარი აკვანივით დარწეული კამეჩი, როგორც ყოველთვის, მძიმედ შემოდიოდა გომურში. შემოსვლისთანავე სახეში შეჰბღაოდა მიჯა-ჭვულ ჯიმის, ცხელ ამონასუნთქს ამოყოლილ შხეფებს შუბლზე შეაფრქვევდა და, ისევ ისე დარწეული, გოხი მარილისკენ მიაბოტებდა. გამჭვირვალე ლოდსაც ისე დაჟინებით ჩააშტერდებოდა, თითქოს ამოწმებდა, ანარეკლი ხომ არ გაუჩინარებულაო, და რაკი ლოდის ფსკერზე გაშოტილსა და უზრუნველად მთვლემარე ანარეკლს იმწუთასვე ჰკიდებდა მოჭუტულ თვალს, უკვე ნირწამხდარი კამეჩიც ნეხვშემხმარი კუდის ზერელე ქნევას მოჰყვებოდა. ფარღალალა კედელზე გამხმარი გავის აკვრით ბეხრეკი იაბოც ძველებურად იმართლებდა თავს, ხან პირიქით, აიწონა-დაიწონას ხარიხად ასაღებდა თავს. კედელთან მიგდებულსა და უმისამართოდ გაღიმებულ თელსაც სულმუდამ საზი-ზღრად ჰქონდა ხოლმე მუცლის ქვემოდან თავმომხ-მარი ნეხვის ლბილი შიგთავსი გამოსრესილი, როგორც ჭაობის დღლუ ლაფი. ზეზეულად მოძილე სახედარიც ძველებურად უქნევდა მინას ქოჩორაშლილ თავს, თი-თქოს კვერს უკრავდა, თან ჩიჩვირში გაყრილი მრგვ-ალი რკინაც ისევე უთამაშებდა, როგორც სოფლის კუდიანს ნესტოში გაყრილი ვერცხლის რგოლი. ძველე-ბურად თითქოსდა აღარაფერი აღარ იყო, დღის ყოფა ღამისეულ ცხოვრებას შეეცვალა. თუმცა, ასე იყო თუ ისე, ძირეული სხვაობა ერთსა და მეორეს შორის არ

არსებობდა. სულ ის იყო, დღისით ჩამოყალიბებული თანმიმდევრობა ღამით ჩამოყალიბებულმა თანმიმდევრობამ შეცვალა. ერთი მოსაბეზრებელი ერთფეროვნება ისეთივე ერთფეროვნებამ. ეგ იყო და ეგ.

როგორც კი გომურის მკვიდრი ბინადრები უსიზმრო ძილს მიეცემოდნენ, კუთხეში ასვეტილი გაუქნელი წყვდიადიდან ოქროსფერი აფსო გამოსხლტებოდა, მინაზე დაგრეხილ ჯაჭვთან მოკლე ნაბიჯით მიირბენდა, ჯაჭვს გვერდში მიუწვებოდა და თითბრის უკვე საკმაოდ გალეული რგოლის ლოკვას გაორკეცებული მონდომებით რომ დაიწყებდა, სად იყო და სად არა, გომურის კარში გადარეული მგალობელი შემოფრინდებოდა, სულთათანას გალობით გომურის ისედაც პატარა სივრცეში რამდენჯერმე შეკრავდა მოკლე ირაოს, მერე უეცრად დაბლა დაწეული პატარა კლანჭებით ჯიმის მომჩვარულ მუცელში ჩააფრინდებოდა, მუცლის ნახვრეტში თავწარგული თითბრის რგოლივით უკვე საკმაოზე მეტად გალეული ღვიძლიდან ნამცეცს ჩამოციცქნიდა და სულთათანას გალობით მალევე მიეფარებოდა თვალს. წყვდიადიც იმწუთას შეირხეოდა ხოლმე და, შერხეულს, დედის დაღარული ხელები ეზრდებოდა.

მკვდარი ლექსების უმეტესობა დედას კარგა ხნის წინ წაეკითხა უკვე, მაგრამ სწორედ ის ერთი, ერთადერთი სიტყვა არ გაუმხელია ჯიმისთვის, არცერთხელ არ დასცდენია ის შეუმცდარი სიტყვა, რომელიც ჯიმის, საბოლოო ჯამში, მექარავნესათვის უნდა წარედგინა. ბოლომდე არ ამბობდა დედა სათქმელს, იმ სიტყვის გამხელა არაფრით არ იქნებოდა. პოეტმა, მითუმეტეს მკვდარმა, ან თუნდაც ნაღდად მომაკვდავმა, თავად უნდა მიაგნოს იმ სიტყვას. დედის დაღარული ხელები კი ირხეოდნენ ტალღოვნად, თითქოს ლბილ თიხას ძერწავდნენ ან წარმოსახულ თოვლს აგუნდავებდნენო, მაგრამ ლექსის კითხვისას საკმარისი იყო პნკარის იმ მონაკვეთს მიახლოვებოდა დედა, რომელიც იმ ერთ-

ადერთ სიტყვას უნდა დაეგვირგვინებინა, მისი ზურგა-შვერილი ხელები იმწუთას პაერშივე იყინებოდნენ, ხოლო უმწეოდ დაკიდული, მოშვებული და მოდუნებული თითები თანდათან ქვავდებოდნენ ხოლმე, როგორც ყინულის ლოლუები. ერთი სიტყვით, ბოლომდე არ ამბობდა დედა სათქმელს, კუდს განგებ უკვეცავდა.

უკვე ბოლოს დედამ საერთოდ მიანება თავი მკვდარი ლექსების კითხვას. ბოლომდე ჩაკითხულის ხელახლა კითხვას ხომ არ დაიწყებდა. მაგრამ მიუხედავად სალექსე მარაგის ამოწურვისა, წყვდიადს მაინც ეზრდებოდა დედის დაღარული ხელები, არნახული, გაუგონარი მონადინებით რომ მოძრაობდნენ მთელი ღამის განმავლობაში შეუსვენებლივ და დაუღალავად. მის მომავალს უყვებოდნენ დედის დაღარული ხელები ჯიმის, თანაც ზედმიწევნითი სიზუსტით, ოღონდ შერყვნილი თანმიმდევრობით. და მართლაც, გამოეზრდებოდა თუ არა წყვდიადს დედის ხელები, მომავალი ჯიმის ცხადლივ გადაურბენდა ხოლმე თვალნინ. სულ მალე, მთელი თავისი მომავალი ჯიმიმ უკვე ზეპირად იცოდა. დანამდვილებით იცოდა, რომ მსახურებს პენსიონრები შეცვლიდნენ, მარად თავშალნაკრულ დედაბერს კი ცოცხალმკვდარი რედაქტორი; გომურის ძაღლს — რედაქციის კატა-ყულაბა; სოფლის ვიგინდარებს, საიდანღაც მოთრეულ იერიქონებს სისხამ დილით მთელ ხმაზე რომ აღმუვლებდნენ, კორპუსის ეზოში შემოხეტებული უპატრონო ძაღლი შეცვლიდა, რომელიც მხოლოდ ღამით იყმუვლებდა, რათა თავისი წინაპრებისთვის ხმა დაუბრკოლებლად მიეწვდინა მთვარეზე; სოფლის თავკაცის სახლის დერეფნებში ორივე მხრიდან თანაბარ სიმაღლეზე მიჭიკარტებულ ვეშაპებს კი რედაქციის კედლებზე გამოკიდული უაღრესად გამოჩენილ ქმრების ლითოგრაფიები შეცვლიდნენ, ხოლო თითბრის მუხლისთავებს — ბრინჯაოს მუხლის-

თავები; და ასე დაუსრულებლად. ყველაფერი ვითომც ძირისძირამდე შეიცვლებოდა, ცივილიზაცია ცოფიანი სიჩქარით წაინევდა, დაიხვეწებოდა ძველი, რაც, თავისთავად ცხადია, არ იქნებოდა იმის მანიშნებელი, თითქოს რაიმე სიახლესთან ექნებოდა ჯიმის კავშირი, უბრალოდ, ერთი ნეხვი მეორეთი შეიცვლებოდა და მათ შორის პრინციპული სხვაობა არ იქნებოდა. ამიტომაც გადაწყვიტა ჯიმიმ, მომავალში აღარ წასულიყო. ჯერ ერთი, რომ იქ აღარაფერი ესაქმებოდა, და მეორე, მთელი თავისი მომავალი ისედაც იმ ერთი, ერთადერთი და შეუმცდარი სიტყვის მიგნებაში უნდა გაელია. სიტყვის, რომლის მიგნება წარსულშიც ისეთივე წარმატებით იყო შესაძლებელი, როგორც მომავალში.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს, როცა ჯიმი, როგორც პოეტი, უკვე მოუბრუნებლად და მიუდგომლად მკვდარი იყო, როცა, თამამად შეიძლება ითქვას, მის ირგვლივ სიკვდილს ყველაფერი თავისი ნიშნით აღებეჭდა უკვე, ჯერ კიდევ ბოძზე მიჯაჭვულსა და მთვლემარე ბატკანივით გომურის ნესტიან მიწაზე მოკუნტულს, რაღაცამ წამოუარა და უეცრად გამოაღვიძა. ერთბაშად გამოფხიზლებულმა და ერთბაშად დაოთხებულმა იმაზე უკეთესი და საზრიანი ვერაფერი მოიფიქრა, გოხ მარილს არ მიშტერებოდა. ასე ნაუცბათევად ვერ ხვდებოდა, რა მომხდარიყო, ოღონდ რაღაც იშვიათსა და დიადს რომ ჰქონდა ადგილი, ამას ისევე უშეცდომოდ გრძნობდა, როგორც ფუძიამას ძირში შეკრებილი თავაწყვეტილი გიჟები ყოველ დილით გრძნობდნენ მზის ამოსვლას. ჯიმი ჯერ კიდევ გოხ მარილს იყო მიშტერებული, როდესაც უეცრად ჩამობნელდა, თითქოს, როგორც იქნა, უკუნ ღამეს თავისი გაუმჭვირვალე კალთის გომურზე გადაფარება მოეხერხებინა. მართლაც, ისეთი გაუქნელი უკუნეთი ჩამოწვა, რომ დირეზე მიმსჭვალულმა სანათმაც ვერაფერი გაახერხა. ჰაერიც ერთბაშად ჩაიხუთა. გომურში სუნთქვა, ალ-

ბათ ისევე, როგორც მის გარეთ, გაუსაძლისი შეიქნა. ლუკმა ჰაერს წამლადაც ვერ იშოვიდი. თუმცა ისევე უეცრად გამოცოცხლდა ჰაერიცა და ისევე უეცრად გადანათდა ყველაფერი — იმაზე უფრო მეტადაც, ვიდრე დღის სინათლეა, — ვითომც ჩვეულებრივი ამბავი ყოფილიყო ჩაბნელებაცა და გადანათებაც, არაფერი განსაკუთრებული. და ვიდრე ტანი უგრძნობდა, ვიდრე გუმანი უკარნახებდა, თუ რა მოხდა, ყველაფერ დანარჩენს იქამდე დაასწრეს მისმა თვალებმა, იქამდე დაინახა, ჰაერში ოქროს მტვერი რომ აბუქებულიყო. თვალისმომჭრელად აბრჭყვიალებული მტვრის ბულულები უხვად, ბარაქიანად იპნეოდნენ კედლის ფარღალალა ნაპრალებიდან და გომურის აყროლებულ მიწაზე დაპნეული მტვრის თანდათან გასქელებული ფენაც ისე ბრნყინავდა, თითქოს დასაბამიდან მოყოლებული ასე იყო, თითქოს გომურის ძირი მიწისა კი არა, ბაჯაღლო ოქროსი იყო. დაოთხებული ჯიმი არც განძრეულა, ისე მიატრიალა კარისკენ თავი და სუსტი ნიავის მიერ გომურში შემოგორებული ოქროს ღრუბელი თვალებში შეეფრქვა. ორი აზრი არაა, ჯიმის ირგვლივ მაგნიტური ქარიშხალი ქროდა. სადღაც შორს, თვალშეუდგამ სიმაღლეზე მზის გვირგვინი აფეთქებულიყო და დედამიწის ატმოსფეროში მტვრის ბრჭყვიალა ნაკადი შემოჭრილიყო, თითქოს საკუთარი ოხშივრიანი ამონასუნთქი მზეს დედამიწისთვის მიეფრქვია. მზის გვირგვინი შორს, თითქმის მიუღწეველად შორს კი აფეთქებულიყო, თუმცა ჯიმისთვის ის ისეთივე მიუღწეველი შორეთი იყო, როგორც, ვთქვათ, თევზისთვის წყალი, თხუნელასთვის მიწა და ჩიტისთვის ხის კენწერო.

თვალისმომჭრელად აბრჭყვიალებული ოქროსფერი მტვრის სქელი ფენა უკვე დაშოშმინებულიყო, მიწაზე დაპნეული უკვე აღარ თრთოდა, როდესაც ჯიმი მიხვდა, ტანმა უგრძნო, რომ სწორედ იმ ღამით უნდა მოხდარიყო მოსახდენი, სწორედ იმ ღამეს უნდა განე-

პირობებინა ყველაფერი დანარჩენი. დაოთხებული ჯიმი მთელი დღე გომურის კუთხეში უძრავად ასვეტილ წყვდიადს თვალისმოუცილებლად იყო მიშტერებული და, თუმცა, მთელი ამ ხნის მანძილზე შემაშფოთებელი სიმშვიდით დაყუდებული ბნელეთი ერთხელაც არ შენძრეულა, არც შეთრთოლებულა, ჯიმი მაინც დარწმუნებული გახლდათ, რომ ყველაფრის თავიდათავი ისევ და ისევ წყვდიადი იყო. ზურგზე ოქროსფერმტვერდაპნეული გომურის მკვიდრი ბინადრები როდის შემოვიდნენ, როდის განლაგდნენ თავთავიანთ ადგილებზე გომურში და როდის მიეცნენ უსიზმრო ძილს, ჯიმის არ გაუგია. მთელი საღამო წყვდიადს იყო თვალისმოუცილებლად მიშტერებული, ირგვლივ ვეღარაფერს აღიქვამდა. ხოლო, როდესაც წყვდიადი შეირხა და იქიდან ტყვიასავით, თითქოსდა მოსწრებაზე გამოსხლტა აფსო, ჯიმის ამის მერეღა მოეშვა მკვდარ გულზე.

მიწაზე დაგრეხილ ჯაჭვთან ჯერ კიდევ არ იყო აფსო მიწოლილი, გომურში გადარეული მგალობელი რომ შემოფრინდა, რომელსაც, მიუხედავად მოლოდინისა, არც ირაო შეუკრავს, არც სულთათანა დაუგალობებია, არც აცია, არც აცხელა და, შემოფრინდა თუ არა გომურში, იმწუთასვე ჯიმის მუცელს წაეტანა. გადაუდებლად, როგორც საქმის კაცებს სჩვევიათ, პირშეუკრავ ნახვრეტში ნაჩქარევად შეუყო ჯიმის თავი, ღვიძლის უკანასკნელი ნამცეცი, უკანასკნელი მონარჩენი ნაჩქარევად და უმოწყალოდ ამოაწიწკნა, როგორც კოდალამ ხის ქერქიდან ჭიაყელა, და ღვიძლის ის მფეთქავი ნამცეცი, მართლაც ისე ჰქონდა მოკაკვულ ნისკარტში მოგდებული, როგორც აფუტფუტებული, დაგრეხილი ჭიაყელა, უკანვე რომ გაფრინდა, თვალის დახამხამებაში გაუჩინარდა. მერე ცოტაოდნად იმაზე მკვეთრად შეირხა წყვდიადი, ვიდრე საერთოდ სჩვეოდა. თან, თითქოს კიდევ უფრო ბუნდოვნად აემღვრა ისედაც კუპრივით შავი აპკი და, ჯერ კიდევ შენარხევს,

ფრჩხილქვეშ სისხლჩაქცეული დედის თითებიც რომ გამოეზარდა, ჯიმი მიხვდა, ტანმა უგრძნო, უკანასკნელად ხედავდა იმ თითებს. იმ ღამეს მეტისმეტი მოკრძალებით ფარფატებდნენ დედის ხელები, თითქოს რაღაც საოცრად ფაქიზი არსება აეტატებინათ და იმას შიშობდნენ, რამე არ ეტკენინებინათ, დაეშავებინათ მისთვის. ჩიტის ნაცვლად იმ ღამეს დედა გალობდა სულთათანას.

წყვდიადს გამოზრდილი ხელები არც მაშინ გაჩერებულან, როცა გომური მთლიანად შეზანზარდა, თითქოს მინა დაძრულიყო, და ავბედითად გადალურჯებულ, გადაიისფერებულ ცაზე ელვა გაიკლაკნა, რომელმაც სულ რაღაც წამით, სულ რაღაც ერთი გაელვება, არემიდამო მთლიანად და უჩვეულოდ გადაანათა. გომურის დირეზე მიმსჭვალულსა და მარად ჩაუმქვრალ სანათში დამწყვდეულმა ცეცხლის ალმა უმისამართო ბარბაცი რომ დაიწყო, რის გამოც ოქროცურვილ მინაზე იქამდე მშვიდად დაყუდებული მსუყე ჩრდილები ყველა ერთიანად წამოყარა, და ისიც არა მათი ადგილმდებარეობის შესაცვლელად, არამედ ასაცეკვებლად, თავსხმა წვიმამ მერეღა წამოუშინა. უფრო ზუსტად, თავიდან შემპარებლურად გადმოვარდა წვიმის რამდენიმე წვეთი ციდან, რომლებმაც ეზოს გამხმარ მიწაზე დასკდომისთანავე შავი წერტილები დაამჩნიეს მიწას, ვითომც ზეცა აცხადებდა, სულ ესაა, მეტს ჩემგან არაფერს უნდა ელოდოთო, მაგრამ უკვე მეორე წუთში ისე წამოუშინა, თითქოს ჩვეულებრივ წვიმას კი არა, ყველაფერის ნამლეკსა და მოუთოკავ ჩანჩქერს ღვრიდა ერთბაშად ამღვრეული, უცნაურად დალაქავებული და პირდაფჩენილი ზეცა. გომურის დაღრიჭოებული სახურავიდან თითქმის ყველგან, ცხელზეცხელი და ბოლავარდნილი წყლის ნაკადი ჩამოდიოდა, რომელიც ჭერში გაბმულ აბლაბუდასა და ნამძინარევ ბუზანკლებს, უკლებლივ ყველას ადგილზევე მდუღრავდა და ზოგს,

უკვე დახოცილს, ზოგსაც ჯერ კიდევ დარეტიანებულს, ძირს, ჯერჯერობით ოქროცურვილ, თუმცა უკვე ფერნაცვალ მინაზევე ყრიდა. გეგონებოდა, უბრალო წვიმა კი არ მოდის, არამედ ხუშტურის ხასიათზე მოსული ქასქანჯიელი უზარმაზარი ქვაბიდან ღვრის აბლაბუდისა და ბუზანკლების ნახარშსო. გაცოფებული, გააფთრებული, გამძვინვარებული პირუტყვი ერთბაშად მოძრაობაში მოსულ კედლებს აწყდებოდა. გომურში დამწყვდეულნი ადგილს ვერ პოულობდნენ, ბალანი ყალყზე ედგათ, უაზრო, გაშეშებულ თვალებში საღი აზრი არ ამოეკითხებოდათ, ხოლო დაღრიჭოებული ჭერიდან ჩამონადენი ცალკე მდუღარე წყლის ზოლები, ზურგებს რომ უმდუღრავდა და ბალანაშლილ კანსაც ისე უწითლებდა, თითქოს ვინმეს შოლტი გადაეჭიროს მათთვის, ცალკე წყლის ნაკადს ჩამოყოლილი აბლაბუდა, შუბლსა და თვალებზე რომ ეკრობოდა, ისედაც გაცოფებულთ კიდევ უფრო აშლეგებდათ. გომურის კარი ღია კი იყო, მაგრამ შლეგიანსა და თავგზაარეულ პირუტყვს გარეთ გასვლას ყველაფერი ერჩივნა, თუნდაც გომურშივე ჩახარშულიყვნენ, გომურშივე ჩახოცილიყვნენ, ოღონდაც კი გარეთ არ გასულიყვნენ. გადარეული იაბოს ფლოქვების თრაქათრუქი, მთელ ხმაზე აბღავლებული კამეჩის ღრიალთან შედარებით, არხეინად დამღერებულ ნანინას ჩამოჰგავდა. ისეთ თავბრუდამხვევ მოძრაობაში მოსულიყო გომური, რომ შენობაში კი არა, ღამის კოკისპირულ წვიმაში მოხვედრილ გადაჩარდახებულ ურემში გეგონებოდა თავი. მერე რამდენჯერმე ზედიზედ გაიკლაკნა ელვა ცაზე, ოღონდ რაღაც უცნაურად, თითქოს ზეციურ გველს ქვაზე ტვინის დასხმა გადაეწყვიტა — როგორც არა მარტო ზეციურს, მიწიერსაც სჩვევია — და, რაკი ქვის მსგავსი რამ შორიახლო ვერაფერი მოეძებნა, შეურაცხადი გველიც ამიტომ არახუნებდა ღრუბლის ქულაზე თავს. ისიც იქამდე, ვიდრე შხამთან ერთად ჰაერის უკანასკნელ

ლუკმასაც არ ამოაფრქვევდა და ღრუბლის ქულასაც შუაზე არ გაფხრენდა. ელვა ცაზე რომ გაიკლაკნებოდა და უეცრად გადანათებულ არემიდამოს წამით რომ გამოსტაცებდა უკუნ ბნელს, ეზოში აღმუვლებული ქარიშხალი მაშინღა მოჩანდა ხოლმე გომურის კარში. ჭრიალით გვერდზე გადახრილი ხეები ნუილით ატყლაშუნებდნენ მიწაზე კენწეროებს, ხოლო ტოტებზე გამობმული ოდინდელი ჭინჭებიდან გადმოფრქვეული მტვრის ბულულები ჰაერში აბუქების მოუსწრებლად ირეოდნენ წვიმის წვეთებში და საბოლოოდ აქაფებულსა და ბოლავარდნილ მიწაზევე პოულობდნენ სამუდამო თავშესაფარს. მაგრამ ასე ნაჩქარევად მიწა ვერ ასწრებდა, აქაფებული და მდუღარე წყალი თავის წიაღში ჩაეწრიტა. სამაგიეროდ, ბოლავარდნილმა წყლის უმართავმა ნაკადმა თავად გამოძებნა კალაპოტი, და მართლაც, ერთიანად დაღარულ მიწაზე გამონახულ კალაპოტში ისევე ჩამდგარიყო ჭუჭყიანი წყლის ნაკადი, როგორც სანიაღვრო სადინარში. ყველა და ყველაფერი ერთხმად ყვიროდა, ღმუოდა, კუთავდა, ღრიალებდა, ჭიხვინებდა, თითქოს მთელი ქვეყანა ერთხმად იუწყებოდა ქვეყნიერების დასასრულს. მთელი ქვეყანა ერთბაშად ბოლავდა, ერთბაშად იმდუღრებოდა. თითქოს აუცილებელზე აუცილებელი რამ იყო ქვეყნიერების დამდუღვრა, საუკუნეების მანძილზე დაგროვილ ჭუჭყს ისე რა ჩამობანდა, რა ჩამორეცხდა. თუმცა ჩაკირული, ჩადუღაბებული ჭუჭყის ჩამორეცხვას მარტო დამდუღვრა არ ეყოფოდა. მაგაზე უკეთესი ის იქნებოდა, მთელი ქვეყნიერებისთვის ერთ უზარმაზარ ქვაბში ეყო ვინმეს პირი, დაბალი ცეცხლი შეენთო და, აუღელვებლად, მშვიდად, დიდი ხნის მანძილზე, ერთი კარგა მაგრად გამოეხარშა.

დაღრიჭოებული სახურავიდან ჩამოღვრილმა წყალმა წყვდიადს გამოზრდილი ხელებიც სულ ერთიანად გადააწითლა, თითქოს უნდოდა, ძვალი რბილისგან გან-

ეცალკევებინა. მიუხედავად ამისა, დედის ხელები მაინც არ გაჩერებულან, ისე ჰაეროვნად და ტალღოვნად ირხეოდნენ, ისეთი კრძალვით გალობდნენ სულთათანას, ვითომც ვერაფერს ამჩნევდნენ. არც მაშინ ჩერდებოდნენ, როცა სველი აბლაბუდა ჩამოეკონწიალებოდათ ან დარეტიანებული ბუზანკალი თითებსშორის გაეჩხირებოდათ, თუმცა ერთსაც და მეორესაც მდუღარე წყლის ნაკადი იმწუთას ჩამორეცხდა და გომურის უკვე საკმაოდ აქაფებულ მინაზევე ყრიდა. უფრო ზუსტად, იმ მორევში, მიწაზე თანდათან რომ გაჩენილიყო. სადღა იყო გომურში დაპნეული ოქროს მტვერი. ვითომც ბუნების უკბილო ხუმრობა იყო ამასწინათ გომურის მიწის ოქროთი მოსირმვა. ბოლავარდნილი, ერთმანეთში აზელილი შარდისა და გალხობილი ნეხვის ამაზრზენი მასა ბაზმას ციაგის ხარჯზე თვალისმომჭრელად კი ბრჭყვიალებდა, ოღონდ, ოქროსგან განსხვავებით, მთელ მის ფასეულობას მხოლოდ და მხოლოდ ბრჭყვიალი ნარმოადგენდა. ჭერიდან ჩამოღვრილ წყალს მარილის გამჭვირვალე ლოდიც დაემდურა, სიმეტრიული მრავალკუთხედისა ლოდს აღარაფერი შერჩენოდა. და ისიც, თვალსა და ხელს შუა გალეული, უკვე რიყის ქვისხელა, აქაფებული ნეხვის მასაში ბუყბუყით იძირებოდა, როგორც ძელქვა ჭაობის დღლუ ლაფში. თან ჩაძირვის ადგილს ირგვლივ თეთრი ქაფი ებმებოდა, თითქოს მარილის ლოდი კი არა, ტუტეებისა და ცხიმების უფორმო ნარევი იყო.

მაგრამ დაოთხებული ჯიმი მარილის გამქრალი ლოდის ადგილას გაჩენილი უხერხული სიცარიელისკენ არ იხედებოდა. ის გადაწითლებულ, ჰაეროვნად დარხეულსა და თითებში სისხლჩაქცეულ ხელებს იყო ჯიუტად მიშტერებული. ჭერის ღრიჭოებიდან ჩამოღვრილი მდუღარე წყლის ნაკადი შუბლსა და საფეთქლებზე ღვარად ჩამოსდიოდა, ეგ იყო, ცხვირის ძგიდესა და ღაწვისთავებთან სადინარშეცვლილი ნაკადი

უმოძრაო, უაზროდ გაშეშებულ თვალებში ჩასდიოდა. დამდუღრული თვალები გაუსაძლისად კი ეწვოდა, თანაც ისე, რომ მუხლიდან საყრდენს აცლიდა, მაგრამ თვალს მაინც არ ხუჭავდა, ვითომც თვალის დახუჭვით გამოუსწორებელსა და უპატიებელ საშინელებას ჩაიდენდა. ხოლო მდუღარე წყლის ნაკადმა, როდესაც თვალები სულ ერთიანად დაუმდუღრა, ამოუწვა, ამოუშანთა და როდესაც გამჭვირვალე მარილის ლოდისგანაც მოთეთრო ქაფიღა დარჩა, როგორც გადადუღებული საპნის მონარჩენი, თითბრის რგოლიც ზუსტად მაშინ გაკვნიტა თავით ფეხებამდე ტალახში ამოგანგლულმა აფსომ. და, გაკვნიტა თუ არა, აღმუვლებული ქარიშხალიც მაშინათვე ჩადგა, წვიმამაც უეცრად გადაიღო, გეგონებოდა, ერთიცა და მეორეც თითბრის რგოლის გაკვნეტას უცდიდა. ქარიშხალი როგორც კი ჩადგა, თავგზაარეული, გაშლეგებული პირუტყვიც შემაჭირვებელი ზმუილით გაცვივდა გომურიდან, უეცრად ჩამოწოლილ ბინდში გაუჩინარდა. გომურში ერთბაშად ჩამოცხა, ხოლო პირუტყვზე გამობმულმა ნიავმა სანათში ჩამწყვდეული ცეცხლის ალიც რაკი ააბარბაცა, უჰაერობის შთაბეჭდილებამაც ერთიორად იმძლავრა. მიწაში უკვე ჩაწრეტილი ლაფისგან საზიზღარი ქაფიღა დარჩენილიყო, ალაგ ჯერ კიდევ დაბუშტული, ალაგ ამღვრეულ გუბეებად დამდგარი. და როდესაც მინა სულ ერთიანად დალბა და აქოთდა, როდესაც ბოლმობმული მიწიდან ავარდნილი ოხშივრის ხარჯზე გომურში გაჩერებაც გაუსაძლისი შეიქნა, ჯიმიმ იაზრა, გომურში ამიერიდან მას აღარაფერი ესაქმებოდა.

გასასვლელისკენ რომ დაიძრა, მაშინღა მიხვდა, მუხლი თითბრისად ქცეოდა. ისე ჩვეულებისამებრ შესისხლხორცებოდა სპილენძისა და თუთიის შენადნობი, თითქოს, რაც თავი ახსოვდა, მუხლისთავები ყოველთვის ყვითელი ფერისა და რკინისავით მაგარი ჰქონდა. შე-

ნობიდან უკვე გადიოდა, წყვდიადისკენ ნელა, აუჩქარებლად რომ მიაბრუნა კისერი და დედის ჰაეროვნად დარხეულსა და სულთათანას მგალობელ ხელებს – თითქოს გზას რომ ულოცავდნენ ჯიმის – შეავლო დამდუღრული თვალი; დედის ხელებმა ძალაუნებურად მოაგონეს საკუთარი მომავალი. მთელმა მომავალმა ჯიმის დამდუღრულ თვალწინ ცხადლივ გადაურბინა და, ის იყო, ნეხვის მძაფრი სუნით აყროლებული შენობიდან გაძვრა, გულის სიღრმიდან ამოაგონდა, რომ მომავალში თითბერი უცილობლად ბრინჯაოს უნდა შეეცვალა. სწორედ ამაზეა ნათქვამი, ქაქის – და არა ქერის – ორმოდან ამოსვლა, ამოძრომა, ამოცოცება, ამობობღება.

P. S.

გზასაყარი

ორივე თვალი ერთიანად კი დამემდურა, რის გამოც, ნესითა და რიგით, სამუდამო უსინათლობა მელოდა წინ, მაგრამ თავი რომ შევიკავო სხვათა და სხვათა მიზეზთა ძიებისაგან, ეს ასე არ მოხდა. მხედველობის უნარი არ დამიკარგავს, უდავო და სამწუხარო ჭეშმარიტების კონტურებს, მოლოდინის მიუხედავად, მაინც აღვიქვამდი. ლხასკური აფსოს ერთფერი კონტურული გამოსახულების გარდა, — შესაშური მონდომებით გვერდში რომ მედგა, ვითომც მეტისმეტი სიახლოვის გამო თუღა შეეძლებოდა განსაცდელი აეცილებინა ჩემთვის, ცხადია, თუკი განსაცდელს ადგილი ექნებოდა, — ჩაბნელებული სოფლის დანარჩენ მოხაზულობასაც, გარკვევით თუ არა, ბუნდოვნად მაინც ვარჩევდი, და ისიც ხეების, ხის ტოტებზე შებმულ გახუნებული ჭინჭებისა თუ დერეფნის კედლებზე ორივე მხრიდან თანაბარ სიმაღლეზე მიჭიკარტებულ ვეშაპების ფონზე. ჩემ გვერდში მდგარი ლხასკური აფსოს გარდა, სოფლის კონტურებსაც, თუნდაც ღამით და თუნდაც მინიდან ავარდნილ ბოლში, მართალია, ბუნდოვნად, როგორც გამჭვირვალე მარილის ლოდიდან დანახულს, მაგრამ მაინც აღვიქვამდი.

არა მარტო გომურში, ამიერიდან აღარც სოფელში მესაქმებოდა რამე. პირიქით, რაც შეიძლება დროულად

უნდა გავცლოდი ერთსაც და მეორესაც. და მეც, ჩვეულებისამებრ დაოთხებული, ფორთხვა-ფორთხვით მივინევდი წინ, უმისამართოდ და ალალბედზე. გვერდში კი აფსო მომყვებოდა, თანაც ისეთი მონდომებით, ვითომც, ვიდრე მკვდრების საუფლოს კარისკაცს გადააბარებდა ჩემ თავს, ჩემი დაცვა იქამდე მას ეკისრა. ამაგდარი აფსო ისევე ახლოს იმყოფებოდა ჩემთან, როგორც ფუძის ანგელოსი ფუძესთან. თითბრის მუხლისთავების გამო ლოკოკინასებრ ბრჭყვიალა ნაკვალევს ვტოვებდი დარბილებულსა და ბოლავარდნილ მიწაზე. ნებისმიერს, სოფლის ვიგინდარა იქნებოდა ის თუ მარად თავშალწაკრული და სიკვდილგამწყრალი დედაბერი, თავისუფლად, ყოველგვარი ძალისხმევისა და ყურადღების დაძაბვის გარეშე შეეძლო ჩემი გადაადგილების ადგილები გამოეანგარიშებინა. თუმცა, მაგ ამბავს რაღა შორს წასვლა დაჭირდებოდა, დადგომოდა ნებისმიერი მსურველი ერთიან, მრთელ, გაუნყვეტელ ბრჭყვიალა ზოლს და, უნდა არ უნდა, საბოლოოდ მაინც მე წამადგებოდა თავზე. და, რაოდენ დასანანია, რომ ლოკოკინასთან ჩემი მსგავსება მხოლოდ და მხოლოდ ბრჭყვიალა ნაკვალევის დატოვებაში მდგომარეობდა. დასანანია, რამდენადაც ამ უცნაურ, უხერხემლო ცხოველს, ნებისმიერი განსაცდელის ჟამს თუკი საკუთარ ნიჟარაში შეყუჟვა ძალუძს, ასეთ დროს მე, გარდა ჩრდილწამდგარი ხვლიკივით გარინდებისა, ხეირიანს მეტს ვერაფერს გავახერხებდი. ისიც იმის იმედით, ვითომც, თუკი არ გავინძრეოდი, თუკი არსებობის ნიშანსწყალსაც არ გავამჟღავნებდი, თავზე წამდგარიც ვეღარ შემამჩნევდა და განსაცდელიც თავისთავად გადაივლიდა. თუმცა, ჩემდა სამწუხაროდ, იმასაც კარგად გახლდით ჩამხვდარი, რომ გაუნძრევლობითა და ნიშანწყლის გაუმჟღავნებლობით დაბანგულ ქვიშაში თავის წარგვა ისევე გამომივიდოდა, როგორც საკუთარი უმეცრებითა და უბირობით გატუტუცებულ სირაქლე-

მას. ხოლო მსგავს საპასუხისმგებლო საქმეში დაბანგულ ქვიშაში თავის წარგვა, თავის მოტყუების გარდა, დიდი სისულელე და მაიმუნობაა. უცილობლად მაიმუნობაში ჩამეთვლებოდა, თუკი იმას ვიმედოვნებდი, ჩემი გაუნძრევლობით უცხო თვალისთვის შეუმჩნეველი დავრჩები-მეთქი. ვინაიდან გულის სიღრმიდან დროულად ამომაგონდა დედის მონაყოლი; ჩემი სავარაუდო გადაადგილების ადგილები, როგორც არ უნდა შემენიღბა, პენსიონერთათვის ხომ მაინც წინდაწინვე იქნებოდა ცნობილი, თანაც უახლოეს მომავალში, და ისინიც სტრატეგიული მნიშვნელობის ყველა ობიექტსაც წინდაწინ დაიკავებდნენ. ასე რომ, რაც არ უნდა გამესაიდუმლოებინა და რაც არ უნდა შემოვლითი გზებით მევლო, ჩემი გადაადგილების გამოანგარიშებას დიდი არაფერი ძალისხმევა დაჭირდებოდა, მთელი ქალაქი ისედაც ლოკოკინასებრ ბრჭყვიალა ნაკვალევით მექნებოდა დაზოლილი, ცხადია, თუკი მომავალში გადაბიჯებას გავბედავდი. მაგრამ ასე იყო თუ ისე, ჯერ კიდევ ტოტებზე ჭინჭგამობმულ ხეებს შორის მივფორთხავდი, როდესაც მტკიცედ გადავწყვიტე, მომავალში აღარ გადამებიჯა. იმ უბრალო და საბრალო მიზეზით, რომ საიქიოდან საგანგებოდ მობრუნებული დედის წყალობით მთელი ჩემი მომავალი უკვე ზეპირად ვიცოდი. ოღონდ, ამ ყველაფრის მიუხედავად, საჩოთირო და უხერხული დროის ჭრილში გაჩხერვა მომიწია, ვინაიდან, რაკი მთელი მომავალი უკვე ზეპირად ვიცოდი, შესაბამისად, წარსულთანაც უკვე სამუდამოდ გამწყვეტოდა კავშირი და, აქედან გამომდინარე, ბარე ძაანაც რომ მომენდომებინა მომავალში გადაბიჯება და ჩემთვის ჩვეული მონადინებითა და თავგამოდებით მეზრუნა ამ გადანყვეტილების სისრულეში მოყვანისთვის, უნდა აღინიშნოს, რომ ჩემი მხრიდან მსგავსი ახირება უნამუსობის მეტი არა იქნებოდა რა, რადგან წარსულთან უკვე სამუდამოდ

კავშირგანყვეტილს, სათუო იქნებოდა, თუნდაც ირიბი კავშირი რომ დამემყარებინა დაზეპირებულსა და გაზუთხულ მომავალთან.

საიქიოდან სააქაოში მობრუნებულმა დედამ ყველაფერი გადაახალისა და ყველაფერს თავ-თავისი ადგილი მიუჩინა. უფრო ზუსტად, როგორც გაირკვა, დედა მხოლოდ იმ მიზნით მობრუნებულიყო საიქიოდან, რათა ძირეულად შეეცვალა ჩემთვის მომავალი. ამიტომაც იყო ალბათ, წყვდიადს გამოზრდილი დედის დაღარული ხელები ყოველ ღამით მიზანდასახულად და თანმიმდევრულად რომ მიყვებოდნენ და ჩამჩიჩინებდნენ საკუთრივ ჩემს მომავალს. ამიტომაც იყო, ალბათ, ყველაფერზე, თუნდაც ყოვლად უმნიშვნელო დეტალებზე რომ წვრილმანდებოდნენ, ყოვლად უმნიშვნელო დეტალებსაც ისევე რომ მიმხელდნენ, როგორც რაღაც საშინელ, აქამდე გაუგონარ ამბებს; იმასაც იმ მიზნით, რომ იმავე დეტალების უსუსურობასა და უნაყოფობაში დავერწმუნებინე, რათა ეკარნახა, რომ მომავალში, გარდა იმ ერთადერთი შეუმცდარი სიტყვის მოხელთებისა, — რომელიც საბოლოო ჯამში მექარავნესთვის უნდა წარმედგინა, — მეტი არაფერი მესაქმებოდა. ხოლო დედისავე განმარტებით, იმ სიტყვის მოძიება წარსულისა და მომავლის გზასაყარზე იმავე წარმატებით იყო შესაძლებელი, როგორც თუგინდ წარსულში დარჩენის, თუგინდ მომავალში გადაბიჯების შემთხვევაში. ორივე განზომილებაში თანაბარი წარმატებით, მაგრამ რაკი წარსულთან უკვე სამუდამოდ გამწყვეტოდა კავშირი, ხოლო მომავალში გადაბიჯებას სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო არ ვაპირებდი, ამიტომაც გადავწყვიტე, ის შეუმცდარი სიტყვა, რომელიც დედის დაღარულმა ხელებმა არ გამიმხილეს, გზასაყარზევე მომეხელთებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში პოეტად, მითუმეტეს მკვდარ პოეტად, შეუმდგარი გამოვდიოდი. მკვდარ პოეტად შეუმდგარ-

ობა კი, მოგეხსენებათ, ჩემს გეგმებში არ შედიოდა. მითუმეტეს, რომ ჩემს გარშემო სიკვდილს ყველაფერი თავისი ნიშნით აღებეჭდა უკვე, ხოლო ამ ყველაფრის გათვალისწინებით, სიკვდილზე ლაპარაკი რატომღაც არ მეუხერხულებოდა. მასეცაა, მკვდრისთვის სიკვდილზე ლაპარაკი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავია, განსხვავებით ცოცხლისაგან, რამეთუ ამ უკანასკენლისგან მსგავს თემაზე საუბარი, ნაყალბევთან ერთად, ეგზომ სასაცილოცაა. ასე რომ, რაკი აღარც ცოცხლად ვვარგოდი, აღარც მკვდრად, რაკი ამ ორს შორის ვიყავი უშნოდ გაჩხერილი, როგორც რედაქციის ნებისმიერი ცოცხალმკვდარი პოეტი, ხოლო ცოცხლამკვდარობა, განსაკუთრებით — პოეზიაში, რაკი ბინძურზე ბინძური რამაა, ამიტომაც გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, გზასაყარზევე მომეხელთებინა ის შეუმცდარი და მართებული სიტყვა. ამ გადანყვეტილებას ისიც ამყარებდა, დედის წყალობით მხოლოდ და მხოლოდ საჭირო სიტყვებს რომ გახლდით ნაზიარები. საიქიოდან საგანგებოდ ამ ამბისთვის მობრუნებულმა დედამ უკიდურესი ძალისხმევის ფასად დაიცვა ჩემი ტვინი დაბინძურებისაგან. რაკი დროულად მაზიარა მკვდარ პოეზიასთან, ათასგვარი ნაყარ-ნუყარით დაბინძურებისგანაც თავისთავად მიხსნა დედამ. მართალია, მხოლოდ მკვდარ ანბანს გახლდით დაუფლებული, თუმცა შეუმცდარი სიტყვის მოსახელთებლად ესეც კმაროდა. მაშინ, როცა უდროოდ მომაკვდავი პოეტის ასევე მომაკვდავი, ოღონდ ჯერ კიდევ მფეთქავი და, შესაბამისად, ნორჩი ტვინი საშრობივითაა და ყველაფერს ერთნაირი მონდომებით ისრუტავს, ხოლო მომაკვდავი ტვინის ის მონაკვეთი, რომელიც სასწრაფოდ უნდა იქნეს მკვდარი პოეზიით შევსებული, სინამდვილეში კი ათასი ნაგვით ივსება, ეს იმაზე გაცილებით უფრო დიდი მკრეხელობა და მავნებლობაა, ვიდრე მომაკვდავი პოეტისგან საკუთარი

დედის გაუპატიურებაზე ფიქრი. თუმცა არც ეს უკანასკნელია ხაზგასმული მგზნებარებით მისასალმებელი საქმე, ეგაა, ერთი მკრეხელური კერძო შემთხვევა ცხადში მომაკვდავი პოეტის დაღუპვასთან დიდი ვერაფერი მოსატანია.

ჩაძინებულსა და ერთიანად ჩაბნელებულ სოფელში შუკა-შუკა მივფორთხავდი, გვერდს კი ამაგდარი აფსო მიმშვენებდა. დამდუღრულ თვალწინ ცხადლივ გადარბენილი მომავლის უთავბოლო ნაკუწები კიდევ უფრო მარწმუნებდნენ მიღებული გადაწყვეტილების სისწორეში. ნაჩქარევადაც ამიტომ მივფორთხავდი. გადაუდებლად, რაც შეიძლება მალე უნდა მომეხელთებინა ის შეუმცდარი სიტყვა. დროის ჭიმვას აღარ ჰქონდა აზრი, რომელი მოგებული მხარე მე ვიყავი, რომ ანგარიშის შენარჩუნებაზე მეზრუნა. იმ შორეული ბექობებისკენ მეჭირა გეზი, ოდესღაც თვალწინიდან რომ მიორთქლდებოდნენ, როდესაც სახლის მოსაბეზრებელი ერთფეროვნების შესალამაზებლად ეზოში დაოთხებული გავძვერი და იქამდე გავუშტერე სიშორეში ჩაკარგულსა და ნისლმობმულ ბექობებს მაშინ ჯერ კიდევ საღი თვალი, ვიდრე პირდაპირ ჯიქნიდან მოწოვილ მწკლარტე რძეს გავუსინჯავდი გემოს. ბრმად, ალალბედზე მივფორთხავდი მთვარით ზერელედ გადანათებულ სოფელში. ისედაც დამდუღრულ, ამოშანთულ თვალწინ წარსული და მომავალი საზიზღრად, ამაზრზენად, შემაშფოთებლად აზელილიყო ერთიან მრთელ მასად. რაც თავისთავად ცხადია, ერთი-ათად მირევდა ისედაც არასრულფასოვან მხედველობას და ნაბიჯის სათანადოდ გამართვასაც ეს მირთულებდა. რაკი გაუჩერებლივ ვმოძრაობდი, ამიტომაც მეგონა, უცილობლად წინ მივიწევ-მეთქი, თორემ დანამდვილებით წინ მივიწევდი თუ ერთ ადგილზე ვტრიალებდი, ვწრიალებდი, უაზროდ ვფართხალებდი, როგორც თავწაწყვეტილი მამალი მაგიურ წრეში, არ ვიცი. ერთი-

ორგან დაფეთებულმა და ამასწინანდელი შთაბეჭდილებებით ჯერ კიდევ აღსავსე თელმა ჩამირბინა, მაგრამ გაშლეგებული და თავგზაარეული ცხოველისთვის ჯეროვანი ყურადღება არ დამითმია, საკუთრივ ჩვენი გზები გვეჭირა ორივე მხარეს. მე რაც შეიძლება დროულად უნდა ავბობღებულიყავი თვალშეუდგამი, ყველაზე მაღალი, ცისფერი მთის ნისლმობმულ ქიმზე, დედამიწის კინკრიხოზე, იქ, სადაც ოცნების ყვავილი ხარობს. ვინაიდან ვიცოდი, სრულყოფილი ვარდისფერის დანახვას მხოლოდ და მხოლოდ სრულყოფილ ცისფერში მდგარი შევძლებდი; უფრო ზუსტად, იმ ვარდისფერი ბურუსის დანახვას, ფუძიამას ძირში შეკრებილ გიჟებს ზედ რომ აფარიათ, რათა უნებლიედ არ გამჟღავნდეს მათი თავშეყრის ადგილი. თელს კი რა ენაღვლებოდა, დილამდე თანდათან დაშოშმინდებოდა. ვიდრე გარიჟრაჟდებოდა, იქამდე მოასწრებდა დაშოშმინებას და უკვე განსაცდელგადავლილიც ისევე მიუბრუნდებოდა გეჯაში დაბუშტულ სალაფავს და ნებიერად აბუხუნებული სალაფავის თქვლეფისას, ისევე მიეცემოდა საშვილიშვილო ნეტარებას, იმ ღამით ვითომც არაფერი გადახდენოდეს თავს.

ის იყო, სოფლის სარკმლებამოღამებულ სახლებს გავცდი და სოფლის ბოლოში გარინდებული ტაძრისთვისაც უნდა ამექცია გვერდი, რათა ცოტა სული მომეთქვა და დაქანებული ბექობის ძირს ახალი ძალებით ავბღოტებოდი, რომ ნაბიჯიც ველარ გადავდგი, ავისმომასნავებლად დადუმებული ტაძარი არ მიშვებდა, თავისი უხილავი საცეცებით თავისკენ მეზიდებოდა, მექაჩებოდა, თითქოს ბოლომდე გადახსნილი, ალაგ ძვირფასი, ალაგ უბრალო ქვებით მოოჭვილი კარიბჭის მიღმა გამეფებულ ბნელ სიცარიელეში მიპირებდა შეთრევას, ჩაყლაპვას, გაუჩინარებას. მე თუმცა არ ვნებდებოდი და ჯიუტად ვცდილობდი ჩემ წინ აღმართული გამჭვირვალე სარტყელის გარღვევას, როგორც

შემჭიდროვებული და შედედებული ჰაერის, მაგრამ ვგრძნობდი, რომ გამჭვირვალე კედელზე მხრის ყოველი მიყრდნობისას, ძალები მისხალ-მისხალ მტოვებდნენ, და მეც უკვე ყასიდად ვაწვებოდი ჩემ ცხვირწინ კედელივით აღმართულსა და გაუვალ ჰაერს. მალე, მუხლიდან ძალა რომ გამომელია და რულმორეულს თვალებიც რომ ამებლიტა, მივხვდი, ტაძრიდან გამოფრქვეული მირონის სასიამოვნო სურნელს დავეტყვევებინე, მირონის სასიამოვნო სურნელი მხვევდა ბანგისებრ დამაბურანებელ ბურუსში და სწორედ ის მატყვევებდა, — როგორც კატაბალახას ფესვებზე გამობმული მძაფრი და დამაშტერებელი სუნი ბებერ კატას, — და არა ტაძრის უხილავი საცეცი. ისიცაა, რაოდენ კრძალვითაც არ უნდა ვყოფილიყავი ტაძრის მიმართ გამსჭვალული, მინდა არ მინდა, მირონის სურნელი მაინც ერთგვარი საცეცი იყო. მეც, უკვე საბოლოოდ დაბანგულს, ისღა დამრჩენოდა, რომ ტაძრისკენ ნელა, მორჩილად შევტრიალებულიყავი და ბოლავარდნილ მიწაზე გართხმულ სურნელს გავყოლოდი, როგორც მკვდარი რვაფეხას უსიცოცხლო საცეცს ზედ აცოცებული წურბელა. ჩვეულებისამებრ დაოთხებული, ოღონდ ბანგის სურნელში გახვეული, ბარბაცით მივიწევდი ბნელი სიცარიელისკენ. დაახლოებით ისე, როგორც თაფლის სუნნაცემი დათვის მშიერი ბელი ველური ფუტკრების სკისკენ. როგორც კი შევტრიალდი, მოოჭვილი კარიბჭისკენ გავბარბაცდი, როგორც ლოთი საკუთარი ბინისკენ, და არ გავჩერებულვარ, ისე გავუსწორე დამდუღრულთან ერთად აბლიტული თვალი ტაძარს და დადუმებულ შენობასაც შეძლებისდაგვარად დავაკვირდი, ჩემდა სამწუხაროდ მერეღა გამოვარჩიე, რომ მთელ ტაძარს, ოღონდ გარედან, კედლებსა და გუმბათებზე უამრავი, ერთმანეთში ჩახვეული, ჩაგრაგნილი, უშნოდ აფუტფუტებული მოთეთრო-მოვერცხლისფრო ხვლიკი დასეოდა. ქვეწარმა-

ვალი იმდენი იყო, მათ შორის ნემსი არ ჩავარდებოდა, მხოლოდ ვიტრაჟით შემინულ სარკმლებსა და მოოჭვილ კარზე არ აცოცებულიყვნენ რატომღაც. სამაგიეროდ, ერთმანეთში ჩაგრაგნილები იქვე, ზედ ტაძრის კედლებზევე შეწყვილებულიყვნენ, უკბილო პირს, როგორც ბებრები, ისე აბჩენდნენ, რის გამოც მომჩვარული ღაბაბები ამაზრზენად უთრთოდათ და ვერ გაარჩევდი, რომელი დედალი იყო, რომელი მამალი. ამის გარკვევა, ალბათ, არც მათთვის წარმოადგენდა აუცილებლობას, ისე ნაჩქარევად, ბრმად, ალალბედზე წყვილდებოდნენ, რომ ცხადზე ცხადი იყო, მოსწრებაზე ცდილობდნენ განაყოფიერებას. არც კბენას ერიდებოდნენ და ერთმანეთზე შემჯდარნი, შეწებებულნი, შეცოცებულნი, ვერცხლისფერ თვალებს აბრიალებდნენ, თან ერთმანეთს კუდზე ეტანებოდნენ. ხოლო კბენისას, ძირში წაწყვეტილი და ჯერ კიდევ აფართხალებული კუდები ზოგიერთს მიწაზე სცვიოდა, და მართლაც, ტაძრის შემყურე იმას კი არ იფიქრებდი, მკვიდრი შენობა თუ იყო, არამედ იმას, რომ უზარმაზარი თოვლის პაპაა და დასადნობად განწირულს წყლის წყვეთებიც იმას სცვივაო.

ერთგვარ თაღლითურ თამაშს ჰქონდა ადგილი. თაღლითურს, რამდენადაც იქამდე მუხლჩაუხრელ, კატორღელივით მომუშავე უფალს, სწორედ იმ ღამით ისე ეძინა, როგორც მკვდარს. ამაში მაშინათვე დავრწმუნდი, როგორც კი მოსარკულ ზეცას ავხედე. მოძილე უფლის ამონასუნთქი ისევე თეთრად და ქოთქოთით იფრქვეოდა მოწმენდილსა და გადალურჯებულ ცაზე, როგორც თბილი დანაორთქლი დაბრეცილი სარკის ზედაპირზე. ბოროტ ძალებსაც ეს ათამამებდათ, ამითი ესარგებლათ და ტაძრის კედლებზეც იმ იმედით აცოცებულიყვნენ, ვითომც, რაც უფრო მეტად შეწყვილდებოდნენ და რაც უფრო მეტად გამრავლდებოდნენ, მით უფრო სამართლიანი იქნებოდა მათი

მხრიდან უნებლიედ მიტოვებული შენობის დაკავება. თუმცა, როცა იქნებოდა, უფალი თვალში გამოიხედავდა და თვალის ერთ დახამხამებაში ყველა თავგასულს ერთიანად დაიფრენდა, ეგ იყო, ვიდრე გამოიხედავდა, იქამდე მის საყდარს ისევე დასეოდა ბოროტი სული, როგორც შალს — ჩრჩილი. მართალია, როცა კი რამ დამჭირვებია, რაც თავი მახსოვს, უფალს სულმუდამ მკვდარივით ეძინა, მაგრამ იმ საზარელმა სანახაობამ მაინც შემძრა. არა მარტო თაღლითობა, ავაზაკობა და დედლობაა ჩაძინებულ კაცს მიეპარო, იმისი უმწეო მდგომარეობით ისარგებლო და მოღიავებული საკინძიდან გულის ძირამდე ჩაუყვანო ჯაყვის პირი. მკვდარი გული თითქოსდა გამისივდა, ისე მომებჯინა ყელში. ერთი პირობა ყველა და ყველაფერი შემეცოდა, ყველას და ყველაფერს შევუნდე და მივუტევე ჩადენილი თუ ჩასადენი დანაშაული, მაგრამ იმავე მკვდარი გულის სიღრმიდან ისიც დროულად ამომაგონდა, რომ მე არ მქონდა არავის და არაფრის განსჯის ან მიტევების უფლება. მსგავსი უფლებამოსილება მოძილე უფალს ეკისრა, ხოლო მოძილე უფლის საქმეში მე რა ხელი მიმიწვდებოდა.

დაოთხებული ტაძრის ზღურბლზევე შევყოვნდი, აფსომ ჩემს გვერდით მოიკალათა. ტაძარში მხოლოდ თავი შევყავი, იქაურობა გაფაციცებით მოვათვალიერე და დავრწმუნდი, შენობაში არცთუ ისეთი გაუმჭვირვალე სიბნელე მდგარა, როგორიც გარედან მეჩვენა. ვიტრაჟით შემინული სარკმლებიდან შემოტანებულ ისედაც გვიანი მთვარის მქრქალ ნათელს ნაირფრად შეეფერადებინა ცარიელი კედლები. დაპირქვავებული, ერთმანეთზე დაწყობილი და თოკით გადაკვანძული ხატები შენობის ერთ კუთხეში მიეჩოჩებინათ, როგორც გამოუსადეგარი და ერთმანეთზე უდიერად ახუხულავებული წიგნები გაუქმებულ ბიბლიოთეკაში. ფეხშუმი, ბარძიმი, შანდლებიცა და ბოლომდე ჩაუმწვარი

სანთლის ჭიაყელასებრი მონარჩენებიც, ცხადია, საკმ-ეველთან ერთად, ზედ გადაკვანძულ ხატებზევე ეყა-რა. შენობაში კიდევ უფრო მძაფრად იგრძნობოდა სასი-ამოვნო სურნელი, თითქოსდა დამამშვიდებელიც კი, ვიდრე გარეთ. ან სარესტავრაციოდ გაემზადებინათ ტაძარი, ანდა სხვა, ჩემთვის უცნობი მიზნით დაეხვა-ვებინათ ერთ კუთხეში მღვდელმსახურების აუცილებელი იარაღები, როგორც მოკლული მეფის სამეფო რეგალიები. მხოლოდ დედაბოძზე ეკიდა ერთ-ადერთი პატარა ხატი. საკმაოდაც მაღლა, მის ჩამოსა-ხსნელად ოჩოფეხები იყო საჭირო, თორემ ისე, ყველაზე აჩიტული კაციც კი ვერ შეწვდებოდა, თუნდაც ფეხის წვერებზე შემდგარიყო. შეძლებისდაგვარად რომ დავ-აკვირდი ისედაც მუშტისხელა ხატს, ტანში უცებ დამ-ზარა. ვიტრაჟით შემინული სარკმლიდან შემო-ტანებული მთვარის შუქი ხატს ისე ეცემოდა, რომ ზედ მოხატულს თეთრონები ვარდისფერი მოუჩანდა. ისეთი საოცარი სიმშვიდე დასადგურებულიყო მოხატულის თვალებში, თითქოს თვალები მოხატული კი არა, ნა-მდვილი იყო. ორი აზრი არაა, მუშტისხელა ხატზე დედა იყო გამოსახული და, თუმცა მის სახებას პირველად ვხედავდი და, ამასთან, აღარც მისი ხელები ირხეოდნენ ჰაეროვნად, მე მაშინათვე ვიცანი, დედის ფრჩხილებს-ქვეშ ჩაქცეულ სისხლს უკვე საკმაოზე მეტად ეცვალა შვინდისფერისკენ პირი. თავის ირგვლივ დედას მოწ-ამეობრივი შარავანდედი ეხატა თუ უბრალო ბარტყუ-ლა ეხურა თავზე, არ ვიცი. ნაირფერი ვიტრაჟიდან შემ-ოტანებული მეწამული შუქი დედას ბედად ზედ თავზე ედგა. ასე რომ, თავის ირგვლივ დედას თუკი რამ კიდევაც ჰქონდა მოხატული, მას მეწამული სხივი აბუ-ნდოვანებდა. სამაგიეროდ, ის გარკვევით გამოვარჩიე, დედას გულში ჩემი მოჩარჩოებული და შემინული ფოტოსურათი ჩაეხუტებინა. თითქოს მოღიავებულ მუცელს უმალავდა ქვეყნიერებას. გულში ჩაბუტებული

შთამნერგავი ზომის ფოტოსურათის ხარჯზე მუცლის მოღიავებული ღრმული მართლაც საგულდაგულოდ გადაემალა. სნორედ ის ღრმული, ოდესღაც შიგ ჩარჩენა რომ არ დამანებეს ხელებდაკაპინებულმა ექიმბაშებმა. ჩემ საკუთარ ფოტოსურათს დედა ჯიუტად მიჩვენებდა, თითქოს სხვა რამ აზრის გამოტანა უნდა მომეხერხებინა, იმისგან განსხვავებით, რასაც თვალნათლივ თუ არა, ბუნდოვნად მაინც ვხედავდი. მეც მეტი აღარაფერი დამრჩენოდა, რომ თვალები კიდევ უფრო მომეჭუტა და ჩემ საკუთარ ფოტოსურათსაც შეძლებისდაგვარად უფრო გულდასმით დავკვირვებოდი.

შემინული და დედის ხელებში ჩაბღუჯული ფოტოსურათიდან თავიდან უაზრო, გაშეშებული თვალებით მომჩერებოდა ჯიმი. მერე, თანდათან გამოცოცხლდა, თითქოს მოგვიანებით ვენაცნობე. და რომ უმეტყველოდ მოცინარ ჯიმის უეცრად მოწითურო-მოოქროსფრო წვერი გამოეზარდა იქამდე მოტიტვლებულ ნიკაპზე, ხოლო უკვე წვერგაბურძგვნილი თვალსა და ხელს შუა რომ აორთქლდა, შემინული სურათის ჩარჩოში მერეღა ამოძრავდნენ ცალკეული სურათები. ხოლო ის სურათები ისეთი თავქარიანი სიჩქარით ცვლიდნენ ერთი-მეორეს, გეგონებოდა, დედას მოჩარჩოებული ფოტოსურათი კი არ ჩაუკრავს გულში, არამედ საპროექციო ფარანი, ერთგვარი ოპტიკური, ოღონდ გაფუჭებული ხელსაწყო უჭირავს ხელში და სურათებიც ამიტომ ცვლიან ერთმანეთს თავქარიანი სიჩქარითო. შემინული სურათის ჩარჩოში, მართლაც, როგორც მწყობრიდან გამოსულ პროექტორში გაქცეული კინოფირი, ისე მიქროდნენ წუთისოფლის ცალკეული სურათები.

რედაქციის უშველებელ დერეფანში, კედლის ორივე მხარეს თანაბარ სიმაღლეზე გამოკიდულ უაღრესად ცოცხალი ქმრების ლითოგრაფიებს შორის მცოცავ ჯიმის ასევე უშველებელ, ოღონდ უკვე ვეშაპებმიჭი-

კარტებულ დერეფანში მხოხავი ჯიმი ცვლიდა. არილმოდგმული კურკლის გარშემო დამთხვეულივით მოცეკვავეს კი – დედის მაძებარი ჯიმი. ხან მუხლისთავებს ჩაქუჩით იმტვრევდა, ხან კიდევ წარმოსახულ დედას საწოლში უძვრებოდა. სურათს სურათი ცვლიდა, შთაბეჭდილებები შთაბეჭდილებებს, გრძნობები გრძნობებს ცვლიდნენ, – გიჟურად, უთავბოლოდ, უაზროდ. თანაც ისეთი ცოფიანი სიჩქარით, მუნჯური კინო იმასთან მონაგონი იყო. გეგონებოდა, ვიღაც დამთხვეულს მთელი ჩემი ცხოვრება კინოფირზე გადაეღო, მაგრამ პროექტორში უთავბოლო ტრიალისგან ის ფირი გაცვეთილიყო, დროთა განმავლობაში ალაგ დამტვრეულიყო კიდეც, და იმ დამთხვეულსაც იმის მეტი აღარაფერი დარჩენოდა, რომ ხარვეზიანი ადგილები ბრმად ამოეჭრა – ვითომც ცხოვრების ის ეპიზოდები სათვალავში არ ითვლებოდნენ – და გადაჭრილი ფირის ბოლოები ალალბედზე, როგორც გამოვიდოდა, ისე გადაეწებებინა ერთმანეთზე. დედის ხელებში ჩაბღუჯულ ჩარჩოში ბოლოს ის სურათი გამოჩნდა, სადაც მეტროს შესასვლელში მუხლმოდრეკილი ჯიმი ხელებში ჩაბღუჯული რვეულიდან შელახულსა და კუთხეაბრეცილ ფურცლებზე მიმობნეულ სიტყვებს ლოკავდა, წინადადებებს კი წინა კბილებით მოკრძალებით ციცქნიდა, ხოლო მერე, პირში უკვე ჯეროვნად მოგდებულთ, – როგორც ბამბუკის შექანავებულ ღერზე აცოცებული სიუნმაოს მოშიებული ბელი, – დაგემოვნების მოუსწრებლად ნაჩქარევად ღრღნიდა და ღეჭდა, და დაღეჭილი მწვანე მასა, როგორც ბოდვაში გადავარდნილი შეშლილის ტუჩ-პირზე მომდგარი დუჟი, თანდათან უფრო და უფრო მძლავრად ებუშტებოდა, რათა ის ერთი, ერთადერთი მართებული და შეუმცდარი სიტყვა მოეხელთებინა. და მართლაც, წესითა და რიგით, სადაც იყო, უკვე უნდა მოეხელეთებინა კიდეც, ეგაა, თავისუფლების წყურვილით ატანილი ასოებისთვის

რაკი წერაატანილ ჯიმის ლოკვა და ლოლიავი შესაბამისი შემზადების გარეშე დაეწყო, ის ასოებიც შელახული და კუთხეაბრეცილი ფურცლებიდან უკვე ავისმომასნავებლად ამოწეულიყვნენ, ამობერილიყვნენ, ამოფუებულიყვნენ. გეგონებოდა, რომელიღაც მოქმედი ვულკანის თხემზე ძაბრისებური ჩაღრმავებიდან გავარვარებული ლავის ნაცვლად ზედმეტი საფუარით გაჯერებული ცომი ამოწეულიყო. და ის იყო, თხემიდან ამოფუებული ასოების ცომისებრი Ძასა გვერდაზე თავიდან ზოზინით უნდა დაქანებულიყო, როგორც თოვლმობმული ბექობიდან დაგორებული მზარდი გუნდა, ხოლო მერე, გზადაგზა დანარჩენი ასოების წამოხვეტის ხარჯზე, თანდათან სისწრაფეაკრეფილი ერთ გუნდად შექუჩებულიყო და ასოების წერაატანილი მღრღნელი ჯიმიც თვალის დახამხამებაში უნდა გაექრო, გაესრისა, აღეგავა პირისაგან მიწისა, როგორც უმართავსა და ყველაფრის წამლეკ ზვავს ფარას აცდენილი ნერბი, მე ნაჩქარევად რომ მოვაცილე მუშტისხელა ხატს თვალი, ნაჩქარევად რომ შევტრიალდი და ისე გავცდი ტაძრის ზღურბლსაც და ტაძრის ირგვლივ მართლაც მაგიური წრისებრ წრიულად დაყრილ, ალაგ უკვე უსიცოცხლოსა და ალაგ ჯერ კიდევ აფართხალებულ ხვლიკის კუდებსაც, უკან ერთხელაც აღარ მიმიხედავს.

თავის სენაკში განმარტოებული მამასახლისისკენ მივიჩქაროდი. ჩემ გვერდში მეტისმეტი მონდომებით მდგარ აფსოს იმდენად უმეტყველო გამომეტყველება ედო ისედაც გულუბრყვილო სიფათზე, ვითომც ვერ ხვდებოდა, სულ ცოტა ხანში რა უნდა მომხდარიყო. ის შობელძაღლი იმდენს მაინც თუ ხვდებოდა, ჩემი გომურში დაბმა იმაზე მეტ ხანს არაფრის დიდებით რომ არ იქნებოდა, ვიდრე ამას საჭიროება მოითხოვდა, იმას რატომღა ვერ მიხვდებოდა, თავის სენაკში განმარტოებული მამასახლისი არსებობის უკანასკნელ

ნუთებს რომ ითვლიდა. შეიძლება, ხვდებოდა კიდეც და თავს განგებ იშტერებდა. თუმცა, ასე იყო თუ ისე, აფსოს მიხვედრილობასა თუ მიუხვედრელობაში გარკვევა, არა მარტო იმჟამად, საერთოდაც არ წარმოადგენდა არანაირ აუცილებლობას. ნაჩქარევი ფორთბვისას, უკვე საკმაოდ შესქელებულ ტალახში ღრმად ჩაფლულ კენჭებსა და რიყის ქვებზე თითბრის მუხლისთავები უსნორმასნოროდ მეჭეჭყებოდა. ღამით დამდუღრული მიწა უკვე საფუარიანი ცომივით წებოვანი გამხდარიყო და იქამდე გამობმული თეთრი ბოლიც უკვე ბოლომდე გაცრეცილიყო. ხოლო იმ უკვე დამშრალ ნიაღვრებს, კალაპოტები თავისთავად რომ გამოენახათ ღამით, ისე დაეზოლათ მიწის საფარველი, რომ მიწაზე კი არა, კერამიკული ნაწარმოების მოჭიქულ ზედაპირზე განგებ გაკეთებული ნაბზარების ქსელი გეგონებოდა, რის შთაბეჭდილებასაც ჩემს მიერ დანატოვარი ლოკოკინასებრი ბრჭყვიალა ზოლები კიდევ უფრო ამძაფრებდნენ. იქამდე უნდა მიმეღწია მამასახლისის სენაკამდე, ვიდრე დილის მზე გამოანათებდა, და მეც შეძლებისდაგვარად ვჩქარობდი. მქონდა კიდეც საჩქარო, ღამის ლურჯი ზეცა, სადაც იყო, გაიცრიცებოდა. დილის გამომაფხიზლებელი ცვარი სასიამოვნოდ ეფრქვეოდა არემიდამოს, თუმცა ეს უკანასკნელი ქვეყნიერებას მხოლოდ ნამავდა, და ისიც გასაუთოებელი თეთრეულივით. დრო რომ არ დამეკარგა, მეც ნაუცბათევად და შეუჩერებლად ცვრით მონამულ კუნელის ბუჩქებში ვრგავდი მკვდარ სახეს, მაგრამ გამოფხიზლებისა რა მოგახსენოთ. დამდუღრულ თვალწინ ისევ წუთისოფლის სურათები დამირბოდნენ, დამიხტოდნენ, დამიტინგიცობდნენ, იმავე თავქარიანი სიჩქარითა და იმავე უშინაარსო გადახტომ-გადმოხტომებით. ერთ ცალკეულ სურათს მეორე ცალკეული სურათი ცვლიდა, მოულოდნელად, უაზროდ, უშინაარსოდ, ისევე, ამას წინათ დედის ხელებში ჩაბღუჯული სურათის ჩარჩოში

ცოფიანი სიჩქარით რომ მირბოდა, მიქროდა, მიჯლიგინებდა, დანაწევრებული, ასო-ასო აქნილი ნუთისოფლის უამრავი ეპიზოდი ერთდროულად, როგორც მწყობრიდან გამოსულ საპროექციო აპარატში ალაგ ამოჭრილი და შემდგომ ბრმად, ალალბედზე გადაწებებული კინოფირი. მომავალში ჩადენილი ცოდვების სიმძიმე მხრებზე დამაწვა, როგორც ვასაკა ფოთოლს, როგორც პოეტური ჯართი თუნდ ცოცხალ და თუნდ მკვდარ პოეტს; ერთიცა და მეორე მხარეც თანაბრად მძიმდება ჯართით, იმ უბრალო მი ხეზით, რომ ჯართი ჯართია და მას ვერანაირი ოქროცურვილობა ვერ აქცევს ოქროდ. მაგრამ ის სურათები და შთაბეჭდილებები კი არ მაწვებოდნენ მხრებზე გასასრესად, მიწაში, მის ცივ წიაღში ღრმად ჩასაფლობად, მწყობრიდან გამოსულ პროექტორში რომ მიჯლიგინებდნენ, არამედ ის თვალით უნახავი, ვიღაცის დაუდევრობის წყალობით ამოჭრილი ეპიზოდები მამძიმებდნენ. მე ის ამოჭრილი კადრები და ფრაგმენტები მაბნევდნენ, თორემ ამოუჭრელებს კიდევ რა უშავდათ, იმათ მოჩვენებით სიმძიმეს კიდევ გავუძლებდი. ამიტომაც მივიჩქაროდი მამასახლისისკენ. მომავალში ჩადენილი ცოდვები წარსულშივე უნდა გამომესყიდა, ჩამომეცილებინა, როგორც სილით სავსე ტომარა, მძიმე, გაუსაძლის ტვირთად რომ მაწვა მხრებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იმ აღმართს ვერ დავიპყრობდი, იმ გვერდა ბექობზე ვერ ავცოცდებოდი, რომელიც ცისფერი მთის ნისლმობმულ ქიმზე, დედამიწის კინკრიხოზე აემართება. ხოლო იმ ჩაკირული, ჩადუღაბებული ცოდვების სიმძიმეს მხოლოდ და მხოლოდ სისხლი თუ ჩამომბანდა, ჩამომირეცხდა, როგორც ჭუჭყს, უაღრესად, მეტისმეტად, საოცრად მახლობელი, ღვიძლი სისხლი ესაჭიროებოდა ამ საქმეს. მამასახლისის სისხლი! მე უნდა მომეკლა, გამეჩერებინა, დამემთავრებინა მამასახლისი, ისევე, როგორც ჩემ ღვიძლ შვილს უნდა მოვეკალი, გა-

ვეჩერებინე, დავემთავრებინე მე, ჩემი სისხლით უნდა ჩამოებანა ჩაკირული, ჩადუღაბებული ჭუჭყი, როგორც მამასახლისის სისხლი ჩამომბანდა მე, ჩამომაცილებდა ნეხვის ტომარას. თურმე რისთვის დამჭირდებოდა შვილი მომავალში, თურმე რისთვის შევთხოვდი შვილის გაჩენას ნარმოსახულ დედას და თურმე ნარმოსახულ დედას ასევე ნარმოსახულ საწოლში ძრომიალსაც ამიტომ დავუწყებდი. მე თურმე სიკვდილი უნდა მომეძებნა, მომეძია, გამომეთხარა მომავალში, როგორც წერაატანილ თაგვს კატა, და არა ის ერთადერთი მართებული და შეუმცდარი სიტყვა. გამოდის, ის მართებული სიტყვა ნარსულისა და მომავლის გზასაყარზე მელოდებოდა, და აქედან გამომდინარე, ნარსულთან უკვე სამუდამოდ კავშირგაწყვეტილი თუკი მომავალში არ გადავაბიჯებდი და იმ სიტყვას გზასაყარზევე მოვიხელთებდი, შესაბამისად, აღარც შვილის გაჩენის აუცილებლობა დამიდგებოდა. მართალია, მშობლის მოკვლის, გაჩერების, დამთავრების უფლება ყველაზე მეტად ნაშიერს ეკუთვნის, მაგრამ მის სამომავლო აუცილებლობაში მაშინათვე გადავრწმუნდი, როგორც კი გადავწყვიტე, მომავალში აღარ გადამებიჯა. მითუმეტეს, რომ შვილის სამომავლო უფლებამოსილება დედას ჯერ კიდევ ნარსულში ჰქონდა ნაკისრი და, სიმართლე ითქვას, ნაკისრებ ვალდებულებას დედამ უშეცდომოდ გაართვა თავი, ნარსულშივე მომიღო ბოლო. ასე რომ, გარდა იმ ერთადერთი სიტყვის მოძიებისა, აღარაფერი მომესაქმებოდა აღარც ნარსულში და აღარც მომავალში, ცხადია, მას შემდეგ, რაც მამასახლისი უკანასკნელად ამოიოხრებდა.

შუკა-შუკა ნაჩქარევად მივფორთხავდით მე და აფსო, როგორც სანგარში განოლილი მეომრები. მუხლებიც უკვე სამუდამოდ დამჭეჭყოდა. მეგონა, ვეღარასოდეს მივაღწევ მამასახლისამდე-მეთქი, თუმცა, ჩემდა გასაოცრად, მამასახლისის ეზოს იმაზე მალე

მივადექით, ვიდრე წარმოვიდგენდი. ეზოს გამოღებულსა და ხავსმოკიდებულ კუტიკარში შევხოხდი და ღობეზე აყუდებულ ცხავს ვკიდე თუ არა თვალი, იქვე შევჩერდი. ფეხზე დგომას უნდა დავჩვეულიყავი სასწრაფოდ და გადაუდებლად. უკან რომ მივიხედე, ლოკოკინასებრმა ბრჭყვიალა ნაკვალევმა — აბეზარი სიმრთელით კუდში რომ მომყვებოდა — კიდევ უფრო დამარწმუნა გადაწყვეტილების შეუმცდარობაში. ღობეზე აყუდებული ცხავის დაცხაურებულ მავთულში ხელის თითები კი გავუყარე და ფეხზე წამოდგომასაც კი შევეცადე, ეგაა, ფეხზე დგომას უჩვევს, მეტისმეტად გამიჭირდა ასე ნაუცბათევად წელში გასწორება. წელსქვევით მოწყვეტილი სხეული მე არ მემორჩილებოდა, თითქოს ფეხებზე დოლაბებგამობმულს საწყაული აღუვსებელი თავისკენ მითრევდა. გოჯ-გოჯ, მტკაველ-მტკაველ ვიპყრობდი დაცხაურებულ მავთულს, როგორც კუტი, საკუთარი თითებისა და მკლავის იმედზე რომაა დარჩენილი და სხვისი დახმარების გარეშე რომ ცდილობს რამეზე გადაბობღებასა თუ აცოცებას. ჩვეულებისამებრ დაოთხებული და გვერდზე თავგადაქანებული აფსო, ისეთი გაკვირვებული აკვირდებოდა მისთვის ესოდენ უცნაურ ჩემს მიმოგრეხას, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანს მკარნახობდა თავის გვერდზე გადაქანებითა და ცალი ყურის აძგიბვით, თითქოს ორ ფეხზე თუკი დავდგებოდი, ამით გამოუსწორებელსა და უპატიებელ საშინელებას ჩავიდენდი, თანაც არა უნებლიედ, არამედ ნებით. ბოლოს მაინც გავიმართე წელში და წაქცევისგან თავის დასაზღვევად ღობეს ჩამოვეყრდნე იდაყვებით. ვარაუდზე ვიდექი, მუხლებიც გალოთებული თოვლის კაცივით მიკანკალებდა. თვალი იქამდე არ გამიხელია, ვიდრე სუნთქვა არ შევიბრუნე. ჩემ ცხოვრებაში პირველად ვიდექი ორ ფეხზე. თავბრუც მეხვეოდა, მაზიდებდა კიდეც, ვერც ფეხქვეშ ვგრძნობდი საყრდენს, თი-

თქოს მუხლისთავები ადამიანურად წინ წამოზვინული კი არა, არამედ შეტრიალებული, უკან მიმართული მქონდა, რომლებიც ისევე სხარტად მომეხრებოდა, თუკი ნაბიჯს სწორად არ გავმართავდი, როგორც კალიას, და მეც, უნებლიედ ძირს გაშოტილს, ისევ დაოთხებულს მომინევდა გზის გაკვლევა.

ხოლო სუნთქვა მოჩვენებითად რომ შევიბრუნე, თვალში რომ გამოვიხედე და ეზო რომ მოვათვალიერე, თავზარდამცემი სიცხადით მერეღა აღვიქვი უკან მობრუნებული და უკვე დამშვიდებული, განსაცდელგადავლილი გომურის ბინადრები ისევ ისე რომ განლაგებულიყვნენ ეზოში, როგორც საერთოდ სჩვეოდათ, და იმ სულით ხორცამდე გამჯდარ ჩვევას მათ ვერანაირი დამდუღვრა და ვერანაირი ცის ჩამოქცევა ვერ გადაჩვევდათ. უკვე დაშოშმინებული თელი წვიმის წყლით ამოვსებულსა და უშნოდ დაბუშტულ, წყალში სალაფავგაქნილ გეჯასთან იდგა, ამასწინანდელი წვიმის გამო გეჯას გარშემო — წყალში გაქნა რომ ვერ მოესწრო — გადმოღვრილსა და მინაში ამოლესილ, ამოზელილ სალაფავს უაზრო, გაშეშებული თვალებით ჯიუტად დასჩერებოდა, თითქოს სალაფავის გადმოღვრა არა წვიმის, არამედ მინის ბრალი იყო, და მინას დამდურებული თელიც თითქოს არემიდამოს დინგით უპირებდა გადათხრას. ჩიჩვირში რგოლგაყრილი სახედარი ნიაღვრების გამო გვერდზე გადაქანებულ პალოსთან იდგა და მორჩილად ელოდებოდა, როდის გამოაბამდნენ პალოზე. თივის ზვინში დრუნჩჩამხობილ კამეჩს აბეზარი ბუზები აღარ ასხდნენ ფერდებზე — უკლებლივ ყველა ბუზანკალი წვიმას დაემდუღრა იმ ღამით — ტალახშემხმარ კუდს კი მაინც ყასიდად აქნევდა, ჩვეულება, რჯულზე უმტკიცესი ჩვეულება ჰქონდა ასეთი. ყოველი მათგანი — გარეგნულად მაინც — ხელოვნურ, მოგონილ, ყალბ სიმშვიდეს ინარჩუნებდა. ცოცხალი არსებები კი არა, მოჯადოებული, გაქვავებული სათამა-

შოები გეგონებოდა. მხოლოდ ბეხრეკ იაბოს ემჩნეოდა ფორიაქი, ფლოქვებს აღარ აბაკუნებდა მინაზე, მაგრამ დასისხლიანებულსა და მუშტისხელა თვალებში ეკითხებოდა მოუსვენრობა. ავად დადუმებულ, გაშეშებულ არემიდამოს ისეთი დაეჭვებული აკვირდებოდა, თითქოს არ ენდობოდა მის გარეგნულ სიმშვიდეს, თითქოს გამხმარი, დაუძლურებული ტანი უგრძნობდა, რომ მოსახდენი ჯერ კიდევ წინ იყო.

დამშრალი სანიაღვრო კალაპოტებით უსნორმასწოროდ დაღარულ მინაზე — ალბათ, ასეთივე უსნორმასწორო ღარებს აჩენს მინაზე დამშრალი კრიკიცა და მისი შენაკადებიც — ვარაუდზე მივბარბაცებდი, როგორც მთვრალი თოვლის კაცი მიბაჯბაჯებს თავისი ბუნაგისკენ. ცვრით მონამული და დედის ხელებივით დაღარული ეზოს გადაკვეთა მზის ამოსვლამდე მაინც მოვასწარი. სახლის კარში რომ შევაბიჯე, პირველი ათინათები დილის მზემ მაშინღა გადმოჰყო ეზოში. ჩაბნელებულ დერეფნებში სულიერის ჭაჭანება არ იყო. კედელ-კედელ მივიწევდი მამასახლისის სენაკისკენ. ჩაბნელებულსა და უკაცრიელ დერეფნებში ისეთი სიჩუმე გამეფებულიყო, რომ იტყვიან, დედამიწის ღერძის ჭრიალს გაიგონებდი. და თუმცა უთვისებო ყურში მაინც არაფერი ჩამესმოდა, სამაგიეროდ, გუმანი მკარნახობდა, უთუოდ ასე რომ იქნებოდა. ისე შემაშფოთებლად ჩაჩუმებულიყო სახლი, თითქოს იქ მაცხოვრებლები, უკლებლივ ყველა, თავთავიანთ საწოლებშივე ჩახოცილიყვნენ. მაგრამ ის იყო, დასაბამიდანვე მოყოლებული დერეფანში მდგარი, სახალხო გმირზე აღმატებული, ლამის ცოცხალი წმინდანის ქანდაკისთვის უნდა აგვექცია გვერდი, აფსომ უეცრად ყურები რომ დაწურა. ჩვენი მიახლოებისას, ქანდაკის კვარცხლბეკსა და კედელს შორის გაბმულ ქსელზე დაფეთებული ობობა აწრიალდა ალბათ, და კვარცხლბეკის უკან გამეფებული წყვდიადიდან გამომსხლტარმა ობობის ფაჩუნმა აფსოს

ამცნო, რომ სულიერი რამ არსება ჯერ კიდევ მოიძებნებოდა ერთი შეხედვით უკაცრიელ შენობაში. კედლის ორივე მხარეს, თანაბარ სიმაღლეზე მიჭიკარტებული ვეშაპები, ყველანი ერთდროულად მე მითვალთვალებდნენ, მათვალიერებდნენ, მსნავლობდნენ, და მე ვხვდებოდი, ოდესმე ასევე რომ შემათვალიერებდნენ და შემისწავლიდნენ რედაქციის კედლებზე გამოკიდული უაღრესად ცოცხალი ქმრები. მაგრამ როგორც ამ უკანასკნელთ, ისევე არც ვეშაპებს არ ვაქცევდი ყურადღებას. მათ შორის მივაბოტებდი ჯიუტად. ნაბიჯის ყოველ გადადგმაზე ვგრძნობდი, დაჭეჭყილი მუხლები სურვილისამებრ მემორჩილებოდნენ. ყოველი გადადგმული ნაბიჯით ორ ფეხზე სიარულს გზადაგზა ვხვეწდი. ეგ კი არა და, მამასახლისის სენაკის კარს მიახლოებულიც არ ვიყავი, უკვე თავისუფლად, ყოველგვარი განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე რომ შემეძლო ფეხდგომელას გადაადგილება.

მამასახლისის სენაკში რომ შევაბოტე, ნაბიჯი უკვე სანიმუშოდ გამართული მქონდა და, შევაბოტე თუ არა, იმწუთას იმ კუთხეს მივაშურე, სადაც ჩვენი საგვარეულო საგორაო ეტლი მეგულებოდა. ჩვენ, შიგნაკრავ პოეტებს, დაკუტება და დახეიბრება ხომ შთამომავლობით გადმოგვეცემა. აკეცილი და დამტვერილი ეტლი მართლაც კუთხეში აყუდებული დამიხვდა. შუა ოთახში ნაჩქარევად გამოვათრიე, მის გაშლაზე ცოტა კი ვიჯახირე, მაგრამ რამდენიმე ნარუმატებელი მცდელობის შემდეგ, როგორც იქნა გაშლას თავი გავართვი, და როცა ეტლის დამტვერილი სავარძელი ხელისგულით გულდასმით გადავწმინდე, სანოლში ნამომჯდარ მამასახლისს მერეღა გავხედე.

საწოლში ნამომჯდარი, თმაწვერგაწენილი კაფანდარა მამასახლისი, თავისი უფერული თვალებით დაუსწრებლად მომჩერებოდა, როგორც ახლადგამოღვიძებული ღმერთი. თითქოს ვერ მამჩნევდა, სადღაც

ჩემში განმჭოლ იხედებოდა. აკანკალებულ ხელებში კუთხეაბრეცილი, დაკუჭული, ალბათ ოფლითაც მონამული ფურცელი ეჭირა. ცოტაოდნად შეღებული სარკმლიდან დილის გამომაფხიზლებელ სიგრილესთან ერთად მზის უკვე საგრძნობლად მოღონიერებული ათინათები აღნევდნენ ოთახში და მამასახლისის აკანკალებულ ხელებში ჩაბღუჯულ ფურცელსაც მცირეოდნავ გამჭვირვალეს ხდიდნენ, ისე, რომ მამასახლისისკენ პირით მიტრიალებულ ფურცელზე რა ეხატა, ამას, ოთახის შუაგულიდან გარკვევით თუ არა, ბუნდოვნად მაინც გამოარჩევდი. საწოლში წამომჯდარი მამასახლისი ხან ფურცელს უყურებდა, ხან მე, გაფაციცებული აკვირდებოდა ერთსაც და მეორესაც, თითქოს ჩვენ ორს შორის განსხვავება ვერ ეპოვა და, ალბათ, ასეც იყო. ტანში უცებ დამზარა, მამასახლისს სნორედ იმ დილით მოეხელთებინა და, როგორც იქნა, ფურცელზე გადაეტანა იმ აბეზარი ვეშაპის ამაზარზენი სიფათი, რომელიც სიზმრადაც და ცხადშიც თანაბრად აწვალებდა. თავზარდამცემი სიცხადით მივხვდი, უფლის მიერ მამასახლისზე დაკისრებული ვალდებულება ამ უკანასკნელს პირნათლად შეესრულებინა, ყოველგვარი პასუხისმგებლობა მას უკვე მოხსნილი ჰქონდა, მისი სიკვდილი ახლა მხოლოდ მადლი იქნებოდა. მეტად შეყოვნებას აღარ ჰქონდა აზრი. გაშლილი, მწყობრში მოყვანილი, საგნაგებოდ მამასახლისისთვის გამზადებული ეტლი საწოლთან ახლოს მივაგორე, თმაგაწეწილს ნახშირით მოთხვრილი საბანი ერთბაშად გადავხადე, რის გამოც ძირს გადავარდნილი ნახშირის თავწამახული ნაგლეჯი იატაკზე ბარბაცით გაგორდა, მხოლოდ ის იყო, რომ დაცემის ადგილას იატაკს შავი წერტილი დაამჩნია, და ეტლში გადასასვენებლად მამასახლისს მხარქვეშ რომ ამოვუტარე ხელი, ის არ გამძალიანებია. პირიქით, ხელები ისე გასწია განზე და საიღლიე მომითავისუფლა, თითქოს იქით მეხმარებოდა. ღამის პერან-

გისამარა მოვათავსე ეტლში, იმან კი ისე სასხვათაშორისოდ დაიფინა კალთაზე ოფლით მონამული ფურცელი და ხელისგულით გააუთოვა, თითქოს მოსაკლავად კი არა, გასასეირნებლად გამყავდა. ის იყო, ოთახიდან უკვე უნდა გამეგორებინა ეტლი, მხარსუკნიდან ჩემდაუნებურად სანოლისკენ რომ მივიხედე, კიდევ ერთხელ გადასამოწმებლად, თვალში დასარწმუნებლად, რამე ხომ არ მრჩება-მეთქი, და უფორმოდ ჩაზნექილი, ჩაფოსოებული ბალიშის ქვემოდან გამოჩრილი ნაგანის მოსევადებულ ლულას ვკიდე თვალი. დროულად შევტრიალდი, ნაგანი ნაჩქარევად გამოვაძვრე, ხელში შევათამაშე, მუშტში მოვირგე იარაღის ვინროყელიანი ტარი და მამასახლისს კალთაზე გაშლილ ფურცელზე დავუდე. იმან მაშინვე ხელისგული გადააფარა იარაღს, ან იმას შიშობდა, ეტლის გორებისას არ გადმოვარდნილიყო, ან რომელიმე გაუთვალისწინებლად გამომტყვრალ მსახურს არ დაენახა.

გადმოვარდნის საშიშროება მართლაც არაერთხელ შეიქნა გზად, მაგრამ უშველებელი დერეფანი მთლიანად ისე გავიარეთ, არცერთი მსახურთაგანი არ შეგვხვედრია. იარაღის გადმოვარდნის საშიშროება დაღარულ, დალიანდაგებულ ეზოში, დერეფანთან შედარებით გაცილებით დიდი იყო და ეტლის სავარძელში აძიგძიგებული, თითქოსდა ნანინათი დარწეული აკვნის რწევას აყოლილმა მამასახლისმაც ახლა უკვე მეორე ხელისგულიც შეაშველა, ვითომც ცალი ხელი არ ეყოფოდა ამ საქმეს. ტოტებზე გახუნებულ ჭინჭებგამობმულ პირველივე ხემდე გაჭირვებით, ბორძიკობით, რწევა-რწევით, მაგრამ მაინც ისე მივაღწიეთ, იარაღი არ დაგვვარდნია.

ბოთლისა და მავთულის მოსაძებნად რომ გავტრიალდი, მამასახლისს არ შევუჩერებივარ. იჯდა თავისთვის ეტლში, კალთაში ჩამხობილ იარაღზე ხელისგულები გადაეფარებინა და ქვეშ-ქვეშად მომღიმარი უფერულ

თვალებს აქეთ-იქით უაზროდ აცეცებდა, როგორც უხეირო ქურდბაცაცა, შუბლზევე რომ აწერია რა ჩიტიცაა. უკან მალევე მივბრუნდი, თითქმის იქვე, ორ ნაბიჯშივე ვიპოვე მინის ბოლქვებით ამოვსებული ბოთლიცა და მავთულის ნაგლეჯიც. როდესაც ვუახლოვდებოდი, მამასახლისი უკვე ცქმუტავდა, ადგილს ვერ პოულობდა. ნაგანი ორივე ხელით ეჭირა და ისე მოუხერხებლად ათამაშებდა, ჩემთვის იმწუთას ნათელი გახდა, იარაღთან საქმიან ურთიერთობას ის ვერ დაიჩემებდა. თუმცა იჩემებდა, გახუნებულ ჭინჭებს ლულას მოუსვენრად უმიზნებდა, აკანკალებულ ხელებს ძლივძლივობით იმორჩილებდა, ორივე მათგანში რიგრიგობით ეძებდა საყრდენს და ხან ერთ, ხან მეორე თვალს ჭუტავდა, ვითომც თვალით ზომავდა სამიზნეს. მინის კოშტებით ამოვსებულ ბოთლის ყელს მავთული ჯეროვნად შემოვუჭირე, მერე ბოთლი მავთულით იმ ტოტზე გამოვკვანძე, როგორც ნაძვის ტოტზე საახალწლო საჩუქარი, მამასახლისის თვალს დაახლოებით მაინც რომ გათანაბრებოდა, მერე ეტლთან მივბრუნდი, ბორბლის მრგვალი სახელურებით ადგილზევე ცოტაოდნად შევატოკე, სასროლად უკეთესი ადგილი შევურჩიე და, ჩამუხლული, სულ უფრო აცქმუტებულ მამასახლისს ცნობისმოყვარედ შევაცქერდი სახეში, რაღას უცდი-მეთქი — ვაგრძნობინე. მაგრამ როდესაც გაირკვა, ჩახმახის გადმოსაწევად იმას ძალა არ ჰყოფნიდა, მაშინ მე თვითონ გადმოვუწიე ჩახმახი — იარაღი ხელიდან არ გამომირთმევია, ისე — და ნელში მერეღა გავსწორდი.

პირველ ჯერზე თითქოს კი არ ისროლა, არამედ გაუვარდა. თვალები მაგრად მოჭუტა და ბრმად, ალალბედზე გაისროლა უმისამართოდ, დაახლოებით ისე, იარაღთან გამოუცდელი კაცი თავის ცხოვრებაში პირველად რომ გაიცოდვილებს. მეორე ჯერზე, პირიქით, დიდხანს უმიზნებდა, თითქოს საშველს აღარ

დააყენებდა და უცებ, მეც არ მოველოდი ისე, თავიდან იარაღის ლულას გამობმული ბოლი დავინახე, მერე მავთულზე ჩამოკონწიალებული და მოქანავე ბოთლის დანვეტილი ყელი. ჭინჭმობმული ტოტის ქვეშ დაყრილი მინის ნამსხვრევებსა და მიწის მიმოფანტულ, ალაგ გალხობილ ბოლქვებს მივუახლოვდი, ბოთლის რამდენიმე ნამსხვრევი თითქმის გაუაზრებლად, ბრმად ავკრიფე, პერანგის გულისჯიბეში ჩავიყარე და მამასახლისს გამოვხედე. ის ისევ ისე უაზროდ განაგრძნობდა იარაღის ხელში თამაშს, ვითომც თავად არ იყო, სულ რაღაც ერთი წუთის წინ ტოტზე გამობმული ბოთლი რომ ჩამოამსხვრია, მერე უეცრად, არც აცია, არც აცხელა, აიღო და გახურებული ლულა ზედ საფეთქელზე მიიბჯინა. საფეთქლის კანი შიშინით ამოეშანთა, მაგრამ საოცრად დამშვიდებულ მამასახლისს უძრავ სახეზე ერთი ნაკვთიც არ შეტოკებია. ხოლო საფეთქელს ლულა რომ მოაცილა, ბოლმობმულსა და გახურებულ ლულას დამწვარი, აშიშინებული და ლამის უკვე დანახშირებული კანი აჰყვა. საფეთქელზე მამასახლისს ნითელი რგოლი დაემჩნა, როგორც დადაღულ ცხენს. ერთგვარი სამიზნე გამიკეთა, თითქოს უკეთ რომ დამემიზნებინა, ანაზდად გვერდზე რომ არ გამქცეოდა ხელი. ამოშანთულ ადგილზე რამდენჯერმე კიდევ მიიდო, უკვე ბოლგანელებული ლულა, თითქოს უნდოდა დავერწმუნებინე, სწორედ ესაა საუკეთესო სამიზნე, ზედ უნდა მიაბჯინო და ძაანაც, რომ გინდოდეს, ვერ ააცილებ, სწორედ ეგაა რაცაააო.

დროულად მივხვდი, მამასახლისს უკვე სულ ტყუილუბრალოდ ვაწვალებდი, მის ისედაც გაუფერულებულ თვალებში სამუდამო სიმშვიდე დასადგურებულიყო. ერთბაშად გავბრაზდი. სულ რაღაც გაელვებაში ეტლთან გავჩნდი, ძალით გამოვგლიჯე ხელიდან რევოლვერი. ჩემ თავს ვუმტკიცებდი, ის კი არ მკარნახობს, არამედ უიმისოდაც ვიცი, რასაც ვაკ-

ეთებ-მეთქი. ჩახმახი წამისნამში შევაყენე ფეხზე და საფეთქლის ამოშანთულზე მივადე თუ არა ლულის ნვერი, იმწუთასვე, მეტი შეყოვნების გარეშე, სასხლეტსაც თითი რომ გამოვკარი, ჩემდა გასაოცრად, მოგუდული ტკაცანის ხმაც მომწვდა ყურამდე — თითქოს ტყვია კი არა, მხოლოდ ფისტონი ამეფეთქებინა, — ხოლო ლულამ ხელახლა რომ გამოიბა ზანტი ბოლი, ის ბოლიც უკვე თეთრი ღრუბლის ბუნდოვან ქულად, თვალწინ გადღაბნილ უფორმო ლაქად კი არა, მთელი სიცხადით თვალნათლივ დავინახე. მაშასადამე, თვალიც ამხელოდა და სმენაც გამხსნოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, გათავებულმა, გაჩერებულმა, მოკლულმა მამასახლისმა უშველებელი ტვირთი ჩამომხსნა.

კაფანდარა სხეულით არც კი შეტოკებულა, მხოლოდ თავი გადაუვარდა მხარზე, თითქოს უეცრად ჩაეძინა და საფეთქლის გაშავებული, ცოტაოდნად ამობურცული ნახვრეტიდან ზანტი ბოლის ნაკადთან ერთად, სისხლის ნაკუნებში გარეულმა წამხდარი, ლაყე კვერცხისფერმა მოყვითალო, აყროლებულმა და შესქელებულმა სითხემ გადმოჟონა, რომელიც ღაწვისთავსა და ჩავარდნილ ლოყაზე ზოზინით ჩაეტოტა და, ნიკაპზე თავქვე დაკიდული, საბოლოოდ ღამის პერანგის გულისპირზე დაეცა. გეგონებოდა, როგორიც სიზმრები, ტვინიც ისეთივე ჰქონდა. უცებ, სად იყო და სად არა, მგალობელი ჩიტი დაასკუპდა მონთავისუფლებულ მხარზე და, როგორც კი ჩიტი გაცხარებით, მთელი მგზნებარებით აჭიკჭიკდა, მის წარმომავლობასაც მაშინვე აეხადა ფარდა. ისღა იყო ერთადერთი ხორცშესხმული ბინადარი მამასახლისის ოდინდელი სიზმრისა. ჰანგების მრავალფეროვნებით შეძრული, მოჯადოებული ვუსმენდი ჩიტის გალობას. მეგონა, არასოდეს გათავდება ამ ლამაზი და საოცარი ბგერების სიმეტრიული მდინარება-მეთქი, მაგრამ ფრინველმა

უცებ მოუკვეცა კუდი საგალობელს, მრგვალი, გაშეშებული თვალებით სახეში ჯიქურ შემომაცქერდა, ფრთები მოუსვენრად აათამაშა, უეცრად ნარნარით აინავარდა ჰაერში და, მკვდარ გულში რომ გავივლე, სადაცაა თვალს მიეფარება-მეთქი, ვცდებოდი თურმე. ჰაერში ანავარდებულმა, ირგვლივ რამდენჯერმე შემომიფრინა, თითქოს თვალში არ მოვუვედი, მერე ერთბაშად დაექანა და მოკაკვული ნისკარტი კეფაზე გამეტებით, დაუზოგავად, ულმობლად რომ დამკრა, მომაჯადოვებელი ჰანგებით დატყვევებული მერეღა მოვეგე გონს. ჩანისკარტებულ ადგილზე ჩემდაუნებურად გადავიფარე ხელისგული. ტკივილი არ მიგვრძნია, თუმცა კეფისკენ თავისთავად გამექცა ხელი. აფსო რომ ვეღარ დავინახე, არემიდამო მოვათვალიერე. ეტლის მოშორებით ის მინაზევე გართხმულიყო, ყბა თათებზე ჩამოებჯინა და ეზოში დატრიალებულ ამბებს ზანტი ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალყურს.

იქ მე ამიერიდან აღარაფერი მესაქმებოდა და წასასვლელად, გასაქცევად, გადასახვეწად რომ შევტრიალდი, ვიგრძენი, რაღაც მამძიმებდა, არ მიშვებდა, ძალღონეს მართმევდა. ხელში მაგრად ჩაბღუჯული იარაღი მამძიმებდა თურმე. ხელი უცებ გავუშვი. რევოლვერი უხმაუროდ დაეცა დარბილებულ მინაზე. ყველაფერი ნამისწამში, ერთ გაელვებაში კი დამთავრდა, ეგ იყო, იარაღის ლულიდან გამოფრქვეული დამწვრის სუნნაკრავი ბოლი არა და არ ნელდებოდა. პირიქით, ნაკადი ყოველწამიერად უფრო და უფრო შესქელებული ხდებოდა. ბოლოს, როცა რაც კი რამ გადმოსაფრქვევი იყო, უკლებლად გადმოიფრქვა, მინაზე თავიდან უფორმოდ გართხმული ბოლი ერთიან მრთელად შექუჩდა, შემჭიდროვდა და უკვე საკმაოდ გამკვრივებულს ისეთივე გალეული კიდურებიც რომ გამოეზარდა, როგორიც საგორაო ეტლში მოსვენებულ კაფანდარა მამასახლისს, მივხვდი, მამასახლისის ბოლისებრი

ტყუპისცალი ჩასახუტებლად, გულში ჩასაკრობად ვისთანაც მობრძანებულიყო.

აღარ დავლოდებივარ ტყუპისცალის წელში ოდნავ მოხრას, განმჭვრეტელ თვალებთან ერთად შეუმოსავი სხეულის ალაპლაპებასაც და ფეხისგულების მიწაზე აბაგუნებასაც. ეზოს იქამდე გავეცალე, ვიდრე ის ფეხისგულებს ააბაგუნებდა და არემიდამოს ერთიანად ააზანზარებდა. უკაცრიელ ორღობეში მივრბოდი, გვერდში აფსო მოცუხცუხებდა და მონდომებული ცდილობდა, ნაბიჯი აეყოლებინა ჩემთვის. თითქოს ყველაფერი ისე კი იყო, როგორც უნდა ყოფილიყო, ყველაფერი საჭიროებისამებრ კი გაკეთდა, აღარაფერი მესაქმებოდა წარსულში, ნაკისრი ვალდებულება პირნათლად მქონდა შესრულებული, მკვდარ გულს კი მაინც მიღონებდა რაღაც. თითქოს მარილი აკლდა ამ ყველაფერს. მკვდარ გულთან ერთად ტანიც მიგრძნობდა და გუმანიც მკარნახობდა, ასე იოლად არ დამთავრდებოდა ყველაფერი, არც უნდა დამთავრებულიყო. თხემით ტერფამდე დარწმუნებული გახლდით, რაღაც კიდევ უცილობლად მოხდებოდა.

და აი, თითქოს განგებამ შემისმინა, მამასახლისის ეზოს უკვე საკმაოზე მეტად გავცდენოდი, როდესაც გზად, რომელიღაც სახლის შეღებული სარკმლიდან გამოღწეული, ბოლო ხმაზე ანეულ რადიომიმღებში ჩამწყვდეული ვიღაცის ბუტბუტი ჩამესმა. ჩემ ცხოვრებაში პირველად კი ჩამესმოდა ეს ხმა, მაგრამ რატომღაც ბუტბუტი მაინც მენაცნობა. მაშინათვე ვიცანი სრულიად ქვეყნიერების უწმინდესისა და უნეტარესი პატრიარქის დიდებული ტემბრი ხმისა. რადიომიმღებში ჩამწყვდეული სრულიად ქვეყნიერების პატრიარქი საზარელ განცხადებას აკეთებდა: საპატრიარქომ მიზანშეწონილად მიიჩნია, ძველ წმინდანებს უფლებამოსილება შეუჩერდეთ და ძველები ახლებით გადახალისდნენო — იტყობინებოდა პატრიარქი თავისი

დიდებული ხმის ტემბრით. ეგ იყო და ეგ. მეტი არაფერი. საზარელ განცხადებას მხოლოდ და მხოლოდ მრავალმნიშვნელოვანი დუმილი მოჰყვა. მაგრამ რაც ამის შემდგომ დატრიალდა, იმას, ალბათ, კაციშვილი ვერ წარმოიდგენდა. ის იყო, მრავალმნიშვნელოვნად დადუმებულმა რადიომიმღებმა კვლავ ამოიდგა ენა და ორღობეში რაღაც სალაღობო, გასართობი მელოდიის ჰანგები გამოიფრქვა — ალბათ, საპატრიარქოს მძიმე, საზარელი განცხადების შემდეგ მოსახლეობის სავარაუდო დაძაბულობის განსამუხტად, — რომ უეცრად, ერთ-ერთი შეღებული სარკმლიდან რომელიღაც ან უკვე გადახალისებული წმინდანის თიხის პატარა ფიგურა გადმოაგდეს. მიწაზე დაცემისთანავე წმინდანს კისერი მოტყდა, ხოლო მომძვრალი თავი ნასროლი კენჭივით გვერდზე გადაგორდა, შუაზე გაბზარული სხეული კი, მინის გადამსკდარი ბოლქვივით რომ ეგდო, სადაც დავარდა, იქვე დარჩა. გეგონებოდა, სულ ეგაა, მეტი რაღა უნდა მოხდესო, მაგრამ უკვე მეორე წუთში უნდა გენახა, შეღებული სარკმლებიდან ზედ ორღობეში რანაირი მონდომებით ცვიოდა უამრავი გადახალისებული, ზოგი გამომწვარი თიხის, ზოგიც კიდევ ხისგან გაჩორკნილი წმინდანი. თიხის წმინდანები, ნაწილი ადგილზევე იფშხვნებოდა, ნაწილი მხოლოდ იმტვრეოდა და ნაკუწ-ნაკუწ იფანტებოდა აქეთ-იქით. მომტვრეული თავები ცალკე ეყარა, კიდურები და სხეულები ცალკე. ხის ფიგურები კი მხოლოდ ყრუდ ეხეთქებოდნენ ერთმანეთს. გადახალისებული, დამტვრეული, ასო-ასო აქნილი წმინდანები, როგორც ერთმანეთზე ზერელედ ახუხულავებული რიყის ქვები, ისე ეყარნენ. ერთ-ერთი ბრმად მოსროლილი წმინდანი უნებლიედ მეც მომხვდა თავში. არც ტკივილი მიგრძვნია, არც არაფერი დამზიანებია, ისედაც მკვდარი კიდევ უფრო ვეღარ მოვკვდებოდი, მინაზე კი მაინც გავწექი, როგორც ჩრდილწამდგარი ხვლიკი, და გავილ-

ურსე, გადახალისებულ წმინდანად გავასაღე თავი, ამის მეტი მაინც არაფერი მეხერხებოდა. ვინძლო ვინმემ შემთხვევით არ გადმოიხედოს და თვალში არ გავეჩხირო-მეთქი. მიწაზე გართხმული კი, სათუო იქნებოდა, ვინმეს შევენიშნე.

ხოლო როდესაც გადასაყრელი წმინდანები აღარავის შემორჩა, სულ ბოლოს, იმავე სარკმლებიდან მუყაოსა და ქაღალდის მინიატურულმა ხატებმა იწყეს ცვენა. საოცარი, გულის ამათრთოლებელი სანახაობა იყო პაწაწკინტელა ხატების ჰაერში ფარფატი. გეგონებოდა, თოვლმობმული ბექობიდან თოვლის ზედა, ყველაზე ზერელე ფენა ქარს წამოეხვეტა, აქეთ წამოეღო და ისიც მხოლოდ იმ მიზნით, რათა ქვეყნიერება გაეკვირვებინა ბუნების ამ მოულოდნელი სილამაზით. სარკმლებიდან გადმოყრილი ფერადი ხატები გასაოცარი ნარნარით ფარფატებდნენ ჰაერში, როგორც გამოცვლილი, ან უკვე გამოუსადეგარი ფულის ბანკნოტები. ვიგრძენი, რამდენიმე ხატი ზურგზე მეც დამეფიფქა. არ გადამიხვეტია, ასე სჯობდა, ასე გაცილებით უფრო მეტად ვემსგავსებოდი გადახალისებულ წმინდანს. ამაში, ცხადია, მკერდამდე ჩამოზრდილი წვერიც მეხმარებოდა და გაურეცხავი ფუნჯის ბუწუწებივით გაუხეშებული თმის ირგვლივ მოწამეობრივი შარავანდედივით აელვარებული დაუბანელი თმის თავისებური სურნელიც. რას წარმოვიდგენდი, თუკი პატრიარქის იმ საზარელ განცხადებას ერთბაშად ამდენი ვინმე აიტაცებდა. თუმცა მასეცაა, შეუპასუხებელ მორჩილებაში მოყვანილსა და შეურაცხად მრევლს რომ უთხრა, ძველს ახალი სჯობიაო ანდა პირიქით, მაშინვე ირწმუნებს, უეჭველად დაგიჯერებს. თავად არაა ფიქრს ნაჩვევი და იმიტომ. ის იმასაა მიჩვეული, მის მაგივრად სხვა რომ ფიქრობს. პატივმოყვარე ბრიყვს მეტი ხომ მართლაც არ უნდა, უთხარი, ბრძენი ხარო, და მაშინათვე ჩაფიქრდება, მაგრამ იმას კი არ იფიქრებს, მაბრიყვებენო,

არამედ იმაზე დაეჭვდება, ეგებ მართლაც ისეა, რასაც მეუბნებიანო. ეს სამღვდელოების ნაცადი ხერხია, რაც უფრო ხმირად შეახსენებ მრევლს თავს და რაც უფრო მეტ სიმტკიცეს გამოიჩენ მის მიმართ – ხოლო დროდადრო ცოტაოდენ ლმობიერებასაც თუ შეაპარებ ხოლმე, ხომ მთლად კარგი, მით უფრო მტკიცე და შეურყეველი მრევლი გეყოლება. ბრმად გენდობა ყველაფერში, იმ უბრალო მიზეზით, ისედაც ბრმა რომაა. სრულიად ქვეყნიერების პატრიარქზე უფრო სანდო კი ვინღა გინდა.

აფსო ღობის ძირში გაწოლილიყო და იქიდან მითვალთვალებდა. მამასახლისის ოდინდელი სიზმრისეული მგალობელი კი არა და არ ისვენებდა. მოუსვენრობით გათამამებული, ჯიუტად თავს დამტრიალებდა. თან ჩემი უმწეო მდგომარეობით სარგებლობდა და თანაბარი შუალედებით, უეცრად დაქანებული, მოტიტვლებულ კეფაზე ღონივრად მკრავდა ნისკარტს. ფრინველებთან რატომღაც ბედი არ მწყალობდა, პირველმა იმდენხანს მიტრიალა, ვიდრე ღვიძლი ბოლომდე არ ამომაციცქნა, მეორე იყო და, ისეთი გამეტებით მცემდა ნისკარტს კეფაზე, სადაც იყო, ზურგის ტვინამდე ჩააღწევდა. თუკი პირველი ჩემს ღვიძლზე ნადირობდა, მეორეს ჩემი ზურგის ტვინის ამოკენკვა, ამოკორტნა, ამოგლეჯვა განეზრახა. მე არ ვიყავი წინააღმდეგი. ნებისმიერ მსურველს შეეძლო, ჩემი სხეულის ნაწილები სურვილისა– და არჩევანისამებრ გაეყოლებინა ხელისთვის. მართლაც გააყოლეს, ოღონდ სხეულის დაუნანევრებლად, მთლიანად წამიღეს.

გადახალისებულ წმინდანთა ფიგურებისა და მუყაოს ხატების ცვენა რომ გათავდა, ორღობეში დიდი სიჩუმე ჩამოწვა. ვხვდებოდი, მოგონილი, ყალბი და შერყვნილი იქნებოდა ეს სიჩუმე, ვინაიდან მიწაზე გაშოტილი და მინაში პირჩამხობილი, თვალის კუთხით ვხედავდი, შეღებული სარკმლების უკან დას-

ადგურებული ბინდიდან ათობით ერთდროულად დანამქრული თვალი როგორი გაფაციცებით აკვირდებოდა დაფშხვნილ, გადაყრილ, გამოუსადეგარ წმინდანებით გადავსებულ ორღობეს. ჩემი განძრევა არაფრის დიდებით არ იქნებოდა. აი, თურმე რა მიზნით ჩამოეხსნათ და ერთმანეთზე გადაეკვანძათ ტაძრის კედლებიდან ხატები. საპატრიარქოს ჯერ კიდევ წინა დღით გამოეტანა ძველი წმინდანებისთვის განაჩენი, ხოლო განაჩენის აღსრულებაში მოსაყვანად ვითომც მამასახლისის სიკვდილი იყო აუცილებელი? ერთი კია, ამ აბეზარმა დამთხვევამ უსიამო გემო გამიჩინა პირში. გინდა არ გინდა, მამასახლისიც ერთგვარი წმინდანი გამოდიოდა. ხოლო მისი დამთავრების, გათავების, მოკვლის შემთხვევაში, ძალაუნებურად ისიც გადახალისებას ექვემდებარებოდა. საპატრიარქო გარკვეული — და ვაითუ გაურკვეველი — განსჯის შედეგად მივიდოდა ამ დასკვნამდე. რას გაიგებ, საპატრიარქოში მეტისმეტად უცნაური ხალხი მოღვაწეობს.

ორღობეში დაყრილ ფიგურებსა და ნაირფერ ხატებს მთელი დღის მანძილზე ეზიდებოდნენ სოფლის ბოლოში, და ტაძრის მოშორებით, იქ, სადაც ოდითგანვე ნაგავსაყრელი მდებარეობდა, იქვე ყრიდნენ. მუყაოსა და ქაღალდის დაკუჭულ ხატებს შემოდგომის ფოთლებივით კრეფდნენ, ხის ფიგურებს კი ბღუჯა-ბღუჯა, როგორც გასაწმენდი ყანიდან ამოძირკვულ სარეველებს, ხოლო თიხის დაფშხვნილ, დანაწევრებულ წმინდანებს ასო-ასო აგროვებდნენ და ეზოებიდან საგანგებოდ ამ ამბისთვის გამოგორებულ ურიკებსა და ურმებზე ყრიდნენ. მეტისმეტი გულმოდგინებით კრეფდნენ წმინდანებს, ვითომც იმას შიშობდნენ, რომელიმეს მომტყდარი თავი ან კიდური დაუდევრობის წყალობით სადმე ღობის ძირში არ შერჩენილიყო. გეგონებოდა, გადახალისებული წმინდანის თავის ან კიდურის ღობის ძირში შერჩენაზე უფრო დიდი საშინელება რაღა უნდა ყოფილიყო. მთელი ამ ხნის

მანძილზე მე ერთხელაც არ გავნძრეულვარ, არ შევტოკებულვარ, არსებობის ნიშაწყალიც კი არ გამიმჟღავნებია. ასე რომ, არც ის გამკვირვებია, როდესაც ხატების ამგროვებლები თავზე ნამადგნენ, ბევრი არც უფიქრიათ, საიღლიეში ხელები ამომიტარეს, ფეხებშიც ღონივრად ჩამაფრინდნენ, მერე ასე ატატებული ჰაერშივე დამარნიეს და საბოლოოდ დამტვრეულ და დაბეგვილ წმინდანებით დახუნძლულ ურემზე შემაგდეს. კაციშვილი ხმას არ იღებდა, რომ არა ყრუ დახეთქებების ხმა, ხის დაბეგვილი და ერთმანეთს მინახლელი ფიგურები რომ გამოსცემდნენ, ირგვლივ დამაბურანებელი, რულის მომგვრელი სიჩუმე იქნებოდა გამეფებული. გადახალისებულ წმინდანებში ჩაფლული ერთი ბენვა ნაპრალებიდან ძლივძლივობით ვარჩევდი რამეს. ნაპრალიდან ერთადერთ სიმწრის ოფლგადამსკდარ კაცს ვხედავდი, რომელიც დაუზარლად, მუხლჩაუხრელად შრომობდა, არნახული მოწადინებით წმენდდა დანაგვიანებულ ორღობეს, როგორც გულმოკლული დედა შვილის საფლავის ქვას ზედ აცოცებული ხავსისგან.

ბოლოს, როცა ურემი დაირწა და ჩემ გარშემო, იქამდე მშვიდად ახუხულავებული ფიგურები ადგილმდებარეობის შესაცვლელად შეინჯღრნენ, მე მივხვდი, ორღობეების გაწმენდა უკვე მომთავრებულიყო. არა მარტო ფიგურებს, დროდადრო მეც კი შემახტუნებდა ხოლმე. განსაკუთრებით მაშინ, მინიდან ამოშვერილ ქვაზე მკვეთრად თუკი გადაირბენდა ბორბალი. ურემი მართლაც ისეთი სიჩქარით მიექანებოდა, თითქოს რაღაც შეჯიბრებაში მონაწილეობდა. ეს ეჭვი კიდევ უფრო გამიძლიერდა, ნაპრალებიდან ურიკების ჩქაროსან მზიდავებს რომ მოვკარი თვალი. მზიდავები თან ჩქარობდნენ, თან იმას ცდილობდნენ, ურიკებზე დახვავებული ფიგურები არ გადმოცვენოდათ. გეგონებოდა, ვინც პირველი მიიტანდა დანიშნულების ადგილზე სავსე ურიკას, გამარჯვებულიც ის იქნებოდა.

გამარჯვებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ტვირთის თითოეულ მზიდავზე სიჩქარე რაკი თანაბრად ვრცელდებოდა, ამიტომაც იყო, დანიშნულების ადგილამდე მალევე რომ მივაღწიეთ. ყველაფერი თვალისდახამხამებაში მოხდა. ფიგურები და ქაღალდის ხატები — მათ შორის მეც — ერთ უზარმაზარ გორად დაგვყარეს. მაშინვე ნავთი გადაგვასხეს, ვითომც დაყოვნება არაფრით არ იქნებოდა, საღამომდე უნდა მომთავრებულიყო ყველაფერი, მერე ცეცხლი მოგვცეს და, ნავთმა რომ იბუთქა და ერთბაშად აბრიალებულმა ცეცხლმა შავი ბოლი რომ აუშვა, მე — თავით ფეხებამდე უკვე ცეცხლის ალში გახვეულმა — ცეცხლიდანვე დავინახე, სიმწრის ოფლგადამსკდარი მზიდავები თანდათან იშლებოდნენ, მარად თავშალწაკრულმა, სიკვდილგამწყრალმა და სირბილისგან გულშეღონებულმა დედაბერმა რომ მოირბინა და ისე ჯიქურ გამოიწია ცეცხლისკენ, თითქოს მარად ფორიაქშემდგარი იქლა ჰპოვებდა სამარადისო შვებას. ეგ იყო, კანტიკუნტად ჯერ კიდევ შერჩენილმა მზიდავებმა აღარ გამოუშვეს, წრეში მოიმწყვდიეს. დედაბერი არ ეპუებოდა, შეურაცხადი მოინევდა ცეცხლისკენ, მაგრამ კაცები არ ანებებდნენ. თავით ფეხებამდე ცეცხლის სარტყელში კი გახლდით გახვეული, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, დედაბერი მაინც მხედავდა, შიგ თვალებში მომჩერებოდა. კაცებით გარშემორტყმული იმათ მხარზემოდან მიბერავდა სულს, იმათ მხარზემოდან ცდილობდა ამონაბერ ჰაერს ცეცხლამდე მოეღწია. შეძლებისდაგვარად ცდილობდა ცეცხლის ჩაქრობას. ო, წმინდა გულუბრყვილობავ! მართალია, ცეცხლს უკვე ველარ ჩააქრობდა და, ისედაც აბრიალებულს, ვერც კიდევ უფრო მეტად გააღვივებდა, თონთლო, ბებრულ ლოყებს კი მაინც გაუჩერებლივ ბერავდა.

სულ ბოლოს, როცა ლოყების გაუთავებელი ბერვისგან არაქათი გამოელია, ალბათ ისიც ირწმუნა, კაცები

არ დაანებებდნენ ცეცხლის ჩაქრობას და ალბათ ისიც კი გაივლო შელონებულ გულში, ამასობაში ცოცხალი კი არა, მკვდარიც დაიწვებოდაო, კაცებს დამორჩილდა, და იმათ მხარქვეშ რომ ამოუტარეს ხელი და უკან ნაათრიეს, დედაბერი აღარ გაძალიანებია. მთელი ღამე ინვოდნენ წმინდანები. სოფლის თავზე ფერფლის სვეტი აღიმართა. უკუნ ღამეში მხოლოდ ცეცხლი და მისი უშუალო შემოგარენი იყო განათებული. წვის გარშემო არემიდამოს ლამაზად ეცემოდა ალისფერი. მთის ფრიალო კალთაც ასევე შეფერადებულიყო. კაციშვილი აღარ ჭაჭანებდა ცეცხლთან. თუმცა რაღა ცეცხლი, უკვე ღვეფად ქცეულზე სადმე ზერელედ თუღა გადაირბენდა ცეცხლის მონარჩენი. ნაკვერჩხლებზე დამთხვეული ფაკირივით არხეინად განოლილი, აუღელვებლად ვათვალიერებდი არემიდამოს. აფსოს თვალით ვეძებდი. დარწმუნებული გახლდით, ის არ მიმატოვებდა, სადღაც იქვე იქნებოდა მიმალული. და მართლაც, როგორც კი ეს გავიფიქრე, ცეცხლიდან მოშორებით გაჭიმული გაუკაფავი ჯაგნარიდან იმწუთას აფსო გამოსხლტა, თითქოს შორ მანძილზე გამოეცნო ჩემი ფიქრი, ნაკვერჩხლის კიდემდე ნაჩქარევად მოცუხცუხდა და, ადგილზევე აცქმუტებული, შემაჭირვებლად აწკავწკავდა, თავისებურად მაგულიანებდა, გამოძვერიო რაღა. სხვათაშორის წკავწკავმა შემაგულიანა, და ის იყო, ნაკვერჩხლიდან უკვე უნდა წამომვდგარიყავი, აფსომ უეცრად ენა მუცელში რომ ჩაიგდო, თავი გვერდზე გადააგდო, ცალი ყური ცნობისმოყვარედ აწურა და ისევ ჯაგნარისკენ მოკურცხლა.

შარაზე რამდენიმე კაცი გამოჩნდა, რომლებიც ხმის ამოუღებლად მოიწევდნენ ნაკვერჩხლისკენ, თან რაღაცას კიდევ მოაგორებდნენ, როგორც ერთმანეთში აფუტფუტებული გველები ბვითოს. ვიდრე არ მომიახლოვდნენ, ვიდრე ნაკვერჩხლის სუსტმა გამონაშუქმა უკუნ ბნელს არ გამოსტაცა და წითლად არ შეუფერადა

სახეები, იქამდე ვერ ვიცანი მსახურები. ხვითოს კი არა, ეტლში გაქვავებული მამასახლისის კაფანდარა სხეულს მოაგორებდნენ თურმე. არ ჩანდა, ამ უკანასკნელს, კიდევ თუ ეფინა კალთაზე იმ დილით მოხელთებული ვეშაპისსიფათიანი ფურცელი. სახლის სარკმლებიდან და ხის ტოტებიდან ნაჩქარევად ჩამოხსნილი უზარმაზარი დროშები და გახუნებული ჭინჭები დახვავებულიყო იმის კალთაზე. და მომიახლოვდნენ თუ არა, მსახურებმა მეტი შეყოვნების გარეშე ეტლი პირდაპირ ნაკვერჩხალში შემოაგორეს. თვითონ კი ნაკვერჩხლის შორიახლო მომთბარ მიწაზევე ერთმანეთის მიყოლებით მიეყარნენ, ფეხიდან ტალახში ამოგანგლული კალოშები წაიძრეს, თითქოს ასეც ჰქონდათ ჩაფიქრებული, და როგორც მთელი დღის ნაწონიალები და მზით გათანგული დავრიშები, გადაუდებლად მოემზადნენ დასაძინებლად. განა ადრევე არ ვიაზრე, მკვდარი მამასახლისიც ერთგვარი გადახალისებული წმინდანია-მეთქი? მაგრამ ის კი მართლა გამიკვირდა, ღამით რომ მოაგორეს, — ვითომ დღისით არ შეიძლებოდა მკვდარი მამასახლისის ორღობეში გამოგორება? შიშველ მიწაზე მიყრილი მსახურები ვერ ხედავდნენ, სამაგიეროდ მე ვხედავდი, ეტლის რეზინის ბორბალს შიშინით როგორ ააცოცდა ცეცხლის ალი, და მალე, ეტლის ხის სამკლავურებიდან გაქვავებული მამასახლისის კალთაში ჩახვავებულ დროშებსა და ჭინჭებსაც გადასწვდა. თვალნათლივ ვხედავდი, ერთბაშად აბრიალებულ ცეცხლში როგორ უშნოდ იკრუნჩხებოდა ბოლავარდნილი მამასახლისი. უეცარმა ცეცხლმა არემიდამო ხელახლა გამოსტაცა უკუნ ბნელს.

მოკრუნჩხულსა და გაშავებულ მამასახლისს დამწვარი ხორცის სუნი უკვე უნელდებოდა, გაუკაფავი ჯაგნარიდან ისევ უეცრად რომ გამოსხლტა აფსო. თან ნაკვერჩხლისკენ მოცუხცუხებდა, თან მოძილე მსახურებზე ეჭირა თვალყური. ამ ჯერზე აღარ აწკავწკა-

ვებულა, ეგ იყო, მოუსვენრად აცქმუტდა ადგილზე. აღარ გამინვალებია აფსო, ფერფლიდან წამოვდექი, ფეხუცმელსა და მძინარე მსახურებს თავზე ნავადექი, თითოეულ მათგანს სათითაოდ დავაკვირდი, მაგრამ განმასხვავებელი ნაკვთიც კი ვერ აღმოვაჩინე მათ სახეებზე, შვიდივე მსახურს ერთნაირი სახე ჰქონდა. მერე მათ ფერხთით ჩავიმუხლე და ფეხისგულები დავბანე. ფრთხილად, ფაქიზად ვბანდი. რაკი ნყლის ნასახი ახლომახლო არსად მოიძებნებოდა და არც რომელიმე მათგანის ხვანჯარზე შემინიშნავს ზედ გამობმული მათარა, მეც ავიღე და საკუთარი ხელისგულითა და საკუთარი ფურთხით დავბანე მათ თითებსშორის ჭუჭყჩამჯდარი ფეხები. მერე იმავე სიფაქიზითა და სიფრთხილით შვიდივე მათგანს დავუკოცნე ფეხის ზურგები, ნელში გავიმართე, კიდევ ერთხელ, ოღონდ ამ ჯერზე წინანდელთან შედარებით ცოტა უფრო მეტხანს დავაკვირდი და, ვინაიდან ჩემი იქ გაჩერება უკვე აღარ შეიძლებოდა, რადგან მე ტრამვა უკვე მიღებული მქონდა, სიცოცხლესთან შეუთავსებელი ტრამვა, სხეულის უნივერსალური დამწვრობა, ცოცხლებისგან ჩემი მთავარზე უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანი, მეტი აღარ შევყოვნებულვარ, მთის ფრიალო კალთისკენ დავიძარით მე და აფსო.

გვერდა კალთაზე მარტო ორი ფეხის იმედად ვერ ავიდოდი და, რაკი ცოცვა გაცილებით უკეთ მეხერხებოდა, მეც ჩვეულებისამებრ დაოთხებული ავუყევი აღმართს. მომჩვარულსა და გაშავებულ მუცელში თავისი პატარა კლანჭებით აფსო ჩამაფრინდა და პირაღმა ისევე დაეკიდა, როგორც კატა-ყულაბა დამეკიდებოდა ოდესმე რედაქციის უშველებელ დერეფანში ფორთხვისას. მუცელზე პირაღმა დაკიდული აფსოც იმავე სამომავლო კატის მსგავსად მილოკავდა თავმომხმარ ნაჭრილობევს, გომურის გადარეულმა მგალობელმა რომ გამიჩინა. ფრჩხილები სულ ერთიანად დამ-

ემტვრა, თითებიც გადამეყვლიფა, მაგრამ არაფერს ვეპუებოდი, ჯიუტად მივიწევდი მაღლა, ცისფერი მთის ნისლმობმული ქიმისკენ, დედამინის კინკრიხოსკენ. თითქმის მთის შუამდე ვიქნებოდი ასული, კეფაში საშინელი ტკივილი რომ ვიგრძენი. ისევ ის ჩიტი იყო, დილით რომ არ მასვენებდა, მამასახლისის საფეთქლის ნახვრეტიდან სისხლის ნაკუწებთან ერთად რომ გამოფრინდა და იმის მერე არ იყო მისგან მოსვენება. ახლაც გადარეულივით მიკაკუნებდა კეფაზე. დარნმუნებული გახლდით, იქამდე არ გამანებებდა ფრინველი თავს, ვიდრე ზურგის ტვინს ბოლომდე არ ამომიკენკავდა, ამომაკორტნიდა, ამომგლეჯდა. ასე რომ, მასთან ჭიდილს აზრი არ ჰქონდა, დროს დამაკარგვინებდა უაზროდ. არც მე ვაქცევდი ყურადღებას იმ გადარეულს, ფრჩხილებით, თითებით, კბილებით ვეჭიდებოდი ფიქალებსაც და იმავე ფიქალებს შორის შეჭირხლულ ხავსსაც, ერთი გაუთვალისწინებელი მოძრაობა და რის ვაივაგლახით დაპყრობილი აღმართიდან უკანვე ჩაცოცება მომიწევდა.

მთელი ღამე გაუჩერებლივ მივცოცავდი, მთელი ღამე იფერფლებოდა ნაკვერჩხალი, თუმცა შეიძლება უკვე ჩაფერფლილიყო კიდეც, არ ვიცი, მას შემდეგ, რაც ჰაერში უძრავად დაკიდულსა და ბამბის ფთილასავით გაუმჭვირვალე ღრუბლის ქულებს ავცდი, მთის ძირი კი არა, საერთოდ აღარაფერი ჩანდა ქვემოთ. მთის ქიმი კი, პირიქით, ისე გარკვევით მოჩანდა, როგორც საკუთარი ხელისგული. ბოლოს და ბოლოს, როდესაც ავაღწიე და როდესაც ლამის მთის ქიმზე ჩამოფხატულ მთვარეს შუბლზე ვაკოცე, დაღლა მერეღა ვიგრძენი. ქვემოთ აღარ ჩამიხედავს, ისედაც ვიცოდი, რაკი ჯერ კიდევ ბნელოდა, რაკი გაუმჭვირვალე ღრუბლის ქულები გვიანი მთვარის სუსტ ნათებას არ გაატარებდნენ, ვერც ფუძიამას და ვერც მის ძირში შეკრებილ გიჟებს დავინახავდი. ვითომც ყველაფერი ისე კი იყო, როგორც უნდა

ყოფილიყო. ეგაა, ოცნების ყვავილი არსად ჩანდა. მისი მხოლოდ ღერო ამოზრდილიყო მიწიდან, გვერდზე გადახრილიყო და, ისევ მიწაში ჩაბრუნებულს, სადღაც სხვაგან ამოეყო გვირგვინი. მაშინვე გამკრა, წარსულში ფესვგადგმულ მცენარეს, მომავალში ექნება ნელი ამოყრილი-ძეთქი.

ქიმზევე გავწექი პირაღმა, აფსო დამეხსნა და ჩემს გვერდით დაიგორგლა. მერე პერანგი ერთბაშად გადავიღეღე, ისე, რომ აწყვეტილი ღილები ჰაერში გაიფანტნენ. ჩემ ცხოვრებაში პირველად ვაკვირდებოდი საკუთარ მკერდს. გულმკერდზე სისხლძარღვები მქონია დაბერილი, ალაგ ულამაზოდ ამობურცული, შორიდან გეგონებოდა, ლებნებშეცოტავებული ყურძნის მტევანი აეკრო ქარს. მართალია, სისხლი კარგა ხნის წინ გამყინვოდა, მაგრამ სისხლძარღვები მაინც გარკვევით მეკითხებოდა, დაახლოებით ისე, როგორც საგვარეულო ხის ფესვები. გადარეულ ჩიტსაც ეტყობოდა დაღლა, აფსოსგან მოშორებით რაღაც ქვაზე ჩამომჯდარიყო ძალების აღსადგენად, თან საოცრად მრგვალი თვალებით მე მიყურებდა ჯიქურ, თან თითქოს ჰაერი არ ჰყოფნიდა, უფრო სწორად—უჰაერობა, და გადახსნილი ნისკარტიდან გამოჩრილ ხინვივით წვეტიანსა და უცნობი ფერის ენას მიჩვენებდა. ვიდრე ჩიტი ძალებს აღიდგენდა, მე იქამდე საჩვენებელი თითით ჩავიხვრიტე თავმომხმარი ნაჭრილობევი. ჩახვრეტისას ყრუ ხმა მომწვდა ყურამდე, თითქოს ნაჭრილობევი კი არა, თავმოყინული ტბორი ჩამეტეხა ფეხის ქუსლით.

დედამიწის კინკრიხოზე პირაღმა ვიყავი გაშოტილი, ცხვირი მთვარეზე მქონდა მიჭყლეტილი, არაფერი მენაღვლებოდა. მერე, ხელისგულები რომ მომექავა და, თავი არც წამომიწევია, თვალის კუთხით ისე გავხედე, დავინახე, ჭიანჭველა ამცოცებოდა. მაგრამ როგორც მეორე წუთში გაირკვა, მწერი მარტო არ მოსულიყო, ვხედავდი, როგორ მიახლოვდებოდა ჭიანჭველების

ლაშქარი. ხელისგულებიდან, ლაჯებიდან, საიღლიედან, კისრიდან, ყველა მხრიდან ამოცოცებულნი ნაჭრილობევში გაჩენილ ნახვრეტში ჩაედინებოდნენ შესაშური, საოცარი სიდინჯით, როგორც საკუთარ საბუდარში, და მკვდარ გულზე, გამხმარ ნაწლავებსა და გაქვავებულ თირკმლებზე რომ დამაცოცავდნენ, ამას გარკვევით ვგრძნობდი. ეგ იყო, მუცელში ჩარჩენას მწერები არ აპირებდნენ. ჩემი საკუთარი შიგნეულიდან ჩამოცილნილი თითოეული მათგანის საწილო ყველა მათგანმა პირს გააყოლა. მუცელში აფუტფუტებული მწერები გეგმაზომიერად მაქუცმაცებდნენ. მერე ნესტოებიდან, ყურის ნიჟარებიდან და უკანალიდან გარეთ გამდიოდნენ და, საკუთარი საწილოთი პირდამშვენებულნი, თავთავიანთ მისამართებზე იშლებოდნენ. თვალნათლივ ვხედავდი, როგორ ვნაწილდებოდი, ვქუცმაცდებოდი, ვიფანტებოდი მთელს სამყაროში. ჭიანჭველებს ხოჭოები მოყვნენ, ხოჭოებს — სისხლისმსმელი კოღოები. ეს უკანასკნელნი, როგორც მოგვიანებით გაირკვა, არც მკვდარ და გაქვავებულ სისხლზე ამბობდნენ უარს. თითოეულმა მათგანმა თავ-თავისი წილი თან წაიღო. მწერების წყალობით მალე მთელ ქვეყანაში განვიფინე უთვალავ ნამცეცად. ბოლოს გამოცარიელებული კანიღა დარჩა ჩემგან. მე დავმთავრდი, ჯიმის მე, მისი ერთადერთი მეგობარი გავთავდი.

გამოშიგნული და ათრთოლებული კანი, ის იყო, ნიავს უნდა გადაეგდო ქიმიდან, როდესაც ქიმზე ჯიმი ამოცოცდა, კანს ხელისგული გადააფარა და ნიავს არ დაანება. ცოტა ხნით კანსა და დაგორგლილ აფსოს შორის ჩანვა, მერე, ცოტა სული რომ მოითქვა, მუხლზე დადგა, კეფა მთვარეს ააბჯინა, — რათა ძალებაღდგენილ ფრინველს მისი საქმიანობისას არ ესარგებლა და ზურგის ტვინზე არ წატანებოდა — და საჩვენებელი თითის სიმსხო ნახვრეტი ხელებით გააგანიერა, ისე, რომ ნახვრეტში თავისუფლად შეტეულიყო. მერე გა-

განიერებულ ნახვრეტში თავი ჩაჰყო და დინჯად, ზლაზ-ვით, როგორც ბებერი ხვლიკი საკუთარ სოროში, ისე შეძვრა კანში. დამწვარი, გაშავებული კანი ზუსტად მოერგო და საკუთარ სხეულზე ჯიმის ისევე აეკრო, აე-ტმასნა, აეწება, როგორც მყვინთავს საცურაო კოსტიუმი. ოდესღაც დამთხვეული აცტეკებიც ზუს-ტად ასევე იკრავდნენ ცოცხლად გატყავებულის კანს სხეულზე, რათა მერე, ოცი დღის შემდეგ, უკვე დაკ-უჭულსა და აყროლებულს რომ მოიცილებდნენ, საკუთ-არი კანი უფრო ნორჩი და მიმზიდველი ჰქონოდათ.

ქიმზე მთის ერთი მხრიდან ამოცოცებული ჯიმი, თავქვე მთის მეორე მხარეს დაუყვა. აფსო მუცელში ჩაფრენოდა, როგორც ყოველთვის. ჩიტიც ძველებურად უკაკუნებდა ნისკარტს კეფაზე. მაგრამ ჯიმის აღა-რაფერი ენაღვლებოდა ქვეყნის ზურგზე. მთელ მის საფიქრალს მხოლოდ და მხოლოდ ის წარმოადგენდა, რომ დროულად უნდა მიეღწია გზასაყარამდე და თუკი ბედიც გაუღიმებდა, სადმე მოფარებულში შეძვრებო-და, როგორც ჯღიბა ძაღლის ყურში, რათა ის ერთადე-რთი მართებული და შეუმცდარი სიტყვა მოეხელთები-ნა და ფუძიამასკენ დაძრული მექარავნესთვის ბოლოს და ბოლოს ცხვირზე აეკრა. იქამდე უნდა მიეღწია გზა-საყარამდე, ვიდრე გათენდებოდა. ხოლო ბოლომდე რომ სიმართლე ითქვას, აღარც გათენებას აკლდა ბევრი, სადაც იყო, გაიცრიცებოდა ღამის გადალურჯებული ზეცა და, ჯიმი თუკი არ იჩქარებდა, ყველაფერი წყალში ჩაეყრებოდა. ჯიმიც ჩქარობდა, დაღმართი, სადაც ბრტყელი იყო, იქ მუცლით სრიალდებოდა.

ის იყო, უკვე უნდა ჩაეღწია, ჯიმის ნაკადულის რაკ-რაკის ხმა რომ მოესმა. რაც უფრო ქვემოთ ეშვებოდა, ნაკადულის ხმიანობაც მით უფრო ძლიერდებოდა. და აი, დაღმართმაც უკვე რომ გაივაკა და ჯიმიც ლამის რომ მიუახლოვდა კიდეც ნაკადულს, თავად ნაკადული ვერ დაინახა, ჯიმის ცხვირწინ მტაცებელი ლიანა

ფუტფუტებდა, იგრიხებოდა, იკლაკნებოდა, როგორც წინა ღამით ერთმანეთში ჩაგრაგნილი უამრავი ხვლიკი ერთდროულად იკლაკნებოდა ტაძრის კედელზე. მაგრამ ჯიმის ვერაფერი შეაჩერებდა, ვერც ლიანა. თავისუფლად, ყოველგვარი განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე გაიარა მცენარის წებოვანსა და მსუსხავ ფოთლებში, მცენარის მიღმა არაკრაკებულ ნაკადულსაც გადაალაჯა და, ფეხში რაღაც უცნაური სიმსუბუქე რომ შეიგრძნო, მუცელზე დაიხედა, და ვინაიდან აფსო ვეღარ დაინახა, მიხვდა, ძაღლი მცენარეს დაეტოვებინა. ადგილიდან ფეხიც არ მოუცვლია, მხოლოდ თავი მიაბრუნა უკან და მცენარის ხვიარა საცეცებიდან აფსოს გამოჩრილ თათებს ჰკიდა თვალი. მცენარე ნელა, დაგემოვნების გასახანგრძლივებლად მეტისმეტად ნელა ყლაპავდა ძაღლს. მასეც უნდა ყოფილიყო, მტაცებელს — მნიშვნელობა არა აქვს, ცხოველი იქნება ის თუ მცენარე, — ცოცხალი არსება ესაჭიროება გამოსაკვებად და არა უსულო რამ საგანი. იოლად ამიტომაც გააატარა მცენარემ ჯიმი, მკვდარი ვის რაში სჭირდებოდა, ხოლო აფსო მცენარესთვის მეტისმეტად ცოცხალი იყო. ასე რომ, აფსოს ლიანა ვერ დათმობდა. მასეა, ლიანას რიყის ქვა რომ ჩაუგდო, კი არ გადაყლაპავს, უკანვე ამოგიფურთხებს, არც ისეთი სულელია, უსულო რამ საგანი ცოცხალი ორგანიზმისგან ვერ გამოარჩიოს. ცოტა ხანში აფსოს თათები უკვალოდ გაუჩინარდნენ და ძაღლის ადგილას მცენარის ხვიარა ღეროებს მიღმა კუპრივით შავი სიცარიელე გამეფდა. წყვდიადიდან მოსული ძაღლი წყვდიადშივე გაუჩინარდა. მთელი ამ ხნის მანძილზე აფსოს კრინტიც არ დასცდენია. როგორც კი ლიანამ ის თავის კლანჭებში მოიგდო, თავისი ბუწუწებიანი საცეცი, ალბათ, მაშინვე ჩაუყო ასაწკავწკავებლად გახსნილ ხახაში ძაღლს და მთელი შიგნეული ჩაუფხრინა. აფსოს აღარაფერი ეშველებოდა, ის ისევე დარჩა წარსულში, როგორც მთის გადაღმა ფერფლში

მოკრუნჩხული მამასახლისი, ჩანამქრულ ნაკვერჩხალთან მიწაზევე მიყრილი მსახურებიც და ტაძრის კედელზე აცოცებული ხვლიკებიც.

უკუნ ბნელში ჯიმი ბრმად, ალალბედზე მირბოდა. დროდადრო ჩიტი უკაკუნებდა ნისკარტს კეფაზე და ჯიმისაც რატომღაც ეხალისებოდა, ჩიტი დროგამოშვებით თავს რომ ახსენებდა. ლიანაზე გადმოფრენა ჩიტისთვის იოლზე იოლი რამ იქნებოდა. ირგლივ, მართალია, ვერაფერს ხედავდა, მაგრამ ტანი უგრძნობდა, სწორ გზას რომ ადგა, გუმანი კარნახობდა, სადაც იყო, დანიშნულების ადგილამდე უნდა მიეღწია.

გადალურჯებულ ცას ოდნავი სიმკრთალე შეეპარა და ჯიმიც მოეშვა, ნაბიჯი შეანელა, სიარულზე გადავიდა. საჩქარო აღარაფერი ჰქონდა, დანიშნულების ადგილზე უკვე მისულიყო. ზედ მიწისა და ასფალტის გზასაყარზე მრავალსართულიანი, ცისფრად შეღებილი საცხოვრებელი კორპუსი გამოჩნდა. უზარმაზარი შენობა ორივე მხარეს თანაბრად ეკუთვნოდა, ის ისევე იყო მიწიანი წარსულის საკუთრება, როგორც ასფალტიანი მომავლის, მაგრამ ამასთანავე, ბოლომდე არცერთის არ იყო. ასფალტისა და მიწის შესართავზე მკვიდრად ნაშენები შენობა თვალშისაცემად მყარად, ფუძემოუშლელად, ბალავარშეურყევლად მყარად იდგა ისევე, როგორც ისტორია, უფრო ზუსტად, როგორც ისტორიის ბრწყინვალე ნიშანსვეტი. მიწა სადაც თავდებოდა, ასფალტი იქვე კი იწყებოდა, მაგრამ ჯიმის არ გადაუკვეთავს ეს აბეზარი ზღვარი, მიჯნა, გზასაყარი. ის ისევე აღარ ეკუთვნოდა წარსულს, როგორც მომავალს, და ჯიმიც ამ ზღვარს გაუყვა.

მალევე მიაღწია კორპუსის კართან. ერთი პირობა იქვე შეყოვნდა, წარსულსაც და მომავალსაც ერთდროულად გამოხედა მხარს ზემოდან და, ვინაიდან მკვდარი გულის სიღრმიდან დროულად ამოაგონდა, რომ ერთგანაც და მეორეგანაც ყველაფერი უკვე მომთავრებული

ჰქონდა, და რადგან აღარც ისტორიაში შესვლის მეტი დარჩენოდა ამ ქვეყნად რამე, ჯიმიმაც კარი გამოაღო, შენობაში შევიდა.

სადარბაზოს კედლები იეროგლიფებით გადაეჭრელებინათ. ჯიმის მთელი შეგნებული თუ შეუგნებელი ცხოვრება კედლებზე იყო აღწერილი. მისი პირადი ცხოვრება საზოგადოების სასტიკ სამსჯავროზე წარედგინა ვიღაც ვიგინდარას. სადარბაზოს მთელი შესასვლელი ჯიმის ცხოვრების დეტალური მიმოხილვით იყო აჭრელებული, როგორც სახელოვანი ქურუმის სარკოფაგის გარეპირი. გამოდის, ამ კორპუსშიც იცნობდნენ მას. მაგრამ ჯიმი არხეინად იყო, გულს კი ის უკეთებდა, სხეულზე უცხო კანი რომ ეკრა. ვერავინ იცნობდა მას, ვინმე თვალებში თუ არ ჩააჩერდებოდა. მარტო თვალები თუღა გასცემდნენ ყოველმხრივ შენიღბულ ჯიმის, ერთიანად ამოშანთული და ამომწვარი თვალები. ჯიბეები ალალბედზე მოიჩხრიკა და პერანგის გულისჯიბეში მამასახლისის მიერ დამსხვრეული ბოთლის ნატეხები აღმოაჩინა. ერთგვარ პენსნედ მნვანე ფერის ნატეხებიც გამოდგებოდნენ. ცხვირზე დასამაგრებელი ზამბარა ნატეხებს შორის არ იქნებოდა გაბმული, მაგრამ თუკი არ შეიმჩნევდა, მარტო ნატეხებითაც იოლას გავიდოდა.

მწვანე ფერის ნატეხები ქუთუთოებსქვეშ რომ ამოილაგა, კიბეს მერეღა აუყვა. თავიდან ნელი, დინჯი ნაბიჯით ადიოდა, თითქოს არაფერი ჰქონდა საჩქარო, მაგრამ უკვე მეორე წუთში გიჟივით არბოდა. ერთდროულად რამდენიმე საფეხურის გამოტოვებით მიექანებოდა. მაღლა, სულ მაღლა არბოდა, საცხოვრებელი ბინების მაღლა, სხვენში, იქ, სადმე კარი დახვდებოდა, — უნდა დახვედროდა, — იმ კარში გაძვრებოდა, — უნდა გამძვრალიყო, — კარს მიღმა პატარა, მეტისმეტად დაბალჭერიანი ოთახი დახვდებოდა, — უნდა დახვედროდა, — დაბალი ჭერი ესაჭიროებოდა აუცილებლად, ის-

ეთი, რომ ქასქანჯიელსაც კი რქები ნაეტეხა, ოთახი ფურცლითა და ფანქრით იქნებოდა გამოვსებული, – უნდა ყოფილიყო, – და იმ ერთგვარ სათავსოში მოყუჩებული, მშვიდად, აუღელვებლად შეუდგებოდა იმ ერთადერთი შეუმცდარისა და მართებული სიტყვის მოძიებას.

მთელი სადარბაზო მართლაც ისე აირბინა, კაციშვილი არ შეხვედრია. მეტისმეტად ადრიანი დილა იდგა, ყველაზე უფრო მონდომებული მარათონელისთვისაც კი. ვიდრე აირბენდა, ჯერ კიდევ იქამდე შეესისხლხორცა ქუთუთოებსქვეშ ამოლაგებული ბოთლის ნამსხვრევები, თითქოს მთელი თავისი ცხოვრება თვალები სულმუდამ ჭაობისფერი, მინასავით მკვრივი და საოცრად ბრტყელი ჰქონდა. სხვენში შესასვლელიც უკაცრიელი იყო. მხოლოდ მტრედები გუგუნებდნენ სადღაც ახლომახლო. და ის იყო, საღებავატკეჩილ კედელზე სასურველი კარიც დალანდა და იმისკენ გასწია, უეცრად, თავად რომ არ მოელოდა, ისე, წელში ოდნავ მოხრილმა ვიღაც დამთხვეულმა გზა გადაუღობა. გამოდის, შენიღბვის მიუხედავადაც კი, იმას უშეცდომოდ ეცნო ჯიმი და, სათანადოდ ჩამუხლულს, ოფლიანი ხელისგულები უზარმაზარ ბარძაყებზე დაებჯინა. განმჭვრეტელ თვალებთან ერთად შეუმოსავი სხეულიც ერთიანად ულაპლაპებდა. მძიმედ, ოღონდ თანაბრად სუნთქავდა, ნესტოები გახელებული კამეჩის დრუნჩივით ჰქონდა დაბერილი. ჯიმის თვალით ზომავდა, თავისებურად სწავლობდა მას, და თვალის ერთი შევლებითაც ნათელი იყო, ზედმეტი მოძრაობის გამკეთებელი ის არ იქნებოდა, ყოველი მიხვრა-მოხვრა წინდაწინ ექნებოდა გათვლილი, და ისიც იქამდე, ვიდრე ერთს შემაჭირვებლად არ ამოიგმენდა და ერთბაშად არ მოწყდებოდა ადგილს. ხოლო ფეხისგულებს მტვერში რომ აბაგუნებდა, რის გამოც მთელ კორპუსს აზანზარებდა, თანაც სულ ახლახან ნამშობიარები ქალივით, დასაჩუტად განწირულ, ოღონდ ჯერ

კიდევ ულამაზოდ შესიებულ მუცელს გაუთავებლად რომ ათრთოლებდა, ესეც კი მხოლოდ და მხოლოდ ნაწილი იქნებოდა იმ სანახაობისა, რითაც ის უკანასკნელად ანებივრებდა ჯიმის. ეგ იყო, როცა ამოიგმინა და უსაშველო ნაბიჯით ჯიმისკენ გაქანდა, არც ეს უკანასკნელი დალოდებია მას გულხელდაკრეფილი. ჯიმიც ერთბაშად დაიძრა დასახვედრად. თამამად შეიძლება ითქვას, ორივე მხარე ერთდროულად მოწყდა ადგილს, თითქოს ჯიმი სხვა არაფრისკენ მირბოდა, თუ არა სარკეში არეკლილი საკუთარი ტყუპისცალისკენ. გეგონებოდა, ოფლიანი ხელისგულებით სადაცაა ერთმანეთს მკერდზე შეასკდებიან და წარმოსახულ ნრეშიც შეჭირვებულ ძიძგილაობას დაინყებენო, როგორც მძიმეწონიანი მოჭიდავეები. თუმცა ჯიმიმ სულ ბოლო წამს იეშმაკა, მონინააღმდეგეს მოულოდნელად უყო თავბრუდამხვევი ილეთი. სრულყოფილი ნაბიჯიც აღარ დარჩენილიყო შესკდომამდე, ჯიმიმ უეცრად რომ ჩაიმუხლა, სისწრაფეაკრეფილი — თითბრის მუხლისთავების წყალობით — იმას თვალისდახამხამებაში გაუსრიალდა ფეხებს შორის და, გაუძვრა თუ არა, აღარც მოტრიალებულა, ერთ ნახტომში ისე ისკუპა სასურველ კარში, როგორც ისტორიაში. ჯიმის გარდა იქ უკვე ველარავინ და ველარაფერი შეეტეოდა.

ისტორიაში მოხვედრა ჯიმის გაცილებით იოლად შეეძლო, ვიდრე საპირფარეშოში. გატრუნულიც ამიტომ იჯდა გასაიდუმლოებულ ოთახში. იმდენად გასაიდუმლოებულში, რომ დაზუსტებით აღარც კი აგონდებოდა არც ოთახის ზედმიწევნითი ადგილმდებარეობა და არც ის, თუ რანაირი მანქანებით აღმოჩნდა იქ. ოთახიო, გულისხმობდა ჯიმი, თორემ დარწმუნებული არ გახლდათ, დანამდვილებით ოთახი იყო თუ ერთგვარი მოწნული სათავსო, რომელიც გათვალისწინებულია ახალმოგებული ბატკნის მოსათავსებლად და ისიც დედა ცხვრიანად, და ვინაიდან ჯიმის სიახლოვეს არც

ბატკანი მოიძებნებოდა და არც დედა ცხვარი, ჯიმის ყველა საფუძველი ჰქონდა ევარაუდა, რომ მისი იმუამინდელი ადგილსამყოფელი ოთახი იყო და არა კორაკანა.

ოთახში ისე ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდა კაცი. ასე უჯობდა ჯიმის. ოთახის გაჩირაღდნების შემთხვევაში, გასაიდუმლოება დავიწყებას მიეცემოდა. გაჩირაღდნება კი არა, იმას ცდილობდა, რაც შეიძლება ჩუმად ესუნთქა. კედლები ისეთი ფარღალალა იყო, რომ ღამით ჯიმის გარკვევით ჩაესმოდა, გალებად ასხმულ ნიორს როგორ აცოცდებოდა ძილგამკრთალი ბუზი.

ჯიმიმ ზეპირად იცოდა, ოთახში რა სად ეწყო და იატაკის რომელი მონაკვეთი ჭრიალებდა, და ეს ცოდნა ერთიათად უადვილებდა უხმაუროდ გადაადგილებას. თავიდან საგრძნობლად გაუჭირდა უკუნ სიბნელესთან შეგუება და რაიმეს მისაგნებად ნივთებს ისე ფაქიზად ეხებოდა თითებით, როგორც უსინათლო ბერი ბრაილით ნაბეჭდ ლოცვების კრებულს, მაგრამ თანდათან შეეჩვია სიბნელეს და იატაკის ჭირვეულ ადგილებსაც უკვე შორით უვლიდა. იატაკის ჭრიალს ვინ დაეძებდა, ფანქრის წრიპინიც კი ათ— და ასმაგად ჩაესმოდა ხოლმე. დღის განმავლობაში წერდა, დღისით მუშაობა საშიშროებას არ წარმოადგენდა. მთელი დღე შეეძლო თავაუღებლად ემუშავა და ღამეც რომ მის განკარგულებაში ყოფილიყო, არც მაშინ გაჩერდებოდა. დაღამებამდე ისედაც ყოვლისმომცველი ხმაური აღწევდა კედლებიდან. ასეთ დროს, ფანქრის წრიპინს კი არა, საშველადაც რომ ეხმო, იმასაც ვერ გააგონებდა კედლის იქით. ღამით მუშაობა თავიდანვე გამორიცხა. ისეთ დროს, როცა სამეზობლო იმას ცდილობს, ძილს მიეცეს, მე რომ ოდნავ მოუზომლად გავფაჩუნდე, სამეზობლო ძილის ნაცვლად არცთუ უსაფუძვლო ეჭვიანობას მიეცემაო, — დაასკვნა ჯიმიმ. ეს კი მოგეხსენებათ, მის გეგმებში არ შედიოდა. მსგავსი საშიშროება

არც ემუქრებოდა, ხმაურიანსა და, მითუმეტეს, ზედმეტ მოძრაობებს რახანია გადაჩვეოდა. გაზარმაცებულიყო კიდეც, მუცელზე თუნდაც ხვლიკი გადაცოცებოდა, ტანში უსიამოდ გაბურძგვლასაც კი დაიზარებდა.

ოთახით მანამდე ვის ესარგებლა, ჯიმის წარმოდგენა არ ჰქონდა. თავდაპირველად ფურცელი და ფანქარი იმდენი დაუხვდა, მის ადგილზე ვინმე სხვა სიცოცხლის ბოლომდე იმყოფინებდა, ჯიმი კი მაშინ იმდენს წერდა, რომ ალღო თუ არ ატყუებდა, ცარიელი ფურცელი ნესით და რიგით აღარ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ არაფერში ენაღვლებოდა, თუკი ფურცელი უკვე გამოუსადეგარი იყო, ოთახის სიბნელეში მაინც ვერაფერს გაარჩევდა კაცი. მითუმეტეს, ჯიმი ერთადერთ სიტყვას ეძებდა, ერთს, რომელიც მისი ღრმა რწმენით სულ ბოლოს გამოადგებოდა. ხოლო წერა, თუნდაც სიბნელეში, მნიშვნელოვნად უადვილებდა ამ საქმეს, და მართალია, დაწერილს თვალით ვერ ხედავდა, სამაგიეროდ, ტანით შეიგრძნობდა, და ეს, პირადად მისთვის, გაცილებით ძვირფასი იყო, ვიდრე თვალით დანახული. თანაც იმდენი ხანი მოუნია ოთახში ყურყუტმა, რომ დროის შეგრძნება საბოლოოდ დაკარგა. ვეღარც იმას ირწმუნებდა, თუკი ის ანბანი, ოთახში ჯიმის მოხვედრამდე კაცობრიობა რომ სარგებლობდა, შეიძლებოდა არ მოძველებულიყო და არ დაკარგულიყო. მაგრამ ყველაფერი ოდესმე თავდება. როგორც კი მიაგნო იმ ერთადერთ საძიებელ სიტყვას, ოთახმა მაშინათვე დაკარგა ყოველგვარი ფასეულობა, ის ჯიმისთვის უკვე გამოუსადეგარი გახლდათ, როგორც ვადაგასული ნატვრისთვალი.

ოთახის კარი გაჭრიალების გარეშე გააღო და სადარბაზოს მქრქალმა ნათელმა თვალი მოსჭრა. შუადღე ახლოვდებოდა. სადარბაზო კი ისე ჩაჩუმებულიყო, თითქოს სამეზობლოს ღრმა ძილით ეძინა. ჯიმიც ამან შეაგულიანა და ოთახიდან უჩუმრად გაძვრა. კარი ღია დატოვა, ვინძლო შემოეხეტოს ჩემნაირი სიტყვის მა-

ძიებელი, რომელიღაც ასოკირკიტა და განბილებულს უკან გაბრუნება არ მოუნიოს, ამ ოთახზე უკეთეს ყუდეს მაინც ვერსად მოძებნისო, ფიქრობდა ჯიმი. სადარბაზოს სიჩუმემ ჯიმი კიდევ უფრო სიღრმისკენ შეიტყუა და შეაცდინა. ერთი შეხედვით ცარიელ ბაქნებზე სარკმლებიდან შემოხეტებული ქარი უმისამართოდ ქროდა, ფილაქნებზე დაპნეულ მტვრის ბულულებს ნრიულად აბზრიალებდა და, ვიდრე უკან გაბრუნდებოდა, ცოცხალ პოეტს, რომელიც ბაქანზე ბოლთას სცემდა, შიგ თვალებში აყრიდა. ჯიმი უარზე არ ყოფილა გამწარებისგან წაეცეკვა, არ მოელოდა, თუკი პოეტს, მითუმეტეს ცოცხალს, გადაეყრებოდა, მაგრამ ოთახში ველარ შებრუნდებოდა, დანყებული საქმისთვის დროულად უნდა გაერთვა თავი. მომავალი დროზე ადრე იწყებდა სუნთქვას, თანაც აუცილებელი სიტყვა ჯიმის უკვე ხელთ ეპყრა და, შესაბამისად, უკან შებრუნებას ვერანაირი ძალა ველარ აიძულებდა.

ვიდრე ცოცხალ პოეტს გვერდს აუვლიდა, ერთი პირობა შეყოვნდა და ადგილზევე შექანავდა. ჯიმის ეგონა, გონს კარგავდა და ნაქცევის მოლოდინში თვალებზე ხელი აიფარა. ცხადლივ წარმოიდგინა, მტვერში როგორ ნაიჩოქა, დუჟმომდგარ ტუჩ-ნიკაპზე მტვერი როგორ აეკრო, თმაში როგორ შეუძვრა გამხმარი ფოთოლი და, დროულად რომ არ გამორკვეულიყო, ცოცხალი პოეტის სასეიროდ კიბის თავში განმარტოებით მდგარი და თვალებზე ხელაფარებული სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

მერე პოეტი ალბათ ქვეყანას ამცნობდა, ჯიმი მაშინ გაურკვევლობაში ჩავარდაო, მაგრამ ვიდრე ამცნობდა, ჯიმი იქამდე გაეცლებოდა იქაურობას. ჯიმიმ პოეტს ზერელედ შეავლო შუშის თვალი. ის ბაქანზე თავაწყვეტილ ბოლთას სცემდა, თან უღიმღამოდ ღიღინებდა და, არ გცოდნოდა, პოეტი რომ იყო, შორიდან გეგონებოდა, გაგანია ზაფხულში სანაგვეს

მიმდგარი დამშეული თელია და ნებიერი ბუხუნისას კბილებსაც ის აღრჭიალებსო. თავქარიანი ქარი არც პოეტს ერიდებოდა, უბურაო თავზე ხანგამოშვებით სასხვათაშორისოდ გადაურბენდა ხოლმე, თმებს აუფრიალებდა და უკვე დაშოშმინებული მტვრის ბულულებისკენ ისეთი მიზანსწრაფული მიექანებოდა, თითქოს ძაღლის თავი სწორედ იქ ეგულებოდა დამარხული.

ჯიმი უხმაუროდ დგამდა ფეხს და, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, პოეტი მას ვერ ამჩნევდა. ჯიმისაც ეს უნდოდა, ხელისგულს შეუბუმბლავი ბარტყივით მომჩვარულ მუცელზე ისვამდა და დაუსწრებლის ღიმილით, სახე რომ გაუბზარა, პოეტს შეცდომაში შეიყვანდა, თუკი ეს უკანასკნელი მისკენ მიიხედავდა. მოაჩვენებდა, ვითომც კედლის დატალღული გაჯით ტკბებოდა, ვითომც სარკმლის დირეზე გარინდებულ ფარვანას ალერსით უცქერდა, მაგრამ არა, შუშის თვალს არ შეუძლია ალერსი გამოხატოს და არც მომჩვარული მუცელი იბურძგლება, ცოცხალი პოეტების თუნდაც მთელი ხროვა მოულოდნელად მიესიოს. ჯიმი არ იმჩნევდა პოეტის არსებობას, მხოლოდ ყურები უთრთოდა ნაბიჯის ჩადგმისას და ალბათ ეს იყო იმის მიზეზი, პოეტი მისკენ მოურიდებლად მიტრიალებულიყო და ჯიმისთვის ამრეზით შეეხედა. მეოცნებე გამოხედვით პოეტი ამაოდ ცდილობდა საჭირო სიტყვების მოძიებას, რაც გამოიხატებოდა არა მარტო ჰაერის გამალებული ხვრეპით, თვალების აელვებითაც, ოღონდ ნაცვლად სიტყვებისა, ჰაერის ამობრუნებული ლუკმა ამოსდიოდა და ისიც დაჭიმული ნესტოებიდან.

ჯიმიმ სამშვიდობოს მალე გააღწია. სადარბაზოს კარში გაძვრა, ცოცხალი პოეტი უკან მოიტოვა და, ასფალტზე გართხმულმა, ფართქალით მოუსვა გაურკვეველი მიმართულებით. სადარბაზოდან გასვლისთანავე სივრცეს ისე ერთბაშად გაუღიმა, გეგონებოდა,

კარგა ხანია, რაც ასე შეხუმრიანებული ყოფილიყო ცხოვრებასთან. პირველი ნაბიჯიც კი ისე მოკრძალებით გადადგა, როგორც მშვიდობის დამყარებისადმი გადადგმული პირველი ნაბიჯი. მკვდარი პოეტებისკენ ეჭირა გეზი, იქ, სადაც ცოცხლები ვერ შეაწუხებდნენ და ვიდრე სულს მოითქვამდა, იქამდე მოიფიქრებდა რამეს, ოღონდ რას, ეს ნაკლებად ესმოდა.

ცარიელ ქუჩაზე ღონივრად მიფორთხავდა, ასფალტს ფრჩხილებით ებღოტებოდა და ერთთავად სმენად ქცეულს, ერთი სული ჰქონდა, დროულად გაცლოდა სადარბაზოს. არც იმას დაეძებდა, გული ამოვარდნას თუ ჰქონდა და ყელში თუ ებჯინებოდა ნიგნში გასახმობად ჩადებული ვარდივით. უკან ვერავითარი ძალა ველარ დააბრუნებდა. მზად იყო, მუცლით გადახოხებოდა ასფალტში საგანგებოდ ჩასობილ სამართებელს და გამოყრილი შიგნეული დამშეული აფთარივით შეეთქვლიფა, ისიც მხოლოდ იმის საფასურად, რათა დარწმუნებულიყო, რომ თავისუფლება ნამდვილი იყო და არა სიზმრისეული. მაგრამ უჭირდა, მოძრაობას გადაჩვეული წვალებით იპყრობდა გვერდა ქუჩას. იძულებული ხდებოდა დროდადრო შეესვენა და ჰაერის შესახვრეპად უზარმაზარი ხახა უსაშველოდ დაეფჩინა. ასეთ დროს მამასახლისის ოდინდელი სიზმრისეული გადარეული ჩიტი ხაოიან ენაზე აცხრებოდა ჩიჩიას ამოსაძიძგნად და კაუჭა ნისკარტს ღონივრად უკაკუნებდა დაჭიანებულ კბილებზე.

აბეზარი ფრინველის გამოსაჭერად ჯიმი პირის დახურვას კი ლამობდა, ოღონდ გადასანსვლას არ უპირებდა, ნერწყვში ამოსვრილს ასფალტზევე ამოაფურთხებდა და ამით ერთგვარ ჭკუის სასნავლებელ გაკვეთილს მისცემდა. სადამსჯელო საქმიანობის გატარებისთვის კი აუცილებელზე აუცილებელი პირის დროული დახურვა იყო, ეგაა, უკვე სასომიხდილმა, პირი ისე ერთხელაც ვერ დახურა, რომ ჩიტი გამოეჭირა. დახ-

ურვისას ფრინველი ისე უზრუნველად უფრინდებოდა გარეთ, თითქოს ჯიმის პირი მისი ბუდე იყო და იქ შეფრენა-გამოფრენას ვერავინ მოუშლიდა. საკმარისი იყო, ჯიმის სული ოდნავ მოეთქვა და აღმართს ახალი ძალებით აბღოტებოდა, ჩიტი მაშინათვე ზურგზე ასკუპდებოდა და საკუთარ საიღლიეში ზანტი ცნობისმოყვარეობით იქექებოდა. ჯიმი, თავიდან რომ ფიქრობდა — ჩიტი ბდღვნად არ ღირსო, — ცდებოდა თურმე, ფრინველი მას მეთოდურად ასუსტებდა. ჯიმი შმორიან სარდაფში დამწყვდეული ფერიასავით შემაჭირვებლად კუთავდა, მაგრამ ჩიტს ეს არ ანაღვლებდა და თავისას არ იშლიდა. ჩიტისადმი შეურიგებელი დამოკიდებულება ჯიმიმ ბოლომდე კი შეინარჩუნა, ეგაა, მის სასარგებლოდ არაფერი მეტყველებდა. გარკვეული წილი მამაცობა რომ აღმოეჩინა ჯიმის თავისთავში, კარგი იქნებოდა, მაგრამ ნათელი იყო ერთი რამ, ჯიმი თავისთავში მოტყუვდა, და ბოლოს, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩიტმა რაინდული სული ნაჰგვარა.

ფრინველის მრგვალი თვალები ჯიმის კი აჯანყებდა ჩიტის წინააღმდეგ, ოღონდ გარეგნულად ამას არ იმჩნევდა და, ფეხებგაჩაჩხული, ჩიტზე შთაბეჭდილების მოსახდენად ჯერ კიდევ ხვნეშოდა, როცა ქუჩის ბოლოში მდგარ მარტოხელა ქალს შეავლო თვალი, რომელიც ასფალტის ნაბზარიდან წელამოყრილ ყვავილს მოეჯადოებინა და აღარ უშვებდა. წარსულში ფესვგადგმულსა და მომავალში ასფალტის ნაბზარიდან ამოზვინულ მცენარეს ქალი ლამის დაუცველობამდე მისული გულღიაობით ჭვრეტდა და ყვავილის გვირგვინის ყოველი ფურცლის გადაშლაზე თანმიმდევრულად ფრთხებოდა, თან საკუთარი უმწეო მდგომარეობით დარცხვენილს, თვალში ობოლი ცრემლიც უელავდა. ქალი კი გრძნობდა, მცენარისგან რაღაც განსაკუთრებული საფრთხე რომ ემუქრებოდა, მაგრამ მოჯადოებულს თავის ნებაზე ნაბიჯის გაკეთება არ

შეეძლო. გადაფურჩქნილ გვირგვინსაც ისე უმწეოდ ჩაშტერებოდა, თითქოს სასოწარკვეთით ცდილობდა თავის გადარჩენას.

ჯიმის ისევე დაფჩენილი ჰქონდა პირი და ჩიტიც ძველებურად უკაკუნებდა ნისკარტს კბილზე, როცა ქალმა მას გახედა და ჯიმიმ მის საწყალობელ გამოხედვაში თანაგრძნობის გარკვეული თუ არა, გაურკვეველი წილი მაინც აღმოაჩინა. ამ სანახაობამ ჯიმი განსაკუთრებით ააფორიაქა და საგონებელში ჩააგდო. მაშინათვე გულში გაივლო, – ჩვენ ერთმანეთს ვესაჭიროებითო. ყოველი წუთი ძვირფასი იყო. ქალისკენ ისე გახოხდა, პირის დახურვა ვერ მოასწრო. თან თვალს უპაჭუნებდა, იმას იმედოვნებდა, გასაჭირს რამენაირად შევუმსუბუქებო, ეგაა, თვალის პაჭუნი ქალს კიდევ უფრო აბნევდა. ამას გარდა, თვალის პაჭუნს, რომელიც მნიშვნელოვანს არაფერს გამოხატავდა, ისევე შეიძლებოდა შეგულიანება მიწერებოდა, როგორც სულერთიაობა. პაჭუნის დახვეწაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანაც ედგა ჯიმის, სახელდობრ – ჩიტი, რომელიც, მოგეხსენებათ, ანგარიშგასანევი ძალა იყო. მართალია, ჯიმიმ იმედი იქონია, რომ ასე დიდხანს არ გაგრძელდებოდა, მაგრამ მსგავსი იმედის ქონა, ასეთ პირობებში მისი მხრიდან უნამუსობის მეტი არა იყო რა.

ჯიმი ნვალობდა, თითებგადაყვლეფილი და ფრჩხილებდამტვრეული ასფალტს სათანადოდ ვეღარ ებღაუჭებოდა, თითები დროგამოშვებით სახსრებში უდუნდებოდა და ასე რის ვაივაგლახით დაპყრობილი აღმართიდან უკან ჩაცოცება უხდებოდა. ბევრი წვალების შემდეგ ორიოდე ნაბიჯიღა აშორებდა ქალისგან, მაგრამ უეცარი სისუსტით დამარცხებულს, ეგონა, ვეღარაფრით დაფარავდა ამ მანძილს. ოდესმე გათავებადი გზა გაუთავებლად გაიჭიმა, თუმცა ჩიტი რომ არა, ამასობაში შეიძლება აეღწია კიდეც. ბოლოს რაც რამ ძალა მოიძია, ერთიანად დაბუშებულ სხეულში მოიკრიბა

და, — გაეთრიეო, — მისჩურჩულა ჩიტს, ამასთან განსაკუთრებული გამბედაობის გარეშე შეუბღვირა კიდეც და, სხვათაშორის, ამ ბღვერამ გაჭრა. ჩიტი დაეხსნა, ჰაერში ნარნარით აინავარდა და მალევე მიეფარა თვალს. ჯიმის მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდა, მართალია, სულ ოდნავ, მაგრამ ამის არშემჩნევა უნამუსობა იქნებოდა. ვინაიდან ქალის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა ჯიმის ეკისრა, ქალი ამიტომაც შესცინინებდა მას და მის თვალებში ეძებდა თავშესაფარს, მაგრამ ჯიმი თვალს არიდებდა, და რადგანაც უკვე მიმხვდარიყო, მისი შუშის თვალი ქალს სანუგეშოს ვერაფერს ეტყოდა, საპასუხო და თანაც სათუო მზერის გაგზავნას თავს არიდებდა. მაშინ ქალი თავად მიუახლოვდა ჯიმის, დაიხარა და ოფლით მონამულ შუბლზე ხელისგული ისეთი გულმოდგინებით გადაუსვა, თითქოს დაორთქლილი სარკე გადაწმინდა. ჯიმის სიამოვნებისგან ზურგი დააზრა. ასეთი ცივი ხელით თავის ცხოვრებაში არავინ შეხებია, და ჯიმი მიხვდა, ვინც იყო ქალი. მისი მოჯადოება არანაირ ყვავილს არ ძალუძდა, ეგ კი არა და, იქით მოაჯადოებდა ნებისმიერს. ალბათ ჯიმის ეთვალთმაქცებოდა და რაკი ასე იქცეოდა, მაშასადამე, საამისო მიზეზიც გააჩნდა. ჯიმიმ გვიან იაზრა, ამ ქალს — მექარავნეს ხარჭას — თვითონ შვილიშვილად ერგებოდა, და არა მარტო თვითონ, არამედ მისნაირი კიდევ ბევრი თმაგაბურძგვნილიც. მის თავთით ჩამუხლულმა ქალმა ისევ გადაუსვა ცივი ხელისგული, ოღონდ ახლა უკვე კეფაზე, მერე წელში გაიმართა, ჯიმის პერანგის დასველებული საყელო მუშტში მოიგდო და ასე მინაზე გაშოტილი ჯიმი შორიახლოს მდგარი ცალკე სახლისკენ წაათრია.

ბინა მეტისმეტი, ხოლო ბოლომდე რომ სიმართლე ითქვას, გადაჭარბებული გულმოდგინებით დაელაგებინათ. ყველას, ვისაც მოსწონს დახვეწილობა და ინტელიგენტურობა, ასეთი ბინა მისწრება იქნებოდა.

აურეველი, მოურეველი და შეუვალი სიმშვიდე გამეფებულიყო ბინაში. ქალი მეტისმეტად კოპწია რომ იყო, ამას ისედაც ადასტურებდა მის გარშემო არსებული გარემო, მაგრამ არც გადამეტებული და მოსაბეზრებელი ვარგა რამე, ანუ ისეთი ნესრიგი, როგორიც იქ სუფევდა. სამაგიეროდ, ჯიმის აუცილებლობაც სწორედ ამაში მდგომარეობდა, რომ მას უნდა მოეშალა ქალისთვის თავაშვებული კოპწიაობა. ქალი კი უნდა იყოს მონესრიგებული და დალაგებული, ოღონდ ათასში ერთხელ აურიოს კიდეც, ბინა თავდაყირა დააყენოს. ისეთი დარწმუნებით ფიქრობდა ჯიმი ყველაფერ ამას, თითქოს ქალს რომ არ ემარჯვა და ბინა თავდაყირა არ დაეყენებინა, ამით გაუგონარსა და გამოუსწორებელ საშინელებას ჩაიდენდა. ჭკუიდან ხანდახან გადაცდენამ სარგებელი თუ არ მოიტანა, წყენითაც არავის აწყენს. ჯიმი ერთხანს უკმაყოფილო სახით ათვალიერებდა ოთახს, მერე ისე ერთბაშად ჩამოისვა ყურზე ხელი, გეგონებოდა, იმას ამოწმებს, სიზმრის ნაკუწი ხომ არ ამკრობია ყურის ბიბილოზეო. ჯიმი ფიქრობდა – და საკმაოდ უადგილოდაც – რომ ოთახში არსებული წესრიგი მას არაფერში ავალდებულებდა და რომ ყველაფერი ეს ზუსტი ანგარიშით არაფერს ნიშნავდა. ერთგვარი გართობააო, მაგრამ მოგვიანებით საკუთარი მოსაზრების უარყოფა მოუწია, ვინაიდან მოაგონდა, რომ რაღაცა რაღაცას ყოველთვის ემსახურება. იმასაც მიხვდა, ქალი მთლიან, გარემომცველ სივრცეში რომ უნდა აღექვა და არა ცალკე ერთეულად. ოთახის კედლებზე გაკრული ვარდისფერი ქაღალდიც ამის ნათელი დადასტურება გახლდათ. კედლის თაროებზე უამრავი წიგნი ელაგა, ეგ იყო, ნებისმიერი რომ გადმოგეღო და გადაგეფურცლა, მაშინათვე სათაგურივით უმალ დაიხურებოდა მარადი სიახლისა და გადაუშლელობის გამო. იქ იყვნენ პოეტები, მხოლოდ პოეტები. მეტი არავინ, მაგრამ

ირკვეოდა, ქალს ეცულლუტა და არცერთი მათგანი არ წაეკითხა, სამაგიეროდ, სწორედ ნაცულლუტარი ამჟღავნებდა ვარდისფერკედლებიანი ოთახის ჭეშმარიტ დანიშნულებას. ჯიმი დამშვიდებული მოეშვა. ჰქონდა კიდეც დამშვიდების მიზეზი. თურმე მიეღწია მკვდარი პოეტების საუფლოსთვის. ამიერიდან რაღას უნდა წარეგვარა მისთვის ქალისადმი მოწიწება? ერთხანს იმედგადაწურული თაგვივით შეუკამათებლად შესციცინებდა ქალს თვალებსა და ტუჩებში ერთდროულად. ხოლო მისი ტუჩები ამაფორიაქებლად და თითქოს მიმზიდველადაც კი თრთოდნენ, და ჯიმისაც ნუგეშად ისღა დარჩენოდა, ნებაყოფლობით ესკუპა სწორედ მისთვის გახსნილ სიცარიელეში.

მერე თითქოს გამოერკვა, წიგნის თაროს მიუახლოვდა და ზედ შემოლაგებულსა და დამტვერილ წიგნებს სული დაბერა. ჰაერის ნაკადში დანაბერი მტვრის აბარბაცებული ბულულები თაროს კუთხემდე გაქანდნენ, იქ ერთად შეტრიალებულნი უკანვე მობრუნდნენ და ჯიმიმ ისღა მოასწრო, რომ ქუთუთოები დაეხურა, რათა უკან მობრუნებული მტვერი თვალებში არ შეფრქვეოდა.

ქალი მის ანგლობაში მონაწილეობას არ იღებდა. ის სარკმლიდან შემოტანებული მზის ალმაცერ ათინათს ეფიცხებოდა. მთელი დღე შეეძლო ასე მჯდარიყო. გადაინვერებოდა მზე, ისიც უმალ ადგილს შეუნაცვლებდა სკამს, თავისებურად დასდევდა სითბოს.

ჯიმიმ თავი დაივალდებულა — განბანილიყო. სულ მალე მკვდარ პოეტებთან შეხვედრა ელოდა, ხოლო ჭუჭყიანი ხელებით მათი მიღება ეუხერხულებოდა. წინდა ხელებთან რა კავშირშია, მაგრამ ისიც კი იმდენი ხანი არ გაეძრო ფეხიდან, რომ მოწყურებული კატა სიამოვნებით აულოკავდა ფეხისგულს წყურვილის მოსაკლავად. თავანყვეტილ გიჟებთან შეხვედრის მოლოდინმა ჯიმის ფაქიზი გრძნობები ჩამოუყალიბა.

წყლით სავსე აბაზანამი ესვენა, აბაზანის ბიდეზე ჩამოდებული ხელის თითებში გაჩრილსა და ახრჩოლებულ სიგარეტის კვამლს ჭვრეტდა და ჰაერში გათხაპნილი კვამლი საოცრად ეხამებოდა მის ხასიათს, სააბაზანოში ქალის გულიანმა ხარხარმა რომ შეაღწია. ჯიმის თავი არც წამოუწევია, ისე გახედა ქალს. სასაცილოა ყველაფერი ეს, — თქვა ქალმა და გაიცინა, რაშიც უნდოდა ჯიმიც დაერწმუნებინა, მაგრამ ჯიმიმ მას უგულისყუროდ შეავლო შუშის თვალი, მერე წყალზე აბარბაცებულ საოცრად დამშვიდებულ საკუთარ ანარეკლს ყურადღებით დააკვირდა და თავისთვის თქვა, — ეს დასასრულია.

დასასრული*

ეს დასასრულია
მშვენიერო მეგობარო
ეს დასასრულია
ჩემო ერთადერთო მეგობარო, დასასრული
ჩვენი ნალოლიავები გეგმების, დასასრული
ყველაფრის რაც დგას
დასასრული

არსად საშველი ან იმედი, დასასრულია
და მეც ვეღარასდროს ჩაგხედავ თვალებში

თუ შეგიძლია წარმოიდგინო რა მოხდება
ეს ზღვარგადასული თავისუფლება
ეს უნუგეშო მოთხოვნილება ვიღაცის ხელის
უნუგეშო სამყაროში

ტანჯვის რომაულ უდაბნოში ჩაკარგული
ყოველი ბავშვი არის შეშლილი
ყოველი ბავშვი არის შეშლილი
და მოელის ზაფხულის წვიმას

შიშმა მოიცვა ქალაქის კიდე
მიჰყევი სამეფო გზას
ოქროს მაღაროში ამაზრზენი სცენები მოჩანს
მიჰყევი დასავლეთისკენ მიმავალ გზას

გახედნე გველი
გახედნე გველი
გადევნე ტბისკენ
ტბისკენ, ძველთაძველი ტბისკენ

გრძელია გველი
შვიდმილიანი
ის ბებერია
და ცივია იმისი ტყავი

The West is the best
The West is the best
ოღონდ აქ მოდი, ამოვისუნთქავთ

ლურჯი ავტობუსი გვიხმობს
ლურჯი ავტობუსი გვიხმობს
მძღოლო, საით მიგყავართ ჩვენ?

და ჩვენ ვიყავით იმ სახლში და იქ იყო ხმა მსგავსი
ლინოლეუმზე დავარდნილი ვერცხლის საგნის,
                                  და შემდეგ
ვიღაც შემოვარდა ოთახში, ითქვა
„თუ დაინახეთ რა მოხდა გარეთ?"

თუ დაინახე რა მოხდა გარეთ
შვიდი ტომი დაიძრა
ექვსი ბაკალავრი და მათი პატარძალი
შვიდი ტომი დაიძრა
შვიდი ტომი გაწყდა

დაე ნუ მოვკვდები მე ავტომობილში
მე მინდა დავეცე გაშლილ ველზე
მინდა გველებმა კანი დამიძიძგნონ
მინდა ჩიტებმა ამოკენკონ ჩემი თვალები
მინდა მატლები დამიმეგობრდნენ

აი მე ვგდივარ
მიცურავენ ცაზე ღრუბლები

ოდა კალიას...
მე ვფიქრობ გავხსნი პატარა ფარდულს
სადაც გაიყიდება ათასი ნვრილმანი
და ვფიქრობ მე მას „კალიას" დავარქმევ

სადღაც მყავს დიდი მწვანე კალია
თუ გახსოვს ჩემი კალია, დედი?
მართლაც რა ლამაზად გამოიყურები...
(ო, სული შევუბერე, ის არის ქინქლა)
გადასარევია, ის შორს ვერ წამივა
მოკლედ, დავინდოთ იგი

ენსენადა
ჯვარცმული ძაღლი
მკვდარი სელაპი
მოჩვენებები მკვდარი მზე-მანქანის
გააჩერე, აღარ შემიძლია, მე უნდა ჩავიდე
ჰეი, მიიხედე, აქ ვიღაც მოდის
საშველი არ არის

მკვლელმა გაიღვიძა გათენებამდე
ჩაიცვა ჩექმები
სახე აარიდა ძველთაძველ აივანს
და ჩაუყვა დერეფანს, პატარავ
მიუახლოვდა კარს
და შეიხედა შიგნით, მანამდე
ის მივიდა ოთახში სადაც მისი და ცხოვრობდა,
და შემდეგ
ის ესტუმრა ძმას, და შემდეგ
ჩაუყვა დერეფანს
და მიუახლოვდა კარს
და შეიხედა შიგნით
მამა!
გისმენ, შვილო?
მე მინდა მოგკლა
დედა... მე მინდა...
გტყნა, დედა, მთელი ღამე...
ფრთხილად, დედა, მეყვარები
პატარავ, მთელი ღამე მეყვარები

მოდი, პატარავ, გაინაწილე ჩვენი ხვედრი
მოდი, პატარავ, გაინაწილე ჩვენი ხვედრი
მოდი, პატარავ, გაინაწილე ჩვენი ხვედრი
და შემხვდი ლურჯი ავტობუსის უკან

ლურჯი კლდე
ლურჯი ავტობუსი
ლურჯი კლდე
ლურჯი ავტობუსი

მოკალი, მოკალი!

ეს დასასრულია
მშვენიერო მეგობარო
ეს დასასრულია
ჩემო ერთადერთო მეგობარო, დასასრული

ის გტკენს რათა გათავისუფლდე
მაგრამ შენ არასდროს გამომყვები მე

დასასრული სიცილის და ტკბილი ტყუილების
დასასრული ღამეების როცა თავის მოკვლას
ვცდილობდით
დასასრული

---

* James Douglas Morrison. "The End". 1967.

გრეგორ ზამზა

სულთათანა

ფოტო გარეკანზე Douglas Kent Hall

შეკვ. № 44

ფასი სახელშეკრულებო